DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Bakradze, B. (ed.)
- Title: Guria: Country Research Results Volume 1 / გურია : მხარის კვლევა-ძიების შედეგები ტომი 1
- Publication Date: 1996
- Publisher: Georgian Academy of Sciences, Archaeological Research Center, Guria Charitable Foundation for the Study and Preservation of Antiquities
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_da7a41517d

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.



გურია

GURIA ГУРИА

საქართველოს მხარეთმცოდნეობა

ნარკვევები

REGIONAL STUDIES OF GEORGIA

ESSEYS



საქართველოს ისტორიული მხარეები:

HISTORICAL PROVINCES OF GEORGIA:

I.KVEMO KARTLI; II. JAVAKHETI; III.MESKHETI; IV. THORI; V.TRIALETI; VI.KAKHETI; VII.ERTSO-TIANETI; VIII.PSHAVI; IX.TUSHETI; X.KHEVSURETI; XI.MTIULETI; XII.KHEVI; XIII.SHIDA KARTLI; XIV.IMERETI; XV.GURIA; XVI.ACHARA; XVII.SAMEGRELO; XVIII.RACHA; XIX.LECHKHUMI; XX.SVANETI; XXI.APKHAZETI.

IVE
5154

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს არქეოლოგიური კომისია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
საქართველოს გარეთ ქართული
წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოება

22558

გურია

მხარის კვლევა-ძიების შედეგები

I



თბილისი

1996

კრებული "გურია I" - ეძღვნება აღნიშნულ მხარეში 1991-94 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს.

წინასიტყვაობაში ქვეყნდება გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის - აკადემიკოს **ნ. ბერძენიშვილის** სიტყვა, წარმოთქმული 1963 წელს ქალაქ ოზურგეთში.

შესავალი ეთმობა **ვახუშტი ბაგრატიონის** ცნობებს გურიაზე და გურულების შესახებ.

კრებულის პირველი ნაწილი წარმოდგენილია სტატიებით, რომლებიც ასახავენ გურიის მხარის კვლევის ამჟამინდელ დონეს.

მეორე ნაწილში "არქივი" - ქვეყნდება გამოჩენილი ქართველი არქეოლოგების **გ.ჯობეჯიშვილისა** და **ალ.კალანდაძის** დღემდე გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

მესამე ნაწილი "საცნობაროა" - გურიის ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების არასრული ნუსხა-ჩამონათვალი და ამ ძეგლების შესახებ არსებული სამეცნიერო, ასევე სხვა სახის ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაა წარმოდგენილი.

კრებულის მეოთხე ნაწილი "თეორიული საკითხები", თრიალეთური კულტურის შესწავლის ზოგიერთ მეთოდოლოგიურ საკითხს ეძღვნება.

ამრიგად, წინამდებარე კრებულით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მხარეთმცოდნეობის ნარკვევების სერიალს, რომლის განხორციელების მძიმე ტვირთი თავის თავზე აიღო საქართველოს გარეთ ქართული წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ (პრეზიდენტი **ირაკლი ანდრიაძე**).

რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

აკადემიკოსი **ანდრია აფაქიძე**

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორები **შ.ჩართოლანი, თ.თოდუა.**

კრებულის სარედაქციო კოლეგია: **ბ.ბაქრაძე, ი.ჯალაღანია, მ.ძნელაძე, ე.გოგუაძე, ა.გოგოლაძე, ა.დუმბაძე, ე. გომარელი გ.სადრაძე.**

გამომცემლობა "მეცნიერება"

1996

უისტორიო საზოგადოება კულტურულობას ვერ დაიჩემებს

აკადემიკოს ნ.ბერძენიშვილის გამოსვლიდან

(ოზურგეთი, 1963 წ. სექტემბერი)

დღეს ჩვენში ისტორია არის მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ, ამ განვითარების კანონზომიერების დამდგენ-გამომკვლევი.

ისტორია, ჩვეულებრივი გაგებით, ე.ი. თავგადასავალი - ყველაფერს აქვს, მაგრამ საკუთარი თავგადასავალი მხოლოდ საზოგადოებას ახსოვს. თავისი წარსული ცხოვრების ცოდნის მოთხოვნილება მხოლოდ კულტურული საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია. **უისტორიო საზოგადოება კულტურულობას ვერ დაიჩემებს.**

საზოგადოება მისი წარმოქმნის დღიდანვე მეხსიერებაში ინახავს საკუთარი ცხოვრების ღირსახსოვარ მოვლენებს, თავისებურად ალაგებს მათ, ქმნის თავისი დროის შესაფერის ისტორიულ ცოდნას და საყოველდღეო ცხოვრებაში ამ ცოდნის მოხმარებას ცდილობს.

რაც უფრო კულტურულია ესა თუ ის საზოგადოება, მით უფრო მდიდარია და დახვეწილი (მწყობრი) მისი ისტორიული ცოდნა. ამა თუ იმ საზოგადოების ისტორიის შესწავლილობის ხარისხი ამ საზოგადოების კულტურულობის შესაბამისია.

უხსოვარ დროს, როგორც იტყვიან, თანამედროვე ადამიანის წინაპარი განვითარების იმ სიმაღლეს აღწევს, რომ ის საზოგადოებად ყალიბდება, ე.ი. ჩნდება ადამიანი, იქმნება პირველყოფილი საზოგადოება.

მრავალი ათასი წლის მანძილზე ეს საზოგადოება ვითარდება, იზრდება, რთულდება, წარმოიშვება საზოგადოების ნაირსახეობანი, შემდგომი განვითარებით ეს საზოგადოებანი სხვა ახალსახეობებში გადადიან, ახალი ხარისხიანი ხდებიან.

საქართველო ერთი ასეთი საზოგადოებათაგანია. ის საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურული მთლიანობაა საერთო ტერიტორიულსა და საერთო წარმომავლობის ანუ ეთნიკურ

საფუძველზე წარმოქმნილი.

მაგრამ იყო დრო, როცა ასეთი გაერთიანება არ არსებობდა და ის ერთეულები, რომელთაგან დროთა განმავლობაში საქართველო წარმოსდგა, ურთიერთისაგან დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად ცხოვრობდნენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ ფორმას შეეფერებოდა იმ დროის საწარმოო ძალების განვითარება და მომავალი პოტენციური საქართველო ცხოვრობდა იმ მცირე ერთეულებად, რომელთაგან ზოგი, გადმონაშთის სახით, დღემდე არსებობს, ზოგი კი ჩამქრალა უკვე და მათი ოდინდელი არსებობის მხოლოდ ცნობანი შემოგვნახვია (ჭანეთი, სანიგეთი, კლარჯეთი, შავშეთი, მესხეთი, ჯავახეთი, თრიალეთი, გუჯარეთი, ალგეთი, სომხითი, გურია, ეგრისი, არგვეთი, აფშილეთი, ჩაჩი, აფხაზეთი, თაკვერი, სვანეთი, ქართი, კახი, ფხოვი, წანარი, თუში, ჰერი, სოჭი და სხვა.).

დროთა განმავლობაში საზოგადოებრივმა განვითარებამ იმ დონეს მიაღწია, რომ საჭირო და შესაძლებელი გახდა ამ მცირე ერთეულების უფრო მსხვილ ორგანიზაციებად გაერთიანება და ბოლოს, სხვაზე უფრო განვითარებული ერთეულის (ქართის) ჰეგემონიით ჩამოყალიბდა უფრო მაღალი ტიპის გაერთიანება, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალი ხარისხი, ერთიანი ფეოდალური საქართველო, რომელმაც ყოველმხრივ დიდ წარმატებას მიაღწია სამეურნეო-ეკონომიურსა, თუ კულტურის დარგში.

დაისახა ახალი ტენდენციები, ახალი გზები შემდგომი, კიდევ უფრო მაღალი გაერთიანებისა. ფეოდალური საქართველო ბურჟუაზიული განვითარების ზღურბლზე შედგა.

მაგრამ აქ თავი იჩინეს მსოფლიო მნიშვნელობის ისეთმა მოვლენებმა, რომელთაც კულტურული აღმოსავლეთი ბარბაროსობის მორევში ჩაძირეს.

ექვსას წელიწადს ებრძოდა საქართველო აზიურ ბარბაროსობას. მას იგი არ შეურიგდა, თუმცა მძიმედ დაზიანდა:დიდი ხნით შეფერხდა მისი წინსვლა, ოდესღაც მოწინავე ქვეყანა ჩამორჩენილთა რიგში აღმოჩნდა. მაგრამ შეუპოვარი ბრძოლა მაინც გამარჯვებით დამთავრდა: საქართველომ ბარბაროსული გარემოცვის რკალი გაარღვია და კვლავ მოწინავე კულტურული მსოფლიოს წრეში დაიდო ბინა...

მთელი ჩვენი ისტორია პროგრესისა და კულტურისათვის განუწყვეტელი ბრძოლაა. რომელიმე **დიდგორის ომი დავით აღმაშენებლისა...** და სახელოვანი **ნასაკირალი** ცარისტული რეაქციის

წინააღმდეგ ამ ეპიკური ბრძოლის ცალკეული დიდი მომენტებია...

და ჩვენი ვალია ვიცოდეთ, მეცნიერულად შევისწავლოთ ჩვენი საზოგადოებრივი წარსული და მეცნიერულად შევაფასოთ ჩვენს მიერ გამოვლილი შრომისა და ბრძოლის გზა, გზა ჩვენი წინსვლა-წარმატებისა თუ შეფერხება-მარცხისა.

საქართველოში ისტორიული მეცნიერება დიდი ხნის წინ დაიწყო და თავისი დროის შესაფერის მაღალ განვითარებასაც მიაღწია. ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს ისტორია, რომელიც მათ სულიერ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა (ეს ასეა ყოველთვის: ამა თუ იმ საზოგადოებას თავისი კულტურის შესაფერისი ისტორია გააჩნია). მაგრამ ჩვენი წარსულის ის ცოდნა, რომელიც ჩვენს წინაპრებს აკმაყოფილებდა, დღეს ჩვენთვის საკმაო არ არის. ჩვენი ძველი ისტორიის ნაკლი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეამჩნიეს ბურჟუაზიული ხანის საქართველოს მოღვაწეებმა და ისტორიის ახლებურად გამართვისათვის ზრუნვას შეუდგნენ...

ჩვენი წარსულის შესახებ საისტორიო მასალა თანაბარი სიუხვით არ შემოგვნახვია. ნაგვიანევი ხანიდან მასალა მეტი მოგვეპოვება, უფრო ადრეული ხანიდან კი მცირე, ზოგჯერ მეტისმეტად მცირე. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარე ყველა თანაბარი ინტენსივობით არ ვითარდებოდა, ხან დასავლეთი წინ უსწრებდა აღმოსავლეთს, ხან კი აღმოსავლეთი მოწინავეობდა და წარსულის შესახები თვალსაჩინო მასალა, წერილობითი თუ მატერიალური, ამისდაკვალად გადაგვრჩენია. საშუალო საუკუნეებში, კერძოდ, აღმოსავლეთი საქართველო წინ უსწრებდა დასავლეთს; ამიტომაც არის, რომ ამ დროს საისტორიო მასალაც აღმოსავლეთ საქართველოდან შედარებით უხვად გვაქვს, დასავლეთ საქართველოდან კი მცირედ. გურიაში, კერძოდ, მასალის ეს სიმცირე განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

და აი, როგორც ხედავთ, ისტორიკოსებმა, თუმცა დაგვიანებით, წამოვიწყეთ გურიის ისტორიის შესწავლა (ასეთ მუშაობას ჩვენ საქართველოს ყველა მხარეში ვგეგმავთ და ზოგან ვატარებთ კიდევაც).

გურია ისტორიკოსთა მხრით მთლად უყურადღებოდ არც წინათ ყოფილა დატოვებული. საკმაოა მოვიგონო მაღალნიჭიერი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც წარსული საუკუნის 70-იან წლებში მოიხილა ეს მხარე და მისი ისტორიის პირველი მეცნიერული ხნული გააველო. გაკვრით შეეხნენ გურიის სიძველეებს და მისი ისტორიის სხვა საკითხებს აკადემიკოსები ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი, პროფესორები ი.მეგრელიძე, ს.ჟღენტი. დღეს გურიის წარსულს არაერთი

ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი იკვლევს - ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორის სპეციალისტი. კვლევის ახალი მეთოდებით აღჭურვილები, ისინი უეჭველია, ახალ შუქს შეიტანენ გურიის ისტორიის შესწავლაში. მაგრამ ამ საქმეში მეტი წარმატებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროა არა მარტო მოპოვებული მასალის ახლებურად გამართვა, არამედ აუცილებელია ახალი მასალის მოპოვება. ასეთი მასალა კი არა მცირედი მოინახება საქართველოს და სხვა სიძველეთასაცავებში, გურიის მკვიდრთა ოჯახებში, გურულთა მეხსიერებაში, მათ მეტყველებაში, გურიის მიწის წიაღში (უბეში) და სხვა რიგის მონაცემებში. საჭიროა ოღონდ მათი აღმოჩენა-მოპოვება, ამეტყველება და ჩვენ, დარწმუნებული ვართ, აღვადგენთ ნამდვილ მეცნიერულ სურათს ამ მხარის წარმოქმნისას, მისი განვითარების გზებისას, მისი ზრდისა თუ შეფერხებისას, მისი ახლად ფრთაგაშლისას, მისი აწინდელი ვითარებისას; წარმოვაჩენთ, თუ როგორი თანდათანობით, როგორი შრომით და ბრძოლით გამოიარა ამ კუთხემ, საქართველოს სხვა კუთხეების გვერდით, კულტურის ძნელად სავალი გზა და სახელოვნად მოატანა დღევანდელ დღემდის.

ამ მასალის მოპოვება კი ადვილი საქმე როდია. ამისათვის საჭიროა მკაცრი მეთოდოლოგიური და შესაფერისი მეცნიერულ-ტექნიკური შეიარაღება, გულდასმით ხანგრძლივი სისტემიანი მუშაობა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დღეს მეცნიერულ ისტორიას კუთხისას, მხარისას თუ მთელი ქვეყნისას მეცნიერი მუშაკები ხალხის დაუხმარებლად შეიმუშავებენ. ფართო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გარეშე ასეთი ისტორია არ შეიქმნება. სამხარეთმცოდნეო მუზეუმები, სოფლის ინტლიგენცია, მოწინავე მუშაკები - ყველანი მოწოდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ მხარის ისტორიული წარსულის შესახები მასალის შეგროვება-გამოვლინება-დაცვაში. ამ საქმეს ემსახურება, კერძოდ, საქართველოს სიძველეთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება, ამავე საქმეს გულისხმობს აგრეთვე საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება. ყველაფერი ეს, როგორც ვხედავთ, გულისხმობს ხალხში ისტორიის პატივისცემის ფართო საქმიანი პროპაგანდის გაძლიერებას, გულისხმობს სახალხო მოწოდებას ისტორიის მასალების დაცვა-გადარჩენაში მონაწილეობის მისაღებად. და ეს განსაკუთრებით საჭიროა ჩვენს პირობებში, როცა ერთის მხრით, დღევანდელი საისტორიო მეცნიერება გადასული ცხოვრების ისეთ ნაკვალევსაც კი გამოეკიდა, რასაც ძველი ხანის იტორიკოსები

ყურადღების ღირსადაც არ სთვლიდნენ და მეორეს მხრით, როცა გარდასული საზოგადოების ყოველ ნაკვალევს არასოდეს ინტენსიური განადგურების ისეთი რეალური საფრთხე არ დასდგომია, როგორც დღეს, ქვეყნის არნახული ძვრების ხანაში. ურეკის ნამოსახლევი დიუნები უძრავად იწვნენ საუკუნეთა სიგრძეზე და მშვიდად ინახავდნენ თავის წიაღში გურულების უძველესი წინაპრების კულტურულ ნაკვალევს და ეს ძვრები გახდა მიზეზი ამ სიძველეთა აშლა-აფორიაქებისა; საუკუნეობრივად ნანგრევებად იყო გაშლილი დროისა და ქვეყნის მიერ მივიწყებული სახელოვანი ვაშნარის ნაქალაქევი და იშვიათად ვინმე ისტორიკოსის რომანტიკულ ფანტაზიას თუ აღვიძებდა. შემოვიდა უწყინარი ჩაის ბუჩქი და ულმობელი სისასტიკით გაანადგურა მშვიდად მთვლემარე ნანგრევები. ანასეულის მეტეოსადგურმა ნეოლითური ადამიანის ნაბინავები მოშალა, ხოლო გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა გურიის ერისთავთა ნასახლევს უფრო ძველი, ანტიკური ხანის ნასადგომევიც მიაყოლა.

მე მხოლოდ ორიოდე მაგალითი მოვიტანე, შეიძლებოდა ასეთი ფაქტების ათეულობით დასახელება. მცხეთა-სამთავროს, თრიალეთის, რუსთავის, წოფის, სოხუმის, ბათომის, თიანეთის, სიონის, შირაქის ქედი და მრავალი პუნქტი სულყველა ასეთი საფრთხის შექმნასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ობიექტებია... და რამდენი იღუპება ისე, რომ მათ შესახებ ცნობაც კი ჩვენამდე არ აღწევს? ...

მოკლედ რომ ვთქვათ: ჩვენი ქვეყნის ყოველ მხარეში გამალებული მშენებლობაა, ..., [რამაც] შეარყია ძველი მიწის წიაღის საუკუნებრივი სიმშვიდე და იქ გადასული საზოგადოების კულტურული ცხოვრების დღემდე შემონახულ ნაკვალევს განადგურების საფრთხე დაუდგა. მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, დიდი მნიშვნელობისად აღიარა იგი და 1949 წელს გამოსცა შესაფერისი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ასეთი მოვლენის წინააღმდეგ ქმედით ღონისძიებას. და ჩვენ, ... ისტორიკოსები, წარმატებით ვიყენებთ მთავრობის ამ დადგენილებას. მაგრამ, ვიმეორებ, ვერავითარი კანონი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ისტორიული ძეგლების განადგურებისაგან გადარჩენის საქმეს, თუ ხალხის ფართო მასები გულმხურვალედ არ მოეკიდებიან ამ საქმეს და მასზედ ზრუნვას თავის საპატიო მოვალეობად არ გაიხდიან.

გურიის ისტორიული შესწავლა გურიანთით დაიწყო. ამის საბუთი იყო ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული მეცნიერული მოსაზრება, რომელიც ჩვენ შეგვიმუშავდა ამა თუ იმ ქვეყნის წარმოქმნის საკითხში. გვეგულებოდა, კერძოდ, რომ ეს კუთხე შეიძლებოდა ყოფილიყო გურიის

ქვეყნის წარმოქმნის დედა-აკვანი.

აქეთ გვეწეოდა ზღვა ურეკ-დიუნებით, შეკვეთილით, აქეთვე გვეწეოდა ვაშნარის ნაქალაქარი და ორი მდინარის სუფსა-ნატანების ხეობათა შუაში მდგომი "ციხე", აქეთკენვე გვეწეოდა ნაკაშიძეთა ძველი გვარის საბუდარი (გვიანი სათავადო ქვეყანა) და ბოლოს, მოსაზრებათა ამ კომპლექსს მხარს უჭერდა ეჭვის აღმძვრელი სახელი ამ ქვეყნისა - გურიანთა (გურიამთა).

ჩვენი წამოწყება ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მართალია, ჯერ მხოლოდ ამოცანის გადაწყვეტის დასაწყისში ვართ, მაგრამ რაც დღემდე მოვიხილეთ, ყველაფერი კარგად უდგება და ასაფუძვლებს იმ ჩვენს სამუშაო ჰიპოთეზს.

გადაჭრილი მტკიცება მეცნიერებაში ისეთ საკმაო საფუძველს უნდა ემყარებოდეს, რაშიაც აუცილებელად იგულისხმება საწინააღმდეგო მოსაზრების უსაფუძვლობა. ასეთი დასკვნისათვის კი საჭირო იქნებოდა არა მარტო ამ კუთხის მთელის მასალის მოპოვება და ამოწურვით გათვალისწინება, არამედ ასევე საჭირო და აუცილებელი იქნებოდა მეზობელი მხარეების (შემოქმედის, ქობულეთის, ბერეჟოულისა და სხვათა) მოხილვა და მთელი ამ მასალის შედარებითი შესწავლა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი სამუშაოს გაწევის შედეგად მეცნიერულად დავადგენთ როგორც ამ გაერთიანებული ქვეყნის (გურიის) წარმოქმნის სურათს, ისე გამაერთიანებელი "შუა გურიის" როლს და თვით ამ გაერთიანების შედარებით ქრონოლოგიას...

როგორც მოგახსენეთ, ჯერ საქმის მხოლოდ დასაწყისში ვართ... რა მოვიპოვეთ (უეჭველად დავადასტურეთ, რომ ქვეყანა გურიანთა უძველეს დროსვე ათვისებული ყოფილა ადამიანის მიერ. ძველი ქვის ხანის ჩვენებანი ჯერ-ჯერობით საკმაო რაოდენობისა არ გაგვაჩნია, მაგრამ ახალი ქვის ხანის ნასადგომევი უეჭველად ვიპოვეთ, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს უკვე აქამდისაც მოპოვებულ ცოდნას იმის შესახებ, რომ ნეოლითის ხანის ადამიანი ფართოდ სახლობდა გურიის მიწაზე (სოფელი ქობულეთი, ხუცუბანი, ანასეული, მამათი, ნაგომარი, ციხისფერდი).

კიდევ უფრო ძლიერად წარმოდგენილი აღმოჩნდა "გურიანთის" ტერიტორიაზე შემდგომი "ლითონის" ხანა. ამ ეპოქის ნასადგომევი დიდი რაოდენობით მოიპოვება ურეკში და გურიანთის ბორცვებზე (ციხეზე და ციხისფერდში, კონჭკათში, ხვარბეთში, გოგორეთში, ნატანებში, შრომაში და სხვა). რაც უეჭველი მოწმობაა ამ ქვეყნის ინტენსიური დასახლებისა ბრინჯაოსა და რკინის ხანაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა რკინის გამოსადნობი ქურების აღმოჩენა. ასეთი ქურები სხვაგანაც მრავლად მოიპოვება დღევანდელ ქობულეთსა და გურიაში (ი.გძელიშვილის აღმოჩენა) და უეჭველობით მოწმობს იმ ძველი მოსახლეობის ტექნიკურ დაწინაურებულობას. საფუძვლიანად გამოიყურება მოსაზრება (ი.გძელიშვილი, ნ.ხოშტარია), რომ რკინის გამოსადნობი ნედლეული (მადანი) იყო ამ ქვეყნის ზღვისპირეთის სილა (მაგნეტიტი), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ძველად იტყოდნენ, "გამოახურვებდა" საამისო მოხერხებულ ადგილებში.

მე განზრახ მოვერიდები იმ საკითხების შესახებ მსჯელობას, თუ რას უნდა მოწმობდეს ამ "ნარურჯ" - "ნამჭედურთა" ასეთი სიმრავლე, მათი განლაგება და სხვა ასეთები.

ყურადღებას იქცევს თიხის ნაკეთობის ადგილობრივობა და უცხოური (იმპორტული) კერამიკის შედარებითი სიმცირე (თუმცა ამეებზე მსჯელობა ფრიად წინასწარულია და პირობითი, ვიდრე მასალა უფრო მეტი რაოდენობით არ მოგვიპოვებია და არც ქრონოლოგიურად შეგვისწავლია).

არც იმის შესახებ სავარაუდო მსჯელობით მოგაწყენთ თავს, რა პურეულის მოყვანას მისდევდნენ იმ დროს, როგორ იდგა ღვინის მეურნეობა ან ტექნიკური მცენარეების მოშენება, - ყველა ამის შესახებ საფუძვლიანი დასკვნები მოითხოვს მეტი მასალის მოპოვებას და, კიდევ უფრო, ამ მასალის ზედმიწევნით შედარებით შესწავლას.

ქვეყნის თავგადასავლის არა ნაკლები სიძველის მაჩვენებელია მხარეში უხვად დაცული საგეოგრაფიო სახელები და ადამიანთა ძველი გვარ-სახელები. საჭიროა მათი ზედმიწევნით შეგროვება, დახარისხება. მკაცრი სამეცნიერო ხერხებით გაანალიზება და ჩვენ მოვიპოვებთ არაერთ ძვირფას ცნობას ამ მხარის სამეურნეო-ეკონომიკურის თუ პოლიტიკურ-კულტურული და ეთნიკური წარსულის შესახებ. კერძოდ ერთხელ კიდევ უეჭველობით დავადასტურებდით ამ მხარეში ზანურს (და, შეიძლება, კიდევ უფრო ადრინდელ) სუბსტრატს, რომელზედაც გარკვეულ დროს გაიშალა სხვა მოძმე ქართველური ტომი, შევიცნობდით აწინდელი გურულის რთულ ეთნიკურ შედგენილობას...

ჩვენი ექსპედიციის საკვლევაძიებო მუშაობა მხოლოდ უძველესი ხანით არ შემოფარგლულა. ამჯერად ჩვენი კვლევის არეში იყო აგრეთვე საშუალო საუკუნეები... ადრე საშუალო საუკუნეებში გურიანთა ძველს თავის მნიშვნელობას, როგორც ჩანს, ინარჩუნებდა. ამის მოწმობად გაშნარის ნანგრევებია. შემდგომი ხანის მასალის მეტისმეტი სიმცირე იმას

შეიძლება მოწმობდეს, რომ ეს მხარე, ამ დროს ხანგრძლივ დაცემას განიცდის და გურიის მთავარი მნიშვნელობის პუნქტს სხვაგან გადაუნაცვლებია. როდის და როგორ მოხდა ასეთი რამ, ეს მომავალი კვლევის საქმეა....

Общество без истории не может претендовать на культурность

Из выступления акад. Н.А.Бердзенишвили

(Озургети, сентябрь 1963 года)

Ныне история у нас - это наука о развитии общества, устанавливающая и исследующая закономерность этого развития.

История, в обычном понимании, т.е. приключения, есть у всех, но собственные приключения помнит лишь общество; потребность познания своего прошлого - характерная черта лишь культурного общества. Общество без истории - не может претендовать на культурность.

Со дня своего возникновения общество хранит в памяти примечательные явления, по своему их раскладывает, создавая соответствующие своему времени исторические знания, стараясь применить их в каждодневной жизни. Чем более культурно то или иное общество, тем более богаты и стройны его исторические знания, степень изучаемости истории того или иного общества соответствует его культурности.

В незапамятное время предок современного человека достигает того уровня развития, когда он формируется в общество, т.е. появляется человек, создается первобытное общество.

На протяжении многих тысячелетий общество развивается, растет, усложняется, возникают разновидности общества, в дальнейшем переходящие в новое качество.

Грузия одно из таких обществ. Она общественная организация, экономическое, политическое и культурное единство, возникшее на основе общей территории и общего этнического происхождения.

Но было время, когда такого объединения не существовало и те единицы, из коих со временем возникла Грузия, жили не-

зависимыми друг от друга общественными организациями, такой форме общественной жизни соответствовало развитие производственных сил того времени и будущая потенциальная Грузия жила теми малыми единицами, из коих некоторые в виде пережитков существуют и до ныне, некоторые-же сохранились лишь в виде сведений о них (Чанети, Санигети, Тао, Кларджети, Шавшети, Месхети, Джавахети, Триалети, Гуджарети, Алгети, Сомхити, Гуриа, Эгриси, Аргвети, Апшилети, Чачи, Абхазети, Таквери, Сванети, Карти, Кахи, Пхови, Цанари, Туша, Сочи и др.).

На протяжении времени, общественное развитие достигло того уровня, когда стало и возможно и необходимо объединение этих малых единиц в более крупные организации, и наконец под гегемонией более развитой еденицы (Картли) сформировалось объединение более высокого типа, новое качество общественной организации - единая феодальная Грузия, которая достигла всесторонне больших успехов в хозяйственно-экономической и культурной сфере.

Наметились новые тенденции и пути для дальнейшего, более совершенного объединения. Феодальная Грузия стала на грань буржуазного развития.

Но здесь возникли такие явления мирового значения, которые погрузили культурный Восток в пучину варварства.

Шестсот лет боролась Грузия с азиатским варварством. С ним она не примирилась, хотя и тяжело пострадала; на долгое время приостановился ее прогресс; когда-то передовая страна оказалась в ряду отстающих. Но непримиримая борьба все-же закончилась победой: Грузия прорвала круг вражеского окружения и вновь оказалась в среде передового, культурного мира.

Вся наша история - это неприрывная борьба за прогресс и культуру. Какая нибудь Дидгорская битва Давида Строителя... и не менее известная Насакиральская против царской реакции - отдельные великие эпизодын этой эпической борьбы. И наш долг знать, изучить наше общественное прошлое, научно оценить пройденный

нами путь труда и борьбы, путь наших успехов и поражений.

В Грузии историческая наука возникла давно и достигла соответствующего времени уровня, наши предки создали историю, удовлетворяющую их духовные потребности (и это всегда так: то или иное общество имеет историю соответствующую его культуре). Но те знания прошлого, которые удовлетворяли наших предков, сегодня не достаточны (недостатки той нашей древней истории были замечены деятелями буржуазной Грузии и они начали думать о ее переделе на новый лад).

...Исторические материалы о нашем прошлом сохранились в неодинаковом количестве. С более поздних времен имеется больше материала, чем с древности. Кроме того, различные края нашей страны развивались не с одинаковой интенсивностью: то Запад опережал Восток, то Восток выходил в передовые и в соответствии с этим, наглядный материал, письменный или вещественный, сохранился до нынешних дней в различном количестве. В частности, в средневековье Восточная Грузия опережала Западную и поэтому исторических материалов гораздо больше из Восточной Грузии. Эта малочисленность материалов в Гурии особенно наглядна.

И вот, как видите, мы, историки, хотя и с опозданием, начинаем историческое изучение Гурии (подобные работы мы планируем во всех краях Грузии, а в некоторых местах уже осуществляем).

Гурия и ранее не была обойдена вниманием историков, достаточно вспомнить талантливого историка Димитрия Бакрадзе, который в 70-е годы прошлого столетия объездил этот край и провел первую научную борозду ее истории. Древностей Гурии и некоторых других вопросов вскользь касались академики Нико Марр и Эквтиме Такаишвили, проф. И.Мегрелидзе, С.Жгенти.

Прошлое Гурии сегодня исследует ни один молодой научный сотрудник - историк, археолог, этнограф, фольклорист, вооруженные новыми методами исследовний; они безусловно прольют новый свет на изучении истории Гурии. Но для больших успехов в этом де-

ле необходимо не только новое осмысление уже имеющихся материалов, но и добыча новых. А таковые в не малых количествах имеются в хранилищах древностей не только Грузии, в гурийских семьях, в памяти гурийцев, в недрах Гури; необходимо их найти и добыть, заставить их заговорить, и мы уверены, будет востановлена истинная, научная картина становоления этого края, путей его развития и особенно, нынешнего его состояния. Сумеем востановить как постепенно, в труде и борьбе, прошла Гуриа рядом с другими краями Грузии, трудный путь развития и пришла к нынешним дням.

Добыть эти материалы не так-то просто. Для этого необходимо строго методологическое и соответственно научно-техническое оснащение - скурпулезная, длительная, систематическая работа. Но было-бы ошибкой думать, что подлинную историю края и всей страны, научные работники сумеют восоздать без помощи народа. Без активного участия общественности правдивая история края не может быть создана. Краеведческие музеи, сельская интеллигенция, все призваны активно учавствовать в сборе материалов, их сохранении, для востановления прошлого края.

Этому делу, в частности, служит Республиканское общество охраны древностей Грузии, а также научное Общество истории, археологии, этнографии и фольклора Грузии. Все это, как мы видим, подразумевает усиление широкой деловой популяризации истории и уваженииия к ней, это призыв к народу за спасение и сохранение исторических материалов. Это особенно необходимо в наших условиях, когда с одной стороны, историческая наука заинтересовалась "мелочами", которых историки прошлого вообще не считали достойным внимания, а с другой, никогда еще наследию прошлого не угрожала опасность интенсивного уничтожения, как сегодня, в эпоху невиданных сдвигов в стране. Урекские дюнные поселения на протяжении веков безмолвно хранили культурное наследие древнейших предков гурийцев и лишь эти сдвиги стали причиной их появления на свет. Веками лежало в развалинах всеми забытое городище Ваш-

нари, изредко пробуждающего романтическую фантазию какого нибудь историка. Но появился чайный куст и с безжалостной жестокостью уничтожил развалины. Метеорологическая станция Анасеули смела стоянку неолитического человека, а Сельскохозяйственный техникум Горабережоули повредил и бывшие владения гурийских эриставов и древнее античное поселение.

Я привел лишь пару примеров, а можно было привести их десятками. Мцхета-Самтавро, Триалети, Рустави, Цопи, Сухуми, Батуми, Тианетский Сиони, Ширакский хребет и множество других пунктов - это археологические объекты, окозавщйся перед реальной опасностью... а сколько погибают так, что даже сообщения о них до нас не доходят...

Историческое изучение Гурии началось с Гурианта. Причиной тому были историко-географические постулаты, выработанные нами с возникновением той или иной округи ("Квекана"). В частности мы допускали, что этот уголок мог быть колыбелью возникновения "Гурийской квекана". К этому нас подталкивали море с Урекскими дюнами, Шекветили, Вашнарское городище и крепость расположенная между двумя ущельями рек Супса-Натанеби, к тому-же склоняло существование здесь гнезда древнего рода Накашидзе (позднее - княжества) и наконец, комплекс этих соображений поддерживал возбуждающее сомнения наименование "квекана" - Гурианта (Гуриамта).

Наше начинание оказалось весьма плодотворным. Правда, пока мы находимся у истоков возникновения вопроса, но все до сегодняшнего дня обнаруженноее поддерживает нашу рабочую гипотезу.

Категорическое утверждение в науке должно быть обоснованным так чтобы безосновательность противоположного не вызывало никаких сомнении. Для подобных-же выводов необходим не только сбор и доскональное изучение всех соответствующих материалов этого края, но и соседних территорий (Шемокмеди, Кобулети, Бережоули).

Мы надеемся, что в результате проведения таких работ удастся установить, какова картина возникновения этой объединенной "Квекана" (Гурии), а также роль "Шуа Гурии" в этом процессе и, наконец, сравнительную хронологию этого объединения...

Как уже отмечалось, мы лишь в начале пути... Чего мы достигли? Безусловно установили, что "Квекана" Гурианта уже в древнейшие времена была освоена человеком. Данных древнекаменного века у нас пока недостаточно, но стоянки новокаменного века нами безусловно найдены, что еще более подтверждает наши знания о том, что неолитический человек широко расселился на гурийской земле (сс. Кобулети, Хуцубани, Анасеули, Мамати, Нагомари, Цихисдзири).

Еще более убедительно оказалась представлена на территории Гурианта последующая - эпоха металла. Стоянки этой эпохи в большом количестве расположены в Уреки и на возвышенностях Гурианта (Цихэ, Цихисдзири, Кончкати, Хварбети, Гогорети, Натанеби, Шрома и др), что является безусловным свидетельством интенсивного заселения этой "Квекана" в эпоху бронзы и железа.

Особый интерес представляет находка железоплавильных печей. Множество подобных печей обнаружено и в других местах нынешних Кобулети и Гурии (находка И.Гдзелишвили) и безусловно свидетельствует о техническом прогрессе того древнего населения. Обоснованно выглядит соображение (И.Гдзелишвили, Н.Хоштария), что сырьем для выплавки железа являлись металлоносные пески (магнетиты) Приморья, которые местное население "выплавляло" в соответствующих удобных местах.

Я умышленно избегаю обсуждения вопроса, что должно означать такая многочисленность "Намчедури" (очаги плавки), их расположение и т.д.

Привлекает внимание местное происхождение глиняных изделий и сравнительная малочисленность импортной керамики (хотя рас-

суждения эти весьма предварительны и условны до тех пор, пока не добыто больше материала и он хронологически не изучен).

Я не буду вас занимать продолжительными рассуждениями и о том, какие злаки возделывали в те времена, какое вино настаивалось, какие технические культуры возделывались. Основательные выводы по всем этим вопросам требуют добычи большого количества материалов, а тем более его досконального, сравнительного изучения.

Не меньшим свидетельством древности края являются и обильно сохранившиеся географические имена и древние имена-фамилии, необходим их скрупулезный сбор, сортировка, строгий научный анализ. Этим мы добудем множество интересных сведений о хозяйственно-экономическом прошлом этого края.

22558

В частности, еще раз с безусловностью подтвердим существование Занского (и может быть более раннего) субстрата, на котором в определенное время возникли картвельские племена, распознаем сложный этнический состав нинешнего гурийца.

Исследовательская работа нашей экспедиции не ограничивалась лишь древнейшей эпохой. На сей раз в этом ареале было и средневековье...

Повидимому и в раннем средневековье Гурианта сохраняла свое старое значение, чему свидетельство развалины Вашнари. Особенная скудость материалов последующего периода может свидетельствовать о длительном упадке этого края и перемещении главного пункта Гурии в другое место. Когда и как это произошло - дело будущих исследований.



შესავალი

ვახუშტი "გურიაზე და გურულების შესახებ"

"ხოლო **გურია** არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა. გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთავსა, რომელნი იყუნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი, ადარნასე და ძე მისი აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს: "გურიობით განდგომილნი". და ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ. არამედ მზღვრის ამას გურიას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამჭრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი; ჩრდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დასავლით შავი ზღვა. ხოლო რიონის თვალზედ, სამჭრეთის კიდესა ზედა, არს **ფოთის ციხე**, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა **ჩლკე**, ქართულსა **უიგ**, ნავსადგურისათჳს, და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით. აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე, და ამ ფოთის აღმოსავლით, რიონის კიდესა ზედა არს **ლანჩქუთი**. ამ ლანჩქუთის სამჭრით წარმავალს მთა საჯავახოს მთიდამ დასავლეთად, და სადაცა დასწყდების მთა ესე, არს ამ მთის მაღალს თხემსა ზედა ეკლესია **ჯუმათს**, დიდი, გუნბათიანი, დიდშენი, მჭვრეტი ზღვისა და გურია-ოდიშისა. არამედ ზამთარ არს გაუძლისი და ზაფხულ საამო, მშვენი, კეთილჰაოვანი; ზის ეპისკოპოზი, მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორის ადგილთა. და არს მთა ესე ჯუმათისა ტყიანი, შენობა-დაბნებიანი, ვენახ ხილ-მოსავლიანი და ნადირფრინველიანი.

კვალად ფოთის სამჭრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღვას მდინარე ამისივე. აქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსვენებისათჳს. იპყრობის თევზნი სხვადასხვანი მას შინა ურიცხვნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კვალად ამ ტბისა და ჯუმათის სამჭრით დის მდინარე **სუფსეი**, გამომდინარე სამცხე-გურიის შუას მთისა, მომდინარე ბახვის-წყლამდე ჩრდილოს-დასავლეთს შუა, ბახვის-წყლიდამ ზღვამდე აღმოსავლიდამ

დასავლეთად და მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ. არს მდინარე კარგი და თევზიანი. **ბახვის-წყლის** შესართავს ზეით არს **ციხე ბერიძისა.** სამჭრითკენ მის ზეით ხეობა სურები, ვენახ-ხილიანი, მოსავლიანი, მოსახლენი მხნენი. სუფსეის სამხრით და **ბაილეთის** ჩრდილოთ არს **გურიანთას ციხე,** კლდე გორასა ზედა შენი. ამის სამჭრით დის **აკეთ-ბაილეთის წყალი.** გამოსდის სურების მთას, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ.

ამ მთის ძირში არს **ციხე ასკანისა.** ამისვე სამ რით, მთის ძირში, არს **შემოქმედი,** ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, შემკული ყოვლითა. იყო ესე ხაარქიმანდრიტო, აწ არს საეპისკოპოზო. ზის ეპისკოპოზი, მწყემს მას ქვეითის გურიისა. აქა დის მცირე მდინარე, გამოსდის სურებსა და ხინოს შუას მთას, და დის გრეხით, მიერთვის ხინო-წყალს ჩრდილოდამ. ამ წყალზედ, შემოქმედის ქვეით, არს **ოზურგეთი,** სასახლე დიდშენი, კეთილპალატოვანი, გურიელისა. აქავ სახლობენ ვაჭარნი სომეხ-ურიანი და ვაჭრობენ. ამ ოზურგეთის სამხრით დის **მდინარე ხინოსი,** გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მოდის აღმოსავალ-სამხრეთს შუადამ, ჩრდილო-დასავლეთს შუა, ლეხეურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ. ამ მდინარისა და შემოქმედს შუა არს ციხე ლეხეურისა, მთის ძირს. და მას ზეით მთაში, ამ წყალზედ ჰეობა ხინოსი არს მაგარი და მთებრი, არამედ ვენახ-ხილიანი და მოსავლიანი. აქა **ხინოს** არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი, კარგს ადგილას. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოს-წყლის სამჭრეთისა ჭოროხამდე.

არამედ გურია იყო სრულიად ქუთათლის სამწყსო, ხოლო შემდგომად განყოფისა სამეფოთა, გურიელთაგან დაიდგინნეს სამნივე ესე ეპისკოპოზნი, თჳსისა დიდებისათჳს. ამ ხინოს მდინარის სამჭრით, მთის ძირს, არს **აჭვს** ციხე კარგი; და ხინოს მდინარის შესართავთან ზღვაზედ არს **ალამბარი,** სასახლე შენი, გურიელთა, ფრიად შვენიერს ადგილს. კვალად ალამბრისა და აჭვის სამჭრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოსდის ხინო აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე. ზღვის პირს ამ წყალზედ არს **ქობულეთი,** მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამჭრით დის **ჩაქვის წყალი.** გამოსდის აჭარის მთას, მოდის დასავლით, ერთვის ზღვას სხვებრთაებრ. ამ წყალზე, ზღვის კიდეს, არს

ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა შენი. აქუს გვირაბი - კლდე, გამოკვეთილი გზად. ამას ზეით არს ამ წყალზე **ჩაქვი**. და ამ ჩაქვის სამხრით დის ჭოროხი მდინარე. ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოთ კიდურზედ არს **ბათომი**, მცირე ქალაქი და ციხე კარგი. აწ უპყრავთ ოსმალთა. ამას ზეით, ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა, არს **ერგე**, და ბათომის პირისპირს, ჭოროხის სამჭრეთის კიდეზე, არს **გონია**, მცირე ქალაქი და ციხე. უპყრავთ ოსმალთა, რომელი აღაშენეს ქრისტესსა **ჩჟმზ**, ქართულსა **სლე**.

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდამ ზღვამდე და განი ჭოროხიდამ რიონამდე. ჰავით არს კეთილი და მშვენი, ზაფხულის ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო. ზამთარი თბილი, დიდ-თოვლიანი, ვითარცა იმერეთი, და უყივნო; მთა-გორიანი, აგარაკიანი, ტყიანი და მცირე ველოვანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, კვალად აბრეშუმი, ბანბა არა ეგდენ. ცხოვარნი მცირე და სხვა პირუტყვნი, თჳნიერ აქლემისა, ჯოგად, მროწლედ, მრავალნი და მძოვარნი ზამთარ-ზაფხულს უმწყემსოთ. ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი. და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა. ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად. არამედ მდინარეთა წოდებანი არღარა დავსწერეთ, ვინათგან თჳსივე სახელნი აუწყებენ დაბებთაგან.

ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე და შვენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით [მესხთაებრ], არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქურდალნი, უავაზაკონი; ვითარცა ოდიშარნი, სტუმრის მოყვარენი და კეთილად შემწყნარენი, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშვიდნი, არამედ მყის გულ-მწყრალნი. გარნა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს სამცხისა. ამისთჳს მუნვე დავსწერეთ“.*

შენიშვნები

*კახეთი, ალბერა საძეგოსა საქართველოსა (თ.ლორძეულის და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით), თბ., 1941, გვ. 174-176

ნაწილი I (სტატიები)

ვ.სადრაძე, მ.ძნელაძე, ე.გოგუაძე, რ.დავლიანიძე, ბ.მურვანიძე, კ.კალანდაძე, ზ.კალანდაძე, თ.ჭანიშვილი, ნ.მგელაძე, კ.წერეთელი

არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში, 1991-94 წწ.

(ტაბ. I-XXVIII)

საქართველოს ისტორიული პროვინციის - გურიის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური კომისიის გადაწყვეტილებით, 1991 წელს შეიქმნა მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია (ბრძ. №. 191, 22.04.1991).

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შემუშავებული გეგმა-პროგრამის საფუძველზე, გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[1] გადაწყვიტა:

1. ძეგლების მოკვლევისა და გადარჩენის მიზნით ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში სამუშაოების ჩატარება.[2]

2. რაიონების მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში დაუნჯებული შემთხვევითი მონაპოვრის საფუძველზე ძეგლების სავარაუდო პუნქტების (შუხუთი, ქაიჯვარა, შეკვეთილი, გრიგოლეთი, ლაითური, ხორეთ-მოედანი და სხვ.) მოძიება-დაზვერვა.

1991-94 წლებში ქვის ხანის ძეგლების შემსწავლელმა რაზმმა[3] დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში (ტაბ. I, სურ. 1).

რეგიონის პალეოგეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, ძირითადი ყურადღება გამახვილდა მთისწინა, ბორცვულ ზონაზე, სადაც მოსალოდნელი იყო პირველყოფილი მატერიალური კულტურის ნაშთების დადასტურება. დაიზვერა სუფსის, გუბაზოულის, ნატანებისა და ბახვისწყლის ხეობები.

რამდენიმე კაჟის ანამტვრევი დადასტურდა ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ბახვის ტერიტორიაზე, მდ. გუბაზეულის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ხიდისთავთან, მდ. ნატანების ხეობაში, "ვაშნარის" ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე და სხვ.

აღსანიშნავია ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯურუყვეთის ზემოთ, ქაიჯვარას ხეობიდან მომდინარე კაჟის ორი, ქვედაპალეოლითური ხანის ანატკეცი და ლამელა (ტაბ. I, სურ. 2-4).[4]

დასახელებული ძეგლის აღმოჩენის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, დიდია, რადგან გურიის რეგიონში იგი, ხვარბეთის[5] მონაპოვართან ერთად, ერთ-ერთი უძველესია, რომელიც ქვედა პალეოლითს განეკუთვნება.

დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხევში, კ. კალანდაძის მიერ 1976 წ. მიკვლეული ახალი ქვიხ ხანის ნამოსახლარი დაიზვერა.

ნამოსახლარი მდებარეობს მდ. გუბაზეულის ხეობის მარჯვენა მხარეს, სატობიოს ღელის შესართავთან, ზღვის დონიდან 260 მ.-ზე (ტაბ. II, სურ. 1). საანგარიშო წლებში მოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მდინარულ ტერასებზე ადრე აკრეფილი კაჟისა და ქვის იარაღი (ტაბ. II, სურ. 5-8) ხანგრძლივი დროის განმავლობაში მაღლა მდებარე III მდინარისეული ტერასიდან ირეცხებოდა. 1993 წელს ჩატარებული კვლევის პროცესში მასალის უდიდესი ნაწილი სწორედ II და III ტერასებს შორის არსებული ფერდობიდან აიკრიფა.[6] აკრეფილი მასალიდან გამოიყოფა მრავალრიცხოვანი ანატკეც-ანამტვრევები, რომლებიც ნამოსახლარის ტერიტორიაზე თანადროული სახელოსნოს ფუნქციონირებაზე უნდა მიგვანიშნებდნენ.

ხევის ნამოსახლარი ადრენეოლითით დათარიღდა. ასევე საყურადღებოა კაჟისა და ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები, ლამელები, ნუკლეუსი, რომლებიც ოზურგეთის მხარეთმცდნეობის მუზეუმის ფონდშია დაცული და გარაუდით ნარუჯადან (ოზურგეთის რ-ნი) მომდინარეობენ.

ნეოლით-ენეოლითური ხანის ძეგლები მრავლად აღმოჩნდა გურიის მხარეში: ბახმარო[7] მერია, ნაგომარი, შრომა, ლაითური, ნარუჯა, ნატანები, საირმე, ანასეული, გაკიჯვარი, ჯუნეწერი, გურიანთა, მამათი,

ჯიხანჯირი, შემოქმედი (ტაბ. I, სურ.1) და სხვ.

ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების აღმოჩენის შესახებ საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება[8] (იხ. ტაბ. I, სურ. 1 და ტაბ. IV, სურ. 1).

ყურადღებას იმსახურებს ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული თიხის ნაწარმი ჭოლიპას ნამოსახლარიდან (ტაბ. V, VI, VII), რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა 1982 წელს, "კოლხიდმშენის" მიერ საირიგაციო თხრილების გაჭრისას. ექსკავატორის ციცხვს ზედაპირზე ამოუყრია თიხის ჭურჭელი და ქვის იარაღები. ზემოაღნიშნული მატერიალური კულტურის ძეგლები მუზეუმში ჩაუბარებიათ.

თიხის ჭურჭელს პირველად ყურადღება მიაქცია კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელმა რ.პაპუაშვილმა. იქ მანვე გაჭრა სადაზვერვო თხრილი. ძლიერი წვიმების გამო ძეგლის შემდგომი შესწავლა ვერ მოხერხდა.

ჭოლიპას ნამოსახლარი მდებარეობს ჭოლიპას ტბის ამომშრალ ფსკერზე, მდ. ლაშისფსუს მარცხენა ნაპირზე "ჯიგორფშას"[9] ტერიტორიაზე. რ.პაპუაშვილის გადმოცემით, საირიგაციო თხრილში, თანამედროვე ზედაპირიდან 170 სმ. ქვემოთ, კარგად იკითხებოდა რამდენიმე ჰორიზონტით წარმოდგენილი კულტურული ფენა. სწორედ ამ ადგილას გაიჭრა სადაზვერვო თხრილი, რომლის დასრულება ზემოაღნიშნული მიზეზით მან ვერ მოახერხა.

ჭოლიპას ნამოსახლარზე აკრეფილ თიხის ჭურჭლის ნატეხებში გამოიყო: დერგი (ტაბ. V, სურ. 1-3), ქილა (ტაბ. V, სურ. 4-8, ტაბ. VI, სურ. 1-4, 5-6), სხვადასხვა ტიპის სასმისები და ჯამები (ტაბ. VI, სურ. 7, 8 და ტაბ. VII, 1-13).

ჭურჭელი დამზადებულია ცუდად განლექილი თიხისაგან; კეცში და ზედაპირზე ემჩნევა მსხვილმარცვლოვანი მინარევები. გამომწვარია მოყავისფრო-მონაცისფროდ ან ლეგა-ყავისფრად; ახასიათებს: ასიმეტრიულობა, ტლანქი, უსწორმასწორო ზედაპირი, მრგვალი ბაკო, ოდნავ ან მკვეთრად გადაშლილი პირი, სწორი, ზოგჯერ გამოყვანილი, მაღალი ყელი; მეტწილად ბირთვისებრი (სფერული) ან მსხლის ფორმის (ტაბ. V; სურ. 1-8; ტაბ. VI, სურ. 1, 46 7-8), იშვიათად ცილინდრული, ან

ძაბრისებრი (ტაბ. VII, სურ. 1-13) მუცელი; ბრტყელი, ქსოვილის ანაბეჭდიანი (ტაბ. VI, სურ. 5) ქუსლგამოყვანილი ძირი. ასევე დასტურდება მრგვალძირიანი სასმისებიც (ტაბ. VII, სურ. 4, 7-10, 12-13); მარტივი დეკორი, მეჭეჭისებრი ან კოპისებრი დანაძერწი (ტაბ. V, სურ. 1, 3, 5); მტკვარ-არაქსული იერის ყურისთავი ბაკოზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძერწილი (ტაბ. I, სურ. 2, 4, 6).

აღსანიშნავია, რომ შემოქმედის კათედრალის ქვემოთ, მიკვლეული ნამოსახლარის[10] თიხის ნაწარმში, ზემოაღნიშნული ანალოგიური ჭურჭლის ფორმებთან ერთად, მტკვარ-არაქსული ადრებრინჯაოს ხანის კერამიკის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა (ტაბ. VIII, სურ. 8, 10).

ზემოაღნიშნული მასალები წინასწარულად ისპანის,[11] არგვეთის ზედა ჰორიზონტისა[12] და დაბლაგომის თანადროული უნდა იყოს; თუმცა არსებობს რიგი განმასხვავებელი ნიშნებიც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი იქნება შესასწავლი ძეგლების გათხრის პროცესში.

ლანჩხუთის რ-ის სოფ. შუხუთში, ადრე აქ გათხრილი აბანოს[13] N მხარეს, ს.ორაგველიძის ეზოში, აღმოჩნდა განძი. ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შესული განძი შედგებოდა რამდენიმე კოლხური, ერთი ბრტყელი ცულის, დაზიანებული შუბისპირისა და ტარშეურჩენელი სატევრისაგან (ტაბ. X, სურ. 1-16).

დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, განძის აღმოჩენის სავარაუდო ადგილას სადაზვერვო თხრილი გაიჭრა (სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, 2x1 მ). ნაყარ ფენაში აღმოჩნდა ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, ბრინჯაოს ჟანგით პატინირებული დერგის ძირ-გვერდის ნაწილი (ტაბ. X, სურ. 1).

მიწის თანამედროვე დონიდან 30-35 სმ-ზე აღმოჩნდა კოლხური ცული. ამავე განძიდან მომდინარე ერთი ცული ექსპედიციას გადასცა ლანჩხუთის რ-ის მთავარმა არქიტექტორმა ზ.ორაგველიძემ.[14]

ამგვარად განძიდან ჩვენთვის ცნობილია 12 კოლხური ცული (ტაბ. X, სურ. 2-13); პირველი ტიპისაა თერთმეტი (ტაბ. X, სურ. 2-12). მათ ახასიათებთ: მახვილი, მაღალი ყუა, სწორი ექვსწახნაგა ტანი, სიმეტრიული, იშვიათად ოდნავ ასიმეტრიული პირი. წაგრძელებული

ოვალის ფორმის სატარე ხვრელს ახასიათებს წიბურები, რომლებიც სხვადასხვაგვარად არიან განლაგებული. ცულების სიგრძე მერყეობს 16-19,5 სმ.

ზემოაღნიშნული ცულების ანალოგები გვხვდება მთელ რიგ განძებში: ლაილაში, ერგე, ორდუ, უდე, ართვინი, ოფშკვითი, სურმუში და სხვ.[15]

ამ ტიპის ცულები ძვ.წ. XIV-VIII სს. განეკუთვნება. თუმცა ამავე ტიპის გრაფიკული სახეებით შემკული ცალები შედარებით მოგვიანო ხანის კომპლექსებშიც გვხვდება.[16]

განძში, როგორც აღინიშნა, აღმოჩნდა მეორე ტიპის ცული (ტაბ. X, სურ. 13), რომელსაც ახასიათებს ორწახნაგა ყუა, ოდნავ გამოყვანილი შუბლი, ასიმეტრიული პირი; სატარესა და ყუას რელიეფური წიბო დაუყვება. ანალოგები გვხვდება სოხუმის მთის, ლაილაშის, სინათლის, მეჩხისციხის, დღნორისასა და ურეკის შესაბამის კომპლექსებში, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებით თარიღდებიან.[17]

ბრტყელ ცულს ახასიათებს: გორდა პირი, წახნაგა, მაღალი, ზემოთ თანდათან გაფართოებული ტანი, რომელიც მკვეთრ შვერილებში გადადის; ყუნწი მაღალია, ოთხკუთხა. ანალოგები აღმოჩენილია ბობოყვათში, ციხისძირში, ვაკიჯვარში, შრომასა და ქობულეთის ნამჭედურის ნამოსახლარზე.[18] განძში შემავალი სატევრისპირი (ტაბ. X, სურ. 15) და შუბისპირის ნაწილი (ტაბ. X, სურ. 16) ცუდადაა დაცული.

ზემოაღნიშნული განძი წინასწარულად ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.[19]

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ განძებს 1988 წელს შეემატა შემთხვევითი მონაპოვარი სოფ. ლაითურიდან[20] (ოზურგეთის რ-ნი). განძი ამჟამად დაცულია ოზურგეთის მუზეუმში. იგი ნაკლულია. სახეზეა ოთხი წალდი (ტაბ. XI, სურ. 1-4), ცამეტი თოხი (ტაბ. XI, სურ. 5-8 და ტაბ. XII, სურ. 1-9); თოთხმეტი სეგმენტი (ტაბ. XIII, სურ. 1-10) და ოთხი კოლხური ცული (ტაბ. XII, სურ. 7-10).

ამავე სოფლიდან ოზურგეთის მუზეუმში შესულია კოლხური ცულები, ზოდები და სხვა,[21] რაც სამართლიან ეჭვს ბადებს, რომ ეს ნივთებიც ზემოაღნიშნული განძიდან მომდინარეობენ; სამწუხაროდ ჩვენ ვერ

მოვახერხეთ განძის აღმოჩენის ადგილის ნახვა. ამიტომ, ზემოაღნიშნული განძის შესწავლისაგან დროებით თავს ვიკავებთ. ერთი შეიძლება ითქვას, იგი შუხუთის განძზე ადრეულია და წინასწარულად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საწყისი საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.[22]

1992-94 წლებში ექსპედიციამ დაზვერვები ჩაატარა ზღვისპირა ზოლში, დიუნებზე[23] (ტაბ. XVII, XVIII).

კოლხეთის დაბლობის ის მონაკვეთი, რომელიც ჩვენი კვლევის სფეროში მოექცა, წარმოადგენს ვიწრო ზღვისპირა ზოლს, რომელიც ნატანებისა და რიონის ორმდინარეთშია მოქცეული. აღმოსავლეთიდან მას გურიისა და აჭარის მთისწინეთი, დასავლეთიდან ზღვა, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კი ზემოაღნიშნული მდინარეები შემოსაზღვრავს. ზღვის სანაპიროს გაყოლებით კარგად შეინიშნება ქვიშის ზვინულები, რომელთა სიმაღლე მერყეობს რამდენიმე მეტრიდან 9-10 მეტრამდე.

საკვლევი ზღვისპირა ზოლი წარმოადგენს მეტ-ნაკლები სიმაღლის, ზღვური ტრანსგრესიის შედეგად მიღებულ ქედს, ქვიშის ზვინულს.[24] არსებობს მოსაზრება, რომ დიუნებზე დაბალი მონაკვეთები, ნამოსახლარის გამართვის პროცესშია ხელოვნურად დადაბლებული. თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, აქედან მშენებლობისათვის ქვიშა იქნა მოჭრილი და გატანილი; ბუნებრივია, მეორე შემთხვევაში ნამოსახლარიც უნდა განადგურებულიყო, ხოლო თუ ნამოსახლარი ქვიშა-ზვინულის რელიეფს ესადაგება, ეს იმის მინიშნება უნდა იყოს, რომ ზვინულის ეს მონაკვეთი დასახლებისა თუ საწარმოო უბნის გამართვის დროს იქნა მოსწორებული.[25]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვიშის ზვინულზე (დიუნაზე) გამართული ნამოსახლარი[26] ყველგან ერთი სიმძლავრით არაა გავრცელებული.

ბუნებრივია, თუ ეს ნამოსახლარები უკავშირდებოდა მაგნეტიტური ქვიშიდან სანედლეულო მასის გამოყოფას,[27] მაშინ ისინი თავმოყრილები უნდა ყოფილიყვნენ იმ მდინარეების ზღვისპირა ზოლში, რომლებიც კვებავდნენ სანაპიროს მაგნეტიტური ქვიშით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მდ. სუფსის (მოგროსის)[28] მარცხენა სანაპიროზე არსებული კულტურული ფენების სიმძლავრე: ყვავილნარი, შეკვეთილი, მდ.

კუჩხისაბანოს მიმდებარე ტერიტორია, ურეკი, "კაპროვანა" და სხვ. ამას ვერ ვიტყვით სუფსის მარჯვენა ნაპირზე. აქ ზღვის გაყოლებაზე ქვიშაზვინული და მასზე გამართული ნამოსახლარი თითქმის არ შეინიშნება.[29]

ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან თუ სუფსა თანდათანობით მარცხნივ იცვლიდა კალაპოტს, იგი ძირითადად გამოკვებავდა მარცხენა სანაპიროს. სწორედ ამიტომაა ზემოაღნიშნული სანაპირო მაგნეტიტური ქვიშით მდიდარი.

ზღვის სანაპირო ზოლში წარმოებული დაზვერვების შედეგად "შეკვეთილის" ტერიტორიაზე მივაკვლიეთ ნამოსახლარს, რომელიც წარმოდგენილი იყო აბაზანების, თიხის ჭურჭლის ნატეხებისა და სადგრის ფრაგმენტებით; ამ მასალასთან ერთად ფენაში რკინის მოზრდილი ორი ზოდიც დადასტურდა[30] (ტაბ. XVIII, 8,9).

კულტურულ ფენაში რკინის ზოდების აღმოჩენა მიუთითებს მაგნეტიტური ქვიშიდან სანედლეულო მასის გამოყოფას და ნახევარნამზადად ქცევას. ბუნებრივია, ეს მოსაზრება, კვლევის ამ ეტაპზე ვარაუდის სფეროს არ სცილდება. მაგრამ მას მომავალში ჭირდება შესაბამისი ანალიზის გაკეთება.

რკინის ზოდები არაწესიერი ფორმისაა, ზედაპირს აქა-იქ ემჩნევა ჟანგის კვალი, გადაჰკრავს მოშავო-მონაცრისფრო ფერი.[31]

ნამოსახლარის კულტურულ ფენაში რკინის აღმოჩენის ფაქტები მაინც იძლევიან წინასწარული ვარაუდის გამოთქმის საშუალებას: დიუნაზე დადასტურებული ნამოსახლარებიდან მომდინარეობს რკინის ზოდები, რომლებიც დაკავშირებულია იქ მცხოვრებთა საქმიანობასთან და რომ იქ წარმოებდა არა მხოლოდ მადნის მოპოვება, არამედ მადნის პირველადი გამოდნობა, რკინის ქცევა უფორმო ზოდებად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზღვის სანაპირო ზოლში, ქვიშის ზვინულებზე (დიუნებზე) დავადასტურეთ თიხის აბაზანების ნატეხები (ტაბ. XVII, სურ. 1-6).

ბუნებრივია, ნატეხების მიხედვით, მათი ზომების დადგენა არ ხერხდება, მაგრამ რიგი ნიშნების მიხედვით შესაძლებელი ხდება

განსხვავება-მსგავსებაზე ყურადღების გამახვილება (კეცის სისქე, აბაზანის პირის მოყვანილობა, ნატეხებზე დატანილი დეკორი, ფორმა და სხვ.).

გრიგოლეთსა და ურეკში (ტაბ. XVII, სურ. 1-6) მოპოვებული აბაზანის პირ-გვერდის ნატეხები დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან, შიდაპირი უსწორმასწოროა, ზედაპირი მეტ-ნაკლებად მოსწორებულ-მოგლუვებული. პირი ბრტყელია, ზემოდან მოგლუვებული; თანდათან მომრგვალებული ტანი ძირისაკენ ფართოვდება. მათგან განსხვავებით "ყვავილნარისა" და "კაპროვინას" ტერიტორიაზე მოპოვებული რამდენიმე აბაზანის[32] პირი ნაწილობრივაა შემაღლებული და გარეთა მხრისაკენ დაბალ საფეხურს ქმნის (ტაბ. XVII, სურ. 1,2).

ფიჭვნარის ნამოსახლარზე მოპოვებული აბაზანისებრი ჭურჭელი ა.რამიშვილს ორ ტიპში აქვს გაერთიანებული: 1. ქსოვილის ანაბეჭდიანი და 2. გლუვზედაპირიანი. მისი აზრით, თიხის ნაწარმი ადგილზევე მზადდებოდა[33] და რომ გამოწვა ხდებოდა ნახევრად ღია კერებზე.

ბ.კუფტინი ვარაუდობდა, რომ ქსოვილის ანაბეჭდიანი აბაზანები მზადდებოდა ხის გობისებრ ფორმაში. კედლები იფარებოდა ქსოვილით, შემდგომ თიხის მიღებული ნამზადი შემაგრებისთანავე იხსნებოდა ფორმიდან და შრებოდა.[34]

ა.რამიშვილი არ იზიარებს აბაზანის დამზადების კუფტინისეულ ტექნოლოგიას და გვთავაზობს თავისას: მკვლევარის მიხედვით, ჭურჭლის დაყალიბება ხდებოდა მიწაში, აბაზანისებრი ფორმის ორმოში.

ჩვენ მიერ დაზვერვების დროს მოპოვებულ აბაზანის ნატეხებს ქსოვილის ანაბეჭდები არ ახასიათებს. მათი გარე და შიდაპირი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გლუვია.

ამ ტიპის აბაზანის დამზადებას განსხვავებულად წარმოგვიდგენს ა.რამიშვილი. იგი ვარაუდობს, რომ მეორე ტიპის ჭურჭელს ამზადებდნენ ქვიშის ფორმაში.

ძნელია პირველი ტიპის აბაზანების დამზადების ტექნოლოგიაზე რაიმეს თქმა, მაგრამ მეორე ტიპის დამზადებაში ქვიშის ყალიბისა თუ ფორმის გამოყენება გამორიცხული გვეჩვენება.

ჩვენ მიერ მოპოვებულ ნატეხებს კარგად ეტყობა რაღაც იარაღით მოგლუვების კვალი. ბუნებრივია, თუ აბაზანა ქვიშის ფორმაშია დაყალიბებული, მაშინ ეს კვალი არ უნდა გააჩნდეს. ორივე მხრიდან ხის ნაფოტით, თუ სხვა ხელსაწყოთი დამჩნეული მკრთალი ზოლები პირდაპირი მინიშნებაა იმისა, რომ ჭურჭელი ხელით მზადდებოდა.

ბუნებრივია დაისვას კითხვა, შესაძლებელი იყო თუ არა მათი შორი მანძილიდან მოტანა. ვფიქრობთ, სწორი უნდა იყოს ა.რამიშვილი, რომელიც აბაზანებს ადგილზე დამზადებულად მიიჩნევს.

ამ მოსაზრებას შესაძლოა მეტ სიმყარეს ანიჭებს დიუნურ ნამოსახლარებზე ცალკეული ბუდობების არსებობა, რომლებიც ხასიათდებიან ძლიერი ცეცხლის კვალითა და გადამწვარი ჭურჭლის ნატეხებით. სწორედ ამ ადგილებშია სავარაუდებელი კერებში, ან სახელდახელო ქურებში ამ ტიპის ჭურჭლის დაბალ ტემპერატურაზე გამოწვა (ა.რამიშვილი).

თიხის აბაზანები შესაძლოა შეგნებულად მზადდებოდა დაბალ ტემპერატურაზე. ამავე ფენაში მოპოვებული ქოთნის ნატეხები საკმაოდ მაღალ ტემპერატურაზე, კარგადაა გამომწვარი. ეს კი მიგვანიშნებს, რომ დიუნაზე მაცხოვრებლებს ტემპერატურული რეჟიმის რეგულირება შეეძლოთ, ამის გაკეთება კი შესაძლებელი იქნებოდა კერამიკული ქურის არსებობისა და ფუნქციონირების შემთხვევაში.

მეტიც, თუ დიუნაზე, ნამოსახლარის კულტურულ ფენაში აღმოჩენილ რკინის ზოდებს ადგილობრივ დამზადებულად მივიჩნევთ, მაშინ დგება საკითხი არა მარტო კერამიკული ქურის, არამედ რკინის სადნობი "პრიმიტიული" ქურის ფუნქციონირებაზე. ამაზე მიგვითითებს რკინის ზოდების ფაქტურა (ნახევარნამზადი) და თიხის ნაწარმისაგან შედგენილი კულტურული ფენები.

საკვლევ ტერიტორიაზე დაზვერვების შედეგად აკრეფილი მასალებიდან გამოიყოფა თიხის სადგრები (ტაბ. XVIII, სურ. 1-7). მათ შორის: ცალქიმიანი (ერთშვერილიანი), ორქიმიანი, სამქიმიანი და ა.შ.

ზემოაღნიშნული სადგრების ანალოგები გვხვდება ზღვისპირა დიუნურ ნამოსახლარების მასალებში. ციხისძირში, ნამჭედურის მეხუთე და მეოთხე

ფენაში.[35]

ზოგადად ეს ფენები ძვ.წ. პირველი ათასწლეულის საწყის საუკუნეებს განეკუთვნება.[36]

ექსპედიციამ აგრეთვე მიმოიხილა გვიმბრალაურის გორანამოსახლარი და რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორია,[37] შუხუთის აღრერკინა-რკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარი.

შუხუთის ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. შუხუთის თავზე (ლანჩხუთის რ.-ნი), ნაციხვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 150 მ. მოშორებით, დამეწყრილი გორის კალთაზე. ნამოსახლარი, როგორც ვიზუალურად დასტურდება, ტერასულია; დაზიანებულ ჭრილებში იკრიფება კანელურებით შემკული ქვევრისა და დერგის ნატეხები, სხვადასხვა ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები.[38]

ზემოაღნიშნული ძეგლი საყურადღებოა იმით, რომ სხვა თანადროული ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, ბორცვის კალთაზეა გამართული და მთისწინა ზოლის რკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლართა შესწავლის თვალსაზრისით პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს.[39]

ლანჩხუთის რ.-ნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული ძეგლების შესწავლის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია ხორეთ-მოედნის ტერიტორიაზე მცხოვრები თ.გუჯაბიძის მიერ ჩაბარებულმა თიხის მილისებრმა სადგარმა (ტაბ. XXI, სურ. 2, 4). მილი აღმოჩენილი ეზოში, რკინის ჭიშკრის გამართვის პროცესში.

დაიზვერა აღმოჩენის ადგილი. თ.გუჯაბიძის ეზო მოქმედ სასაფლაოს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება. იგი წარმოადგენს შემაღლებულ ზეგანს, რომლის უმეტესი ნაწილი სასაფლაოსა და ჩაის პლანტაციას უკავია. სამხრეთ-დასავლეთიდან რამდენიმე ასეულ მ-ზე მდ. სუფსა ჩამოუდის (ტაბ. XX, სურ. 1).

ზეგანი დაყურსულია თიხის ჭურჭლის ნატეხებით, კრამიტითა და ფილა აგურებით. ზეგანის იმ ნაწილს, სადაც თ.გუჯაბიძე სახლობს, შემოუყვება რიყის ქვით, აგურის ფილებითა და კირხსნარით აგებული გალავნის ნაშთი.

გალავანი ძლიერაა დაზიანებული. შიდა ეზოში სხვადასხვა ზომისა და გეგმარების ნაგებობის კედლის ნაშთები დასტურდება.

დასახელებული გალავნისა და ნაგებობის გაწმენდის გარეშე ძნელია ძეგლზე წარმოდგენის შექმნა. გალავნის ქვემოთ, ჭიშკართან, შედარებით ადრეული ძეგლია სავარაუდებელი. სწორედ აქ აღმოჩნდა თიხის მილი.[40] აღმოჩენის სავარაუდო ადგილი გავწმინდეთ.

35-40 სმ. დაღრმავების შედეგად გამოვლინდა აგურის ნატეხებით კარგად მოშანდაკებული "იატაკი", რომელსაც ემჩნეოდა ძლიერი ცეცხლის კვალი. ვერტიკალურად ჩადგმული თიხის მილი სწორედ ამ მონაკვეთში გამოვლინდა. ეს ძეგლი აბანოს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. XXI, სურ. 1). აღსანიშნავია, რომ თიხის მილს ზუსტი ანალოგიები ეძებნება შუხუთისა და ციხისძირის აბანოებში დადასტურებულ მილებთან.[41]

მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დროს გლეხებს უპოვიათ თიხის "მილები"-თ შედგენილი კოლექტორი. როგორც ჩანს აბანო ამ კოლექტორის მეშვეობით მარაგდებოდა.

გალავნის შიგნით არსებული მრავალი ნაგებობის ნაშთი, კოლექტორთა სისტემები, უამრავი კრამიტისა და ბრტყელი აგურის ფილები, და ბოლოს აბანო, მძლავრი ქალაქური ტიპის დასახლებას გვავარაუდებინებს.

სადაზვერვო და მცირე გათხრითი სამუშაოები ჩატარდა ვაშნარის ციხენაქალაქარზე.[42] ძეგლი მდებარეობს ოზურგეთის რ.-ნის სოფ. გურიანთას ტერიტორიაზე. წარმოადგენს ქალაქური ტიპის მძლავრ საფორტიფიკაციო კომპლექსს (ტაბ. XX, სურ. 2, ტაბ. XXI, სურ. 1) შიდაციხით (ტაბ. XX, სურ. 2) და ეკლესიის ნაშთებით.

ნაქალაქარზე არსებული სიტუაცია დავაფიქსირეთ. მიწისზედა ძეგლები აიგეგმა.[43] ეკლესია გაიწმინდა; პრეპარაცია გაუკეთდა საკურთხეველსა და მის მიმდებარე ტერიტორიას (იხ. ტაბ. XX, სურ. 2 და ტაბ. XXII, სურ. 1).

1991-1993 წწ. არქეოლოგიური სამუშაოები ჩავატარეთ სოფ. შემოქმედის გარეუბანში, გორიფერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნული ეკლესიის შესახებ საკმაოდ მწირ ცნობას

გვაწვდის დიმიტრი ბაქრაძე. იგი შემოქმედის შემადგენელი უბნების დახასიათებისას აღნიშნავს: "გორიფერდში, სადაც ჩუქურთმიანი ძველი ქვის ეკლესიის ნაშთია".[44]

შედარებით ვრცელი ცნობები მოეპოვება ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც აქ იმოგზაურა 1894-1900 წლებში.[45] მკვლევარი წერს: "გორის-ფერდის ეკლესია მდებარეობს ცნობილი მონასტრის შემოქმედის მახლობლად, მთის კალთაზე ანუ ფერდობზე და ამიტომ ჰქვია გორის-ფერდი. აქ ითხრება ერთნაირი მოლურჯო საშენი ქვა, რომლიდანაც აშენებულია შემოქმედის მონასტერი და სხვა ეკლესიები გურიაში. ამგვარ ქვას ხმარობენ გურიაში ბუხრების ასაშენებლადაც. აქ მაღლობზე შემოქმედის პირდაპირ ძველად ყოფილა მშვენიერი ეკულესია თლილი ქვისა, რომელიც ეხლა დანგრეულია. მაგრამ ქვები ჯერ კიდევ გაზიდული არ არის... გორის-ფერდში დარჩენილი ქვების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ გორის-ფერდის ეკლესია საუკეთესო ყოფილა გურიაში. ნაშთი სვეტებისა, სვეტების თავების და ძირის გვიჩვენებენ, რომ ეკლესიას გუმბათი ჰქონია. თუ როგორი ჩუქურთმებით ყოფილა შემკული ეს ეკლესია, ამას ვგებულობთ დღემდის დაცულის ხუთი ქვისაგან.

ეს ქვები შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმებით და სხვადასხვა სახის ჯურებით. ქვებს ორთა შუა სათვალავით სიმაღლეს აქვს ერთი ადლი და ხუთი გოჯი, განი ერთი ადლი. სინაზე და სიწმინდე ამ ჩუქურთმების მოგვაგონებს საუკეთესო დროის ხელობას საქართველოში. ჩვენი აზრით ეს ქვები კანკელის ძირს უნდა წარმოადგენდნენ. კანკელში, როგორც ეტყობა, ბევრი სხვა ქანდაკებაც ყოფილა წმინდანებისა. აქ ვიპოვეთ ჩვენ ქანდაკება ხარებისა, თუმცა ხელობა მისი ლაზათიანი არ არის, ამის გარდა ჩვენ შეგვხვდა კიდევ ქვა, რომელზედაც გულია გამოქანდაკებული.

არა უწყით, თუ როდის ან რა მიზეზით დაინგრა ეს ეკლესია, მტერმა შემუსრა თუ მიწისძვრამ, დროთა ვითარებამ, თუ მოუვლელობამ.

შემოქმედის ეკლესია უფრო მდარე ხელობისა დღემდის დაცულია და მდებარეობს ერთი ვერსის მანძილზე გორის-ფერდიდან...

ამ ადგილას, სადაც ძველი ქვის ეკლესია იყო აშენებული, შემდეგ დროში დაუდგამთ ხის ეკლესია, მდარე ხელობის, რომელიც უფრო

უბრალო ჯარგვალს წააგავს, ვიდრე ეკლესიას. ეკლესიის აშენებისათვის დიდი შრომა არ გაუწევიათ - ქვები ძველი ეკლესიის არ აუკრეფიათ, არამედ თვით მიულაგებელ ქვებზე დაუდგამთ ახალი ეკლესია - ჩვენ არ ვიცით, როდის არის აშენებული - ეს ხის ეკლესია, ხოლო ხის კარი ამ ეკლესიისა, თუ არა თვით ეკლესია, ყოველ შემთხვევაში გაკეთებულია 1811 წელს“.

გორიფერდის ეკლესია მდებარეობს შემოქმედის კათედრალის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბუჟის მარჯვენა მხარეს, დაახ. 1,5 კმ-ზე; გორა, რომელზედაც ეკლესია იყო აღმართული, საკმაოდ მაღალია და ზემოდან დაჰყურებს შემოქმედის მონასტერს. მიმდებარე ტერიტორია აგრეთვე ქვის სამტეხლოდ სჩანს გამოყენებული. გორის ჩრდილო-აღმოსავლეთით 45-50 მ-ის მოშორებით, ბოლო წლებში, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამტეხლოც არსებობდა. იგი ამჟამად აღარ ფუნქციონირებს.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ გვიჩვენა, კომპლექსს აღმოსავლეთის მხრიდან ამოსასვლელი გააჩნია, რომელიც შედგებოდა კარგად ნათალი საფეხურებისაგან. ამჟამად მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი. გორის ხელოვნურად მოსწორებულ მოედანზე (250-300 მ), ერთნავიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობა[46] ფიქსირდება. გეგმაში იგი წაგრძელებული ოთხკუთხედია, აღმოსავლეთით შვერილი, ნახევარწრიული აბსიდით. შემორჩენილია სამხრეთის, ჩრდილოეთის კედლები და ჩრდილო-დასავლეთის კუთხე (ტაბ. XXIII), სიგრძე - 16, სიგანე - 8, კედლის სისქე - 1.1 მ.

ძეგლს ეტყობა მრავალგზის გადაკეთების კვალი, რომლის დროსაც ყორეების (მშრალი წყობით შედგენილი გალავნის), ასევე ჩაქცეული ადგილების შესავსებად გამოუყენებიათ ჩუქურთმიანი ქვები; ეკლესიის ეზო და ქვედა მიმდებარე ტერიტორია დაყურსულია დეკორატიული ფრაგმენტებით (კარის ამყოლი წირთხლები, სვეტები, ბაზისები, არქიტრავის ქვა, კარნიზის ჩუქურთმიანი ქვები, სარკმლის თავსართი, დიდი ზომის პროფილიანი ქვა და სხვ.[47] (ტაბ. XXIII-XXIV).

ეკლესია, როგორც ჩანს, რამდენიმეჯერ გადაკეთებულა. ზედა ნაწილი ხისა უნდა ყოფილიყო.[48] დღეს არსებული ქვის ფილებით წარმოდგენილი იატაკი გვიანაა გამართული (იხ. ტაბ. XXIII), ვინაიდან ერთსაფეხურებიან

ცოკოლზე აღმართულ კედლებზე გადასული ფილები გამორიცხავს მასზე მასიური ქვების ზედა მწკრივის დაშენებას, ჯერ ერთი - კონსტრუქციული მდგრადობის თვალსაზრისით, მეორეც ქვის ფილებისაგან შედგენილი იატაკი კედლის გაყოლებაზე ყოველგვარ პრაქტიკულ დანიშნულებას ჰკარგავს (ტაბ. XXIII, სურ. 1-2).

შვერილი აბსიდის შიდა მოხაზულობა ნახევარწრიულია, მაგრამ არ ემთხვევა თავდაპირველს, რადგან ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილია ადრინდელი წყობის შიდაპირი (ტაბ. XXIII, სურ. 1, 2), რომელიც ნალისებურადაა მორკალული.

შვერილი აბსიდის გარეპირი უმნიშვნელოდ შემორჩენილ კედლებთან შედარებით მეტ სიმაღლეზეა, რაც უდავოდ რელიეფმა განაპირობა; აქ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ იგი უხეშად დამუშავებული, ხშირად კი შემთხვევითი ფორმის მუქი ბაზალტის ქვებითაა ამოყვანილი. ეს კი ბუნებრივია მკვეთრ კონტრასტს ქმნის ჩრდილოეთ კედელთან, რაც არატიპიური გამოვლინებაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გორიფერდის ეკლესიის ირგვლივ შემორჩენილი დეკორატიული შემკულობის ელემენტები; კერძოდ ე.წ. ბურთულებზე დაფუძნებული შეწყვილებული ლილვები (ტაბ. XXIV), რომლებიც პარალელების გათვალისწინებით, ფასადთა დეკორატიული შემკულობის ფრაგმენტებია; თუ ერთმანეთს შევუფარდებთ ძეგლის ამჟამინდელ ხილულ და ზემოაღნიშნული დეკორატიული ელემენტების ზომებს, საეჭვო ჩანს მკვეთრად დიდი ზომის ლილვაკების გამოყენება კედლის შემამკობელ ელემენტად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვაწყდებით რა მთელ რიგ საპრობლემო საკითხებს, აქტუალობას იძენს "გორიფერდის" ეკლესიისა და მიმდებარე ტერიტორიის საფუძვლიანი არქეოლოგიური შესწავლა. მით უმეტეს არსებობს მოსაზრება, რომ ეკლესია თავდაპირველი სახით გაცილებით დიდი ზომის და, შესაძლოა, არადარბაზული, არამედ უფრო რთული აღნაგობის ძეგლს წარმოადგენდა.[49]

სადაზვერვო-არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდა ასკანის ციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (ტაბ. XXVI-XXVIII), რომელიც

სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს სასწრაფო გამაგრება-აღდგენით სამუშაოებს.

საველე კვლევა-ძიების პარალელურად ექსპედიცია ეცნობა მუზეუმებში დაცულ შემთხვევით მონაპოვრებს. დაიგეგმა მათი შესწავლა და საპუბლიკაციოდ მომზადება.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიის მხარეში გრძელდება.

შენიშვნები

1 ექსპედიცის სამუშაოებში მონაწილეობდნენ: მ.ძნელაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ხელმძღვანელის მოადგილე; ე.გოგუაძე - ოზურგეთის რაიონის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი; ბ.მურვანიძე - უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი; კ.კალანდაძე, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - კონსულტაციას უწევდა და მონაწილეობდა ექსპედიციის დაზვერვით სამუშაოებში; ზ.კალანდაძე - მეცნიერ თანამშრომელი; ნ.მგელაძე - უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, თ.ჭანიშვილი - მეცნიერ თანამშრომელი; რ.დავლიანიძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; თ.თოდუა, პ.რამიშვილი - უფროსი მეცნიერ თანამშრომლები; კ.წერეთელი, მ.ყარაშვილი - მხატვარ-არქიტექტორები; ვ.სადრაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ექსპედიციის ხელმძღვანელი.

2 ექსპედიციას ზემოაღნიშნულ წლებში აფინანსებდა "საქნავთობის" დეპარტამენტი (პრეზიდენტი რ.თევზაძე). 1994 წ. ე.შევარდნაძის ფონდი (ს.ხაბეიშვილი).

3 ქვის ხანის შემსწავლელ რაზმს ხელმძღვანელობდა ნ.მგელაძე; 1993-94 წლებში - კ.კალანდაძე.

4 ზემოაღნიშნული ძეგლი მიუკვლევია ამავე სოფლის სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს ს.ჭყონიას.

5 გ.გრიგოლიას მიუკვლევია (ხვარბეთის ტერიტორიაზე) მუსტიერული იერის ანატკეც-ანამტვრევებისათვის. იხ. ნ.ვაშაკიძე, გურიანთას ანტიკური ხანის ძეგლები, სდსძ, ტ. II, თბ. 1971, გვ. 5.

6 ნამოსახლარის უძრავი ფენები დღემდე ვერ დავადასტურეთ; თუმცა

არ გამოვრიცხავთ მისი ნაშთების არსებობას III მდინარისეულ ტერასაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედის ტერიტორიაზე ადრეული ძეგლის არსებობის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ი.მ.დ. ქ.ჩხატარაიშვილმა [ვ.ს.].

7 ბახმარო 80-იან წლებში დაიზვერა კ.კალანდაძის მიერ; 1991-1992 წწ. ექსპედიციამ მოიხილა საკურორტო ზონა (ტაბ. III) და მიაკვლია არგოლიტისაგან დამზადებულ ანატკეცსა (ტაბ. III, სურ. 3) და არქაული იერის თიხის ჭურჭელს [ვ.ს.].

8 შუაბრინჯაოს ხანით დათარიღებული ერთადერთი ძეგლია მოპოვებული ურეკში. იხ. დ.ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1965, გვ. 10.

9 ა.ღლონტთან ზემოაღნიშნული ტოპონიმი არ გვხვდება. ალ.ღლონტი, სუფსანატანების ხეობები. ტოპონიმიკური ძიებანი, VIII, თბ. 1993, გვ. 212-213.

10 ზემოაღნიშნული ძეგლის შესახებ გვამცნო ი.მ.დ. ქ.ჩხატარაიშვილმა.

11 დ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ... გვ. 7-8.

12 გ.ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, თბ. 1993, გვ. 71-73.

13 Закарая П.П., Леквинадзе В.А. Археологические раскопки в Шухути, მაცნე, 1966, №. 1, გვ. 124-127.

14 მანვე გვამცნო ოჩოჩხინას ხეობაში სპილენძის მადნის გამოსავლის არსებობა [ვ.ს.].

15 დ.ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 4-37.

16 ლ.ფანცხავა გრაფიკული სახეებით შემკული პირველი ტიპის კოლხურ ცულებს ძვ.წ. VIII-VI სს. ათარიღებს. - იხ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ. 1988, გვ. 90.

17 იხ. დ.ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1965, გვ. 34-43.

18 მისივე, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის, სსმმ. XXVIII-b,

1969, გვ. 6-7; ა.რამიშვილი, დასახ. ლიტ. გვ. 73-74.

19 ალბათ არ შევცდებით, თუ ზემოაღნიშნულ განძს ზოგადად ძვ.წ. VIII-VI სს. დავათარიღებთ. იხ. ლ.ფანცხავა, დასახ. ნაშრ. გვ. 89-90 [ვ.ს.].

20 განძი უპოვია ლაითურში მცხოვრებ გალინა ჟარკოვას. როგორც ჩანს, განძი აღმოჩენისთანავე გაიბნა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ იმავე წელს, იმავე პუნქტიდან მუზეუმში შემოსულია ბრინჯაოს ზოდები და სხვადასხვა სამეურნეო იარაღი (იხ. ს. №. 340-349).

21 საყურადღებოა ისიც, რომ მუზეუმში ლაითურიდან 80-იან წლებში შემოდის სხვადასხვა ტიპის სამეურნეო და სხვა სახის ნივთები. კოლხური ცული (ინვ. 2777); ინვ. 3208 - აღმოჩენილია სტადიონზე, თიხის ჭურჭელში; ბალთა, შუბისპირი, ზოდი და თიხის ჭურჭლის ნატეხები - 3208; სატევარი - ინვ. 3216; თოხის ნატეხები - 3241; სეგმენტი - 3242;

22 დ.ქორიძეს მიხედვით ეს წალდები პირველ სახეობაში ერთიანდებიან. ისინი გვხვდებიან ზენითში, ყარადერეს, ერგეს, ბობოყვათის, ურეკისა და ორდუს განძებში (დ.ქორიძე, კოლხური კულტურის... გვ. 95-96).

23 რაზმს ხელმძღვანელობდა უფრ. მეც. თანამშრომელი რ.დავლიანიძე

24 III ათასწ. შუახანებში შავი ზღვის დონემ 2 მ. აიწია, ამან გამოიწვია ზღვისპირა ზოლის თანდათანობითი დაჭაობება. ამ პროცესს ახალშავზღვურ ტრანსგრესიას უწოდებენ; სწორედ ამ დროს იქმნება ახალი ზღვისპირა ქედი, ქვიშაზვინული. ჭ.ჯანელიძე, ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი, სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქ. ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი, მოხსენებები. თბ. 1973, გვ. 9-12; დ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. სდსძ, თბ. 1979, გვ.10.

25 ზემოაღნიშნული მოსაზრების შესახებ იხ. Н.В.Хоштария, Археологическое исследование Уреки, მსკა, I, თბ., 1955, გვ. 26-28.

26 დიუნური ნამოსახლარების შესახებ იხ. ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 109;

რ.დავლიანიძე, გურიის მხარის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (დიუნური ნამოსახლარები), 1995, გვ. 1-22.

27 დიუნურ დასახლებებს უკავშირებენ მარილის რეწვას, მაგნეტიტის მოპოვებას, აქვე გულისხმობენ საკულტო მოედნებსაც. რ. დავლიანიძე, იქვე.

28 იხ. ე.გოგუაძე, სუფსა-მოგროსის ხეობის საიდუმლოება, ხელნაწერი, გვ. 12-46).

29 ზემოაღნიშნულის შესახებ იხ. ნ.ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

30 საანალიზოდ გადაეცა აკც-ს ინტერდისციპლინარულ განყ.-ბას.

31 გ.ინანიშვილის ცნობით, ამ პუნქტიდან რკინის ზოდი ცნობილია.

32 აბაზანის ფუნქცია - დანიშნულების შესახებ იხ. А.Т.Рамишвили. Раскопки причерноморских стоянок в Пичвнари (Кобулети) в 1960-1964 и 1967 гг. СА. №.1.1975. С. 142.

33 იქვე.

34 Б.А.Куфтин. Материалы к археологии Колхиды, Тб., 1950, С. 291; Л.Н.Соловьев. Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии, СА, XIV, М.-Л., 1950, С. 281.

35 ა.ინაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის მუშაობის შედეგები, სდსძ, ტ. VI, თბ. 1977, გვ. 63.

36 იქვე, გვ. 64.

37 გვიმბრალაურის ნამოსახლარი ძლიერაა დაზიანებული. ეხლაც ზიანდება.

38 იხ. ტაბ. XIX. არ გამოვრიცხავთ აქ სამაროვნის არსებობასაც.

39 აქ აიკრიფა ანტიკური და ფეოდალური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხებიც.

40 ე.გოგუაძე აქ ნაქალაქარს ვარაუდობს. ე.გოგუაძე , დასახ. ნაშრ., გვ. 90-91.

41 იხ. ნ.ინაიშვილი, ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები, სდსძ. XVII, თბ., 1988, გვ. 79-84.

42 ვაშნარის ციხე-ნაქალაქარზე მცირე სადაზვერვო სამუშაოები

ჩაატარეს უფრ. მეცნ. თანამშრომლებმა: თეიმურაზ თოდუამ და პაატა რამიშვილმა; ზემოაღნიშნულ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (დირექტორი ენვერ გოგუაძე) მეცნიერ-თანამშრომლებმა.

43 ძეგლი აგეგმა არქიტექტორმა მანუჩარ ყარაშვილმა; მანვე აგეგმა და ჩაიხატა გორიფერდის ეკლესია.

44 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ. 1987, გვ. 104. ძეგლი, როგორც ჩანს, მკვლევარს ვიზუალურად არ უნახავს.

45 ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წ. I, ტფ. 1907, გვ. 35-36.

46 1982 წ. ძეგლი აიგეგმა (იხ. საქ. ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების პასპორტი, შედგენილი ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს დავალებით. 1982. 25. 09.).

47 ჩუქურთმიანი ქვების ნაწილი გადატანილია ოზურგეთის მუზეუმში [ვ.ს.].

48 იხ. ცნობა - ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური... გვ. 34-36.

49 იხ. ე.თაყაიშვილი, იქვე.

В.Садрадзе, М.Дзнеладзе, Э.Гогуадзе, Р.Давлианидзе, Б.Мурванидзе, К.Каландадзе, З.Каландадзе, Т.Чанишвили, Н.Мгеладзе, К.Церетели

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ В ГУРИИ 1991-94 ГГ.

Резюме

Работа является отчетом об археологических исследованиях в 1991 - 94 гг. в регионе Гурии.

Дан обзор археологических памятников региона, обследованных экспедицией.

თ.ჭანიშვილი, ვ.სადრაძე

მასალები გურიის მხარის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიისათვის

(ტაბ I - XXVIII)

საქართველოს ისტორიული მხარე გურია არქეოლოგიური მასალის სიუხვით გამოირჩევა, მიუხედავად ამისა, ეს რეგიონი არქეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სეზონურ ექსპედიციას შემთხვევითი აღმოჩენების ნაკვალევზე.

გურიის მხარის (სამთავროს) პირველი აღწერა XVIII ს. ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის,[1] რომელსაც მოხსენიებული და დასახელებული აქვს ამ მხარის მნიშვნელოვანი ციხეები და ეკლესიები. მართალია, ყველა ამ ძეგლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილს ძუნწი მონაცემები აქვს მოყვანილი, მაგრამ ყველა ეს ცნობა უძველესია და ამდენად მეტად საინტერესოც.

1873 წელს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივითა და დავალებით გამოჩენილმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დ.ბაქრაძემ იმოგზაურა გურიასა და აჭარაში, რომლის შედეგები გამოაქვეყნა 1878 წელს, წიგნში "არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში".[2]

დ.ბაქრაძის ნაშრომი გარდა იმისა, რომ მრავალმხრივი გამოკვლევა და შესანიშნავი წყაროა გურიის ისტორიისათვის - მისი სიძველეთა, ეკლესიების, მონასტრების, ძველი ხელნაწერების და სხვათა აღწერისა თუ აღნუსხვის მხრივ, ამასთანავე, საინტერესოა არქეოლოგიური თვალსაზრისითაც.

როგორც დ.ბაქრაძე აღნიშნავს, გურიაში მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გამხდარა აკად. მ.ბროსეს დაეჭვება დიუბუა დე მონპერეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში - ვაშნარისა და პეტრას იგივეობის შესახებ.[3] ამიტომ, საგანგებოდ ჩერდება ვაშნარზე. იგი მისი ვარაუდით უნდა იყოს ერთ-ერთი ბერძნული ახალშენი, "რომლებიც VI საუკუნიდან ქ.წ. მოფენილი იყო შავი ზღვის სანაპიროზე".[4] იგი აღწერს შემორჩენილ ძველ

გალავანს კოშკებითურთ, საცხოვრებელ ნაგებობებსა და აბანოს ნაშთს. ჩამოთვლის იქ მიმოფანტულ არქეოლოგიურ მასალას: კერამიკულ ნატეხებს, მინის ნაწარმს, ბრინჯაოსა და რკინის ნივთებს და სხვ. იქვე მკვლევარი საგანგებოდ ეხება და მსჯელობს დიუბუა დე მონპერეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე - ვაშნარისა და პეტრას იდენტურობის შესახებ და დასაბუთებულად უარყოფს ამ ვერსიას.

ვაშნართან დაკავშირებით კიდევ ორ მნიშვნელოვან ეპიზოდზე შევჩერდებით. მოგვყავს ავტორისეული ვრცელი ციტატა: "აქ აღნიშნული ნაპოვნები შემთხვევითია. ნუ დაგვაეიწყდება, რომ ყველა კოშკი და საცხოვრებელი ვაშნარში თავამდე ამოვსებულია ჩამოქცეული ქვებით. მარტო მათი გაწმენდაც კი აღმოგვიჩენს ბევრ რამეს და, ალბათ, წარწერებსაც. ვაშნარში არქეოლოგიური მუშაობის დროს გვერდს ვერ ავუქცევთ თავად დიმიტრი ნაკაშიძის დახმარებას, რომელსაც ძალიან აინტერესებს ეს ნანგრევები. მან უკვე გაწმინდა იგი ტყისაგან, დასახლდა იქ და აღადგინა შიგა კვადრატის სამხრეთი კედელი, სადაც ხეხილის გაშენებას აპირებს. მან მითხრა, თუ დამეხმარებიან, თვითონ მოკიდებ ხელს ვაშნარის გაწმენდასა და გათხრასო. აქვე დავძენ, რომ ვაშნარისაგან ცოტა დაშორებით მან მიმითითა ძველ სასაფლაოზე, რომელიც მე არ მინახავს და რომელიც მას წარმართულად მიაჩნია".[5] ამასთან დაკავშირებით, დ.ბაქრაძე მოითხოვს არქეოლოგიური გათხრების დაწყებას ვაშნარში და ამასთანავე აღნიშნავს, რომ "კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ წელს ზაფხულში ვაშნარის გათხრების საწარმოებლად მიავლინა ბ-ნი ბაიერნი. შედეგი ჯერ არ არის ცნობილი..".[6]

ბაიერნის მიერ ვაშნარში წარმოებული გათხრების შესახებ ჯერჯერობით სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ დ.ბაქრაძის ნაშრომი "არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში" ძირითადად მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლების აღნუსხვა-შესწავლასა და გამომზეურებას ეძღვნება, ამასთანავე იგი მნიშვნელოვანი წყაროა გურიის არქეოლოგიური შესწავლისათვის, ვინაიდან აღწერს და მიგვანიშნებს არქეოლოგიურად საყურადღებო ძეგლზე (ვაშნარზე), პირველად, ოფიციალურად აყენებს საკითხს გურიაში არქეოლოგიური გათხრების წარმოების აუცილებლობაზე

და, ბოლოს, დამაჯერებლად უარყოფს მცდარ მოსაზრებას ვაშნარისა და პეტრას იდენტურობის შესახებ.

გურიის მხარის სიძველეთა მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი გასული საუკუნის დასასრულისათვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თ.სახოკიასა[7] და ე.თაყაიშვილის[8] გამოქვეყნებული ნაშრომები. მათ მიერ აღწერილი ეკლესიები, ხატები, წარწერები თუ სიგელ-გუჯრები დღეისათვის დანგრეული ან დაკარგულია. ამიტომ მათი ცნობები მნიშვნელოვანი წყაროა გურიის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლისათვის.

გასულ საუკუნეში გურიაში მოგზაურ უცხოელ მეცნიერთაგან შევჩერდებით მხოლოდ დიუბუა დე მონპერეს ცნობაზე,[9] რომელმაც 1831 წელს მოინახულა და აღწერა ვაშნარი.

რაც შეეხება გურიაში მყოფ სხვა უცხოელ მოგზაურებს (გიულდენშტედტი, ჟაკ ფრანსუა გამბა და სხვ.), მათი ინტერესები ძირითადად გურიის გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარეს მოიცავდა, ამიტომ გურიის სიძველეთა შესწავლის მხრივ ნაკლებ საინტერესოა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლიტერატურა გურიის სიძველეთა შესწავლის შესახებ საკმაოდ მწირია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი პირველი ცნობა გურიის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ დ.ბაქრაძეს ეკუთვნის, რომელიც ვაშნარის გათხრებს ბაიერნის სახელს უკავშირებს.[10] არსებობს აგრეთვე გ.გურიელის ბუნდოვანი ინფორმაცია, რომ გრიგოლეთის მიდამოებში აღმოჩენილი თიხის ორი ჭურჭელი გადასცა ფრანგ მურიეს, რომელიც 1886 წელს აქ აწარმოებდა გათხრებს.[11]

XX ს. 30-იან წლებამდე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ან შემთხვევითი აღმოჩენების შესახებ სხვა ცნობები არ შემონახულა.

მხოლოდ 1930 -იანი წლებიდან დადასტურდა გურიის სხვადასხვა პუნქტებში საინტერესო აღმოჩენები (1930 წ. სოფ. გუთურში, 1932 წ. სოფ. მეწიეთში, 1934 წელს სოფ. ხიდისთავში და ა.შ.). ასე, შემთხვევითი აღმოჩენების სახით, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა დაგროვდა.

მაგრამ ამ მონაპოვრებს არქეოლოგიური კვლევა-ძიება არ მოჰყოლია.

1936 წელს ურეკსა და მის მიდამოებში ციტრუსოვანი მეურნეობისა და სანერგეს მშენებლობის დროს, "კუჩხისაბანოს" მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა საკმაოდ მდიდარი სამარხეული კომპლექსი (დათარიღდა ახ.წ. დასაწყისით). ამავე წელს ურეკში დაზვერვები ჩაატარა ა.კალანდაძემ, ხოლო 1938 წელს გრიგოლეთის მიდამოებში, მდ. სუფსის მარჯვენა სანაპიროზე - ისტორიის ინსტიტუტის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ა.იესენის ხელმძღვანელობით.[12]

1941 წელს ურეკის მეურნეობის ტერიტორიაზე ბრინჯაოს იარაღების განძი აღმოჩნდა, ხოლო 1942 წელს ურეკის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, სამშენებლო სამუშაოების დროს ნაგებობის საძირკველში - ძვირფასი ნივთების განძი, რომელიც ა.აფაქიძემ შეისწავლა.[13]

ამრიგად, ურეკი და მისი მიდამოები არქეოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა. საჭირო გახდა ამ მიდამოების სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც მხოლოდ 1949 წელს მოხერხდა.

უკვე ამ პერიოდისათვის შემთხვევითი აღმოჩენებით თუ დაზვერვებით გურიის ტერიტორიიდან ისეთი მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა დაგროვდა, რომ აუცილებელი გახდა ამ მხარეში ფართო არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება.

1947 წელს, შემოდგომაზე, ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა ნ.ხოშტარიას ხელმძღვანელობით ურეკში არქეოლოგიური დაზვერვები დაიწყო. ერთი წლის შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა გურიაში არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიცია გააგზავნა (ოთ.ჯაფარიძე, მ.თხილაიშვილი, ტ.ჩუბინიშვილი), რომლის მიზანს წარმოადგენდა ქ. მახარაძის მუზეუმში დაცული შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების გაცნობა და მცირე გათხრების ჩატარება.

ამ ექსპედიციას მოჰყვა ოთ.ჯაფარიძისა[14] და ტ.ჩუბინიშვილის[15] ორი მნიშვნელოვანი წერილის გამოქვეყნება, რომლებიც გურიის არქეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით საინტერესო პრობლემებს ეხებიან.

აღმოჩენის ადგილის შესწავლამ ტ.ჩუბინიშვილს ამ მიკრორეგიონის შესახებ საინტერესო დასკვნების საშუალება მისცა. კერძოდ: განძი

ადგილობრივი წარმოების პროდუქციად მიიჩნია და ზემოაღნიშნული ტერიტორია დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ლითონის წარმოების ერთ-ერთ კერად გამოჰყო.

ოთ.ჯაფარიძემ შეისწავლა მახარაძის მუზეუმში თავმოყრილი ნეოლითური ხანის ძეგლები ანასეულიდან, ბრინჯაოს ხანის განძები (ურეკი, ვაკიჯვარი-"ქორბუდე", შრომა, გოგოლეისუბანი), ანტიკური ხანის ნივთები - ურეკიდან.[16] აღმოჩენის ადგილებისა და აღნიშნული მასალის გაანალიზების საფუძველზე იგი მივიდა დასკვნამდე, რომ გურიის ტერიტორია არქეოლოგიურად მეტად საყურადღებოა, ყველა პერიოდს მოიცავს და რომ "... კოლხური კულტურის შესასწავლად აუცილებელია ამ მხარის არქეოლოგიური ძეგლების იმ ლოკალური კულტურის გათვალისწინება რომლის გარეშეც არასრულყოფილი იქნება როგორც ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის, ასევე ქართული სახელმწიფო ერთეულის ჩასახვისა და განვითარების ეტაპების სათანადო კვლევა".[17]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ვაშნარის ნაქალაქარით დაიწყო. ვაშნარის ნაქალაქარით დაინტერესდა ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი აკად. ნ.ბერძენიშვილი, რომელმაც დაათვალიერა ძეგლი და მის შესახებ საინტერესო მოსაზრებებიც გამოთქვა. ძეგლის გათხრისათვის იგი საგანგებოდ ემზადებოდა, მაგრამ იმ ადგილებში ჩაის ფაბრიკის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, ინსტიტუტი იძულებული გახდა სათანადო მომზადების გარეშე შედგომოდა ვაშნარის გათხრებს. ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო 1949 წლის გაზაფხულზე (ხელმძღვ. გ.გობეჯიშვილი, არქიტ. ი.ციციშვილი). გათხრების შედეგები შემოკლებულად გამოაქვეყნა გ.გობეჯიშვილმა.[18] მოგვიანებით (1961 წ.), ამ ექსპედიციის შედეგებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა ვ.ლექვინაძის საინტერესო წერილი,[19] რომელიც ვაშნარის ციხე-ქალაქის, გალავნის, ბაზილიკისა და მავზოლეუმის არქიტექტურულ-მხატვრულ შესწავლასა და მის დათარიღებას ეხება.

1949-50 წწ. ურეკში ნ.ხოშტარიას ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები. ამ ექსპედიციის შედეგები და ასევე ურეკსა და მის მიდამოებში სხვადასხვა დროს აღმოჩენილი "განძები" თუ ცალკეული

ნივთები გამოქვეყნებულია ნ.ხოშტარიას მიერ.[20]

გურიის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა 1956 წლამდე შეწყდა. ქ. მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში კი შემთხვევითი აღმოჩენებისა თუ არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად მრავალრიცხოვანი მასალა დაგროვდა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანასეულის (მახარაძის რ-ნი) ტერიტორიიდან მომდინარე კაჟისა და ობსიდიანის იარაღები, რომლებსაც ჯერ კიდევ 1949-50 წწ. ო.ჯაფარიძე[21] და ნ.ხოშტარია[22] გაეცნენ. ანასეულის ნეოლითურმა ძეგლებმა ყურადღება მიიქცია და ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა გურიის ნეოლითური ძეგლების შესწავლა დაგეგმა. 1956 წლიდან განახლებულმა არქეოლოგიურმა დაზვერვებმა მნიშვნელოვანი ნეოლითური ძეგლები გამოავლინა: ანასეულში (მეტეოსადგურის ფართობი, ჩაის ფაბრიკის ტერიტორია, ბორცვი "მიწის ციხე" და სხვ.), ს. ბზვანში, ექადაში, ნარუჯაში, გოშველში. საირმიაში, ვაკიჯვარსა და მერიაში. ნეოლითური სადგომი აღმოჩნდა სოფ. მამათში (ლანჩხუთის რ-ნი), მდ. სუფსის მარჯვენა ტერასაზე.

1958-62 წწ. დაიწყო და სისტემატური ხასიათი მიეცა ანასეულის ნეოლითური ძეგლების არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. როგორც გამთხრელი, ლ.ნებიერიძე აღნიშნავს, "ანასეულში აღმოჩენილი ძეგლის სახით საქმე გვაქვს საქართველოში დღემდე უცნობი, მეზოლითური ტრადიციების მქონე, ადრენეოლითის ხანის ძეგლთან... ერთი და იმავე ტერიტორიაზე, 1,5 კმ- ის მანძილზე გვაქვს როგრც ადრეული, ასევე განვითარებული ნეოლითის ორი სხვადასხვა ძეგლი".[23]

1957 წელს ქ. მახარაძის ცენტრში, მოედნის კეთილმოწყობის დროს აღმოჩნდა აბანოს ნაშთი. გათხრები აქ აღარ გაგრძელებულა.[24]

ინტერესი არქეოლოგიისა და საერთოდ სიძველეთა მიმართ ადგილობრივ მოსახლეობაშიც გაჩნდა. შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები თუ სამარხეული კომპლექსები (ასე მაგ. მდ. სუფსის აუზის სხვადასხვა პუნქტში: წიფნარი, ჩიბათი, ზენობანი და სხვ. 1951-59 წწ. ქვევრსამარხების მთელი სერია დაფიქსირდა) ადგილობრივ მხარეთმცოდნეობით მუზეუმებს ბარდება.[25] ადგილობრივ გაზეთებში ხშირად ჩნდება ახალ აღმოჩენებთან

დაკავშირებული ცნობები და წერილები.[26] არქეოლოგიური ინტერესების ზრდამ გურიის რეგიონში არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობის აუცილებლობა გამოიწვია. 1961 წელს შემოდგომაზე საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველოს, აჭარის სახელმწიფო მუზეუმისა და მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მონაწილეობით ერთობლივმა ექსპედიციამ (საერთო ხელმძღვ. აკად. ნ.ბერძენიშვილი) ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონებში დაზვერვები ჩაატარა. დაზუსტდა ადრე აღმოჩენილი ზოგიერთი ძეგლის ხასიათი; მიაკვლია ს. ქვენობანში კერამიკული წარმოების კვალსა და რკინის მეტალურგიის საწარმოების ნაშთებს სუფსა-ნატანების აუზის შემდეგ პუნქტებში: ასკანა, ნაგომარი, ვაკიჯვარი და სხვ.

1962 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვ. პ.ზაქარაია) გათხრები დაიწყო სოფ. შუხუთში (ჩოხატაურის რ-ნი), სადაც ერთ-ერთ ნაკვეთში მოზაიკური იატაკი აღმოჩნდა. დადგინდა, რომ ხუთი სათავსისაგან შემდგარი ნაგებობა რომაულ აბანოს წარმოადგენდა. აბანოს გვერდით მისი თანადროული ორსართულიანი ნაგებობა გამოვლინდა, რომელიც გამთხრელებმა (პ.ზაქარაია, ვ.ლექვინაძე) სოფლურ ვილად (რეზიდენციად - villa rustica) მიიჩნიეს. შედეგები მეტად საინტერესო და მნიშვნელოვნი გამოდგა, რადგან გვიანანტიკურ კოლხეთში ამ ტიპის ძეგლის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა იყო.[27]

განსაკუთრებით საინტერესო და მრავალმხრივი აღმოჩნდა 1963 წელს ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ ჩატარებული როგორც დაზვერვითი, ასევე გათხრითი სამუშაოებით მოპოვებული შედეგები. ექსპედიციამ დაათვალიერა მდ. ნატანებსა და სუფსას შორის მდებარე ვრცელი ტერიტორია, ქ. ოზურგეთიდან შავი ზღვის ნაპირამდე, რის შედეგადაც მიკვლეულ იქნა: სოფ. ხვარბეთის მიდამოებში პალეოლითური მასალები (ძეგლს მიაკვლია გ.გრიგოლიამ), ნეოლითური სადგომი გურიანთაში, ციხისფერდის უბანში, მდ. სკურდუმის სანაპირო ბორცვზე; გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები და მეტალურგიული წარმოების ნაშთები ვაშნარისა და ხვარბეთის ნამოსახლარებზე; ანტიკური ხანის ძეგლები: სოფ. გოგორეთში,

გურიანთაში და სხვ. ნ.ვაშაკიძის აზრით, გურიანთის მცხოვრებნი დაკავშირებულნი ყოფილან შავიზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებთან, ამ გზით უნდა მოხვედრილიყო გურიანთაში ლესბოსური, პროტოთაზოსური და სინოპური კერამიკული ნაწარმი.[28]

აკად. ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავდა: "გურიის ისტორიის შესწავლა ჩვენმა ექსპედიციამ გურიანთით დაიწყო. ამის საბუთი იყო ზოგადი ისტორიულ- გეოგრაფიული მეცნიერული მოსაზრება, რომელიც ჩვენ შეგვიმუშავდა ამა თუ იმ ქვეყნის წარმოქმნის საკითხში. გვეგულებოდა, კერძოდ, რომ ეს კუთხე შეიძლება ყოფილიყო გურიის ქვეყნის წარმოქმნის დედა-აკვანი. აქეთ გვეწეოდა ვაშნარის ნაქალაქარი და ორი მდინარის სუფსა-ნატანების ხეობების შუაში მდგომი "ციხე". აქეთკენ გვეწეოდა ნაკაშიძეთა ძველი გვარის საბუდარი (გვიანი სათავადო ქვეყანა) და, ბოლოს, მოსაზრებათა ამ კომპლექსს მხარს უჭერდა ეჭვის აღმძვრელი სახელი ამ ქვეყნისა - გურიანთა (გურიამთა)".[29]

1964 წელს აკად. ნ.ბერძენიშვილს დაუთვალიერებია სუფსის ხეობის ზემო წელში შემორჩენილი ძეგლები, რის შედეგადაც გადაწყდა ბუკისციხისა და მისი მიდამოების შესწავლა. იმავე წელს, ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ სამუშაოები დაიწყო, რომელიც მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, მოიძინჯა ციხის ეზო, გაიწმინდა კოშკი, გამოვლინდა ნაეკლესიარი და დადგინდა, რომ აქ უძველესი ცხოვრების კვალი ძვ.წ. II-I ათასწლეულის მიჯნით შეიძლება დათარიღდეს (ძელური შენობის ნაშთები), საქალაქო ცხოვრების კვალი (ნაქალაქარი) - ადრეანტიკური ხანით (ძვ.წ. V-IV სს.), კოშკი - ადრეფეოდალური ხანით.

1965 წელს ბათუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა.ინაიშვილი) ვაშნარის ნაქალაქარზე განაახლა გათხრები, რომელიც გურიანთის მიდამოებში 1964 წელს აკად. ნ.ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევა-ძიების გაგრძელება იყო. ექსპედიციამ დაადგინა ვაშნარის სასიმაგრო კედელი, აგრეთვე სხვა სასიმაგრო საფორტიფიკაციო ნაგებობების და დამცველი თხრილების გეგმარება, შეადგინა ნაქალაქარის სქემატური გეგმა და ა.შ.

1965 წელს ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი, რომელიც მანამდეც საკმაოდ მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი ექსპონატებით გამოირჩეოდა, ახალი, საინტერესო არქეოლოგიური ნივთებით შეივსო. ამ აღმოჩენებმა არქეოლოგთა ყურადღება მიიპყრო. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივით, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, აჭარაში მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად ჩოხატაურის რაიონის დასაზვერად და არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად ჩოხატაურის რაზმი შექმნა (ხელმძღვ. ა.ინაიშვილი).

რაიონში დაიწყო ფართო სამუშაოები, რის შედეგადაც გუთურში აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, ზემოფარცხმაში (სადაც ჯერ კიდევ 1961, 1964 წწ. შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხები) ექსპედიციამ დაიწყო სამაროვნის გათხრა. გათხრების შედეგები შეაჯამა და გამოაქვეყნა ნ.ვაშაკიძემ.[30] მან სამაროვანზე ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოყო: ძვ.წ. IV-II სს. I ნახევარი და ძვ.წ. III-II სს.

1970-იანი წლებიდან გურიაში არქეოლოგიურ დაზვერვებსა და გათხრებს ძირითადად ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიცია ახორციელებდა. 1971 წელს გათხრები ჩატარდა მდ. ჩოლოქის შუა წელზე ჯიხანჯურ-მაკვანეთის მხარეში, სადაც "ანასეულ I-ისა" და კინტრიშის ხეობის ნეოლითური სადგომების შესატყვისი ძეგლები აღმოჩნდა.[31]

1973 წელს იმავე ექსპედიციამ შეისწავლა ჩოხატაურის რ-ნის სოფელი ქვენობანი, სადაც დადასტურდა მოზრდილი გორა-სამოსახლო, რომელსაც შესაძლოა სახელოსნოც გააჩნდა.[32]

გურიაში შემთხვევითი აღმოჩენებისა და დაზვერვების კვალზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად დაიწყო პრობლემური თემების დამუშავება და მათთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება. კერძოდ, 1960 წელს დაიგეგმა პრობლემა "სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მეტალურგიული ცენტრის არქეოლოგიური შესწავლა". ამ პრობლემის წარმოშობის ისტორია ასეთია: ასკანისა და მისი მიდამოების დათვალიერებისას, ისტორიის ინსტიტუტის

მეც. თან. დ.მეგრელაძემ შეამჩნია რკინის წიდების გროვები. დ.მეგრელაძემ ეს აღმოჩენა აცნობა აკად. ნ.ბერძენიშვილს, რომელმაც იგი გააცნო ისტორიის ინსტიტუტის მეცნ. თან. ი.გძელიშვილს. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიციის თანამშრომლებმა (ი.გძელიშვილი, ა.ინაიშვილი, დ.ხახუტაიშვილი და სხვ.) ერთ დღეში დაათვალიერეს აღნიშნული მიდამოები და რვა სახელოსნოს ნაკვალევი აღრიცხეს.[33] აქედან დაიგეგმა გურიის რეგიონის მეტალურგიული წარმოების სპეციალური შესწავლა. 1960-61 წწ. მდ. ჩოლოქისა და ჭოროხის ხეობაში გაითხარა 6 რკინის სადნობი სახელოსნო. გამოვლენილი იქნა ერთქურიანი (ჯიხანჯირი II-III), ორქურიანი (ჭირნალი I) და სამქურიანი (ჯიხანჯირი I) სახელოსნოს ნაშთები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამთო-მეტალურგიული ცენტრის ცალკეული კერების აღმოჩენა-შესწავლა, რომლებიც სუფსა-გუბაზოულის ხეობაში გამოვლინდა.

1974 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ერთი ჯგუფი ადრერკინის ხანის ძეგლების შესწავლის მიზნით დაზვერვით სამუშაოებს ატარებდა ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონში, ხოლო გათხრით სამუშაოებს ასკანის მიდამოებში. რკინის მოპოვებასთან დაკავშირებული პუნქტების ძირითადი ბირთვი თავმოყრილი აღმოჩნდა ასკანის, მზიანის, ეწერისა და მშვიდობაურის ტერიტორიაზე. საერთოდ, სუფსა-გუბაზოულის ხეობის რკინის წარმოების ეს კერა 100-მდე ობიექტს ითვლიდა: გაითხარა (ბათუმის, კოლხეთისა და ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიციების მიერ) 4 ობიექტი, სადაც 7 სახელოსნო აღმოჩნდა, რომელთაგან ორი (ასკანა III/2, ასკანა III/1) ანტიკურ პერიოდს ეკუთვნოდა, ხოლო დანარჩენი ხუთი - წინარეანტიკურს (ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრული). როგორც დ.ხახუტაიშვილი აღნიშნავს "ვაკიჯვარ-ქორისბუდის პოლიმეტალური საბადოები და სუფსა-ურეკის მდიდარი მაგნეტიტები ქმნიდნენ იმ სანედლეულო ბაზას, რომელიც ამარაგებდა ამ უძველეს საწარმოო კერას".[34]

1974 წელს ბათუმის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ერთი ჯგუფის მიერ (ნ.ვაშაკიძე, ა.კახიძე და სხვ.) დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა ბუკისციხის, დიდვანის, კოხნარის

და ზენობანის ტერიტორიაზე. 1975 წელს ვაკიჯვარის მიდამოებში (ადგილ ქორისბუდეში) ბრინჯაოს ზოდები და მადნის სამტვრევი უროები აღმოჩნდა.[35]

1976 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კოლხეთის სამაროვნების შესწავლის მიზნით დაიწყო ურეკისა (ოზურგეთის რ-ნი) და ნიგვზიანის (ლანჩხუთის რ-ნი) აღრერკინის ხანის სამაროვნების გათხრა. როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი თ.მიქელაძე აღნიშნავს, ეს სამაროვნები "გამოირჩევიან მრავალფეროვანი მასალით, ახალი კუთხით ასახავენ კოლხეთის ძველი ისტორიის გარკვეულ ეტაპს, წარმოდგენას ქმნიან კოლხეთის საწარმოო ძვრებზე, რომლებიც ერთ ეთნოსოციალურ გარემოში არიან მოქცეულნი და ხანგრძლივი, უწყვეტი განვითარების ერთ მოსაბრუნ ეტაპს ასახავენ".[36]

1977 წელს კვლავ შემთხვევითი აღმოჩენის წყალობით გურია არქეოლოგების ყურადღების ცენტრში მოხვდა. ჯიხანჯირის მკვიდრმა "ნასტეფნარის" გორაზე აღმოაჩინა 320 ოსმალური მონეტა, რომელიც XVI-XVII სს. თარიღდება. აღმოჩენის ადგილის დასათვალიერებლად გაიგზავნენ სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები. ადგილი საინტერესო გამოდგა არქეოლოგიური მასალითა (კერამიკის ნატეხები) და ძეგლებით (ნანგრევების ნაშთები), მდიდარი ადგილობრივი ტოპონიმებით და სხვ., რომლებიც სათანადო შესწავლასა და მეცნიერულ კვლევას საჭიროებდა.[37] მაგრამ ისევე, როგორც გურიის სხვა მრავალი ძეგლი, მისი შესწავლაც ამ დაზვერვით დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, რომ გურიაში შეგროვილი, მოპოვებული და აღნუსხულია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, ჩატარებულია საინტერესო და პრობლემური კვლევა-ძიება, საქართველოს ეს მხარე მოკლებული იყო სისტემურ, გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლას. რადგან კოლხური ცივილიზაციის წარმოქმნა-განვითარების და საერთოდ, კავკასიის მატერიალური კულტურის ისტორიის მთელი რიგი საკითხების გარკვევისათვის, გურიის რეგიონის შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა, დაისვა გურიის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის შექმნის საკითხი, რაც 1991 წელს დადებითად გადაწყდა.

შენიშვნები

1 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 174-175

2 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. 1878.

3 დ.ბაქრაძე, დასახ.3 ნაშრ., გვ. 231.

4 იქვე, გვ. 231.

5 იქვე, გვ. 233.

6 იქვე.

7 თ.სახოკია. მოგზაურობანი. თბ., 1950, გვ. 7-107.

8 ე.თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წ. I, ტფ., 1907, გვ. 25-41.

9 Dubois de Montpereux. Voyage autour du Caucase, III, 1833, p. 87.

10 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 33.

11 Г.Д.Гуриели. Записки об древних развалинах Гурии (Озургетский уезд) и Турецкой Грузии. Древности. Труды Импер. Московского археологического орбщества, т. XV, в. II, с. 73-75.

12 Н.В.Хоштария археологическое исследование Уреки მსკა, ტ. I, 1955, გვ. 25.

13 ა.აფაქიძე. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, გვ. 89-126.

14 ო.ჯაფარიძე. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, 1951, გვ. 109-121.

15 ტ.ჩუბინიშვილი. სოფ. გოგოლეისუბანში გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსის აღმოჩენის გამო. მიმომხილველი, I, 1949, გვ. 289-296.

16 ტ.ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 295.

17 ო.ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 121.

18 გ.გობეჯიშვილი. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952, გვ. 121.

19 В.А.Леквинадзе. Материалы по монументальному строительству в Лазике. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-B, 1961, გვ. 154-156.

20 Н.В.Хоштария. დასახ. ნაშრ. გვ. 71.

21 ო.ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 110.

22 Н.Хоштария. დასახ. ნაშრ., გვ. 71.

23 ლ.ნებიერიძე. ადრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1964, ტ. VII, გვ. 180.

24 ნ.ხოშტარია, გ.თავაძე. ძველ აბანოთა ნაშთები ქ. მახარაძეში. გაზ. "ლენინის დროშა", 1957, 24 ნოემბერი.

25 ნ.ვაშაკიძე. სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სდსძ. III, 1973, გვ. 74-86.

26 მ.ტულუში. კატაპულტის კერამიკული ყუმბარები ურეკის მიდამოებიდან "ლენინის დროშა", 1960, 11 ნოემბერი.

27 П.П.Закарая, В.А.Леквинадзе. Археологические раскопки в Шухути, მაცნე, 1966, №. 1, გვ. 135.

28 ნ.ვაშაკიძე. გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. სდსძ, II, თბ., 1971, გვ. 26.

29 საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. III, თბ., 1965, გვ.9.

30 რ.გიორგაძე, იშვიათი ექსპონატები, გაზ. "კომუნიზმის განთიადი", 1965, 7, 12; ნ.ვაშაკიძე. ზემო ფარცხმის სამაროვანი. სდსძ. XIII, თბ., 1986, გვ. 25.

31 ა.ინაიშვილი, დ.ხახუტაიშვილი. ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის ანგარიში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბ., 1972, გვ. 7.

32 ა.ინაიშვილი. სამახრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის შედეგები. სდსძ. VI, თბ., 1977, გვ. 67.

33 დ.ხახუტაიშვილი. რკინის წარმოების ძველკოლხური კერა სუფსაგუბაზოულის ხეობაში. სდსძ, X, 1981, გვ. 3-36

34 დ.ხახუტაიშვილი. რკინის წარმოების ძველკოლხური კერა სუფსაგუბაზოულის ხეობაში. სდსძ, 1981, გვ.36.

35 დ.ხახუტაიშვილი. რკინის... გვ. 23.

36 თ.მიქელაძე. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ. 1985, გვ. 110

37 მ.ანთაძე. ჯიხანჯირის თურქული მონეტების განძი. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XXXV-B, 1981, გვ. 110; ნ.აფხაზავა. მივლინება ჯიხანჯირში განძის აღმოჩენის ადგილზე. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XXXV-B, 1981, გვ. 113-114.

Т.Чанишвили, В.Садрадзе

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ АРХЕОЛОГИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ГУРИЙСКОГО КРАЯ.

Резюме

В статье дана история изучения края с древнейших времен до 1984 г. включительно.

Внимание засотренно на древностях Гурии, на большой заинтерисованоносттри иностранных и грузинских иследователей и заслуживающих внимания их соображениях, рассеянных в их трудах и отдельных статьях.

კ.კალანდაძე

ახალი ქვის ხანის ნამოსახლარი ხევიდან

(ტაბ. II, XXIX-XXX)

სოფ. **ხევი** მდ. გუბაზოულის ხეობაში მდებარეობს, ჩოხატაურის რაიონული ცენტრიდან კურორტ ნაბეღლავისაკენ მიმავალი გზის მე-15 კმ-თან, ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლეზე. ამჟამინდელი სოფელი მდინარის ვიწრო ხეობის ორივე ნაპირზეა შეფენილი. ხეობის ეს მონაკვეთი მთისწინა ზოლშია მოქცეული და ცხოვრებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი გარემო პირობებით ხასიათდება.

ხევის ტერიტორიაზე ახალი ქვისხანის ადამიანის ნამოსახლარი მიკვლეულია მდ. გუბაზოულის ტერასაზე. ნამოსახლარის ნაშთი გაბნეული იყო როგორც სწორი ტერასის ზედაპირზე, ისე მიწის სიღრმეში, სადაც ფერდობიდან ჩამორეცხილი ნალექებით ხელმეორედ განამარხებულა. ნამოსახლარი 1975 წელს, წყალტუბოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა (ხელმძღვანელი კ.კალანდაძე). ამავე წელს დაიწყო ძეგლის შესწავლა, რომელიც სეზონურად მიმდინარეობდა 1990 წლამდე.[1] აღსანიშნავია, რომ ქვის იარაღები აიკრიფა ტერასის სწორი ზედაპირიდან. საძიებო თხრილებში უძრავი კულტურული ფენა არ აღმოჩნდა. ამიტომ გამოითქვა მოსაზრება მასალის III ტერასიდან შესაძლო გადმორეცხვის შესახებ. ნამოსახლარის შესწავლის შემდეგ ეტაპზე ზემოაღნიშნული მოსაზრება დადასტურდა.

ხევის უძველეს ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლების ერთი ნაწილი კამერალურად დამუშავდა და გამოქვეყნდა.[2] ექსპონატები ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩაბარდა. შეგახსენებთ, რომ ესენია: კაჟის წუკლეუსები (გულგულა), დანა-ლამელები, საფხეკები, საჭრისები, თავამოღარული და თავრეტუშირებული ლამელა, ანატკეცები, დაკბილული იარაღები, წვეტანისებრი იარაღები-შუბისპირები, ჩასართები, ანატკეც-ანამტვრევები და წარმოების სხვ. ნაშთი.[3]

1991 წლიდან გურიის მხარის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა

ექსპედიციამ ხევის უძველეს ნამოსახლარზე კვლევა-ძიების ახალი ეტაპი წამოიწყო (ექსპედიციის ხელმძღვანელი ვ.სადრაძე, კონსულტანტი კ.კალანდაძე). ამჯერად არქეოლოგიური მასალა ძირითადად II და III ტერასებს შორის მდებარე ვრცელ ტერასაზე შეგროვდა. ესენია: კაჟის შუაზე გაპობილი ნუკლეუსი (ტაბ. XXIX,1), კაჟისა და ობსიდიანის გვერდამოღარული საფხეკი (ტაბ. XXIX,2,3), ანატკეცები რეტუშისა და გამოყენების კვალით (ტაბ.XXIX,4,5), დანა-ლამელები (ტაბ. XXIX,6- 9), მომრგვალო სამუშაოპირიანი საფხეკი (ტაბ. XXIX, 10), საჭრისის ნამზადი (ტაბ. XXIX,11-12) და წარმოების ნაშთი.

ნამოსახლარზე აგრეთვე აიკრიფა რიყის ქვის ხელცულები. მათგან აღსანიშნავია გახეხილი (ტაბ. XXIX,13) და გაპრიალებული ხელცული, რომელიც დაბლაგვების შემდეგ ხელჩაქუჩად გამოუყენებიათ (ტაბ. XXIX, 14). სულ ხევის ნეოლითურ ნამოსახლარზე სამი ხელცულია მოპოვებული. ყოველი მათგანი ერთიმეორისაგან განსხვავებული ტიპისაა. ესენია: ფართოსამუშაოპირიანი (ტაბ. XXIX, 15), საშუალო სიფართის სამუშაოპირიანი და ვიწროსამუშაოპირიანი.[4]

რიყის ქვის ქანისაგან უკეთებიათ აგრეთვე ხელსაფქვავებიც.

ხევის უძველეს ნამოსახლარზე მხოლოდ ორი ცალი ხელსაფქვავია მიკვლეული. ორივე დაზიანებულია. ზედაპირი ხაოიანი აქვს და ეტყობა გამოყენების კვალი.

ხევის ნეოლითურ კოლექციაში დაცულია რიყის ქვისაგან დამზადებული სასრესი, გახეხილ-გაპრიალებული, რომელსაც აშკარად ეტყობა გამოყენების ნიშნები. მსგავი სასრესი მრავლადაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ახალი ქვისხანის ნამოსახლარებზე: მელოური, ღუმურიში, ჩხორთოლი,[5] ანასეული II,[6] ოდიში და სხვ.

სწორედ ამ ტიპის იარაღების არსებობა ხევის ნამოსახლარზე იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს ძეგლი ნეოლითის ეპოქით დათარიღდეს. მსგავსი სამეურნეო იარაღი გამოიყენებოდა მარცვლეულის გადასამუშავებლად. რაც შეეხება სხვა ქანის (კაჟი, ობსიდიანი) იარაღებს: დანა-ლამელები, საფხეკები, საჭრისები, წვეტანისებრი იარაღები და ნუკლეუსები, ისინი იმდენად ადრეული ხანისათვის დამახასიათებელ იერს ატარებენ, რომ თუ

არა რიყის ქვის აღნიშნული იარაღები, მათი მიკუთვნება მითვისებითი მეურნეობის ეპოქისათვის (მეზოლითი, ზედა პალეოლითი) სრულიად შესაძლებელი იქნებოდა.

ხევის ნამოსახლარზე მოპოვებულ კაჟის იარაღებს შორის ყურადღებას იპყრობს წვეტანისებრ იარაღთა ერთი ჯგუფი, რომლებიც საბრძოლო-სამონადირო საქმიანობისათვის უნდა ყოფილიყო გამიზნული (ტაბ. XXX,1-3). იარაღს ტარზე დასამაგრებლად, ერთი ან ორი გვერდი ამოღარული აქვს (ტაბ. XXX,1-2). იარაღის ნაპირები თანმიმდევრული რეტუშითაა გაფხიანებული, ხოლო წვერი წამახვილებულია (ტაბ. XXX,1-3). მათგან ყველაზე სრულყოფილია შუბისპირი (ტაბ. XXX, 1). იგი ძირითადი ნამოსახლარიდან დაახლოებით 1 კმ-ზეა ნაპოვნი, ხევის საშუალო სკოლის უკან, მდ.გუბაზოულის ტერასაზე.

ხევის ადრენეოლითურ ნამოსახლარზე მოპოვებული იარაღები მსგავსებას ამჟღავნებენ დასავლეთ საქართველოში გამოვლენილ თანადროულ ნამოსახლარებზე აღმოჩენილ ანალოგიურ იარაღებთან.

დღეს ჩვენ ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სატობის ღელესა და მდ. გუბაზოულის შესართავთან, ჩვენ წელთაღრიცხვამდე დაახლოებით VIII-VII ათასწლეულში ცხოვრობდა ადრემიწათმოქმედი მოსახლეობა, რომლის ძირითადი საქმიანობა, პრიმიტიულ მიწათმოქმედებასთან ერთად, მესაქონლეობა, ნადირობა, შემგროვებლობა და მეთევზეობა უნდა ყოფილიყო.

ხევის უძველესი ნამოსახლარის კვლევა-ძიება არ დასრულებულა. ჯერ კიდევ მისაკვლევია ამ ნაშთების შემცველი უძრავი ფენები, დასადგენია მათი სტრატიგრაფია და გავრცელების საზღვრები. არქეოლოგიური გათხრები გრძელდება.

შენიშვნები

1 კ.კალანდაძე. დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე, თბ., 1986, გვ. 56.

2 იქვე, ტაბ. XLVI-XLVIII.

3 კ.კალანდაძე. დასახ. ნაშრომი, ტაბ. XLI-XLVIII.

4 იქვე.

5 კ.კალანდაძე. დასახ. ნაშრომი, ტაბ. XI, XXVII, XXXIV, XLIV.

6 ლ.ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, ტაბ. XIII, XXXI.

К.Каландадзе

ПОСЕЛЕНИЕ РАННЕ КАМЕННОГО ВЕКА с. ХЕВИ

Резюме

Статья посвящена углубленному изучению материалов, добытых на неолитическом поселении с.Хеви (Чохатаурский р-н).

Присутствующие здесь каменные орудия датируют поселение ранним неолитом.

ლ.ნებიერიძე

ახალიქვის ხანის ძეგლები გურიიდან
(ტაბ. XXXI-XXXV)

ახალიქვის ანუ ნეოლითის ხანა თვისებრივად ახალი საფეხურია პირველყოფილი საზოგადოების განვითარების ისტორიაში. მასში მოხდა გადასვლა ერთი თვისობრივი მდგომარეობიდან მეორეში. მომხდარი ძირეული გარდაქმნების ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ არქეოლოგიურ ლიტერატურაში იგი "ნეოლითური" რევოლუციის" სახელითაა ცნობილი.[1]

აღნიშნული ძვრები პირველყოვლისა მოხდა ქვის იარაღების დამუშავების ტექნიკაში-წარმოების იარაღის დამზადების წესში. ნეოლითური ტომები დაეუფლნენ ქვის მაგარი ქანების დამუშავების ტექნიკას. გახეხვა-გაპრიალების, მოკოდვის და სხვა ხერხებით, წინა ეპოქებისაგან განსხვავებით, შექმნეს იარაღების სრულიად ახალი სახეები, დაეუფლნენ მეთუნეობას.

მაგრამ ამ ინოვაციებიდან ყველაზე არსებითი იყო მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლური ეკონომიკის თვისებრივად ახალ დარგებზე გადასვლა - დაიწყეს მარცვლეულის ველური ჯიშების კულტივირება, მოიშინაურეს გარეული ცხოველები, რითაც საფუძველი ჩაუყარეს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას, დაიწყეს მწარმოებლური მეურნეობის ადრეულ ფაზაზე გადასვლა.

მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა იყო ხანგრძლივი და თანდათანობითი პროცესი, რომელიც განვითარების რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს მოიცავდა.

მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და ჩამოყალიბების პროცესის შესწავლა, "ნეოლითური რევოლუციის" შედეგების კვლევა წარმოადგენს არქეოლოგიური მეცნიერების აქტუალურ პრობლემას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწარმოებლური ეკონომიკის უძველესი კერის შესწავლას.

ერთ-ერთი ასეთი უძველესი კერა იყო დასავლეთ ამიერკავკასიაში. კავკასიის რეგიონებიდან ნეოლითური კულტურა ყველაზე უკეთ შესწავლილია დასავლეთ საქართველოში.

უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად ამ რეგიონში შესწავლილი ძეგლების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. სადღეისოდ ისინი უკვე მოიცავენ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს (ტაბ. XXXI). ასეთებია: ოდიში, ურთა, ხორში (სამეგრელო), კისტრიკი, ჩხორთოლი, ღუმურიში, აფიანჩა, გალი I, ზემო ლემსა (აფხაზეთი), დარკვეთი IV, მელოური (იმერეთი), მახვილაური (ბათუმის რ-ნი). დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ისტორიული გურიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნამოსახლარები (ანასეული I, ანასეული II; გურიანთა, მამათი, ხევი) და არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად ამავე რეგიონის სხვადასხვა პუნქტში (ს.ექვდია, გოშველი, ვაკიჯვარი, საირმია, ლიხაური და სხვ.) მიკვლეული ნეოლითური იერის მასალები, რომლებიც აქაც ნეოლითური ნამოსახლარების არსებობაზე მიუთითებენ.

გურიის რეგიონში აღმოჩენილი ძეგლების მიმოხილვას, მათ ურთიერთმიმართებას დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ნეოლითურ ძეგლებთან და ნეოლითის პერიოდიზაცია-ქრონოლოგიის საკითხებს ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

ძეგლები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურის შესწავლაში იყო ოზურგეთის რაიონის სოფ. ანასეულში აღმოჩენილი, ერთმანეთისაგან 1 კმ მანძილით დაშორებული, ქრონოლოგიურად განსხვავებული, ორი ნეოლითური ნამოსახლარი - ანასეული I და ანასეული II.[2]

ნამოსახლარები მდებარეობენ ქ.ოზურგეთის სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ში მდებარე ს.ანასეულის ბორცვებზე.

ანასეული I განლაგებულია ცენტრალურ ბორცვზე, სადაც ამჟამად მეტეოსადგურია მოთავსებული, ხოლო ანასეული II მდებარეობს ცენტრალური ბორცვის სამხრეთით, უშუალოდ მასზე მიბჯენილ უფრო მომცრო ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა "მიწისციხეს"

უწოდებს. ანასეულის ბორცვები გარშემორტყმულია მდინარეებით. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მდ. აჭისწყალი, ჩრდილო-დასავლეთით-მდ. ბუჟი, დასავლე თით - მდ. ლეჩუმა, სამხრეთით - მდ. ჩოლოქი.

პირველი ცნობები ანასეულში ნეოლითური ნაშთების აღმოჩენის შესახებ გამოქვეყნდა 1950 და 1955 წლებში.[3]

1958-1962 წლებში აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ნეოლითის შემსწავლელმა რაზმმა (ხელ-ლი ლ.ნებიერიძე) აწარმოა არქეოლოგიური დაზვერვები და საცდელი გათხრები ანასეულის ნამოსახლარებზე (ჯერ აღ. კალანდაძის, შემდეგ ნ.ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით).

ანასეულის ნამოსახლარებზე იარაღების დასამზადებელ ნედლეულად გამოიყენებოდა კაჟი, ობსიდიანი და რიყის ქვის სხვადასხვა ქანები. მაგრამ გამოყენებული ნედლეულის პროცენტული შეფარდება ამ ძეგლებზე განსხვავებული იყო. ანასეული I-ის ნამოსახლარზე იარაღების დასამზადებელ მასალად ძირითადად ობსიდიანს იყენებდნენ, შედარებით იშვიათად კაჟს და კიდევ უფრო ნაკლებად - რიყის ქვას. ანასეულ I-ში აღმოჩენილი 4044 ერთეული ნაკეთობიდან 3160 ერთეული ობსიდიანისაა, 600 - კაჟისა და 59 - რიყის ქვისა. ანასეულ II-ში კი იარაღების დასამზადებელ მასალად ძირითადად კაჟი გამოიყენებოდა, შედარებით მცირე რაოდენობით - ობსიდიანი და კიდევ უფრო ნაკლებად - რიყის ქვა. ქვის მასალის 8610 ერთეულიდან 7252 ერთეული კაჟისაა, 1090 ერთეული ობსიდიანისა და 170 ერთეული კი რიყის ქვისა (ტაბ. XXXII).

ანასეულის ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო მზა იარაღები, დაუმთავრებელ-დაზიანებული ცალები, ნამზადები, აგრეთვე იარაღების დამზადებისას დარჩენილი წარმოების ნარჩენები - სხვადასხვა ფორმის ნუკლეუსები, კაჟის კაჭრები, კაჭრის კანიანი ანატკეცები, ანატკეც-ანატხები, რაც მოწმობს, რომ ნედლეულის დამუშავებისა და იარაღის დამზადების სრული პროცესი ნამოსახლარებზე წარმოებდა. ანასეულის ორივე ნამოსახლარზე ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმს მიკროლითური და განვითარებული ლამელური ტექნიკა ახასიათებს.

იარაღთა წამყვანი სახეა საჭრისები, რომლებიც დამზადებულია თხელ და სწორ დანისებურ ლამელებზე. მათ სიმრავლეს ძვლისა და რქის დამუშავების დიდი მოთხოვნილება განაპირობებდა.

განსხვავებული მდგომარეობაა საფხეკებში. თუ ანასეული I-ის საფხეკები საჭრისებთან ერთად იარაღთა წამყვანი სახეა და ამასთანავე გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით და დახვეწილობით, ანასეული II-ის საფხეკების რაოდენობა და დამუშავების ხარისხი საგრძნობლად კლებულობს, მიუხედავად იმისა, რომ ანასეული II-ის კოლექცია სამჯერ უფრო დიდია ანასეულ I-ისაზე.

ანასეული I-ის კომპლექსი არ ხასიათდება გეომეტრიული მიკროლითების სიჭარბით. აქ ნაპოვნია მხოლოდ ათიოდე ტრაპეცია. სამაგიეროდ ანასეული II-ის კოლექცია ხასიათდება გეომეტრიული ფორმის მიკროიარაღების სიჭარბით. აქ მრავლად გვხვდება სეგმენტები, ტრაპეციები და ზურგათლილი სწორკუთხედები.

ანასეული I-ის ქვის მასალა დიდ სიახლოვეს იჩენს გვიანმეზოლითური ძეგლების ქვის ინდუსტრიასთან, განსაკუთრებით ეს სიახლოვე შეინიშნება ტერიტორიულად და ქრონოლოგიურად ახლო მდგომ კინტრიშის ნამოსახლარებთან.

იარაღების ძველ, ტრადიციულ ფორმებთან ერთად ჩნდება სრულიად ახალი სახის იარაღები - რიყისქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული -· ცულები, სატეხ-სათლელები, საპრიალებლები, თოხისებრი იარაღები, ხელსაფქვავები, და სხვა შინა მოხმარების იარაღ-ხელსაწყოები. ამ ინოვაციებთან შედარებით ყველაზე არსებითია სამკელი დანების ჩასართები, რომლებიც იხმარებოდა კულტივირებული მარცვლეულის ასაღებად.[4] ზემოთ მოტანილი ინოვაციები ახასიათებს ანასეულის ორივე ნამოსახლარს, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა იარაღის რაოდენობასა, ფორმებსა და დამუშავების ხარისხში.

ანასეულ I-ში რიყის ქვის იარაღები მცირე რაოდენობითაა, მაშინ როდესაც ანასეულ II-ში მათი სიჭარბეა. ანასეულ I-ის ქვის იარაღები შედარებით უფრო მარტივი ფორმისაა და ერთფეროვანი. ანასეული II კოლექცია კი ქვის იარაღების მრავალფორმიანობით ხასიათდება (ტაბ.

XXXIII).

ანასეული I-ის ნამოსახლარს სამეთუნეო ნაწარმი არ ახასიათებს, ანასეულ II-ზე კი დიდი რაოდენობით (3700 ერთ.) იყო ნაპოვნი კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტები. ანასეული II-ის კერამიკულ კომპლექსს მრავალფეროვნებითა და რაოდენობის მიხედვით დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებს შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ფრაგმენტების სიმრავლის მიუხედავად ჭურჭლის მთლიანი აღდგენა ვერ ხერხდება, მაგრამ მათი ცალკეული ნაწილების - პირგვერდისა და ძირების მიხედვით შესაძლებელი ხდება ფორმის აღდგენა. ირკვევა, რომ ეს ნაკეთობები ეკუთვნოდა სწორკედლა, ბრტყელძირა, უყურო, პირგადაუშლელ, ხელით ნაძერწ, ქილისებური მოყვანილობის ჭურჭლებს. მათ დასამზადებლად იყენებდნენ წითლადწვად საჭურჭლე თიხას, რომელიც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. უხეში და მსხვილმარცვლოვანი კეცი გადანატეხში უთანაბროა. თიხაში ურევია კვარცის, ქარსისა და კირის ნაწილაკები. კერამიკა არათანაბრადაა გამომწვარი. ჭურჭლის დიდი ნაწილი შემკული იყო "წიწვისებური" და "თავთავისებური" სახეებით (ტაბ. XXXIV).

დასავლეთ საქართველოს ღია ნეოლითურ ნამოსახლარებზე ძვლოვანი მასალა არ გვხვდება. ამის მიზეზია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ტენიანი ჰავა, რომელიც ხელს უწყობს ძვლის სწრაფ დაშლას. სამაგიეროდ ძვლოვანი მასალა კარგადაა შემონახული მღვიმეების ნეოლითურ ფენებში (დარკვეთი IV, აფიანჩა).

ანასეული I-სა და ანასეულ II-ის კომპლექსების ურთიერთშედარებამ და აგრეთვე მათმა შედარებამ ოდიშისა და კისტრიკის კოლექციებთან ცხადყო, რომ ანასეული I-ის სახით დასავლეთ ამიერკავკასიაში აღმოჩნდა მანამდე უცნობი, უკერამიკო, ადრენეოლითური ხანის ძეგლი, ხოლო ანასეული II ოდიშისა და კისტრიკის ანალოგიური გვიანნეოლითური ძეგლია.

ოდიშის ტიპის გვიანნეოლითურ ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე გურიანთის გვიანნეოლითური ნამოსახლარი. იგი მიკვლეული იყო გურიანთის თემის (ოზურგეთის რ-ნი) ს.ციხისფერდში, მდ.სკურდუმის

მარჯვენა ნაპირის ბორცვზე.

ძეგლი აღმოჩენილი იყო 1963 წელს ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის ექსპედიციის (ხელ-ლი აკად. ნ.ბერძენიშვილი) ქვის ხანის შემსწავლელი რაზმის წევრის გ.გრიგოლიას მიერ. ნამოსახლარზე საცდელი გათხრები ჩაატარა და ძეგლი შეისწავლა ლ.ნებიერიძემ.[5]

ნამოსახლარზე მოპოვებული იყო სულ 729 ერთეული მასალა. მათგან 531 ერთ. ქვისაა, 198 - კი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებია. იარაღების და სამზადებელ ნედლეულად ძირითადად კაჟი და რიყის ქვა, იშვიათად ობსიდიანი გამოიყენებოდა. ქვის მასალა წარმოდგენილია მზა იარაღებით და მათი დამზადებისას მიღებული წარმოების ნარჩენებით. მრავლადაა სხვადასხვა სახის ლამელები. იარაღები წარმოდგენილია საფხეკებით, საჭრისებით, სახვრეტებით, კომბინირებული იარაღებით, გეომეტრიული ფორმის მიკროლითებით - ტრაპეციებით, მაღალი ზურგათლილი სწორკუთხედებით. რიყისქვის იარაღებში ვხვდებით ოდიშისა და ანასეული II-ის ტიპის ცულებს, სატეხ-სათლელებს, მიკროლითს, თოხისებურ იარაღს და სხვ. (ტაბ. XXXV).

გურიანთის ნამოსახლარზე მრავლადაა ნაპოვნი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ ცალკეული ნაწილებისა და კეცის ფაქტურის მიხედვით ირკვევა, იგი ანალოგიურია ოდიშისა და ანასეული II-ის კურამიკისა.

გურიანთის ნამოსახლარის მთელი კომპლექსი ახლო ანალოგიებს პოულობს ანასეულ II-ის, მამათისა და ოდიშის გვიანნეოლითური ნამოსახლარის მასალებთან.

ოდიშის ტიპის გვიანნეოლითურ ძეგლებს ეკუთვნის ლანჩხუთის რაიონში აღმოჩენილი მამათის ნეოლითური ნამოსახლარი. კოლექცია, ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებთან შედარებით, მცირერიცხოვანია (230 ერთეული). მამათის ნამოსახლარი მდებარეობს სუფსის მარჯვენა პირველ ტერასაზე, სოფ. მამათის ბოლოს, კოხას უბანში.[6]

ძეგლი აღმოჩენილი იყო 1962 წელს საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნეოლითური რაზმის მიერ (ხელ-ლი

ლ.ნებიერიძე). 1963 წელს მასზე ჩატარდა მოკლევადიანი საცდელი გათხრები, რის შედეგადაც მოპოვებული იყო პატარა, მაგრამ მეტყველი კოლექცია, რომელიც აშკარად გვიჩვენებს, რომ მისი მასალა გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ანასეულ II, გურიანთის, ოდიშისა და სხვა გვიანნეოლითური ჯგუფის ძეგლებთან. კაჟის მასალა წარმოდგენილია: საფხეკებით, საჭრისებით, სახვრეტებით, ორფერდდამუშავებული ტრაპეციებით, მაღალი, ზურგათლილი სწორკუთხედებით, და წარმოების ნარჩენებით - ანატკეც-ანამტვრევებით, ნუკლეუსთა ნაწილებით და კაჭრებით. რიყის ქვის იარაღებიდან ნაპოვნია გახეხილ-გაპრიალებული ცულის ნაწილები, სახეხ-სასრესები, შურდულის ქვები, სალესები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

თიხის ჭურჭლის აღდგენა არც ამ შემთხვევაში ხერხდება, მაგრამ მათი ცალკეული ნაწილები და კეცის სტრუქტურა აშკარად იმეორებს ანასეული II-ის, გურიანთის და ოდიშის სამეთუნეო ნაწარმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

მამათის კოლექციის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი მიეკუთვნება ოდიშის ტიპის ძეგლს, განსაკუთრებით კი დიდ სიახლოვეს იჩენს ანასეულ II-სა და გურიანთას ნამოსახლარებთან.

ნამოსახლარებზე საცხოვრებელი ნაგებობების დამადასტურებელი მხოლოდ ფრაგმენტული მასალა შემორჩა. ანასეულ I-სა და ანასეულ II-ში ნაპოვნი იყო სარ-ლასტის ანაბეჭდიანი ბათქაშები. სამაგიეროდ სხვა ნეოლითურ ძეგლებზე დადასტურდა სარ-ლასტის საყრდენი ღრმულები (დარკვეთი).[7] იქ, სადაც მიკვლეული იყო უძრავი კულტურული ფენები, ნაპოვნია თიხის მოტკეპნილი იატაკის ფრაგმენტები და მათზე ბოძების საყრდენი ორმოები (ხორში, ქობულეთი). ორმოებისა და ღრმულების განლაგების მიხედვით გაირკვა, რომ ნაგებობებს ოთხკუთხა ან მოგრძო სწორკუთხედის ფორმა ჰქონდა.

ანასეულის ბორცვების თავსა და ფერდების ზედა ნაწილებში დადასტურებული იყო ნეოლითური ნაშთების თავმოყრილი ცალკეული "კერები". ნაშთების ამგვარი თავმოყრა ნასახლარებზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ როგორც ჩანს, აქ ნეოლითურ სოფელთან გვაქვს

საქმე, რომელსაც თითქმის მთელი ანასეულის ფართობი ეჭირა. ნამოსახლარები საშუალოდ დაახლოებით 1 - 1,5 ჰა ფართობს მოიცავდა.

სახლმშენებლობის ტექნიკის აღსადგენად მასალები მცირეა, მაგრამ ერთი მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ნეოლითური ტომები ცხოვრობდნენ მიწის ზედა, ხისა თუ თიხით შელესილ წნულ, შესაძლოა ჯარგვალისა თუ ფაცხის ტიპის ნაგებობებში, რომლებსაც ქობულეთის, ხორშის, დარკვეთისა და ჩხორთოლის მონაცემებით უმეტესად ოთხკუთხა ან მოგრძო სწორკუთხედის, იშვიათად მრგვალი ფორმა ჰქონდა, რომელთა მსგავსიც, უკანასკნელ დრომდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს სინამდვილეს.

დასავლეთ საქართველოს ღია ნეოლითურ ნამოსახლარებზე უძრავი კულტურული ფენა არ დადასტურებულა, თუმცა არც მასალის დიდ გადაადგილებას უნდა ჰქონოდა ადგილი. იგი ადგილზე იყო არეული მიწის დამუშავების შედეგად.

ნეოლითური ნამოსახლარების კულტურული ფენები სიმძლავრით არ გამოირჩევა. მათი სისქე საშუალოდ 0,4 - 0,6 მ. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ ხისა თუ წნული ნაგებობის წყობიდან გამოსვლა ვერ გაზრდიდა კულტურული ფენის სისქეს, რასაც აგრეთვე ემატებოდა ეროზიის ფაქტორი.

დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ძირითადად ერთგვაროვანი, ოდიშის ნეოლითური კულტურა, რომელშიც გამოიყო ორი ლოკალური ვარიანტი. მათგან ერთი მოიცავდა დასავლეთ საქართველოს მთისწინა ზეგან-ბორცვოვან ზოლს (ოდიში - ანასეული II ტიპის ძეგლები), მეორე კი ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის ზღვისპირა ტერასების ზოლს (კისტრიკი, ქვედა შილოვკა).

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ნამოსახლარების არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ნეოლითის ეპოქების მცხოვრებთა მეურნეობა ძირითადად დამყარებული იყო მითვისებითი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე, კერძოდ ნადირობაზე, შემგროვებლობასა და მეთევზეობაზე. ახალი მონაცემების საფუძველზე უკვე ნათელი გახდა, რომ მწარმოებლურ ეკონომიკაზე

გადასვლა განხორციელდა გვიანმეზოლით-ადრენეოლითში ფართოდ განვითარებული მითვისებითი მეურნეობის ბაზაზე წარმოქმნილი მეურნეობის ახალი დარგების - მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეშვეობით. ამ ძვრებში მასტიმულირებელი როლი უნდა ეთამაშა ურთიერთობას წინააზიურ სამყაროსთან. ობსიდიანის იმპორტი ამ ოლქებთან ურთიერთობის მკაფიო მაჩვენებელია.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ნამოსახლარების მასალები გვიჩვენებენ, რომ ადრენეოლითში ჩასახულმა მწარმოებლურმა ურთიერთობამ თანდათანობით იწყო განვითარება აღმავალი ხაზით, რის შედეგადაც დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანნეოლითში უკვე გვაქვს ძეგლები განვითარებადი მწარმოებლური ეკონომიკით.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ბიოგეოგარემო ხელს უწყობდა ხშირი ტყისა და აქტიური მცენარეული საფარის განვითარებას. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ შესაძლებელი იყო მხოლოდ საახოვე, თოხური, ურწყავი მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარება.[8] ახოს აღებასთან ერთად ტყის მოწვის სისტემაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. პირველადი მიწათმოქმედება ყველგან ურწყავი იყო.[9] მიწათმოქმედების ყველაზე პრიმიტიული და გავრცელებული ფორმა იყო საახოვე მიწათმოქმედება.[10] მითვისებითი მეურნეობის ბაზაზე მხოლოდ საახოვე მიწათმოქმედების წარმოშობა იყო შესაძლებელი.[11] დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში ახოს სისტემის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალა და ტოპონიმიკა.[12] დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში დადასტურებული საახოვე სისტემა თავისი ფესვებით ნეოლითის ეპოქის პირველყოფილ მიწათმოქმედებას უნდა უკავშირდებოდეს.[13] საახოვე მიწათმოქმედება უფრო ხელსაყრელი და მოხერხებული უნდა ყოფილიყო ნეოლითური ტომების გავრცელების მიკრორაიონებში, მთისწინა ზოლის ზეგან-ბორცვებზე და მდინარისპირა შემაღლებებზე ან ზღვისპირა ტერასებზე, ვიდრე მთის კალთებსა და ფერდობებზე.[14]

მეურნეობის დადასტურებული ფორმები - მითვისებით-კომპლექსური და შემდეგ შერეულ-კომპლექსური მეურნეობა, წარმოშობილი რთული შემგროვებლობისა და განვითარებული მონადირეობის ბაზაზე უნდა

მიუთითებდეს მწარმოებლური მეურნეობის ადგილობრივ წარმოშობაზე და ამ პროცესის ბუნებრივ ხასიათზე. მწარმოებლური მეურნეობა ჩაისახა შავიზღვისპირეთის მთისწინა ზეგან-ბორცვოვან ზოლში, სადაც ყველაზე ოპტიმალური პირობები იყო პრიმიტიული მიწათმოქმედებისათვის.

ანასეულის ნეოლითურ ძეგლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის შესწავლაში. მათ საფუძველზე შემუშავდა დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის პერიოდიზაცია. ანასეულის ძეგლების საშუალებით შესაძლებელი გახდა ამ დიდი რეგიონის ნეოლითურ კულტურაში განვითარების ადრეული და გვიანი საფეხურების გამოყოფა, რაც განაპირობა ანასეულში ნეოლითის ორი, ქრონოლოგიურად განსხვავებული ნამოსახლარის აღმოჩენამ.

ანასეულ I-ს მოჰყვა დასავლეთ საქართველოში დანარჩენი ადრენეოლითური ძეგლების აღმოჩენა (დარკვეთი IV, მელოური, აფიანჩა I, ხორში, ზემო ლემსა), რომლებთანაც გარკვეული პარალელები აკავშირებს ანასეულ I-ს. ძეგლების ამ ჯგუფის საშუალებით შესაძლებელი გახდა ადრენეოლითური საფეხურის ქვის იარაღების დამუშავების ტიპოლოგიურ-ტექნიკური ნიშნების გამოყოფა და მეურნეობის ხასიათის გარკვევა. ასევე ანასეული II-ის ჯგუფის ძეგლების (ანასეული II, ოდიში, კისტრიკი, გურიანთა, მამათი, მახვილაური და სხვ.) საფუძველზე შესაძლებელი გახდა ნეოლითის გვიანი საფეხურის ტექნიკურ-ტიპოლოგიური დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა და მეურნეობის დახასიათება.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხები ჯერჯერობით არასაკმარისადაა შემუშავებული. დასავლეთ საქართველოს ნეოლითისათვის არა გვაქვს არც ერთი ნახშირბადული თარიღი. ამიტომ მათ მიღებამდე ტიპოლოგიურ-შედარებით მეთოდთან ერთად პირველ რიგში ვიყენებთ ამავე რეგიონის ქრონოლოგიურად მომიჯნავე კულტურების შესწორებულ ნახშირბადულ თარიღებს.

დასავლეთ ამიერკავკასიისა და წინააზიური ქვის ინდუსტრიების

შედარებიდან გამოჩნდა, რომ კულტურების განვითარება აღნიშნულ რეგიონებში დაახლოებით ერთ დონეზე მიმდინარეობდა, რომ პროგრესი ქვის დამუშავების ტექნიკასა და ეკონომიკაში თითქმის ერთდროული იყო. ამის გამო დასავლეთ საქართველოს ნეოლითის ქვედა ზღვარი წინააზიური პარალელების (უკერამიკო ნეოლითი) საფუძველზე, რომლებიც ძვ.წ. მე-9-8 ათასწლეულით თარიღდება, ძვ.წ. მე-9 ათასწლეულში გადავიტანეთ. იგივეს ადასტურებს სტრატიგრაფიული მონაცემები და ახალი ნახშირბადული თარიღები.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ადრენეოლითი დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ადგილობრივი მეზოლითის ბაზაზე, გენეტიკურად უკავშირდება მას და კულტურულად და ქრონოლოგიურად მის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. სტრატიგრაფიული მონაცემების თანახმად (აფიანჩა, ცივი მღვიმე), ადრენეოლითი უშუალოდ დაფენილია გვიანმეზოლითზე.

დღეისათვის უკვე გვაქვს აფიანჩას უძრავი, გვიანმეზოლითური ფენის ორი ნახშირბადული თარიღი,[15] რომელთაგან ერთი მიღებულია ფენის ზედა ნაწილიდან, ადრენეოლითის საზღვართან აღებული სინჯიდან - ძვ.წ. 9690±160 ანუ მეათე ათასწლეულის შუა ხანები, მეორე სინჯმა, რომელიც ფენის დაახლოებით შუა ნაწილიდანაა აღებული მოგვცა ძვ.წ. 9960±160 ანუ მეათე ათასწლეულის დასაწყისი. იმის გამო, რომ ამ ფენას ზემოდან უშუალოდ ადევს ადრენეოლითური ფენა, ამ მღვიმის მონაცემების მიხედვით მეათე ათასწლეული შავიზღვისპირეთში ადრენეოლითის ქვედა საზღვრად უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება ნეოლითური კულტურის ზედა ზღვარს, ჩვენ არც ამ პერიოდისათვის გაგვაჩნია ნახშირბადული თარიღები დასავლეთ საქართველოდან, ამიტომ ამგვარი თარიღების მიღებამდე ვიყენებთ და ვითვალისწინებთ საქართველოს ენეოლითური კულტურებისათვის მიღებულ თარიღებს. პირველყოვლისა ვიყენებთ აღმოსავლეთ საქართველოს ადრენეოლითური კულტურის შესწორებულ ნახშირბადულ თარიღებს, რომლის მიხედვითაც ეს კულტურა ძვ.წ. VI ათასწლეულით თარიღდება და ზოგადად თანადროული ჩანს წინა აზიის ადრეხალკოლითის ხანის კულტურისა, ხოლო მისი საწყისები შესაძლებელია ძვ.წ. VII ათასწლეულში გადადიოდეს.[16] ამგვარი ვარაუდის

საფუძველს იძლევა როგორც ძვ.წ. VIII ათასწლეულით დათარიღებული წინა აზიური ანალოგიები, ასევე ხრამის, დიდგორისა და არახლოს ზედა ფენების შესწორებული ნახშირბადული (C14) თარიღები, რომლებიც ძვ.წ. VI ათასწ. შუახანებით თარიღდება. აღნიშნული ძეგლების კულტურულ ფენათა სიმძლავრე მათი ქვედა ფენების საკმაოდ ადრეულ დათარიღებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.[17] ამასთან დაკავშირებით შესაძლებლად მიგვაჩნია დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურის ზედა ზღვარის დაძველება ძვ.წ. VII ათასწლეულამდე.

ნეოლითური კულტურის ზედა ზღვარის ძვ.წ. VIII ათასწლეულამდე დაძველების აუცილებლობაზე მიუთითებენ აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის "სოჭი-ადლერის" ტიპის თოხებიანი ენეოლითური ნამოსახლარები. ეს ძეგლები წინააზიური პარალელების (სიალკი, ხასუნა, სუზა I და სხვ.) საფუძველზე ძვ.წ. VI-IV ათასწლეულების საზღვრებში თავსდებიან. ჩვენ ვიღებთ ამ კულტურის ქვედა ზღვარის თარიღს (ძვ.წ. VI ათასწ.), რომელსაც ქრონოლოგიურად აშკარად წინ უსწრებენ დასავლეთ საქართველოს ოდიში-ანასეული II-ის ტიპის გვიანნეოლითური ნამოსახლარები.

მოტანილი მონაცემების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ძვ.წ. IX-VII ათასწლეულებს შორის უნდა მოთავსდეს.

შენიშვნები

1 G.Child. Man Makes Himself. London. 1939. P. 74.

2 ანასეულის ნეოლითური ნამოსახლარები აღმოაჩინა და მათზე პირველი ზედაპირული მასალა შეკრიბა ადგილობრივმა მხარეთმცოდნემ, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ვიქტორ პავლეს ძე შარკოვსკიმ.

3 ო.ჯაფარიძე. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. აკად. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, 1950, გვ 110; Н.В. Хоштария, Археологические исследования в Уреки, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955, გვ. 71.

4 Г.Ф. Коробкова, К.М. Эсакия. Первые жатвенные ножи Кавказа. (ხელნაწერი)

5 ლ.ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972. გვ. 56-61.

6 ლ.ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972

7 ლ.ნებიერიძე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.

8 ლ.ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986, გვ. 97.9

9 Н.Н Вавилов. Проблемы происхождения мирового земледеия в свете современных исследований. М.-Л. 1932. С. 13.

10 С.А.Семенов. Происхождение земледелия. М. 1974. С. 122.

11 იქვე. გვ. 122.

12 ნ.ბრეგაძე. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბ., 1969. გვ. 100-104.

13 ლ.ნებიერიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 97.

14 იქვე. გვ. 98.

15 З.Д.Церетели, Л.О.Коркия, Н.В.Шатилова. Итоги археологического и палеонтологического изучения многоярусной стоянки Апианча. Хроностратиграфия палеолита Северной, Центральной и Восточной Азии и Америки. Доклады международного симпозиума . Новосибирск. 1990. см. таблицу: спорово-пильцевая диаграма отложений пещеры Апианча.

16 გ.ქავთარაძე. საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურის ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბ., 1981, გვ. 36.

17 იქვე.

Л.Небиеридзе

ПАМЯТНИКИ НОВОКАМЕННОГО ВЕКА ИЗ ГУРИИ

Резюме

Среди неолитических памятников Западного Закавказья особое значение имеют неолитические поселения (Анасеули I, II, Гурианта, Мамати и др.), найденные на теритоии исторической Гурии. В Анасеули (Озургетский р-н), в одном километре друг от друга, найдено два памятника разных ступеней неолита (ранний и поздний), с помощью которых стало возможным выделение ранней и поздней ступеней неолитической культуры Западной Грузии. На основании изучения неолитических памятников Западной Грузии установлен смешанно-комплексный тип хозяйства, возникшего на базе сложного собирательства и развитого охотничания, что указывает на местное происхождение производящего хозяйствования и естественный характер перехода на него.

На основании переднеазиатских параллелей, стратиграфических данных западногрузинских пещер и радиокабонных дат, западногрузинская неолитическая культура вмещается в IX-VII тысячелетия до н.э.

ბ.მურვანიძე

ჭოლიპას ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი (წინასწარი ანალიზი)

(ტაბ. I, IV-VIII)

გურიის ზღვისპირა, მთისწინა და მთიანი ზოლი დაყურსულია არქეოლოგიური ძეგლებით (იხ. ტაბ. I)

ახალი არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა და შესწავლა მნიშვნელოვნად ავსებს კოლხეთის ისტორიის ფურცლებს (კერძოდ: ზღვისპირა ზოლისა და ზოგადად კოლხეთის დაბლობის დასახლებების თავისებურებები, ზღვისპირა და მთიანი ზოლის ურთიერთობის საკითხი, მადანმოპოვება და მეტალურგიის ჩასახვა, მეურნეობის განვითარება და სხვ.).

1990 წლიდან გურიის რეგიონში არქეოლოგიური ექსპედიციის ფუნქციონირების დაწყებისთანავე, კამერალური და საველე-სადაზვერვო სამუშაოების შესრულების პროცესში, დაზუსტდა შემთხვევით აღმოჩენილი ძეგლების ადგილმდებარეობა და შესაძლებისდაგვარად გაირკვა მათი ხასიათი.

ამ ძეგლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ჭოლიპას ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარმა. იგი აღმოჩნდა ჭოლიპას ტბის ტერიტორიაზე, "კოლხიდმშენის" მიერ წარმოებული მიწის სამუშაოების დროს. (არქეოლოგიური მასალა ლანჩხუთის მუზეუმის თანამშრომლებს მუშების დახმარებით აუკრეფიათ).[1]

ჭოლიპას ნამოსახლარის თანადროული მასალების შემცველი ძეგლები არც თუ ბევრია ცნობილი. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ 1994 წ. სოფ. შემოქმედის ტერიტორიაზე ეკლესიის ქვემოთ, გორის ერთ-ერთ კალთაზე, აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. იქ აკრეფილი კერამიკული მასალა (კეცის ფაქტურა, გამოწვა, თიხის ჭურჭლის ფორმები) დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ჭოლიპას ნამოსახლარის კერამიკასთან.

ამრიგად ჩვენ საშუალება მოგვეცა ჭოლიპას კერამიკული მასალა

შეგვედარებინა როგორც კოლხეთის დაბლობის, ასევე მთისწინა და მთიანი მხარის ამავე პერიოდის ნამოსახლარების კერამიკული მასალებისათვის.

ჭოლიპას ნამოსახლარი მდებარეობს ქ.ლანჩხუთის ცენტრიდან 3 კმ-ზე სამხრეთ-დასავლეთით, დღევანდელი მაჩხვარეთის საკრებულოს ტერიტორიაზე, იქ, სადაც ადრე ჭოლიპას ტბა მდებარეობდა. ადგილობრივი მცხოვრებლის ლადო წილოსანის გადმოცემით, ტბას ჩამოუდიოდა "ლაშისღელე", ტბის მიმდებარე ტერიტორიას კი ეძახდნენ "ჯიგორფშას". ამჟამად ეს ტბა დამშრალია. "კოლხიდმშენის" თანამშრომლებმა ღრმა სადრენაჟო თხრილების გაჭრის პროცესში დააზიანეს ნამოსახლარი.

როგორც აღინიშნა, ჭოლიპას ნამოსახლარიდან აკრეფილი მასალა - თიხის ჭურჭლის ნატეხები, რიყის ქვის ცულები და კაჟის ანატკეც-ანამტვრევები - ინახება ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამ მასალებში გამოიყო თიხის ჭურჭლის შემდეგი ტიპები: დერგი, ქილა, ქოთანი, სასმისი, ფიალა, კოჭობი და ჯამისებრი ჭურჭელი (ტაბ. V-VII).

დერგები და ქილები ერთად გვაქვს განხილული, რადგანაც მათ შორის განსხვავება მხოლოდ ზომებშია. ბაკო ყველა ჭურჭელს მომრგვალებული აქვს, ორი დაბრტყელებულია. პირი მეტწილად გადაშლილი აქვს, ყელი - გამოყვანილი. სამ შემთხვევაში მხართან მკვეთრწიბოიანია. მუცელი ძირითადათ ბირთვისებურია, იშვიათად, მაგრამ გვხვდება მსხლისებრი ფორმა. ორ შემთხვევაში მუცელი წიბოიანია. სხვადასხვა ზომის ძირების მიხედვით კალთა გამოყვანილია, ძირთან ბრტყელი, ოდნავ ამობურცული, ქუსლგამოყვანილი. რამდენიმე შემთხვევაა, როცა ძირს ემჩნევა მცენარეული ანაბეჭდი. ამ ტიპის კერამიკა აღმოჩენილია დაბლაგომის და ფიჩორის ნამოსახლარებზე და მას მკვლევარები ადგილობრივ კერამიკად მიიჩნევენ. ზემოაღნიშნული დერგებისა და ქილებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა ტექნიკით დატანილი შემკულობა. დერგსა და ქილას ყელთან და მხარზე ახასიათებს რელიეფური მეჭეჭისებრი დანაძერწი. ერთ შემთხვევაში ყელს კონუსისებრი ფორმის შვერილი ამკობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები. წელში გამოყვანილი ლენტისებრი ყურისთავი ბაკოზე, ხოლო ძირი ყელზე ან მხარზეა დაძერწილი. ეს ყურები მტკვარ-არაქსული კულტურის იერს ატარებენ. ჩამოთვლილი თიხის ჭურჭლის ფორმები

დასტურდება ისპანის, შემოქმედის, არგვეთის ნამოსახლარებზე.[2]

ყურის ბაკოზე და მხარზე დაძერწვა დამახასიათებელი ჩანს კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის. აღსანიშნავია, რომ იგი დასტურდება შემოქმედის ამავე პერიოდის ნამოსახლარის მასალებში. ადგილობრივთან ერთად, იქაც შეიმჩნევა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ჭურჭლის ნატეხი. როგორც ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის იმპულსები ვრცელდება კოლხეთის როგორც დაბლობის, ასევე მთისწინა ზოლის თანადროულ ძეგლებზე.

ქოთნები გამომწვარია ლეგა-ყავისფრად, ან მორუხო-მონაცისფროდ. დამზადებულია ხელით, მქისე თიხისაგან, ემჩნევა მსხვილმარცვლოვანი მინარევები. ზედაპირი უსწორმასწოროა, ტლანქადაა დამზადებული, გვხვდება ნაპრიალებზედაპირიანიც. ბაკო მომრგვალებული აქვს, პირი ორ შემთხვევაში გადაშლილია. ორს ყელი გამოყვანილი აქვს, მხართან მკვეთრ წიბოს ქმნის. მუცელი ერთ შემთხვევაში ბირთვისებრია, ორიც მკვეთრად გამობერილი. ფორმით მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის იერს ატარებს. ფრაგმენტულობის გამო ზუსტი ანალოგიების მოძებნა ძნელდება. თუმცა ცილინდრულყელიანობა, ბირთვისებრი ან მსხლისებრი ფორმა არქაულობის მანიშნებელია.

გამოიყო სასმისების რამდენიმე ჯგუფი. 1. ჭილისებრი სასმისი ორია. ერთი ნაკლულია, ყური დაზიანებული აქვს. ბაკო მომრგვალებული, უსწორმასწოროა. მუცელი მსხლისებრი, ვიწრო, ოდნავ გამობერილი. ლენტისებრი, შუაში ოდნავ შევიწროებული ყურისთავი ბაკოზე, ხოლო ძირი მხარზეა ზემოდან დაძერწილი. მეორე ჭილისებრი სასმისი ფორმით ზემოაღნიშნულისაგან მკვეთრად განსხვავდება. ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი სწორი, დაბალი, მუცელი მსხლისებრი, ასიმეტრიული. ძირთან მკვეთრად გამოყვანილია.

2. ჭიქისებრი ფორმის სასმისი ორია, ორივე ნაკლულია. ერთს ახასიათებს მრგვალი ბაკო, ფართოდ გადაშლილი პირი, ცილინდრული ტანი. მაღალ ქუსლიანია, ოდნავ გამოზნექილი ძირით. მეორეს პირ-ყელის ნაწილი არ გააჩნია, ძირთან თანდათან შევიწროებულია. ოდნავ ამოზნექილ ძირს დაბალი ქუსლი გააჩნია.

განსაკუთრებით საინტერესოა სასმისების ის ჯგუფი, რომელთაც ახასიათებს ფართოდ გადაშლილი, სწორი, ზოგჯერ ოდნავ მომრგვალებული მხარი. ამ ტიპის ჭურჭელი ცნობილია რიონ-ყვირილას აუზიდან. გ.ფხაკაძე მათ მაიკოპურ კერამიკად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ ისინი მღვიმეთა ზედა ჰორიზონტიდან მომდინარეობენ.[3]

თიხის ნაწარმთან ერთად ჭოლიპას ნამოსახლარის მასალებში დასტურდება რიყის ქვის ხელცული(?) და კაჟის ანატკეცი, რომელთაც ეტყობათ გამოყენების კვალი.

ამრიგად, ჭოლიპას ტბის ნამოსახლარის მასალების არასრული შესწავლაც კი აშკარად მიგვანიშნებს ამ ძეგლის მნიშვნელობაზე შესასწავლ რეგიონში. თუნდაც ის, რომ კოლხეთის დაბლობის ამ რეგიონში, ისპანის მსგავსად, ტორფქვეშა ნამოსახლარი დასტურდება, რომელსაც პროტოკოლხური კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით პირველხარისხოვანი როლი შეიძლება მიენიჭოს.

ნამოსახლარისეული მასალები მიგვანიშნებენ მტკვარ-არაქსული კულტურის იმპულსებზე, რომელიც გამოიხატება ცალკეული თიხის ჭურჭლის გამოწვაში, ფაქტურაში, ფორმასა და შემკულობაში. მაგრამ ეს იმპულსები (მასალის შესწავლის ამ ეტაპზე) არც ისე ძლიერი ჩანს.

ჭოლიპას ნამოსახლარის კერამიკული მასალის შესწავლისას მთავარია არა ის, პროტოკოლხური კერამიკა ჭარბობს თუ მტკვარ-არაქსული, არამედ ის, რომ ამ ორი კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები თავს იყრის ერთ ძეგლში. ეს ჩვენი აზრით დამათარიღებელ მნიშვნელობას ძენს ზემოაღნიშნულ ძეგლს და რადგანაც არგვეთის ნამოსახლარის ზედა ჰორიზონტის მასალები (რომელშიაც გვხვდება ჭოლიპას თიხის ჭურჭლის ცალკეული ტიპის ზუსტი ანალოგიები) რადიოკარბონული მეთოდით თარიღდება ძვ.წ. XXIV სს. ვფიქრობთ შეცდომა არ იქნება, თუ ზემოაღნიშნულ საკვლევ ძეგლს წინასწარულად III ათასწლელის შუახენებით დავათარიღებთ.

მტკვარ-არაქსული და პროტოკოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკული მასალის თანაარსებობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასტურდება არა მხოლოდ კოლხეთის დაბლობზე, არამედ

მთისწინა ზოლშიც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ახლად აღმოჩენილი ძეგლი, რომელიც მდებარეობს სოფელ შემოქმედში.[4] ესაა ტერასულად გამართული ნამოსახლარი. აქ აკრეფილ მასალებში შეიმჩნევა ზუსტად ის კანონზომიერება, რაც დაფიქსირდა დაბლაგომისა და არგვეთის ნამოსახლარებზე. კერძოდ მტკვარ-არაქსული და პროტოკოლხური კერამიკული ნაწარმის თანაარსებობა. ერთი განსხვავებით, შემოქმედის ნამოსახლარზე ზემოაღნიშნული იმპულსები შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი.

შენიშვნები

1 მასალის ძირითადი ნაწილი მუზეუმის ფონდში ინახება

2 გ.ფხაკაძე. დასავლეთი ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. თბ., 1993, გვ. 71-73.

3 გ.ფხაკაძე. დასახ. ნაშრომი. ტაბ. III.

4 ძეგლის აღმოჩენისა და ადგილმდებარეობის შესახებ იხილეთ "არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში. 1991-94 წწ.". [ვ.ს.]

Б.Мурванидзе

ПРЕДВАРИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ КЕРАМИЧЕСКИХ ИЗДЕЛИЙ С ПОСЕЛЕНИЯ ЧОЛИПА

Резюме

Статья содержит анализ керамических изделий раннебронзового поселения в с. Чолипа (Ланчхутский р-н).

В этих материалах засвидетельствовано сосуществование признаков протоколхидской и куро-араксской культур, что датирует памятник серединой III тыс. до н.э.

ლ.ჯიბლაძე

კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია

(ტაბ. XXXVI-XXXVII)

კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ძნელად გადასაწყვეტ პრობლემად. ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში პროფ. ბ.კუფტინმა[1] ამ მიმართულებით პირველმა გაკვალა გზა. მომდევნო წლებში ამ პრობლემაზე არაერთმა მკვლევარმა გაამახვილა ყურადღება.[2] ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები ძირითადად წყდებოდა ცალკეული რეგიონების, ძეგლების და ეპოქების მიხედვით. მათი შეფარდება-სინქრონიზაცია, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების ეტაპობრივი განვითარება და ერთიანი სურათი საკმაოდ ბუნდოვნად იკვეთებოდა. ამ მხრივ დიდი სამუშაოები ჩაატარა ე.გოგაძემ[3] და განსაკუთრებით პროფ. თ.მიქელაძემ,[4] რომელმაც პირველმა მოგვცა კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკის პერიოდიზაცია და დაადგინა მისი ეტაპობრივი განვითარება.

უკანასკნელ წლებში კოლხეთის დაბლობზე შესწავლილი იქნა ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები (ფიჩორი, ერგეტა, ჩოლოქი, ნამჭედური, ნაკარღალი, ტამიში და სხვა). ამ ძეგლების სტრატიგრაფიული მონაცემები და საკვლევი რეგიონის სხვა თანადროულ ნამოსახლარებთან სინქრონიზაცია საშუალებას გვაძლევს ახლებურად შევხედოთ აღნიშნულ პრობლემას და მის განვითარებაში გამოვყოთ უფრო ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოები.

კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლართა ქრონოლოგია-პერიოდიზაციის შკალის შემუშავებისას ვეყრდნობით როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი დათარიღების მეთოდებს (სტრატიგრაფია, ტიპოლოგიური კვლევა). პროტოკოლხური I ეტაპის განვითარებაში შესაძლებლად მიგვაჩნია ადრეული და უფრო გვიანი

საფეხურების გამოყოფა. ვფიქრობთ, ადრეულ საფეხურს (დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები, XXIV-XXIII სს.) ეკუთვნის ისპანის (ქვედა ჰორიზონტი), ჩაქვის, ჭოლიპისა და შემოქმედის ნამოსახლარები[5] (ტაბ. V-VIII). ამ ეტაპის სინქრონულია მაჭარა (IV ფენა) და გუანდრა (ძვ. ფენა), რომლებიც დოლმენური კულტურისაკენ მიიღტვიან, მაგრამ გხვდებით პროტოკოლხური კულტურის მძლავრ ელემენტებსაც. გვიანი საფეხურის (III ათასწლეულის მიწურული) ნამოსახლარებია ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (VIII, VII, VI ფენა), ოჩამჩირე, ანაკლია I (ქვედა ფენა), ისპანი (ზედა ჰორიზონტი). ანაკლია II (ქვედა ფენები), საელიაოს კურზია (ქვედა ფენა). მათი სინქრონული ჩანს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გამოვლენილი ძეგლები: გუმისთა I, აჩანდარა, პალი, ახრა-კაპში, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს პროტოკოლხური და დოლმენური კულტურების თანხვდომის ადგილებად. პროტოკოლხური II ეტაპის (ძვ.წ. XIX-XVI ს. პირველი ნახევარი) ნამოსახლარებია: ფიჩორი (V ფენა), ერგეტა (V ფენა), ნაკარღალი (IV, V, VI ფენა), ფიჩორის №.6 ბორცვი, ანაკლია (I-II ფენა).

პროტოკოლხურიდან ძველკოლხურ I ეტაპზე (ძვ.წ. XVI-XV სს.) გარდამავალი საფეხურის ძეგლებად მიგვაჩნია ნოსირი შესამე (I ფენა), ნამჭედური (VI ფენა), ერგეტა (IV-III ფენა), ანაკლია I (III ფენა), ფიჩორი (IV ფენა), ნაკარღალი (III-II ფენა) საელიაოს კურზია (II ფენა) და წყემი (IV ფენა).

ამ ნამოსახლარების თანადროულებია ალბათ ურეკის, ლეჩკოფის, ქვიშარის, პილენკოვოს, გალის (1959 წ. განძი), ბრილის, გაგრის, ჭოროხის, ქობულეთის, ერგეს, ზემო კოჭოსა და მახოს განძებში შემავალი ნივთები. ვფიქრობთ ძველკოლხური I ეტაპი ორ საფეხურად უნდა გაიყოს: უფრო ადრეულს (ძვ.წ. XIV-XII სს.) ეკუთვნის ფიჩორი (III ფენა),[6] ნაოხვამუ (ქვედა ფენა), თაგილონის "წიფურიას ბორცვი" (IV ფენა), ჩოლოქისპირა (ქვედა ფენები), პატრიკეთი, საელიაოს კურზია (II ფენა), ნამარნუ (ჩრდილოეთი ბორცვი), ნოსირი (II, III ფენა), ანაკლია I (IV ფენა), ნამჭედური (V ფენა), კოდორი I. ამავე ეტაპს ვაკუთვნებთ ფიჩორის სამაროვნის სამიებო მოედანზე გამოვლენილი კერამიკის მცირე ჯგუფს. არსებობას განაგრძობს ჰორიზონტალურმხრიანი და სამკუთხაპირიანი

ბრინჯაოს თოხები და მათი ჩამოსასხმელი ყალიბები (ზენითი, ნამჭედური, ჩოლოქი). ძველკოლხურ I ეტაპის ადრეულ საფეხურზე არსებობას წყვეტს პროტოკოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი.

ძველკოლხური I ეტაპის (ძვ.წ. XI-X სს.) გვიანი საფეხურის ძეგლებია: ტამიში (ქვედა ჰორიზონტი), ფიჩორის №.4 ბორცვი (ქვედა ჰორიზონტი), ფიჭვნარი (გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი), ფიჩორის ცენტრალური "გუძუბა" (II ფენა), ნაოხვამუ (შუა ფენა), ნამჭედური (III-IV ფენა), ნამარნუ (IV ფენა) და სხვა. ამ ეტაპზე ზოგიერთი ძეგლის მიხედვით კოლხეთის დაბლობზე ჩნდება ჩარხზე დამზადებული კერამიკა. ძველკოლხური II ეტაპის (დაახლოებით ძვ.წ. VIII-VII სს., ადრერკინის ხანა) ნამოსახლარებია ბომბორა, ჭალადიდის ზურგა (ზედა ფენა), დაბლაგომი (შუა ფენა), ნაოხვამუ (ზედა ფენა), ტამიში (ზედა ჰორიზონტი), კისტრიკი (გვიანი ფენა) და სხვა სინქრონული ძეგლები.

კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე პროტოკოლხური I და II ეტაპის ძეგლების მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს მოვხაზოთ მათი გავრცელების ტერიტორიული საზღვრები: სამხრეთ-დასავლეთით - ისპანი, ნამჭედური (VI ფენა), ჩაქვი; აღმოსავლეთით - არგვეთის ნამოსახლარი (ვგულისხმობთ ამ ნამოსახლარზე მტკვარ-არაქსის კერამიკასთან ერთად დაფიქსირებულ პროტოკოლხურ თიხის ნაწარმს). უკანასკნელი აღმოჩენების მიხედვით ირკვევა, რომ ეს კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში, არამედ მის სიღრმეშიც. დაბლაგომთან ერთად ამის დასტურია გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ისტ. მეც. კანდიდატი ვ. სადრაძე) ჭოლიპისა (ლანჩხუთის რ-ნი) და შემოქმედის (ოზურგეთის რ-ნი) ნამოსახლარების აღმოჩენა, სადაც გამოვლინდა ტიპიური პროტოკოლხური კერამიკა.[7] როგორც ჩანს, დღევანდელი გურიის რეგიონი (III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ეგებ მისი მიწურულიდან) მძლავრად იყო დასახლებული პროტოკოლხური ტომებით. შესაძლოა ეს რეგიონი, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთთან ერთად, წარმოადგენდა პროტოკოლხური კულტურის ფორმირების ერთ-ერთ კერას. ამ კულტურის ძეგლები ჯერ-ჯერობით არ არის გამოვლენილი კოლხეთის დაბლობის მთიან რეგიონში (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი). აქ აღმოჩენილი ყუამილიანი ცულების

ზოგიერთი სახეობა და ტიპიური პროტოკოლხური კულტურის კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი (ჭუბერი, ეცერი) გვაფიქრებინებს, რომ გარკვეულ ეტაპზე კოლხეთის მთიანი რეგიონიც ჩართული იყო პროტოკოლხურ არეალში. ეს კულტურა ვრცელდება ქ.სოხუმამდე და ჩრდილოეთით მისი ელემენტები გვხვდება დოლმენური კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად (გუმისთა I, ახრაკაპში, პალი, გუანდრა და სხვა). კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე III ათასწლეულის შუა ხანებიდან (დაახლოებით ძვ.წ. XXIV-XXIII სს.) ადგილობრივი წარმოების კერამიკასთან ერთად ვრცელდება შავად კარგად ნაპრიალები სქელკედლიანი და თხელკეციანი თიხის ჭურჭელი. ჭარბობს ნაკაწრი ბადისებრი ორნამენტით შემკული ლენტურყურიანი, ბიკონუსური ფორმის დოქები, სამარიელეები, ქილები. გვხვდება დიდი ზომის ჭურჭლებიც. ვფიქრობ, კერამიკის ეს ჯგუფი პირდაპირ უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ კულტურებს (მტკვარ-არაქსული, ბედენური და თრიალეთური). ვგულისხმობთ კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, გაცვლა-გამოცვლას, ვაჭრობას, ტექნოლოგიურ ტრადიციებს და სხვ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის კერამიკის პირველი ტალღა (ისპანის ქვედა ჰორიზონტი) შემოდის მტკვარ-არაქსის კულტურიდან, მეორე - ბედენურიდან (ფიჩორი VIII-V ფენა, ანაკლია I, ანაკლია II, ოჩამჩირე, ერგეტა), ხოლო მესამე - (შავპრიალა კერამიკა) - თრიალეთიდან (ნამჭედური VI, ფიჩორი IV და სხვა).

ძველკოლხური კულტურა (I, II ეტაპი) მოიცავს კოლხეთის ტერიტორიას. როგორც ლითონის, ასევე კერამიკული ნაწარმის მიხედვით, იგი მძლავრადაა წარმოდგენილი (განსაკუთრებით II ეტაპი) ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში - მდ.ფსოუმდე (ტამიში, მოქვი, მაჭარა, სოხუმის მთა, გერეშჩაგინის მთა, ბომბორა, კისტრიკი და გაგრის სამაროვნი). ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთით ამ კულტურის გავრცელების ბოლო პუნქტებია: ჩოლოქი, ციხისძირის წინარე ანტიკური ხანის ნამოსახლარი, ნამჭედური, ბათუმის ციხის ქვედა ფენა. ეს კულტურა ვრცელდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მომიჯნავე თურქეთის ტერიტორიაზეც.

აღმოსავლეთით ძველკოლხური კულტურის არეალი იფარგლება საჩხერის რაიონით (მოდინახე, კორბოული და სხვა). ძველკოლხური კულტურის მძლავრი ელემენტები მოჩანს მესხეთ-ჯავახეთში (წუნდა, მოდითი, კულა, ხოვლე, ნაცარგორა, საციხარი და სხვ.).

ამგვარად გვესახება კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები. მათი ამომწურავი ანალიზი და რიგი პრობლემების გადაწყვეტა ასე მცირე სტატიაში შეუძლებელია. მომავალმა აღმოჩენებმა შესაძლოა ზოგიერთი რამ დააზუსტოს და შეცვალოს კიდეც.

შენიშვნები

1 Б.А.Куфтин. Материалы к археологии Колхиды. т.II, Тб., 1950.

2 В.Бжания. Мачарское поселение энеолита и бронзы в Абхази. СА.1. 1966; Т.К.Микеладзе, Д.А.Хахутайшвили. Древнеколхидское поселение Намчедури. Тб., 1985; М.В.Барамидзе. Пичорское поселение. Материалы IV-V Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья (Цхалтубо. Вани. 1985 и 1987гг), Тб., 1988, 1990; გ.ფხაკაძე. დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათას წლეულში. თბ., 1993; ალ.რამიშვილი. გვიანბრინჯაოს ხანის ნაქალაქარი ფიჭვნარში. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, №. 4. 1975.

3 ე.გოგაძე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლარების კულტურა. თბ., 1985.

4 თ.მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974.

5 იხ. აქვე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში 1991-94 წწ. ტაბ. V-VIII

6 ფიჩორისა და ტამიშის ნამოსახლარების შესახებ იხ. М.В.Бара›идзе, Г.Пхакадзе, Т.Чигошвили и др. Археологические исследования в Абхазии. ПАИ в 1977 г. Тб., 1980. С. 104; М.Барамидзе, Г.Пхакадзе,

Т.Чигошвили, Б.Шеразадашвили и др. Археологические исследования в Гальском районе Абхазской АССР. ПАИ в 1986 г. Тб., 1991. С. 18-22.

7 ბ.მურვანიძე. ჭოლიპას ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმის წინასწარი ანალიზი. ქვეყნდება წინამდებრე კრებულში [ვ.ს.]

Л.Джибладзе

ХРОНОЛОГИЯ-ПЕРИОДИЗАЦИЯ ПОСЕЛЕНИЙ ЭПОХИ БРОНЗЫ - РАННЕГО ЖЕЛЕЗА КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ

Резюме

С учетом новых данных, в поэтапной периодизации ранне выделенных протоколхидской и древнеколхидской культур, удалось установить внутрехронологические ступени: 1) ранняя ступень протоколхидского I этапа; 2) его-же поздняя ступень; 3) переходный период от протоколхидского к древнеколхидскому I этапу; 4) ранняя ступень древнеколхидского I этапа; 5) его-же поздняя ступень. В хронологической последовательности, согласно поэтапной периодизации развития, поселения эпохи бронзы - раннего железа распредилились в стратиграфическом разрезе.

Протоколхидская и древнеколхидская культуры были распространены на территории Колхидской низменности. В эту орбиту вовлечен и горный регион Колхиды, что особенно хорошо прослеживается по металлическому инвентарю и керамической продукции древнеколхидского II этапа. В ареал этих культур попадает и Северо-Западная Колхида до р. Псоу, где на некоторых памятниках прослеживается совпадение протоколхидской и дольменной культур.

В протоколхидскую эпоху, наряду с грубофактурной керамикой, в колхидской низменности распространяется чернолощенная керамика, характерная для куро-араксской, беденской и триалетской культур.

ნ.ვაშაკიძე

სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები
(ტაბ. XXXVIII-XL)

ჩოხატაურის და ნაწილობრივ ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში დაგროვდა შემთხვევით აღმოჩენილი ელინისტური ხანის ქვევრსამარხების კომპლექსები თუ ცალკეული ნივთები, რომელთა უმრავლესობა გურიის აღმოსავლეთ ნაწილიდან (მდ. სუფსის ზემო წელი) მომდინარეობს: **წიფნარი, ზენობანი, დიდივანი, ქვემო ხეთი, ზემო ფარცხმა** (ჩოხატაურის რაიონი);* ქვევრსამარხების აღმოჩენის ერთეული შემთხვევები ცნობილია გურიის სხვა ადგილებშიც - სოფ. **ჩიბათი** (ლანჩხუთის რაიონი) და **გოგორეთი** (ოზურგეთის რაიონი).

ამ აღმოჩენებისადმი მეცნიერული ინტერესი მეტად დიდია, ამიტომაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1968 და 1970 წლებში ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზემო ფარცხმის ტერიტორიაზე განხორციელდა თანმიმდევრული არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც გამოვლინდა 33 ქვევრსამარხი. ზემო ფარცხმის ელინისტური ხანის სამაროვნის შესახებ ჩვენ სხვა დროს გვექნება საუბარი; ამჯერად დავკმაყოფილდებით შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხების განხილვით. მათ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ზემო ფარცხმის სამაროვნის, ასევე, საერთოდ, ქვევრსამარხების პრობლემის კვლევისათვის დასავლეთ საქართველოში.

შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები განხილული გვაქვს ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით.

---

* განსაკუთრებით დიდი ღვაწლი აღმოჩენილი ნივთების გამოვლენაში, დაცვა-გადარჩენაში, მიუძღვის ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს რ.გიორგაძეს და მეცნიერ მუშაკს ს.ვაშალომიძეს, რომელთაც მადლობას მოვახსენებთ გაწეული დახმარებისათვის.

წიფნარის ქვევრსამარხი აღმოჩნდა 1958 წელს ა.მეფარიშვილის საკარმიდამო ნაკვეთზე. სამარხეული კომპლექსი მთლიანად შემოინახა და დაცულია ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. შედგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ სამარხად გამოყენებული ქვევრი ჩაფლული ყოფილა ვერტიკალურად, პირით ქვემოთკენ. სამარხში აღმოჩენილა შემდეგი არქეოლოგიური მასალები: თიხის დოქი, შავლაკიანი კანთაროსი, ბრინჯაოს ბეჭედი, ბრინჯაოსვე რკალშეზნექილი სამაჯური და ოთხი კოლხური მონეტა.

ქვევრი (№.01185) მასიურია, სქელკედლიანი (კედლის სისქე 2 სმ), მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი დაფარულია შავი ფერის თიხის ხსნარის თხელი ფენით. ქვევრის არც თუ ფართო ქობაგამსხვილებული პირი გარეთკენ არის გადაშლილი. ყელი შედარებით დაბალი, ცილინდრული მოყვანილობისაა, მხრები ფართო, მუცელი გამობერილი. კალთები ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება და ბოლოვდება გვერდებისაგან მკვეთრად გამოყოფილი ბრტყელი ვიწრო ძირით. ქვევრი მდიდრულადაა ორნამენტირებული. მთელი ზედაპირი დაფარულია ერთმანეთზე მიჯრილი ჰორიზონტალური ღარებით. პირის გარეთა მხარზე მოცემულია ჰორიზონტალური რელიეფური ზოლები. ყელს ქვემოთ შემოუყვება ირიბი ნაჭდევის სამი ზოლისაგან შემდგარი სარტყელი. სამი გრეხილი ზოლი შემოვლებული აქვს მხარზეც. ქვევრის მხარის არეში რელიეფური დაძერწილი ხაზებით გამოყვანილია ერთმანეთისაგან თანაბრად დაცილებული, წვერით ზემოთკენ მიმართული, ერთმანეთში ჩასმული სამ-სამი სამკუთხედი, ბოლოზე დაძერწილი კოპებით. ფუძის ხაზი არ არის გამოსახული. ქვევრს მხარზე მამლის სტილიზებული გამოსახულება აქვს ამოკაწრული (ტაბ. XXXIX, 6). მხრებიდან ქვემოთკენ ეშვება ოდნავ ირიბად დახრილი ირიბი ქედები, რომლებიც მუცლის არეში წყდება და ბოლოვდება დაძერწილი კოპებით. ამ ადგილას ქვევრს შემოუყვება ჰორიზონტალური ორი რელიეფური ქედი, რომლის ქვემოთ ისევ იწყება შედარებით დაშორებით განლაგებული ვერტიკალური ქედების რიგი. ქვევრი მუცლის ქვემოთ გადახერხილია. ძირი მასიურია, ქუსლგამოყვანილი. შემკულობის ამ მოტივის მქონე ქვევრები ადრეულ ტიპად არის მიჩნეული და ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება.[1]

სამარხეული ინვენტარიდან ყურადღებას იპყრობს თიხის ჭურჭელი.

დოქი (№.1189, ტაბ. XXXVIII,1) პატარა ზომისაა, თიხა - რუხი მოშავო ფერის, ზედაპირი - შავად გაპრიალებული, ყელი - მომაღლო, პირი - ფართოდ გარეთკენ გადაშლილი, მუცელი - დაბალი და მომრგვალებული. ოვალურგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიერთებულია უშუალოდ პირთან, მეორე - მხრის არეში. ყურის ზედა მხარეზე დაძერწილია კოპი. დოქს ყელზე შემოუყვება ოთხი ამოღარული ჰორიზონტალური ზოლი, ხოლო მის ქვემოთ ირიბი ნაჭდევებისაგან შემდგარი სარტყელი, მხარის არე, სამკუთხა შევრონებითაა შემკული, რომლებიც შევსებულია ამოკაწრული ვერტიკალური ხაზებით. ზომები: სიმაღლე - 16,5 სმ, ყელის სიმაღლე - 5 სმ, ძირის დიამ. - 6 სმ. ნ.კილურაძის ცნობით, ანალოგიური დოქი აღმოჩნდა დაფნარში ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებულ №.5 ქვევრსამარხში. მსგავსი ჭურჭელი ასეთივე ორნამენტით ცნობილია სოფ.ციხესულორში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხიდან.[2]

შავლაკიანი კანთაროსი (№.01188, ტაბ. XXXVIII, 2), თიხა ვარდისფრად გამომწვარი, კარგად განლექილია. ყელი - მომაღლო ცილინდრული მოყვანილობის. პირი - ოდნავ გარეთკენ გადაშლილი. კონუსური მოყვანილობის ტანი ძირისაკენ შევიწროებულია. ქუსლი - შედარებით მაღალი. ქუსლის გარეთა მხარეს ორი რელიეფური ზოლი საფეხურისებურად არის განლაგებული. ყურების ერთი ბოლო ტანის დასაწყისშია მიძერწილი, მეორე კი უშუალოდ უერთდება პირის ქობას, სადაც დაძერწილია ჰორიზონტალური ქიმები. ტანის მთელი ზედაპირი კანელურებითაა შემკული. ჭურჭლის შიდა და გარეთა ზედაპირი დაბალი ხარისხის, მქრქალი, შავი ლაკით ყოფილა დაფარული. ახლა ლაკი აქა-იქ შემორჩენილა. ზომები: სიმაღლე 6 სმ, პირის დიამ. 8,5 სმ, ყურის შვერილის სიგრძე 4,5 სმ, ქუსლის სიმაღლე 2 სმ., დიამ. 4,2 სმ.

წიფნარის ქვევრსამარხის დათარიღებისას, განსაკუთრებით საყურადღებოა აღწერილი კანთაროსი. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის ჭურჭლები ცნობილია სოხუმის მთიდან,[3] დაფნარიდან,[4] ზემო ფარცხმის სამაროვნიდან[5] და სხვ. ანალოგიური კანთაროსები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთშიც და სხვა ბერძნულ ცენტრებში. ისინი კარგად თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ებით.[6]

ბეჭდები (№.01184, №.01185) წიფნარის სამარხეულ კომპლექსში ერთი ტიპისაა. ბეჭდის ფარაკი და რკალი დამზადებულია ლითონის ფირფიტისაგან. ბრტყელი რკალი თანდათან ფართოვდება და გადადის მრგვალ ბრტყელ ფარაკში (ტაბ. XL, 11, 12), ერთ-ერთ ბეჭედს რკალი გახსნილი აქვს. ბეჭდები ძალზე დაზიანებულია. ერთისაგან (№. 01185) რკალისა და ფარაკის პატარა ნატეხებიღაა შემორჩენილი. უკეთესად დაცული ეკზემპლარის (№. 01184) ფარაკი პატინისაგან დაცრეცილია და მასზე მოცემული გამოსახულების გარკვევა შეუძლებელი ხდება. ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული ამ ტიპის საბეჭდავი ბეჭდები ძვ.წ. V-IV სს. ფართოდაა გავრცელებული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.[7]

სამაჯური (№.01186, ტაბ. XL,5) ბრინჯაოსია, რკალშეზნექილი, შედარებით მომცრო ზომისაა. დამზადებულია თხელი, ვიწრო ფირფიტისაგან. რკალი მთელ სიგრძეზე თანაბარი სიფართისაა. რკალის შეზნექილობა არამკვეთრია. ბოლოებზე გველის თავის სტილიზებული გამოსახულებაა მოცემული. გველის თავი რკალისაგან გამოყოფილია ორი ამოღარული განივი ზოლით. თვალები ორი ჩაჭდეული წერტილითაა გადმოცემული. რკალის გარეთა ზედაპირი შემკულია განივი და სიგრძივი ამოღარული ზოლებით. წიფნარის სამაჯურის ზუსტ იგივეობას წარმოადგენს დაბლაგომის №.4 ქვევრსამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯური, რომელსაც ახლავს (ძვ.წ. IV-III სს.) ბრინჯაოს კოპებიანი რკალშეზნექილი სამაჯურები.[8]

მონეტები (№.01187, ტაბ. XL,10) კოლხეთის ტერიტორიაზე (ძვ.წ. IV-III სს.) ფართოდ გავრცელებული ჩვეულებრივი ტიპის ნახევარ დრაქმიანებს, ე.წ. ტრიობოლებს წარმოადგენენ.[9] მონეტები ხმარებისაგან გაცვეთილია, მხოლოდ ერთზე გაირჩევა - შუბლზე ადამიანის თავი, ხოლო ზურგზე - ხარის თავის გამოსახულებები. გამოსახულების ირგვლივ შემოვლებულია რელიეფური წერტილებისაგან შედგენილი რგოლი.

1967 წელს ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს თიხის ორი ჭურჭელი გადმოსცა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათის მცხოვრებმა რ.ანთაძემ, რომელიც უპოვია რამდენიმე წლის წინათ თავის საკარმიდამო ნაკვეთზე. მისივე გადმოცემით ირკვევა, რომ თიხის ჭურჭლებთან ერთად

ყოფილა ქვევრის ნატეხებიც; როგორც ჩანს, აქაც ქვევრსამარხთან უნდა გვქონდეს საქმე. სამარხეული ინვენტარიდან, როგორც ვთქვით, ჩვენამდე თიხის ორმა ჭურჭელმა მოაღწია. მათ შორის ერთი ადგილობრივი დოქია (№. 199, ტაბ. XXXVIII,6). იგი მთლიანადაა დაცული. მოტეხილი აქვს პირის მხოლოდ მცირედი ნაწილი. თიხა მსხვილმარცვლოვანია, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი; ზედაპირი მოსწორებულ-მოგლუვებულია. ყელი შედარებით დაბალია, პირი - ოდნავ გარეთკენ გადაშლილი, მხრები - დაქანებული. პირის ქვემოთ მიძერწილია ბრტყელგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო, მეორე კი - მხრის არეში. ყურს ზემოდან, სიგრძლივ გასდევს ჩაზნექილი ბრტყელი ზოლი ისე, რომ წყვილღეროიანი ყურის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჭურჭლის პირისა და მხარის არეში შემოუყვება რელიეფური ზოლი. ზომები: სიმაღლე 13 სმ, პირის დიამ. 5 სმ, ძირის დიამ. 6 სმ.

შავლაკიანი ლეკითოსი (№.200, ტაბ. XXXVIII,5). თიხა ვარდისფერია, მინარევებიანი, პირის ფართო არაღრმა თასის მოყვანილობისაა, რომელიც ზემოდან ადგას ვიწრო მილისებურ ყელს. მუცელი სფეროსებურია, მრგვალი. ტანისაგან მკვეთრად გამოყოფილია საკმაოდ მომაღლო ქუსლი, რომელსაც გარეთკენ გაშლილი ფერდები აქვს. შიდა მხრიდან ქუსლი ღრუა. ბრტყელი ყურის ერთი ბოლო მიძერწილია პირის კიდეზე, ხოლო ქვედა ბოლო მხარის არეში. ლეკითოსის ზედაპირი დაფარული ყოფილა შავი ფერის გვიანდელი, მდარე ხარისხის ლაკით, რომელიც ახლა აქა-იქ შემორჩენია. მიუხედავად ჭურჭლის მოხდენილი პროპორციებისა, შეინიშნება დაუდევრობის კვალიც. ეს პირველ რიგში ითქმის ზედაპირის მიმართ. იგი უსწორმასწოროა. ლაკი არათანაბრადაა წასმული. ყურიც საკმაოდ დაუდევრადაა მიძერწილი. ზომები: სიმაღლე 10,5 სმ, პირის დიამ. 5,5 სმ, ძირის დიამ. 2 სმ.

აღწერილი ჭურჭელი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი შედარებით იშვიათად გვხვდება ანტიკურ სამყაროში. ანალოგიური ჭურჭლის პირის ნატეხი აღმოჩენილია ეშერში, ვერეშჩაგინის გორის ინჰუმაციურ სამარხში.[10] მხოლოდ პირის ნატეხის მიხედვით ბ.კუფტინმა ვერ განსაზღვრა, თუ რა ჭურჭლის კუთვნილება უნდა ყოფილიყო იგი და თხოვა დ.ბლავატსკის გამოეთქვა აზრი ამ ჭურჭლის

შესახებ.[11] დ.ბლავატსკი მიუთითებს ჭურჭლის იშვიათობაზე და აღნიშნავს, რომ ასეთი ჭურჭელი შეხვედრია მხოლოდ სამჯერ. ბ.კუფტინს გამოქვეყნებული აქვს დ.ბლავატსკის მიერ გამოცემული ჭურჭლის სქემატური გამოსახულება, რომელიც მსგავსია ჩიბათის ჭურჭლისა. ა.კახიძის ცნობით, ანალოგიური ჭურჭელი დაცულია ოდესის არქეოლოგიურ მუზეუმში (№.23398). ანალოგიური ლეკითოსი გამოქვეყნებულია ასევე როდოსის განათხარი მასალებიდანაც.[12] ამგვარი ჭურჭლის სავარაუდო თარიღად დ.ბლავატსკის ძვ.წ. IV ს. ბოლო და III ს. დასაწყისი მიაჩნია. ამავე პერიოდით ათარიღებს ბ.კუფტინი ეშერის სამარხსაც. ასევე უნდა დათარიღდეს ჩიბათის ქვევრსამარხიც.

ზენობნის ქვევრსამარხი აღმოჩნდა 1959 წელს ადგილ "საჯალამბროში" მიწის სამუშაოების დროს. ქვევრი ჩაფლული ყოფილა ჰორიზონტალურად. კომპლექსში შედის: თიხის დოქი, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი, მინის სხვადასხვა ფორმისა და ფერის მძივები და მძივსაკიდები. მასალები დაცულია ჩოხატაურის მხერეთმცოდნეობის მუზეუმში (№. 01554).

დოქი (ტაბ. XXXIX, 1) პატარა ზომისაა. თიხა მოვრდისფრო ნაცრისფერია, შედარებით მსხვილმარცვლოვანი. მაღალი ყელი ქვემოთკენ ოდნავ გაფართოებულია. მხრები - დაქანებული. ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა. მუცლის ქვემოთ კალთები ძირისაკენ შევიწროებულია. ბრტყელ ვიწრო ძირზე ამოკაწრულია სვასტიკა (ტაბ. XXXIX,5). მხრის დასაწყისში მიძერწილი აქვს წყვილღეროიანი ყურის ერთი ბოლო, მეორე ბოლო უშუალოდ პირთან უნდა ჰქონოდა მიერთებული. პირისა და ყურის ზემო ნაწილი ჭურჭელს მომტვრეული აქვს. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 7 სმ, ძირის დიამ. 7,5 სმ.

დოქი წაგრძელებული პროპორციებითა და საერთო იერით რამდენადმე გვიანდელად გამოიყურება. მსგავსი ფორმები დამახასიათებელია ძვ.წ. III-II სს. კოლხეთის ელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმისათვის.

ბრინჯაოს სამაჯურები საკმაოდ დაზიანებულია. ერთი შედარებით წვრილი მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან არის გაკეთებული (ტაბ. XL, 7). რკალის შეზნექილობა არამკვეთრია. სამაჯურის ბოლოები

მთავრდება მრგვალი კოპებით. ასეთი კოპები განლაგებულია რკალზეც. მეორე სამაჯური (ტაბ. XL, 9) შედარებით მსხვილი მრგვალგანიკვეთიანი ღეროსაგან არის დამზადებული. რკალის ბოლოებზე გამოყვანილია ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი, სიმეტრიულად განლაგებული ღეროს ირგვლივ ღარები. თავები ბოლოვდება ბიკონუსური ფორმის შესქელებით.

ანალოგიური სამაჯურები რკალშეზნექილი სამაჯურების ადრეულ ნიმუშებად არის მიჩნეული და ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება. აღმოჩენილია დაბლაგომში,[13] ფარცხანაყანევში.[14] დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ზემო ფარცხმის ადრეულ (ძვ.წ. IV ს. ბოლო - III ს. დასაწყისის) ქვევრსამარხებში.

მძივები და მძივსაკიდები (ტაბ. XL, 2, 4). ყველა მინისაგანაა დამზადებული. მათ შორის გამოირჩევა: შავი გამჭვირვალე მინის დელფინის გამოსახულებიანი მძივსაკიდი, ყვითელი ფერის მინის ამფორისკისა და ბიკონუსური მოყვანილობის დაწახნაგებულ გვერდებიანი მძივსაკიდები. საკმაო რაოდენობითაა სხვადასხვა ფერის მინის წვრილი მძივები. საერთოდ, მძივები დასავლეთ საქართველოს ქვევრსამარხების ერთ-ერთი დამახასიათებელი ინვენტარია.[15]

დელფინის, გულისა და ამფორისკის გამოსახულებიანი მძივსაკიდები, რომლებიც სირიულ და ფინიკიურ წარმოშობისად არიან მიჩნეული, საქართველოში ადრეელინისტური ხანიდან ჩნდება (დაბლაგომი, ფარცხანაყანევი, ლარილარი, ზემოფარცხმა და სხვ.).[16]

თუ გავითვალისწინებთ სამაჯურების შედარებით ადრეულ იერს, თიხის ჭურჭლის უფრო გვიანდელ ტრადიციებს და ქვევრის ჰორიზონტალურ მიმართულებას, ზენობნის ქვევრსამარხი ძვ.წ. III ს. მეორე ნახევრით უნდა დავათარიღოთ.

დიდივანის ქვევრსამარხი აღმოჩნდა 1959 წელს ადგილ "ყვითელაურში", ტ.თავაძის ეზოში. ქვევრი შეიცავდა თიხის ჭურჭლებს, ბრინჯაოს სამაჯურებს და მძივებს. სამარხეული ინვენტარის მხოლოდ ნაწილი (ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი, რამდენიმე მძივი და მძივსაკიდი) 1966 წ. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა სოფ. დიდივანის მცხოვრებმა ს.შენგელიამ (ყველა ნივთი №.01507-თია

გატარებული).

სამაჯური (ტაბ. XL, 6) ბრინჯაოს მასიური მრგვალგანიკვეთიანი ღეროსაგანაა დამზადებული. თავები შემსხვილებულია და ირიბი და სიგრძივი ღრმა ნაჭდევებით გამოყვანილია გველის სტილიზებული გამოსახულება. თვალებისა და შუბლის ადგილი რელიეფური და წინ

რომლის ორთავე მხარეს ირიბი ნაჭდევებია განლაგებული. რკალის ზედაპირი ერთიმეორისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული, მჭიდროდ მიჯრილი ღეროს ირგვლივ ღარებისაგან შემდგარი ზოლებითაა შემკული.

გველის სტილიზებულთავიან რკალშეზნექილ ბრინჯაოს სამაჯურებს ბ.კუფტინი კოპებიან სამაჯურებზე გვიანდელებად მიიჩნევს.[17] ამ ტიპის სამაჯურები ცნობილია ეშერიდან,[18] დაბლაგომიდან,[19] ზემოფარცხმის გვიანდელი ქვევრსამარხებიდან. მსგავსი სამაჯურები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოშიც (სოფ. სანთა, უფლისციხე, კამარახევი, სამთავროს სამაროვანი).[20]

მძივები და მძივსაკიდები (ტაბ. XL, 1) მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, ყველა მინისაგანაა დამზადებული. მათ შორის გამოირჩევა: ყვითელი პასტის ბიკონუსური, მრგვალი, კონუსური მოყვანილობის მომსხო მძივები - 27 ც., პირამიდული ფორმის პასტის მძივსაკიდები - 7 ც., ღია ცისფერი მინის დიდი ზომის ბიკონუსური დაკუთხულგვერდიანი მძივსაკიდი - 1 ც., ლურჯი მინის დელფინის გამოსახულებიანი მძივსაკიდი - 1 ც.

დიდივანის ქვევრსამარხის სავარაუდო თარიღად ძვ.წ. III ს. მეორე ნახევარი მიგვაჩნია, რის საფუძველს პირველ რიგში გველის სტილიზებულთავიანი ბრინჯაოს სამაჯურები გვაძლევს. იგივე ითქმის მძივსაკიდებზე. ანალოგიური მძივსაკიდები ზემოფარცხმის სამაროვანზე მხოლოდ ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხებში გვხვდება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აქამდე განხილულ, ვერტიკალურად ჩადგმულ ქვევრსამარხებში ჯერ კიდევ არ ჩანს შიგნიდან მოოქრული მძივები, რომელთა გავრცელება საქართველოში ძვ.წ. III საუკუნიდან იწყება. ჩვენი დაკვირვებით შიგნიდან მოოქრული მძივები ზემო

ფარცხმის სამაროვნის ძვ.წ. III ს. ბოლოთი და II საუკუნით დათარიღებული ქვევრსამარხთა ინვენტარის აუცილებელი კომპონენტია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დიდივანის ქვევრსამარხი ზენობნის თანადროული უნდა იყოს.

ქვემოხეთის ქვევრსამარხი აღმოჩნდა 1951 წელს ნ. კუტალაძის საკარმიდამო ნაკვეთზე. ქვევრი ჩაფლული ყოფილა ჰორიზონტალურად. ქვევრსამარხი შეიცავდა: თიხის ჭურჭლებს (4 ც.), ბრინჯაოს საყურე რგოლებს (2 ც.), ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხს, რკინის დანას, ოქროს თხელ ფირფიტას და მძივებს (7 ც.). ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, ამიტომ ნივთები გადაეცა ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ჩამოთვლილი ინვენტარიდან ადგილზე არ აღმოჩნდა სათანადო დოკუმენტაციაში მითითებული თიხის ჯამი და რკინის დანა.

თიხის ჭურჭლიდან ორი ხელადაა და ერთი პატარა ზომის კოჭობი.

ხელადები (№.956, №.958, ტაბ. XXXIX, 3, 4) კეცისა და ფორმის მიხედვით ერთნაირია. განსხვავება მხოლოდ ზომებშია. თიხა მოწითალო-მოყავისფროა, მსხვილმარცვლოვანი. ზედაპირი კარგად მოსწორებული აქვს. პირი ფართო და ოდნავ გარეთკენ გადაშლილია, მუცელი მრგვალი. ყურის ზედა ბოლო პირთან ახლოს აქვს მიძერწილი, ქვედა კი მხარის არეში. ზომებია: პირველი ხელადის (№. 956) სიმაღლე 13,5 სმ, ძირის დიამ. 9 სმ, პირის დიამ. 7 სმ, მეორე ხელადის (№.958) სიმაღლე 13 სმ, პირის დიამ. 7 სმ, ძირის დიამ, 8 სმ.

კოჭობი (№.957, ტაბ. XXXVIII, 3) მოწითალო ფერისაა. პირი ფართო, გარეთკენ გადაშლილი; მუცელი მრგვალი, პირს ქვემოთ მიძერწილია ბრტყელგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო, მეორე - მხარის არეში. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ჭურჭლის ზედაპირის მოხატულობა: პირისა და ყელის არეში მოცემულია წითელი საღებავის სადა ზოლები, ხოლო მხარზე გამოყვანილია სადა ზოლებს შორის მოქცეული ურთიერთგადამკვეთი ხაზებისაგან შედგენილი სარტყლის ჰორიზონტალური ზოლი. ზომები: სიმაღლე - 11 სმ, პირის დიამ. 6 სმ.

წითელი ზოლებით მოხატული ჭურჭლები გურიის სხვადასხვა

პუნქტებში გვხვდება. წრიული ზოლებით შემკული ჭურჭლები აღმოჩენილია ზემო ფარცხმის №.3 ქვევრსამარხში (ძვ.წ. III ს. ბოლო - II ს.), გოგორეთის ქვევრსამარხში და ა.შ. წითელი ზოლებით მოხატული ჭურჭლები არაერთგზისაა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. I ს. კულტურულ ფენებში.[21]

ბრინჯაოს სამაჯურის (ტაბ. XL, 8) პატარა ფრაგმენტებია შემორჩენილი. სამაჯურის ბოლოები გამსხვილებული და დაბრტყელებული აქვს. აქაც გველის სტილიზებული გამოსახულებაა მოცემული.

მძივები (ტაბ. XL, 3) მინისაა, სხვადასხვა ფორმის (ძაფის, კოჭი სებური, ბიკონუსური, მრგვალი). ყველა შიგნიდან მოოქრულია. როგორც ავღნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში ისინი ძვ.წ. III ს-დან ვრცელდებიან და ძვ.წ. II ს. და მომდევნო ხანის სამარხეულ კომპლექსებშიცაა და დასტურებული. ზემო ფარცხმის ამ პერიოდის ქვევრსამარხში ასეთი მძივები ასეულობით გვხვდება, დაფნარში და დაბლაგომში (ნ.კიღურაძე, ვ.თოლორდავა) შედარებით მცირეა. ცოტა უფრო გვიან მსგავსი მოოქრული მძივები ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოშიც.[22] ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ცნობილია ძვ.წ. II-I სს. ძეგლებიდან (ტანაისი, სკვითური ნეაპოლი და სხვ.).[23]

საყურე რგოლები (ტაბ. XL, 14) წვრილი მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული. მოყვანილობა მრგვალია. ასეთი საყურე რგოლები დროის დიდ მონაკვეთზე გვხვდება. ცნობილია ეშერიდან,[24] ფარცხანაყანევიდან,[25] ზემო ფარცხმიდან და ა.შ. დიდი რაოდენობითაა და დასტურებული სამთავროს სამაროვანზე არა მარტო ქვევრსამარხებში, არამედ სხვა ტიპის სამარხებშიც.[26]

ოქროს ნივთი (ტაბ. XL, 13) გაურკვეველი დანიშნულებისაა. წარმოადგენს თხელი ფირფიტის თავგახსნილ რგოლს (დიამ. 3 სმ.), რომელსაც ერთი მხარე შეჭრილი აქვს. შესაძლოა ტანსაცმელის მორთულობასთან დაკავშირებული ნივთი იყო.

ქვემოხეთის ქვევრსამარხი განხილულ კომპლექსთან შედარებით ყველაზე ახალგაზრდად გამოიყურება. უპირველეს ყოვლისა ამის შთაბეჭდილებას ქმნის წითელი ზოლებით მოხატული ჭურჭელი და

შიგნიდან მოოქრული მძივები. ქვევრსამარხის თარიღად ძვ.წ. III ს. მიწურული და II ს. მიგვაჩნია.

ქრონოლოგიურად ქვევრსამარხის თანადროული ჩანს სოფ. ზემო ფარცხმის 1961 და 1964 წლებში შემთხვევით აღმოჩენილი ორი ქვევრსამარხი, რომელთა შესახებ მსჯელობა გვექნება არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სხვა ქვევრსამარხების განხილვისას. ასევე ნაშრომში არ შეგვიტანია გურიანთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1963 წ. მდ. სუფსის ქვემო წელზე, ს. გოგორეთში გათხრილი ქვევრსამარხი, რომლის შესახებ საუბარი გვქონდა ჩვენ ადრინდელ ნაშრომში, გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებთან დაკავშირებით.[27]

ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებით არ ამოიწურება შემთხვევით აღმოჩენილ ქვევრსამარხთა სია. 1958 წ. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის ექსპედიციას, რომელიც სამუზეუმო ექსპონატების შესაკრებად მუშაობდა სოფ. ზემო სურებისა და ბუკისციხის მიმართულებით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადასცეს სოფ. ბუკისციხეში დანგრეულ ქვევრსამარხებში აღმოჩენილი თიხის ორი ჭურჭელი. გადმოცემით, შემთხვევით აღმოჩენილა ორი ქვევრსამარხი.

დოქი (№.01087, ტაბ. XXXVIII,4) შემოინახა ჯერ კიდევ 1927 წელს ჟ.სიხარულიძის ეზოში აღმოჩენილი ქვევრსამარხიდან. ინვენტარის დანარჩენი ნაწილი: თიხის ჭურჭელი და მძივები დაკარგულია. ჭურჭელი პატარა ზომისაა. თიხა მოშავო-მონაცრისფროა, ზედაპირი კარგადაა დამუშავებული, ყელი დაბალი, პირი გარეთკენ გადაშლილი, დოქს მხრები დაქანებული აქვს, მუცელი გაფართოებული და დაბალი. მრგვალგანიკვეთიანი ყურის ერთი კოპიანი ბოლო მიძერწილია უშუალოდ პირთან, ხოლო მეორე მხარის არეში. ჭურჭლის ყელი შემკობილია ამოღარული ტალღისებური ხაზებით. მხარის არედან ქვემოთ, ძირისაკენ მიემართება ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი, გაპრიალებით გამოყვანილი ზოლები, რომელიც მთელ ზედაპირს ფარავს. ზომები: სიმაღლე 14 სმ, პირის დიამ. 6 სმ, ძირის დიამ. 8 სმ.

ცხადია, ქვევრსამარხის თარიღის შესახებ მარტო ერთი ჭურჭლის

მიხედვით ვერაფერს ვიტყვით, ავღნიშნავთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ გაპრიალებული ზოლებითა და კოპებით ჭურჭლის შემკობა წინაელინისტური ხანის კერამიკას ახასიათებს. ამ ჭურჭლის შედარებით ადრეულობაზე მისი ფორმა და პროპორციებიც მიგვითითებს.

მეორე ჭურჭელი (№.01086, ტაბ. XXXIX, 2) უპოვიათ ვ.სიხარულიძის ეზოში 1958 წ. აღმოჩენილ ქვევრსამარხში. ჭურჭელი ორყურაა, მათარისებური ფორმის. თიხა ყავისფრადაა გამომწვარი. მსხვილმარცვლოვანი. ჭურჭელი შედარებით მასიური, სქელკედლიანია. მხრები მომრგვალებული აქვს, მუცელი გაბრტყელებული. ტანთან შედარებით ძალზე პატარა მრგვალგანიკვეთიანი ყურები მხრებზე აქვს დაძერწილი. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 15 სმ, ძირის ზომები 7,5ჩ9 სმ. ასეთი ჭურჭელი ამ კუთხეში გამოვლენილ სხვა ქვევრსამარხთა კომპლექსებში ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. მათარის ტიპის ჭურჭლები ცნობილია სოფ.მესხეთისა და დაბლაგომის ქვევრსამარხებში.

ასეთია მოკლე აღწერა სუფსა-ნატანების აუზში შემთხვევით აღმოჩენილი კომპლექსების თუ ცალკეული ნივთებისა. მათ შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ქვევრსამარხების პრობლემის კვლევისათვის. ამ მასალების, ისე როგორც სოფ.ზემო ფარცხმის ელინისტური ხანის სამაროვნის შესწავლის შედეგები ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს კონკრეტულად ვიმსჯელოთ დაკრძალვის ამ წესის საწყისი საფეხურების, მისი არეალის შესახებ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სადაც აქამდე არ იყო ცნობილი მათი არსებობა.

გარდა ამისა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებელი ხდება ზოგიერთი წინასწარული დასკვნის გაკეთება: დღეისათვის ქვევრსამარხების აღმოჩენის უმეტესი შემთხვევები გურიის აღმოსავლეთ რაიონებზე მოდის, რაც, ჩვენი აზრით, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს ტერიტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქვევრსამარხების გავრცელების ძირითად რაიონთან, კერძოდ, რიონისპირეთის მოსახლეობასთან (დაბლაგომი, დაფნარი, ფარცხანაყანევი, ქუთაისის მიდამოები - რეხის ტყე და ა.შ.), თუმცა არაა გამორიცხული, რომ თანმიმდევრული არქეოლოგიური კვლევა-ძიება ქვევრსამარხების აღმოჩენის რიცხვს გაამრავლებს გურიის სხვა პუნქტებშიც. საკვლევ ტერიტორიაზე ამ

პერიოდისათვის სხვა ტიპის სამარხების აღმოჩენის შემთხვევები ჯერჯერობით არაა დადასტურებული.

შემთხვევითი აღმოჩენები ზემო ფარცხმის არქეოლოგური გათხრების მონაცემებთან ერთად, მიუთითებენ, რომ ადრეული სამარხი ქვევრები (ძვ.წ. V ს. ბოლო - III ს. პირველი ნახევარი) ჩადგმულია ვერტიკალურად პირით ქვემოთკენ ისევე, როგორც ეს დაფნარში დაადასტურა ნ.კილურაძემ. მომდევნო პერიოდისათვის (ძვ.წ. III ს. მეორე ნახევარი - II ს.) ქვევრები დამხრობილია ჰორიზონტალურად. იშვიათად გვხვდება პირით ზემოთკენ მიმართული სამარხი ქვევრებიც.

სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი და თვით ქვევრები დიდ სიახლოვეს პოვებს დასავლეთ საქართველოს ამავე ტიპის ძეგლებთან. იშვიათად ვხვდებით იმპორტულ თიხის ჭურჭლებს. შედარებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი უცხოური წარმოების მინის ნაირნაირი მძივები. საერთოდ ეს ქვევრსამარხები საშუალო შეძლების მოსახლეობის კუთვნილებაა, რომელთათვის ამავე დროს მისაწვდომი ყოფილა უცხოური სამკაულები და ჭურჭლის ზოგიერთი სახეობა.

ქვევრსამარხების კულტურის მატარებელი ადგილობრივი მოსახლეობა ჩანს. უცხოური, კერძოდ ელინური წესების გავლენა მხოლოდ და მხოლოდ სამარხში მონეტის ჩაყოლებაში თუ შეინიშნება.[28]

ზემოთ განხილული შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ამ პუნქტებში შემდგომი კვლევა-ძიების გაგრძელების აუცილებლობაზე მიუთითებს.

შენიშვნები

1 ნ.ხოშტარია, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 237; ა.ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში. არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 127; Н.Ш.Кигурадзе, Г.А.Лордкипанидзе, Раскопки Дапнарского селища, Археологические открытия, 1970 г., М. 1971, С. 380.

2 დოქი გამოფენილია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში (ვიტრინა მეორე).

3 ა.კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1953, გვ. 31, ტაბ. XI.

4 ნ.კილურაძე, დაფნარის სამაროვანი, დაფნ. 71/25.

5 ნ.ვაშაკიძე, ზემოფარცხმის ელინისტური ხანის სამაროვანი, თეზისები, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მე-9 სამეცნიერო სესიაზე, თბ., 1970.

6 В.Д.Блаватский. История античной расписной керамики, М., 1953, С.49.

7 Б.А.Куфтин. Материалы к археологии Колхиды, I, С. 55, таб. VI; Его же, Материалы... II, рис. 11, С. 44-45; Я.Н.Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, С. 29; მ.ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები III, თბ., 1961, გვ. 39; დ.ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, თბ., 1964, გვ. 79, ტაბ. XXVII; ი.გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 23, სურ.1, ტაბ. I-II; შ.ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 308.

8 Б.А.Куфтин, Материали... II, с. 21, Рис. 10.

9 К.В.Голенко, Д.Г.Капанадзе. Четыре клада колхидок // НЭ. VI. 1966, С. 31-48; Б.А.Куфтин. ук. соч., С. 58.

10 Б.А.Куфтин. Материалы... I, С. 41, таб. VI, 1-2.

11 იქვე, გვ. 42.

12 Clara Rodos, v.7, p. 452, fig. 7.

13 Б.А.Куфтин. Материалы... II, С. 39-43, Рис. 10,3.

14 П.С.Уварова. Коллекция Кавказского музея, т. VI, Археология, Тифлис, 1902 г., С.15.

15 ნ.კილურაძე, მძივები დაფნარის სამაროვნიდან. ასპირანტთა და ახალ გაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენცია, თბ., 1970, გვ. 15.

16 Б.А.Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 53; М.М.Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 329, სურ. 10; შ.ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 311, ტაბ. VI; В.А.Толордава. Археологические раскопки в Дабламоми, Тбилиси, 1971 (ხელნაწერი).

17 Б.А.Куфтин. Материалы..., I, С. 38.

18 იქვე.

19 Б.А.Куфтин. Материалы ..., II, С. 43.

20 Б.А.Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, С.30-34; დ.ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, თბ., 1964, გვ.76; რ.რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, გვ. 15, სურ. 9; ვ.თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, თბ., 1963, გვ. 137.

21 ნ.ხოშტარია, რ.ფუთურიძე, ოთ.ლორთქიფანიძე. არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში, "საბჭოთა ხელოვნება", №.1, 1967, გვ. 36.

22 ვ.თოლორდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

23 Д.Б.Шелов. Некрополь Танаиса, МИА, 99, С. 79, таб. XLII; Н.Н. Погребова. Погребения в мавзолее Неаполя Скифского, МИА, 96, С. 164.

24 Б.А.Куфтин. Материалы..., I, С. 53.

25 М.М.Иващенко. დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

26 ვ.თოლორდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

27 ნ.ვაშაკიძე, გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1970, გვ. 23.

28 შეად. ნ.კილურაძე, მონეტები დაფნარის სამაროვნიდან, ძეგლის მეგობარი, XXIII, თბ., 1970, გვ. 16.

Н.В.ВАШАКИДЗЕ

СЛУЧАЙНО НАЙДЕННЫЕ КУВШИННЫЕ ПОГРЕБЕНИЯ В БАССЕЙНЕ Р. СУПСА-НАТАНЕБИ

Резюме

В краеведческих музеях Чохатаури и Озургети накопились случайно наденные комплексы или отдельные предметы, происходящие из кувшинных погребений эллинистической эпохи. Кувшинные погребения сравнительно часто встречаются в Восточной части Гурии (верховья Р. Супсы), Ципнари, Дидивани, Зенобани, Квемохети, Букисцихе (Чохатаурский Район). Единичные находки кувшинных погребений известны также и в других районах Гурии - село Чибати (Ланчхутский район) и Гогорети (Озургетский район). Данная статья посвящается изучению этих материалов. Изученные нами кувшинные погребения в работе представлены в хронологическом порядке. На основе детального изучения погребального инвентаря, с учетом богатого паралельного материала (Даблагоми, Дапнари, Парцханаканеви, Эшери и др.) выделены две хронологические группы: I - древнейшая группа относится к IV-III вв. до н.э. (Ципнари, Чибати), II - более поздняя группа к III-II вв. до н.э. (Зенобани, Дидивани, Квемохети).

Эти погребения по своему характеру совершенно аналогичны кувшинным погребениям, обнаруженным в Рионской низменности - основного района распространения этого обряда, что указывает на культурное единство этой территории в эллинистическую эпоху.*

---

* ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა კრებულში სდსძ **III**, თბ., 1973, გვ.74-87

გ.დუნდუა
გურიის ნუმიზმატიკური მასალა

გურიის ფარგლებში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა მთლიანობაში მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ მათ შესახებ არაფერი დაწერილა. გურიის საზღვრებში მიკვლეული სამონეტო განძები, თუ ცალკეული მონეტები გამოქვეყნებული ან მოხსენიებულია ე.პახომოვის,[1] ა.აფაქიძის,[2] ნ.ხოშტარიას,[3] კ.გოლენკოსა და დ.კაპანაძის,[4] კ.გოლენკოს,[5] თ.აბრამიშვილის,[6] რ.ქებულაძისა[7] და მ.ანთაძის[8] ნაშრომებში. საჭიროა ამ მასალის ერთად თავმოყრა. გარდა ამისა, აუცილებელია გურიის მუზეუმებში დაცული ადგილობრივ აღმოჩენილი და ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი მასალის სრული მეცნიერული კატალოგის შედგენა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი გურიის რეგიონში მიკვლეული ნუმიზმატიკური ძეგლების ყოველმხრივი მეცნიერული გააზრება. თქმა არ უნდა, ეს რთული ამოცანაა და მისი სისრულეში მოყვანა მომავლის საქმეა. ჩვენი წერილის მიზანი უფრო მოკრძალებულია: სხვადასხვა გამოცემების მიხედვით შევადგინოთ გურიის მიდამოებში ნაპოვნი მონეტების სია, პერიოდების მიხედვით დავხატოთ ნუმიზმატიკური მასალების გავრცელების მეტ-ნაკლებად სრული ტოპოგრაფიული სურათი და გზა და გზა დავურთოთ ჩვენი მოკლე კომენტარი.

ანტიკური პერიოდი:

1. სოფ. ჯუმათში (ოზურგეთის რ-ნი) შემთხვევით აღმოჩნდა დაბალი სინჯის კოლხური მონეტების განძი. მონეტებზე მოთავსებული იყო ბერძნული ასოები MO/ΣO. ამ განძის 40 მონეტა პირადად ნახა ე.პახომოვმა. მისივე ცნობით, ერთი მონეტა დასაცავად პეტერბურგის ერმიტაჟის კოლექციაში მოხვდა, ერთიც - საქართველოს ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში.[9] კოლხური მონეტების დაბალი სინჯი და მათზე

ამოკვეთილი ასოები მიუთითებენ ჯუმათის განძის ცალების გვიანდელ ემისიაზე - ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულზე მაინც.[10]

2. 1928 წ. სოფ. ჩომეთში (ჩოხატაურის რ-ნი) აღმოჩნდა კოლხური მონეტების განძი 380 ცალის რაოდენობით.[11] მასთან ერთად თითქოს უნდა ყოფილიყო აგრეთვე დაბალხარისხოვანი ვერცხლისაგან დამზადებული, რამდენიმე ნაწილად გატეხილი სამაჯური, რომლის ბოლოები ცხვრის თავებითაა დაბოლოებული. გარკვეული ეჭვი მათი ერთობლივი აღმოჩენის გამო გაგვიჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს "კომპლექსი" საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა მხოლოდ 1953 წელს (ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფონდი - შემდეგში გ.ფ. - №№. 7870-8249), მანამდე იგი კერძო პირის ოჯახში ინახებოდა და რაღაც მანიპულაციების შესაძლებლობა გამორიცხული არ უნდა იყოს. განძის ერთ-ერთ მონეტაზე ამოკვეთილია ბერძნული ასო "A".

3. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათში შემთხვევით იპოვნეს თიხის კოჭობი, რომელშიაც იყო ჩვეულებრივი ტიპის კოლხური მონეტები. დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში (გ.ფ. №№. 9572-9627).[12]

ამრიგად, გურიის ტერიტორიაზე მიკვლეულია კოლხური მონეტების სამი განძი, რაც არანაირ მოულოდნელობას არ წარმოადგენს, რადგან მეორე ტიპის კოლხური დრაქმები ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ემისიის ცენტრად ქალაქი ფასისია მიჩნეული,[13] მაშინ ეს აღმოჩენები მცირერიცხოვანიც კია, რაც, ალბათ, შემთხვევითობით უნდა აიხსნას.

გაოცებას სხვა ფაქტიც იწვევს: დღემდე გურიის საზღვრებში არ აღრიცხულა ელინისტური ხანის მონეტების პოვნის არც ერთი შემთხვევა. რაც შეეხება რომაულ ეპოქას, იგი ასე თუ ისე წარმოდგენილია.

4. ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში 1936 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სტატერების ტიპის ქართული იმიტაცია, რომლებიც, სამწუხაროდ, საქართველოს სახ. მუზეუმმა რატომღაც არ შეიძინა.[14] ამ ჯგუფის მინაბაძები ახ.წ. I-II სს. თარიღდება.[15]

5. 1936 წ. სოფ პაიკასეულში (ჩოხატაურის რ-ნი) შემთხვევით იპოვნეს ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282 წწ.) სტატერების ტიპის ქართული მინაბაძი (გ.ფ. №. 1680),[16] რომელიც, შესაძლებელია, ძვ.წ. I ს.-ის შუახნებით დათარიღდეს.[17]

მინაბაძების კატეგორიის ფენომენი სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით დამაჯერებლად ახსნილი არაა. სრულებით გაუგებარია, მაგალითად, მათი იურიდიული ბუნება: ვინ ახორციელებდა მათ ემისიას - სახელმწიფო ხელისუფლება, თუ ათასი ჯურის თაღლითები, რომლებიც არასრულფასოვანი სუროგატებით ამარაგებდნენ ბაზარს.[18]

6. 1942 წელს ურეკში (ოზურგეთის რ-ნი), ზღვიდან 200-ოდე მეტრის დაშორებით, მიწის სამუშაოების დროს სამარხი აღმოჩნდა,[19] სადაც სხვა ინვენტარათან ერთად შემდეგი მონეტებიც იყო: 1. იმპერატორ ტაციტუსის (275-276 წწ.) აურეუსი; 2. რომაული აურეუსის მინაბაძი, კ.გოლენკოს აზრით "ჰიბრიდული" ტიპისა, რომელიც ბაძავს ნუტილას (183 წ.), ალექსანდრე სევერიუსისა (229-235 წწ.) და გორდიანე III პიუსის (238-244 წწ.) მონეტებს.20 აღსანიშნავია, რომ ეს მონეტა სუბერატულია, იგი ჩვენ პირადად შემოგვატყდა ხელში მუშაობის დროს და ამის წყალობით დადგინდა ეს მნიშვნელოვანი ფაქტი; 3.ადრიანეს (117-138 წწ.); 4.კესარიული დიდრაქმა და 5.კარაკალას (211-217 წწ.) დრაქმა, ასევე მოჭრილი კაპადოკიის კესარიაში.[21]

7. ურეკში 1949 წელს შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში (სხვა ვერსიით - ნივთების განძში) სხვა ინვენტართან ერთად იყო აგრეთვე იმპერატორ ადრიანეს კესარიული დიდრაქმა.[22]

8. იქვე 1949 წ. არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელმძღვანელი ნ.ხოშტარია) აღმოჩნდა სეპტიმიუს სევერიუსის (193-211 წწ.) კესარიული (?) გერცხლის მონეტა.[23]

რით იქცევს ყურადღებას ურეკში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რომაული ოქროს მონეტების აღმოჩენის შემთხვევები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან იშვიათია. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ ორი შემთხვევა: 1. 1926 წელს ბიჭვინთაში შემთხვევით აღმოჩნდა იმპერატორ ნერონის

(54-68 წწ.) აურეუსი[24] და 2. 1907 წელს გაგრაში შემთხვევით მიკვლეულ სამარხში იყო ჰონორიუსის (395-426 წწ.) ოქროს მონეტაც.[25] ურეკში აღმოჩენილი ტაციტუსის აურეუსი, ამრიგად, კოლხეთის ტერიტორიიდან მომდინარე მესამე ცალია.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ურეკის სამარხში მიკვლეული რომაული აურეუსის მინაბაძი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ესაა კოლხეთის ფარგლებში რომაული ოქროს მონეტის იმიტაციის პოვნის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევა. საქართველოდან მომდინარე დანარჩენი ათი თუ თორმეტი მინაბაძის აღმოჩენის ფაქტები დაღასტურებულია იბერიის ტერიტორიაზე[26] და მათი ემისიის ცენტრად სწორედ ეს რეგიონია მიჩნეული.[27] ამ დებულების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ არგუმენტად მიჩნეულია ის გარემოება, რომ 11 მინაბაძიდან 7 მოჭრილია ერთი და იმავე სიქით.[28] მიუხედავად ამისა, ძნელია ვამტკიცოთ, რომ ურეკის ცალი აღმოსავლეთ საქართველოდანაა შემოსული კოლხეთში, ვინაიდან იგი მკვეთრად განირჩევა იბერიული ცალებისაგან.[29] ყველაზე თვალსაჩინო დეტალი, რაც ურეკის ცალს განასხვავებს იბერიაში აღმოჩენილ მინაბაძისაგან ისაა, რომ ურეკის ეგზემპლარი სუბერატულია. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ეს ფაქტი სრულებით შემთხვევით დაფიქსირდა: იგი მუშაობის პროცესში ჩვენ შემოგვატყდა ხელში. ამის შემდეგ დადგინდა, რომ მონეტის გულგულას, რომელიც გაურკვეველ თეთრ მასას წარმოადგენს (ვერცხლი? ყოველ შემთხვევაში ლიტერატურაში ასეა მოხსენიებული),[30] ზემოდან ჰქონდა გადაკრული დაბალი სინჯის ოქროს თხელი ფირფიტა. ეს კი პირადად ჩვენ ეჭვს აღგვიძრავს მის კანონიერებასთან დაკავშირებით. შემდეგი თავისებურება ამ მონეტისა მის "ჰიბრიდულ" ხასიათში მდგომარეობს. კ.გოლენკოს მოსაზრების თანახმად, მის პროტოტიპად სამი ემისიაა გამოყოფილი: ლუტილას, ალექსანდრე სევერიუსისა და გორდიანე III პიუსისა.[31] თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ წინაშე დგება საკითხი: საიდან აიღო ხელოსანმა ეს მონეტები თავისი იმიტაციის ნიმუშად, როდესაც რომაული აურეუსების აღმოჩენის შემთხვევები კოლხეთის ფარგლებში კატასტროფულად მცირეა. გამოდის, რომ იგი შემოტანილია, მაგრამ საიდან? იბერიიდან ასეთი ტექნიკით დამზადებული მინაბაძები ცნობილი არ არის. იმპერიის რომელიღაც სხვა პროვინციიდან

კი ასეთი საეჭვო ღირსების მქონე სუროგატის შემოსვლა ძნელი დასაშვებია. და ბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონეტა გახვრეტილია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი სამკაულად იყო გამოყენებული. ერთი სიტყვით, ეს ნუმიზმატიკური ძეგლი უდაოდ იმის ღირსია, რომ კვლავ გახდეს სპეციალური შესწავლის საგანი.

ასევე საინტერესოა ურეკის გვიანდელ სამარხში ადრიანეს (117-138 წწ.) დიდრაქმების აღმოჩენის ფაქტი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კესარიული მონეტები კოლხეთის ტერიტორიაზე უაღრესად ინტენსიურად მიმოიქცეოდნენ, რაც დასავლეთ საქართველოს კაპადოკიასთან არა მარტო მჭიდრო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ურთიერთობების მაჩვენებელია.[32] სხვა აღმოჩენებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ლურზოულისა (გურზეული, გულრიფშის რ-ნი)[33] და ეკის (სენაკის რ-ნი)[34] განძებში 1238 ცალი კესარიული მონეტა შედის. მაგრამ ურეკის კომპლექსი სხვამხრივ იქცევს ყურადღებას. ადრიანეს კესარიული დიდრაქმები, როგორც ამას ეკის განძის ჩამარხვის თარიღი მოწმობს 222 წ., ან უფრო გვიანდელ პერიოდში - უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდნენ კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში III ს-ის 30-იან წლებშიც კი (საკმარისია ითქვას, რომ ეკის განძში ისინი 712 ცალის რაოდენობითაა წარმოდგენილი)[35] ურეკის კომპლექსმა კიდევ უფრო გადასწია მათი მიმოქცევის ქრონოლოგიური ჩარჩოები, ვინაიდან მათთან ერთად სამარხში ტაციტუსის (275-276 წწ.) აურეუსიცაა ნაპოვნი.

ბიზანტიური მონეტები.

1. 1958 წელს სოფ. ჩიბათში (ლანჩხუთის რ-ნი), მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩნდა თიხის ქილა, რომელშიც ბიზანტიური ოქროს მონეტები იყო მოთავსებული[36] თ.აბრამიშვილის განცხადებით, "განძის აღმოჩენის თვითმხილველის გადმოცემით, ჭურჭელი ბორჯომის ბოთლის სიმაღლისა ყოფილა. ქილის გადარჩენილი ძირისა და დასახელებული სიმაღლის ჭურჭელში 2000-მდე ასეთი მონეტა თავისუფლად მოთავსდებოდა, მით უმეტეს, რომ მნახველის თქმით პირამდე ყოფილა სავსე. ასეთი დიდი განძი გვაფიქრებინებს, რომ იგი სახელმწიფო სალაროსი ან ეკლესიის საკუთრება უნდა ყოფილიყო"[37] განძის ძირითადი ნაწილი გაიფანტა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სხვადასხვა გზით

შემოვიდა მხოლოდ 122 ბიზანტიური სოლიდი, რომელიც კეისრების მიხედვით ასე ნაწილდება: 1. ტიბერიოს II (578-582 წწ.) - 1 ცალი; 2. მავრიკე (582-602 წწ.) - 1; 3. ფოკა (602-610 წწ.) - 106; 4. ჰერაკლე (610-641 წწ.) -14. ყველა მათგანი მოჭრილია კონსტანტინეპოლის ზარაფხანაში.

თ.აბრამიშვილი აღნიშნავს, რომ ჩიბათი მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს ის, რომ აქ, გარდა საკვლევი განძისა, ნაპოვნია კოლხური ფულების განძი;[38] და შემდეგ, "შესაძლებელია ჩიბათი გზის პირად მდებარე პუნქტიც იყო და სპარსეთში სალაშქროდ მიმავალ ირაკლი კეისარს ამ გზითაც მოუხდა გავლა".[39] თეორიულად აქ თითქმის ყველაფერი სწორია. როგორც ცნობილია, 627-628 წწ. ჰერაკლე კეისარმა ალმოსავლეთ საქართველო დალაშქრა და თბილისიც აიღო. ცხადია, ალმოსავლეთ საქართველოში იგი ლაზიკის ტერიტორიიადნ მოვიდა, მაგრამ რატომ უნდა დაემარხა ბიზანტიის ჯარს თავისი ქონება ჩიბათის ტერიტორიაზე? ჯარს თავისი სალარო თან დააქვს და საჭიროების მიხედვით იყენებს. ასევე საეჭვოა, რომ ეს განძი ეკლესიის საკუთრება ყოფილიყოს. როგორც გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ვ.სადრაძემ მოგვაწოდა ცნობა, აქ არ დგას ეკლესია და არც მისი ნანგრევებია დაფიქსირებული. ძალიან სათუოა, რომ ადრეულ ეპოქაში ასეთი სიმდიდრე რეგიონის რომელიმე ეკლესიას გააჩნდა საერთოდ, და იგი მაინც და მაინც ჩიბათის მიწისათვის მიებარებინა. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ეს კომპლექსი სახელმწიფო საკუთრებაა, არც ის გამოიყურება დამაჯერებლად. შეიძლება ვისაუბროთ რომელიმე შეძლებული ვაჭრის ან რომელიმე შეძლებული დიდებულის, ან თუნდაც ყაჩაღის შესახებ, რომელსაც ექსტრაორდინალური შემთხვევის გამო მოულოდნელად მოუწია მისი დაფლა და შემდეგ მისი სიკვდილის გამო, განძმა ჩვენამდე მოაღწია. ძალიან საეჭვოა, რომ ეკლესიას და, მით უმეტეს, სახელმწიფოს, ჩამარხული სიმდიდრის მისამართი დავიწყებოდათ. ერთი სიტყვით, ჩიბათის განძის დამარხვის მიზეზების სპეციალური კვლევა ასევე სასურველია.

2. ოზურგეთის მაზრაში (კონკრეტულად სად, ცნობილი არ არის) 1850 წელს აღმოჩენილია XI ს-ის ჩაღრმავებული ტიპის ბიზანტიური ოქროს

მონეტების განძი.[40]

თურქული მონეტები

გურიის ტერიტორიაზე თურქული ფული უაღრესად ფართოდ მიმოიქცეოდა. ამის პირდაპირი მოწმობაა ამ რეგიონში აღმოჩენილი ოსმალური მონეტების განძები, რომლებიც მეცნიერულად შესწავლილი აქვს მ.ანთაძეს.[41] ეს ფაქტი არავითარ განსაკუთრებულ კომენტარს არ საჭიროებს იმიტომ, რომ უკვე ამასიის ზავის თანახმად (1555 წ.)[42] "... განუყვეს ქვეყანანი და დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა და კარი საზღვრამდე აბულისა და ერევნისა, სომხითი, ვიდრე ბაღდადამდე, ხოლო შაჰ თამაზ დაუგდო ქართლი, კახეთი, ერევანი და მშვიდობა ჰყვეს ურთიერთს".[43] უფრო ადრე XVI ს-ის პირველ ნახევარში თურქეთის ხელში აღმოჩნდა ტაო, შავშეთი, კლარჯეთი.[44] შემდეგ თანდათანობით ოსმალეთმა დაიპყრო სამცხე-ჯავახეთი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი. 1639 წლის ზავით ოსმალეთმა ირანს საბოლოოდ აღლებინა ხელი სამცხე-საათაბაგოზე და იგი თავის ადმინისტრაციულ ერთეულად - საფაშოდ აქცია.[45] იგივე ითქმის ბათუმზე და საერთოდ აჭარაზე. ასე რომ გურია ფაქტობრივად თურქეთის მოსაზღვრე სამთავროდ იქცა. პოლიტიკურმა კონიუქტურამ თან მოიტანა თავისი ეკონომიკაც. ვიძლევით გურიის საზღვრებში აღმოჩენილი თურქული მონეტების სიას:

1.1977 წელს ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჯიხანჯირში, "ნასტეფანარის გორაზე" შემთხვევით აღმოჩნდა 334 ოსმალური ვერცხლის პატარა ზომის მონეტა (განძი დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში - გ.ფ. №№. 17257-17576, 20444-20451).[46]

სოფ. ჯიხანჯირი ნიგოეთის ქედის ერთ-ერთი განშტოების თხემზეა გაშენებული. სოფლის სახელი ჯიხანჯირი მეგრულ-ჭანური წარმოშობისაა და ციხის ძირს ნიშნავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ სოფლის მიდამოებში ოდესღაც ციხე ყოფილა.[47]

მ.ანთაძის განცხადებით, განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 100 წელზე მეტია და მასში შემავალი მონეტები XVI-XVII სს. თარიღდება. მაგრამ სულ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ საწინააღმდეგო ინფორმაციას

გვაწვდის: მისი სიტყვებით, განძის ადრეული მონეტა ჰიჯრის 926 წლისაა (1519/20) მოჭრილი და ეკუთვნის სულტან ბაიაზედ II (886-918 ჰიჯრით), გვიანდელი - ჰიჯრის 1003 წელს (1594-95 წწ.) და ეკუთვნის მეჰმედ III (1003-1012 წწ. ჰიჯრით). გამოდის, რომ განძის შემადგენლობაში არ შედის XVII ს-ის არც ერთი მონეტა, მაშინ როგორღა თარიღდებიან ისინი XVI-XVII საუკუნეებით?! აქედან გამომდინარე, ჯიხანჯირის განძის მონეტები გურიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ოსმალურ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეულია. განძის მონეტების უმრავლესობა მოჭრილია ტრაპიზონის ვილაიეთის ქ. ხანჯის ზარაფხანაში.[48]

2. ნატანების მიდამოებში (ოზურგეთის რ-ნი) ნავთობის სადაზვერვო სამუშაოების დროს 1910 წ. აღმოჩნდა თურქული ვერცხლის მონეტებისა და მათი **მინაბაძების განძი** (ხაზი ჩვენია - გ.დ.). განძის 23 მონეტა აჩუქეს აზერბაიჯანის მუზეუმს და იქ ისინი განსაზღვრა ე.პახომოვმა. მისი ატრიბუტაციით 2 ცალი ეკუთვნოდა მურად IV-ს და მოჭრილი იყო 1622-23 წწ. ნომინალი - ახჩე; 3 ეგზემპლარი მოჭრილია იბრაჰიმ I-ის სახელით (1639/40 წწ., ხოლო 4 - მუჰამედ IV-ისა (1648-49 წწ.); სამი მონეტა მთლად გადაშლილია და მისი განსაზღვრა ვერ მოხერხდა, ხოლო 11 - მინაბაძების კატეგორიას ეკუთვნოდა.[49] სამწუხაროდ, ამ უკანასკნელების შესახებ ე.პახომოვი სხვა არავითარ ცნობას არ იძლევა, მაშინ , როდესაც ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

3. 1945 წელს ოზურგეთის რ-ნის სოფ. ლიხაურში აღმოჩნდა XVII ს-ის ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც დ.კაპანაძის თქმით "... შეიცავს ასიოდე თურქულ ახჩას, **დაახლოებით 1000-ზე მეტ მათ მინაბაძს და 20-მდე სხვადასხვა ზომის ვერცხლის თხელ ფირფიტას**".[50] (ხაზი ჩვენია - გ.დ.). განძი სპეციალურად შეისწავლა მ.ანთაძემ (სამწუხაროდ, მინაბაძების გამოკლებით) და მისი შემადგენლობა სამ ჯგუფად დაყო: პირველ ჯგუფში ერთიანდება მურად III-ის (1574-1595 წწ.) მიერ მოჭრილი ახჩები, რომლებიც ძირითადათ ხანჯის ზარაფხანის პროდუქციას წარმოადგენს; მეორე ჯგუფში თავსდება მეჰმედ IV-ისა (1648-1687 წწ.) და აჰმედ II-ის (1691-1695 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტები. ისინი გამოშვებულია ოსმალეთის იმპერიის ზარაფხანაში. მესამე ჯგუფში,

მ.ანთაძის სიტყვებით, ერთიანდება მონეტები, **რომლებიც მას ადგილობრივ მინაბაძებად მიაჩნია.**[51] ვიმეორებთ, დიდად სამწუხაროა, რომ მ.ანთაძეს მინაბაძების მიმართ სპეციალური კვლევა-ძიება არ ჩაუტარებია, მაშინ როდესაც, ჩვენი აზრით, მთელი სიმძიმე ამ განძის პუბლიკაციის დროს სწორედ ამ კატეგორიის მონეტებზე უნდა გადატანილიყო. დ.კაპანაძის სამართლიანი შენიშვნით, განძში შემავალი "... ვერცხლის ფირფიტები სისქითა და ლითონის ხარისხით ამ მინაბაძებს უდგება და აშკარად ხდება, რომ**ნეს ფირფიტები მინაბაძების მოსაჭრელი ნამზადია** (ხაზი ჩვენია - გ.დ.), რომელსაც თურქეთიდან ან სხვა რომელიმე დაშორებული ადგილიდან, რა თქმა უნდა, აქ არ მოიტანდნენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ ნამზადთა შორის ორი თუ სამი ფირფიტა ჯვრის მოყვანილობისაა და ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მინაბაძების მომჭრელი თვითონ ქრისტიანი თუ არ იყო, ქრისტიან მოსახლეთა შორის, ე.ი. საქართველოში ცხოვრობდა".[52] ჩვენ პირადად არ გვინახავს "ჯვრის მოყვანილობის" ეს ფირფიტები, რასაც შემთხვევითი ხასიათიც შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ დამოუკიდებლად ამისა, ლიხაურის განძის მინაბაძები ადგილობრივ რომაა მოჭრილი, ამაში ეჭვი არ გვეპარება (თუ კონკრეტულად სად, ძნელი სათქმელია). ყოველ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ლიხაურის ციხის შემოგარენში, რომელსაც ვახუშტიც იხსენიებს,[53] შესაძლებელია, რაღაც კუსტარული ზარაფხანის მაგვარი რამ იყო მოთავსებული.

4. 1958 წელს ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჭონჭაეთის ერთ-ერთი მოსახლის საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს თიხის კოჭობი იპოვეს, რომელშიაც ვერცხლის მონეტები იყო.[54] განძის შემადგენლობაში შედის: 1. პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის (1587-1632 წწ.) 2 ორტა; 2. თურქეთის სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) 24 და მაჰმუდ I-ის (1730-1754 წწ.) 58 ახჩე[55] (მონეტები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გ.ფ. №№. 9855-9938).

5. 1950-იან წლებში ოზურგეთის რ-ნის სოფ. ლიხაურში აღმოჩნდა 362 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი, რომელიც მეტად ფართო დიაპაზონისაა. აქ თავმოყრილია აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.), მაჰმუდ I-ის (1730-1754 წწ.), ოსმან III-ის (1754-1757 წწ.), მუსტაფა III-ისა (1757-1774

წწ.) და სულტან აბდალ ჰამიდის (1774-1789 წწ.) მონეტები[56] (განძი ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

6. 1948 წელს ოზურგეთის რ-ნის სოფ. გომში იპოვნე 49 ვერცხლის მონეტა. 19 ცალი გადაეცა ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, დანარჩენი - ოზურგეთისას. განძის ყველა მონეტა მოჭრილია სულთან აბდალ ჰამიდ I-ის (1774-89) სახელით. ერთი ბეშლიქია, დანარჩენი - ყურუში.[57]

7. 1952 წ. ჩოხატაურის რ-ნის სოფ. გორაბერეჟოულში ჩაის პლანტაციის დამუშავების დროს იპოვნეს თურქეთის სულთან აბდალ ჰამიდის (1774- 1789) სახელით მოჭრილი 6 ყურუში.[58]

8. სადღაც გურიაში, 1936 წელს აღმოჩნდა სელიმ III-ის (1789-1807 წწ.) დაბალი სინჯის ვერცხლის მონეტა.[59]

ევროპული მონეტები

1. 1953 წელს ოზურგეთში, საბავშვო სახლის ტერიტორიაზე საცდელი ნაკვეთის დამუშავების დროს, იპოვნეს სპილენძის ჭურჭელში ჩაყრილი 414 ვერცხლის ევროპული მონეტა საერთო წონით 8,5 კგ. აქედან საქართველოს სახ. მუზეუმს გადაეცა 270 ცალი, ხოლო 114 - ოზურგეთის მხარეთმცოდნეობით მუზეუმს. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს კომპლექსი ცნობილია მახარაძის განძის სახელწოდებით. განძი შეისწავლა და ძირითადი ტიპები გამოაქვეყნა რ.ქებულაძემ.[60]

ეს განძი, როგორც ამას რ.ქებულაძე აღნიშნავს, საქართველოში აღმოჩენილი ევროპული მონეტების სხვა განძებისაგან გამოირჩევა როგორც რაოდენობით, ისე შემადგენლობით. ამ უკანასკნელის მიხედვით განძი სამ ნაწილად იყოფა. იგი შედგება ავსტრიული, იტალიური და ესპანური მონეტებისაგან. ოზურგეთის განძის (სჯობს დღეიდან ეს ტერმინი დავამკვიდროთ ლიტერატურაში) ყველაზე ადრეული მონეტა, ერცჰერცოგ ფერდინანდის ტალერი, 1564-1595 წლებშია მოჭრილი, ხოლო ყველაზე გვიანდელი, ფილიპე IV-ის პესო - 1628 წელს. ტალერების ძირითად ნაწილს შეადგენს ავსტრიის ერცჰერცოგების ფერდინანდის (1564-1595 წწ.), მაქსიმილიანეს (1612-1618 წწ.) და ლეოპოლდის (1619-1632 წწ.) და გერმანიის იმპერატორების რუდოლფ II-ისა (1576-1612 წწ.) და

ფერდინანდ II-ის (1619-1637 წწ.) სახელით პალეს, ენსისჰაიმის, გრაცისა და კლემენფურტის ზარაფხანებში მოჭრილი ცალები. იტალიური ტალერები, ანუ დუკატი და ტალეროები, როგორც მათ ვენეციასა და ტოსკანაში უწოდებდნენ, პასკუალე ჩიკონიის (1585-1595 წწ.), ფერდინანდ I (1587-1608), კოზიმო II (1608-1621 წწ.) და ფერდინანდ II (1621-1670) შედიჩების სახელითაა გამოშვებული; ესპანური მონეტები ფილიპე II-ს (1556-1598 წწ.), ფილიპე III-სა (1598-1621 წწ.) და ფილიპე IV-ს (1621-1665 წწ.) ეკუთვნის და როგორც საკუთრივ ესპანეთის, ისე ამერიკაში მათი ყოფილი კოლონიების ზარაფხანათა პროდუქციას წარმოადგენს.[61]

2. XX ს-ის 10-იან წლებში ოზურგეთის მაზრის სოფ. შელექედურში აპოვნეს XVII ს-ის ევროპული მონეტების განძი. განძის ერთი მონეტა ექვ. თაყაიშვილს უჩვენებია ე.პახომოვისათვის, რომლის განსაზღვრით იგი კუთხოვანი ფორმის ესპანური პესო იყო.[62]

3. 1958 წელს სოფ. ჭანჭაეთში (თუ ჭალკათში?) აღმოჩენილ თურქული მონეტების განძის შემადგენლობაში ორი ცალი პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის (1587-1632 წწ.) ორტაც ერია, მოჭრილი 1622-23 წლებში[63] (იხ. ჩვენთან, თურქული მონეტები, №. 4).

4. 1900-იან წლებში ოზურგეთის რ-ნის სოფ. ზედაუბნის მიდამოებში მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს მიაკვლიეს რამდენიმე პოლონურ ვერცხლის მონეტას, მოჭრილს სიგიზმუნდ III-ისა (1587-1637 წწ.) და იოან- კაზიმირის (1648-1667 წწ.) სახელით.[64]

საქართველოში პოლონური მონეტების გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი, რ.ქებულაძის აზრით - პოლონეთთან პოლიტიკურ კავშირში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური მიზნების ერთიანობაში მაინც უნდა ვეძებოთ.[65] მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე შავი ზღვისა და მდინარე დნეპრის გზით პოლონეთთან აბრეშუმით ვაჭრობა.[66] 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლის აღებით გადაკეტეს შავი ზღვის სრუტეები და საქართველოდან ევროპაში წასასვლელ უმოკლეს გზად პოლონეთ-ლიტვის ტერიტორიაზე გავლით მდინარე დნეპრი დარჩა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ევროპის სახელმწიფოებში მიმავალ ქართველ

ელჩებს პოლონეთ-ლიტვის სამეფოზე უნდა გაეცლოთ.[67]

საქართველოს პოლონეთთან, როგორც ოსმალეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ერთეულთან, კავშირის დამყარება რამდენიმეჯერ უცდია.[68] ასევე პოლონეთი თავის მხრივ ცდილობდა დაკავშირებოდა ოსმალეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს: ავსტრიას, ირანს და სხვ. პოლონეთის ელჩები ხშირად მიმოდიოდნენ ირანში. სააქისოდ კი მათ ჯერ დასავლეთ, შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაეცლოთ, ვინაიდან ყველაზე უშიშარ და უმოკლეს გზად ეს ითვლებოდა.[69]

პიეტრო დელა-ვალეს მიერ 1627 წელს დაწერილი პაპ ურბენ VIII-ისადმი მიწერილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ პოლონეთის ელჩები მარტო ტრანზიტით კი არ გაიელიდნენ დასავლეთ საქართველოს, არამედ მათ გარკვეული დავალებაც ჰქონდათ ოდიშისა და გურიის მთავრებთან.[70] "თვითონ პოლშის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, აქვს ამ მთავრებთან მეგობრობა და მიმოწერა... (ხაზი ჩვენია - გ.დ.) პოლშის ხელმწიფეს შეუძლია კიდეც ამ გზით, რომელიც ძლიერ მოკლეა, დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში, რომელსაც მათ მიაყენებენ ან სპარსელები, ან თათრები".[71] მართებულია რ.ქებულაძის სიტყვები: "ერთმანეთში მიმოსვლას ფულის საერთაშორისო მოძრაობაც უნდა მოჰყოლოდა". ასე რომ, გურიის ფარგლებში პოლონური მონეტების შემოსვლის ძირითადი მიზეზები და გზა თითქოს გარკვეულია.

გარდა ამისა, როგრც სამართლიანად შენიშნავს რ.ქებულაძე, საქართველოში პოლონური მონეტების გავრცელების პოლიტიკური მომენტებიდან უნდა დასახელდეს დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთობა დნეპრის კაზაკებთან. დასავლეთ საქართველო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს უკავშირდებოდა დნეპრის კაზაკებს.[72] თურქებზე სათარეშოდ წამოსული კაზაკებისათვის სამეგრელოსა და გურიის მთავრებს ბევრჯერ შეუთავაზებიათ თავშესაფრად თავიანთი ტერიტორია და ნავსადგურები.[73] მდინარე დნეპრის კაზაკებისა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთობა, თავის მხრივ, ხელს უწყობდა კაზაკებში გავრცელებული პოლონური ფულის შემოსვლას საქართველოში.[74] გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს სამთავროებსა და კაზაკების პოლიტიკურ ურთიერთობასთან ერთად, საფიქრებელია, უნდა

ჰქონოდა ეკონომიკური ურთიერთობაც. საამისო ცნობები შემონახულია სამეგრელოში ელჩინისა და ზახარიევის ელჩობის აღწერაში.[75] ასე რომ, გურიის სამთავროს ფარგლებში პოლონური მონეტების შემოსვლის მეორე შესაძლებელი გზაც სავსებით სწორადაა მოხაზული.

რაც შეეხება ტალერული მონეტების გავრცელების მიზეზებს საქართველოში, რ.ქებულაძის აზრით, უნდა ვეძებოთ "საქართველოს ურთიერთობაში იმ სახელმწიფოებთან, სადაც მიმოქცევაში იყო ეს მონეტები. ამ სახელმწიფოთაგან უნდა დავასახელოთ რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ოსმალეთი და ირანი".[76] კონკრეტულად გურიის სამთავროს ფარგლებში კი ჩვენი აზრით, ეს მონეტები, ალბათ, ყველაზე მართებული იქნება ვივარაუდოთ, რომ ოსმალეთის გზით შემოვიდა.

ასეთია ძალიან ზოგად ხაზებში გურიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი (და უკვე გამოქვეყნებული) ნუმიზმატიკური მასალის მიმოხილვა.

შენიშვნები

1 Е.А.Пахомов. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. вып. I-IX, Баку, 1926-1966.

2 ა.აფაქიძე. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. სსმმ, ტ. XIV-B, 1947

3 Н.В.Хоштария. Археологические исследования Уреки. მსკა, 1, თბ. 1955.

4 К.В.Голенко, Д.Г.Капанадзе. Четыре клада Колхиды. НЭ. VI, 1966.

5 К.В.Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время. Л.,1964.

6 თ.აბრამიშვილი. ბიზანტიური ოქროს მონეტები. სსმმ. ტ. XXV-0. 1968.

7 რ.ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბ., 1971

8 მ.ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII

საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ., 1982.

9 Е.А.Пахомов. Монетные клады... I. С. 37, №. 11.

10 Г.Ф.Дундуа. Нумизматика античной Грузии, №. 5, 1987, С. 22.

11 Е.А.Пахомов. Монетные клады... VIII, С. 7, №. 1897; К.В.Голенко, Д.Г.Капанадзе. Четыре клада колхидок, С. 35. 37-ე გვერძე მოთავსებულია სამაჯურის ფოტოც.

12 Е.А.Пахомов. Монетные клады...IV, С. 9, №. 1001; თ.აბრამიშვილი. ბიზანტიური ოქროს მონეტები (ჩიბათის განძი), გვ. 159.

13 კოლხური მონეტების გენეზისის შესახებ დაწვრილებით იხ. Г.Ф.Дундуа. Нумизматика античной Грузии, С. 9-33; აქვეა სათანადო ლიტერატურაც.

14 Е.А.Пахомов. Монетные клады... III, С. 10, №. 668.

15 Г.Ф.Дундуа. Нумизматика античной Грузии, С. 55-102. აქ ფართო პლანითაა განხილული მინაბაძების კატეგორიის მონეტების გენეზისის იურიდიული ბუნებისა და ქრონოლოგიის საკითხები.

16 Д.Г.Капанадзе. О древнейших золотых монетах Грузии. ВДИ. 1949. №. 3. С. 169, №.3.

17 Г.Ф.Дундуа. დასახ. ნაშრომი, გვ. 75, №. 63; გვ. 191.

18 დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. იქვე, გვ. 96 და შმდ.

19 ა.აფაქიძე. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, გვ. 82, შმდ.

20 К.В.Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. ВДИ. 1971. №.4. №. 68.

21 К.В.Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время, С. 71, №. 31. აქვე კ.გოლენკო შენიშნავს, რომ ა.აფაქიძის მითითება, თითქოს კომპლექსში სეპტიმიუს სევერუსის დენარი შედის, სწორი არ არის.

22 Н.В.Хоштариа. Археологические исследования Уреки, С. 59; Е.А.Пахомов. Монетные клады... III, С. 13, №. 1919; К.В.Голенко. Денежное обращение Колхиды... С. 71, №. 32.

23 Н.В.Хоштариа. დასახ. ნაშრომი, გვ. 59; К.В.Г«‹‹еа”«. დასახ. ნაშრომი, გვ. 72, №. 33.

24 К.В.Голенко. დასახ. ნაშრომი, გვ. 78, №. 56.

25 იქვე, გვ. 77, №. 55.

26 Д.Г.Капанадзе. Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии. ВДИ. 1970. №.4, . 89-91.

27 К.В.Голенко. Денежное обращение Колхиды... С. 50-51.

28 К.В.Голенко. Заметки... С. 50.

29 К.В.Голенко. Денежное обращение Колхиды... С.50-51.

30 К.В.Голенко. Заметки... С. 69.

31 მონეტის აღწერა და პროტოტიპების მითითება იხ. К.В.Голенко. დასახ. ნაშრომი. გვ. 69-70.

32 დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. გ.დუნდუა. საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფეთიდან). თბ., 1979, გვ. 3-12.

33 М.М.Иващенко. Герзеульский клад монет Кессарии Каппадокийской. ИГАИМК, вып. 10, I-VII, Л., 1931.

34 გ.დუნდუა. დასახ. ნაშრომი. გვ. 5. 35 იქვე. გვ. 6.

36 ეს განძი შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს თ.აბრამიშვილს. იხ. მისი, ბიზანტიური ოქროს მონეტები (ჩიბათის განძი), გვ. 159-176.

37 იქვე. გვ. 159.

38 იქვე. გვ. 159.

39 იქვე. გვ. 160.

40 Е.А.Пахомов. Монетные клады... I, С. 49. №. 98.

41 მ.ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ., 1982.

42 თურქეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ: მ.სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII

სს). თბ., 1990; იხ. აგრეთვე ნ.ანთაძის დასახელებული ნაშრომი.

43 ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბ., 1959, გვ. 71.

44 მ.ანთაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 28.

45 იქვე. გვ. 36.

46 იქვე. გვ. 63-65.

47 მ.ანთაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 61.

48 იქვე. გვ. 62.

49 Е.А.Пахомов. Монетные клады... I, С. 66, №. 199.

50 დ.კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969, გვ. 136.

51 მ.ანთაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 57-59.

52 დ.კაპანაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 136.

53 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (თ.ლომოურის და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით). თბ., 1941, გვ. 175.

54 რ.ქებულაძე ჭონჭაეთის ნაცვლად იხსენიებს სოფ. ჭალკატს, იხ. მისი ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. გვ. 121.

55 მ.ანთაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 98-99.

56 იქვე. გვ. 102-108.

57 იქვე. გვ. 110-112.

58 იქვე. გვ. 80, №. 32.

59 Е.А.Пахомов. Монетные клады... вып. IV, С. 80, №. 1220.

60 რ.ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში.

61 იქვე. გვ. 55.

62 Е.А.Пахомов. Монетные клады... С. 64, №. 190.

63 რ.ქებულაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 121.

64 Е.А.Пахомов. Монетные клады... С. 64, №. 189.

65 რ.ქებულაძე ამ საკითხის განხილვისას ძირითადათ ეყრდნობა ი.ცინცაძის ნაშრომს "მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის", თბ., 1965.

66 რ.ქებულაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 123.

67 ი.ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის, გვ. 33; რ.ქებულაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 124.

68 რ.ქებულაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 125, იქვე ლიტერატურა.

69 იქვე. გვ. 125.

70 იქვე. გვ. 125.

71 პიეტრო დელა-ვალეს სიტყვები მოტანილია რ.ქებულაძის ნაშრომის მიხედვით - ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 125-126.

72 რ.ქებულაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 126.

73 იქვე. გვ. 126.

74 იქვე. გვ. 127.

75 იქვე. გვ. 127.

76 იქვე. გვ. 97.

Г.Ф.Дундуа

НУМИЗМАТИЧЕСКИЙ МАТЕРИАЛ ИЗ ГУРИИ

Резюме

В работе дан полный перечень найденного в Гурии разновременного нумизматического материала, опубликованого в различных изданиях, при этом соответственно нами коментированный. Особо за острено внимание на монетных кладах и погребальных комплексах. В пределах Гурии добыты античные (колхидки, грузинские подражания статерам типа Александра Македонского и Лисимаха, римский ауреус, субератная и "гибридная" имитация римского ауреуса, кесарийские дидрахмы), византийские, турецкие и европейские монеты, научное осмысление коих имеет большое значение с точки зрения политикоэкономической истории края.

ზ.კალანდაძე

გურიის ადრე და შუა ფეოდალური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობანი

თანამედროვე გურიის ტერიტორიაზე, რომელიც შუასაუკუნეებში გაცილებით მეტ ფართობს მოიცავდა, მიკვლეულია მრავალი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური თუ ხუროთმოძღვრული ძეგლი. მათ შორის აღსანიშნავია ამ პერიოდის გურიის სასიმაგრო ნაგებობანი, რომლებიც მეტნაკლები სისრულით არის შემორჩენილი და შესწავლილი.

ადრელი შუა საუკუნეების სასიმაგრო ნაგებობათაგან დიდ ყურადღებას იმსახურებს ოზურგეთის რაიონში, მისგან 5 კმ დასავლეთით მდებარე ციხე-ქალაქი ვაშნარი, რომელიც მდინარეების - სკურდუმისა და ნატანების შესართავში არის მოთავსებული, შემაღლებულ ადგილას. იგი სამი მხრიდან დაცულია ფლატენაპირიანი მდინარეებით, ხოლო აღმოსავლეთიდან გამაგრებულია ქვითკირის მტკიცე, ორმაგი ზღუდეებით, რომლებიც ქალაქს სხვა მხარეებიდანაც შემოუყვებოდა (ტაბ.XX,2). გარე გალავანი, რომელიც ერთმანეთის პარალელურად გამავალ ზემოხსენებული მდინარეების ნაპირებს აერთებს, ნაწილობრივ მათ გასწვრივაც გაუყვება, ხოლო შიდაციხის გალავანი, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის ექსპედიციის მიერ (ხელმძ. გ.გობეჯიშვილი) 1949 წელს, წახნაგოვანი ფორმისაა და შეიცავს ყოველ 40 მეტრში ჩატანებულ კვადრატულ კოშკებს (8 x 8 მ).

ციხე-ქალაქი ნაგებია ქვითკირის თანაბარი, წესიერი კვადრებით (გარე და შიდა გალავანი), აგრეთვე ნატეხი, იშვიათად რიყის ქვით (გოდოლები) და გამაგრებულია კირხსნარით.

განათხარ ნაგებობათა შორის მნიშვნელოვანია შიდაციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, აღმოსავლეთი გალავნის გასწვრივ გამოვლენილი სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ხუთწახნაგოვანი აფსიდა აღმოსავლეთის გალავნის გარეთაა მოქცეული, ხოლო ნახევარწრიული,

საფეხურებიანი საკურთხევლის იატაკი ჰიდრავლიკურ ხსნარზე დაგებული მარმარილოს ფილებით ყოფილა მოპირკეთებული. ბაზილიკას სამი მხრიდან გარშემოსავლელი დერეფანი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით სენაკი აქვს მიშენებული. ეკლესიას შესასვლელი კარიბჭე დასავლეთიდანაა გაჭრილი.

ბაზილიკა, რომლის საერთო ფართია 24 x 23,4 მ., კრამიტით ყოფილა გადახურული.

ბაზილიკის ცენტრალურ და სამხრეთ ნავში 4 აკლდამა, ხოლო სამხრეთის სენაკში ორი ორმოსამარხი იქნა დადასტურებული, რომლებიც წარჩინებულ პირთა სამარხებს წარმოადგენდნენ.

ბაზილიკის კედლები ამოყვანილია ბაზალტის კვადრებისა და კვადრატული აგურების სარტყლების მონაცვლეობით და კირხსნარითაა ნალესი.

მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარია თიხის მილებით, აღმოსავლეთის გალავნიდან, შემოყვანილი წყალსადენი, რომელიც კვადრატული აგურებისა და კირხსნარის სუდარაშია მოქცეული. იგი გაყვანილია ბაზილიკის სამხრეთი კედლის ქვეშ, მის გასწვრივ, რაც წყალსადენის დაზიანების თავიდან აცილების საშუალებას იძლეოდა.

ბაზილიკის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთის გალავნის გასწვრივ, გამოვლენილია განსაკუთრებული ნაგებობა, რომელსაც ორი წყება კედელი აქვს და ზედხედში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს კვადრატი კვადრატშია ჩასმული. მისი გარეთა ზომაა - 12,15 x 15,1 მმ, შიდა - 9,1 x 9,3 მმ.

ნაგებობა ორსართულიანი ყოფილა, რომლის ქვედა სართული ღორღით იყო ამოვსებული და თავისებურ კვარცხლბეკს წარმოადგენდა. მას ზემოდან ედგა ოთხსენაკიანი მეორე სართული, სადაც დადასტურებულია სამარხები თიხის სარკოფაგებში. აქვეა გამოვლენილი ბაზისები, იმპოსტები და რვა კორინთული ტიპის სვეტისთავი, რომლებიც შემკულია აკანთის ფოთლის და ვოლუტების (ხვიების) გამოსახულებით.[1]

ქვისა და კვადრატული აგურის ნარევი წყობა შეინიშნება ზემოხსენებული სათავსოს კედლებში, რომელიც ასევე კირხსნარით არის

გამაგრებული.

გამთხრელთა მიერ ძეგლი "სამლოცველოდ" არის სახელდებული.[2]

არის მოსაზრება, რომ ზემოხსენებული ნაგებობა წარმოადგენს სვეტებიან მავზოლეუმს, რომელიც ცნობილია ელინისტურ სამყაროში.[3]

ვაშნარის ციხე-ქალაქის მშენებლობისა და ძლიერების პერიოდი ისტორიკოს-მკვლევართა მიერ V-VIII სს-ით განისაზღვრება. ჩვენთვის უცნობია ამ პერიოდის ციხე-ქალაქების სახელწოდება, მაგრამ საყურადღებოდ მიგვაჩნია ამ პუნქტის შესახებ ცნობილი ისტორიკოსის ნ.ბერძენიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით გურიანის (ვაშნარის) წინწამოწევა შემდგომში დასაბამს აძლევს ფეოდალური გურიის გაერთიანებას.[4]

ლიხაურის ციხე მდებარეობს ოზურგეთის რაიონში, სოფლიდან დასავლეთით 2 კმ-ზე, სოფ. ჭანიეთის საზღვარზე, მაღალ მთაზე. გეგმაში ოვალურ ციხეს ორსართულიანი კარიბჭე ჩრდილოეთიდან აქვს. სამხრეთის გალავანს გარედან სამი მცირე კონტრფორსი ამოუყვება. გალავნის ოთხივე მხარეში კოშკებია ჩართული: სამხრეთისა და დასავლეთის ოთხკუთხა, ხოლო ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა - მრგვალი. კოშკებს ახლავს სათოფურები. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია წყლის რეზერვუარი და ჭა.

ციხე ვიზუალური დაკვირვებით გვიანდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

ამავე სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ციხისა და კოშკის ნანგრევები, აგრეთვე გეგმაში კვადრატული, ხუთწახნაგოვან აფსიდიანი, ღვთისშობლის დარბაზული ეკლესია, ამ უკანასკნელის დასავლეთით კი, კარგად თლილი კვადრებით ნაგები ორსართულიანი სამრეკლო, რომლის დასავლეთის ფასადის წარწერის მიხედვით იგი XV ს-ში არის აგებული. ხოლო თვით ეკლესია XIII ს-ის მორე ნახევრითაა დათარიღებული.[5]

აჭის ციხე მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელში (ოზურგეთის რ-ნი), ლიხაურის ღვთისშობლის ეკლესიის დასავლეთით და ლიხაურის ციხის აღმოსავლეთით, დაახ. 2 კმ-ზე. სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილი კოშკის ნანგრევი, სავარაუდოა, ზემოხსენებული ძეგლის საერთო ანსამბლში შედიოდა.

აქვე სასაფლაოზე არის თლილი ქვის სწორი კვადრებით ნაგები წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რომლის სამხრეთი კარის თავზე ასომთავრულით შესრულებული ვრცელი სამშენებლო წარწერაა. ეკლესიის მოხატულობის საერთო კოლორიტი, წერის მანერა მას XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის ძეგლებთან აახლოვებს.[6]

გურიანთის ციხე, სოფ. გურიანთა, ოზურგეთის რ-ნი.

ძეგლი რაიონის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ-ზე მდებარეობს. იგი აღმართულია მდინარეების - ნატანებისა და სუფსას შუა მოქცეული ბორცვოვანი ზოლის ერთ-ერთ გორაზე. ესაა ნაკაშიძეების გვიანფეოდალური ხანის ციხე,[7] რომლის გალავნის ერთი მხარე ჩადის მდ.ნატანებამდე, ხოლო მეორე - მდ.სკურდუმამდე. 1963 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძ. ნ.ბერძენიშვილი) მიერ მიკვლეული იქნა პატარა ეკლესია, რომლის კედელზე შერჩენილია მხატვრობის ნიმუშები.

"ჯუმათის მონასტრის სიძველეებიდან" ირკვევა, რომ გურიანთას ციხე და ეკლესია XVII ს-ის დასაწყისშია აგებული.[8] ამავე პერიოდის დარბაზული ეკლესია შემორჩენილია ციხის ქვემოთ, აღმოსავლეთ მხარეს.[9]

ციხისფერდის ციხე, სოფ.ციხისფერდი, მდებარეობს ოზურგეთიდან დასავლეთით 7 კმ-ზე. ციხე აგებულია მაღალ მთაზე. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების ნაწილები.

ციხე გეგმაში სწორკუთხედის მოყვანილობისაა. მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. იგი ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე.

აქვე ყოფილა ძლიერ დაზიანებული, დარბაზული, გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიაც.

ბაილეთის გალავნის ნაშთი. სოფ. ბაილეთი. მდებარეობს ოზურგეთის რაიონული ცენტრიდან 9 კმ-ზე, მდ. სუფსის მარცხენა მხარეს, გურიანთის სამხრეთით. შემორჩენილია მხოლოდ გალავნის ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი, რომელიც ფლეთილი ქვითაა ნაშენი დუღაბზე.

კონჭკათის ციხის ნაშთი. სოფ. კონჭკათი, მდებარეობს ოზურგეთიდან დაახ. 15 კმ-ზე დასავლეთით, მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე.

მთაზე შემორჩენილი ნაციხარის გეგმა არ იკითხება. ციხე რიყის ქვითაა ნაგები.

ასკანის ციხე მდებარეობს სოფლების ასკანისა და მთის პირის საზღვარზე, ოზურგეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 17 კმ-ზე, ბახვისწყალის მარცხენა ნაპირზე. ციხე აღმართულია გორაზე.

საკმაოდ დაზიანებული გალავნის კედლების სისქე ორ მეტრამდე აღწევს, სიმაღლე - 6 მეტრამდე. ციხის პირველ გალავანში შესვლა ქვის კარით შეიძლება, სადაც მრავალი ქვევრი და ქვის აუზია. აქ არის ერთი "წლის სათვალავი" ქვევრი, რომელშიც იმდენი საწყაო ღვინო ჩადის, რამდენი დღეცაა წელიწადში. შესასვლელში დგას გარედან და შიგნიდან სუფთად გათლილი ოთხკუთხა (4 მ.) ქვა. სიგანე - 2 მ. მარცხნივ ყოფილა ღრმა ჭა, რომლიდანაც გვირაბი ჩადიოდა ბახვისწყალამდე. ციხის შიგნით ორი დიდი ქვა-ქვევრია ამოკვეთილი; აქვე სამი მეტრის სიგანის, ლამაზად თლილი მონოლითური სანადიმე ქვაფორეა.

ციხის შესასვლელთან აღმართული იყო ბაზილიკის ტიპის ეკლესია, რომელიც სუფთა თლილი ქვით აუგიათ. გვერდზე ეკლესიის ნაშთებია შემორჩენილი.[10]

ივანე როსტომაშვილის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (1889) აღნიშნულია, რომ ასკანის ციხე IV ს-შია აგებული, ამასვე იმეორებს 1896 წელს მოსკოვში გამოცემული მაგიდის ენციკლოპედიური ლექსიკონიც.

1833 წლის ცნობით, ასკანის ციხე ორი კოშკის, წითელი მარმარილოთი ნაგები სამლოცველოსა და რამდენიმე ხის ქოხისაგან შედგებოდა. ამ უკანასკნელთაგან აღარეფერია შემორჩენილი. საგრძნობლადაა დაზიანებული სამლოცველო და გალავნის კედლებიც.[11]

ბუკისციხე (თამარის ციხე) მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელში, ჩოხატაურის რაიონში, მისგან 6 კმ-ზე აღმოსავლეთით, მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირზე. მაღალ გორაზე აზიდულ ციხეს გარშემო უვლის ამჯერად ძლიერ დაზიანებული გალავანი. მოგვიანო პერიოდში იგი საკმაოდ დაუვიწროებიათ და ბორცვის წვერით შემოუფარგლავთ.

ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა 1964 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ (ხელმძ. ნ.ბერძენიშვილი). გალავნის შემორჩენილ ნაწილში (ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით) რამდენიმე სამშენებლო ფენა გამოიყოფა. მათგან უძველესი - ადრეფეოდალური ხანისაა, უახლესი - გვიანი შუა საუკუნეებისა. ციხის ჩრდილოეთ მხარეს მიდგმული მრავალსართულიანი კოშკის პირველ სართულზე გამოვლენილია ქვის დიდი საწნახელი და ქვისავე კიბის ნაშთი. მეორე სართული საცხოვრებელი ჩანს, მესამე - საბრძოლო. კოშკი არქიტექტორმა კ.მელითაურმა VI-VII სს. ძეგლად მიიჩნია.

ციხის აღმოსავლეთ კედელზე მიშენებული ეკლესიის მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებია შემორჩენილი. შესასვლელი გამოვლენილია დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში. ეკლესიას სწორი აფსიდა აქვს. ძეგლის შიდაპირი მოპირკეთებულია.

არქიტექტურული მონაცემებით, ეკლესია ადრელი შუა საუკუნეების ბოლო ეტაპით თარიღდება.

ციხის აღმდგენად მოიხსენიება მამია III გურიელი, რომელიც XVII-XVIII სს. მიჯნაზე ზეობდა.[12] ციხესიმაგრე, გურიის რუსეთთან შეერთებამდე (1811), ასრულებდა თავის დანიშნულებას. იგი კონტროლს უწევდა იმერეთიდან და მესხეთიდან შავი ზღვისკენ მიმავალ გზას.

ზოტის ციხე (ღომის ციხე) მდებარეობს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზოტში, ადგილ "საყდრისყელზე", ჩოხატაურიდან 36 კმ-ზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. გუბაზოულის ხეობაში. შემორჩენილია ციხის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლის ფრაგმენტები. ჩრდილოეთიდან ციხეს კონტრფორსები ჰქონია. ძეგლს მისასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აქვს. იგი ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვებით დუღაბზე. ციხე ქრონოლოგიურად შუა საუკუნეებში თავსდება.[13]

გორაბერეჟოულის ციხე-გალავანი, სოფ. გორაბერეჟოული, ჩოხატაურის რ-ნი, მისგან 3 კმ-ზე, სუფსა-გუბაზოულის შუამდინარეთის ქვემო სექტორში. ციხე-გალავანი წარმოდგენილია მაღალი კედლებით და საბრძოლო ბილიკებით, კედლებში დატანებულია სათოფურები, ეზოში

შემორჩენილია მარანი და ღრმა ჭა. ციხე-გალავანი ნაგებია რიყის ქვით, კირის ხსნარზე.

ძეგლის სამხრეთით ასიოდე მეტრზე მდგარა ერისთავთა კარის ძველი ეკლესია, რომელიც სიმცირის გამო დაუნგრევიათ და ამ ადგილზე რუსული ტიპის დიდი ეკლესია აუგიათ. იგი აღმოსავლეთ გურიის ერისთავთა სახლის უკანასკნელი სალოცავი იყო.

გორას სამოსახლო კომპლექსი დღეს ორი, XIX ს-ის სასახლითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი - ორსართულიანი, ციხე-გალავანში მდებარეობს, მეორე, ერთსართულიანი - საკარმიდამოს ცენტრში.

ქრონოლოგიურად, გორაბერეჟოულის ციხე-გალავანი XVII ს-ის მიწურულს ეკუთვნის, ხოლო ეკლესია - XIX საუკუნეს.[14]

ზემოხსენებული ძეგლები გურიის მხარის შუა საუკუნეების თვალხილულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა დიდი ჯგუფის მცირე ნაწილია. არქეოლოგიურად გამოსავლენ სასიმაგრო ნაგებობათა სათანადო შესწავლა არქეოლოგიური ექსპედიციის მომავალი გეგმით არის გათვალისწინებული.

შენიშვნები

1 იხ. გ.გობეჯიშვილი. არქეოლოგიური გათხრები ვაშნარში. 1949 წ. საველე დღიური (ქვეყნდება კრებულში).

2გ.გობეჯიშვილი. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952. გვ. 155.

3 საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, პასპორტი, შედგ. ი.ციციშვილის მიერ. თბ., 1990.

4 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. 1975. გვ. 479

5 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 6. თბ., 1983, გვ. 270.

6 "აჭი", ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2, თბ., 1977. გვ. 78.

7 ნ.ვაშაკიძე. გურიანთას ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

სდსძ. II, თბ., 1971. გვ.8.

8 გ.თავაძე. მეტი ყურადღება გურიის მატერიალური კულტურის ძეგლებს. ძეგლის მეგობარი. 10-11. თბ., 1967, გვ. 64

9 ნ.ვაშაკიძე. დასახ. ნაშრომი. გვ.9.

10 ა.სოსელია. გადავარჩინოთ ასკანის ციხე. კრ. ძეგლის მეგობარი. 10-11. თბ., 1967. გვ. 69-71.

11 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. I. გვ. 634.

12 ჩოხატაური. რაიონის კულტურული ძეგლები. 1991. გვ. 9-19.

13 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 4. თბ., 1979. გვ. 538

14 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 3. თბ., 1978. გვ. 221

З.Каландадзе

ФОРТИФИКАЦИОННЫЕ СООРУЖЕНИЯ ГУРИИ

Резюме

Статья посвящена средневековым крепостным сооружениям Гурии. Особого внимания заслуживает расположенный в Озургетском районе раннесредневековый город-крепость Вашнари - со своей оградой, с квадратными башнями, трехзальной базиликой, мавзолеем, водопроводом и др. строениями, которые в совокупности датируются V-VIII вв.

Не менее интересны крепости Аскана (датируемая IV в.), Букисцихе (VI-VII вв.); позднесредневековые крепости Лихауи, Ачи, Зоти; фортификационные сооружения Гурианта, Цихисперди, Баилети, Кончкати, Гора-Бережоули.

ქ.ჩხატარაიშვილი

ტერმინები "გურია", "გურული" და "გურიელი".

გურია ძველთაგან, ადრეული და შუა საუკუნეებიდან მაინც, ერქვა დასავლეთ საქართველოს ერთ რეგიონს, რომლის საზღვრები იყო დასავლეთით - შავი ზღვა, ჩრდილოეთით - მდ. რიონი, აღმოსავლეთით - აჭარა-გურიის ქედი და სამხრეთით - მდ. ჭოროხი.[1] გურია საისტორიო წყაროებში მოიხსენიება VIII საუკუნეში. მემატიანის ცნობით, მურვან ყრუს შემოსევისას (735-738 წწ.) უკანდახეულმა არაბებმა გაიარეს "გზა გურიისა".[2] მომდევნო ხანებში ქართლის მეფე მირს, არჩილის ძმას, დასავლეთ საქართველოს რამდენიმე სხვა რეგიონთან ერთად "საუხუცესოდ" ჰქონია გურია.[3] ამის შემდეგ ეს მაკროტოპონიმი საისტორიო წყაროებში ხშირად მოიხსენიება.

ტერმინ "გურიის" ეტიმოლოგია დაუდგენელია. პირველად მისი გააზრება ვახუშტი ბაგრატიონმა სცადა. მისი სიტყვით "გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა, გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა (VIII ს. ბოლო მეოთხედში - ქ.ჩ.), მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთავისა... განდგნენ და მიერთდნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს: გურიობით განდგომილნი".[4]

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონი თვლიდა, რომ ტოპონიმი "გურია" VIII საუკუნეში წარმოიშვა ოძრახოს საერისთავოს მოსახლეობის ნაწილის თავისი ერისთავისაგან განდგომისა და აფხაზთა მეფისადმი დამორჩილებასთან დაკავშირებით. ვახუშტის ამ "თეორიის" ამოსავალი იყო ბიბლიის ქართულ თარგმანში ნახმარი სიტყვები: "აგურიობდა" (რიცხვთა, 22, 13) და "გურიობა" (რიცხვთა, 32, 13; სიბრძნე სოლომონისი, 4, 12). "გურიობა" ლექსიკოგრაფთა მიერ განმარტებულია როგორც "მიდევნება არევით",[5] "მიდევნება გულისთქმათა", "увлекаться страстями",[6] ან "აშლა, მიმოდევნება".[7]

მ.ბროსეს აზრით, "გურია" შეიძლება მომდინარეობდეს ცეცხლთაყვანისმცემელთა ერთ-ერთი სპარსული სახელწოდებიდან

"გუარე". ამ ვარაუდს ბროსე იმ ფაქტით ამაგრებდა, რომ ახ.წ. VI საუკუნეში ბერძენ-სპარსელთა დიდი ომის დროს ახლანდელი გურიის ტერიტორია, ლაზეთის ნაწილი, ერთ ხანს სპარსელებს ეჭირათ.[8]

მომდევნო ხანებში "გურიის" ეტიმოლოგიის დადგენა თ.სახოკიამ სცადა. მისი აზრით, რაკი "გური" მეგრულად გულს ნიშნავს, აქედან უნდა იყოს "გურია" - გულფიცხი და გულადი ხალხის ქვეყნის გაგებით.[9] თვითონ გურიის მცხოვრებთა აზრით, თ.სახოკიას გადმოცემით, ძველად, როცა საქართველოს საზღვარი ტრაპიზონამდე მიდიოდა, "გურია გულად (მეგრულად "გური" - გულია), შუა ალაგად ითვლებოდა ჩვენი ტურფა მამულისაო".[10]

ნ.მარი ფიქრობდა, რომ "გურია" და "ეგერი" (ეგრისი) ერთი და იმავე ძირიდან ნაწარმოები ტერმინებია: ეგერ - გუერ -გურ[11] და განმარტავდა, რომ სიტყვაში გურია "გურ" - ლაზურ-მეგრულია და ადრე მზეს ნიშნავდა, ხოლო "ია" (იგივეაო, რაც "-უა") შვილს (ვაჟს) აღნიშნავდაო.[12]

ნ.ბერძენიშვილის შეხედულებით, რაკი სამოხელეო-ადმინისტრაციული ტერმინი "გურიელი" სარეზიდენციო პუნქტის სახელიდანაა ნაწარმოები (და არა მხარის, რეგიონის სახელიდან), "გურია ეწოდება არა მარტო მხარეს, არამედ თავდაპირველად ამ მხარის ერთ-ერთ პუნქტს (შდრ. ოდიში სოფელი და ოდიში მხარე, ქართლი სოფელი და ქართლის მხარე, ჰერეთი სოფელი და ჰერეთი მხარე, რაჭა ციხე და რაჭა მხარე, თავკვერი ციხე და თავკვერი მხარე). სად იყო ასეთი პუნქტი გურიაში? ... სოფელი, ქვეყანა გურია მისი ვაშნარით დამაფიქრებელია"...[13]

1963 წ. გურიანთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რამაც გურიანთის ციხის მიდამოებში ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარების არსებობა დაადასტურა, ნ.ბერძენიშვილს "გურიის" გურიანთა/გურიასთან კავშირის ვარაუდი კიდევ უფრო განუმტკიცა.[14]

ჯ.გვეტაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ურარტულ წყაროებში ძვ.წ. VIII საუკუნეში მოხსენიებული "ქვეყანა კურიანთა", რაც ასურულ წარწერებში "გურიანიას ოლქად" იწოდება, ტოპონიმ "გურიასთან" უნდა იყოს დაკავშირებული: "დასაშვებია, რომ "კურიანია//გურიანიას ქვეყნის" ამ მხარისათვის "გურიის" შერქმევა".[15]

როგორც ვხედავთ, ტერმინ "გურიის" ეტიმოლოგია ჯერჯერობით დადგენილი არაა.

თუ გავითვალისწინებთ "აწინდელი გურულის რთულ ეთნიკურ შემადგენლობას",[16] უფრო ზუსტად, - წარმომავლობას და იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ ქართული მოსახლეობა ("იბერები") ახლანდელი გურიის ადგილას დიდი ხანია, უკვე ჩვ.წ.ა. პირველივე საუკუნეებიდანაა დადასტურებული,[17] გურია სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა არც თუ ადვილი საქმეა.

გურიაში მცხოვრებს, მკვიდრს "გურული" ეწოდება. "გურული" მეორადია, იგი პირველადს - ადგილ გურიას გულისხმობს. ასეა ნაწარმოები აჭარელი, მეგრელი, რაჭველი... (განსხვავებით ტერმინებისაგან მესხი, კახი, სვანი, ჯავახი...), ფორმით "გურული" დასავლურ ქართულია ("კოლხური"); გურ-ურ-ი - გურ-ულ-ი, სადაც "ურ" პრეფიქსი სადაურობას აღნიშნავს (შდრ. "ფოთური-ფოთელი"), ეს ფორმა ეხლაც გვხვდება, მაგ., შემოქმედური-შემოქმედელი.

გურული ლიტერატურაში შედარებით ახალი ფორმაა. ძველ წუაროებში ამ მნიშვნელობით იხმარებოდა "გურიელი". ბაგრატ IV დროს (XI ს.) იხსენიებიან "გურიელნი აზნაურნი", ე.ი. აზნაურები გურიიდან.[18] ეს ფორმა ჩვეულებრივია XII საუკუნის ძეგლებისათვისაც.[19] იგი გვიანაც გვხვდება, კერძოდ "გურიელს" უწოდებს გურიის მცხოვრებს (გურულს) სულხან-საბა ორბელიანი.[20] იოანე ბატონიშვილი XIX ს. დასაწყისში წერს, რომ იაკობ შემოქმედელი (დუმბაძე) იყო "გურიელი". ასევე "გურიელი" იყო, მისივე სიტყვით, "მამა პეტრე ჩხატარაისძე"[21] და ა.შ.

გურიელი - გურიის მკვიდრი და გურიელი - გურიის მფლობელ-გამგებელი რომ განესხვავებინათ, პარალელურად იხმარებოდა ფორმა "გურიული". ასეა ვახუშტის ავტოგრაფულ ხელნაწერებში, "ახალ ქართლის ცხოვრებაში".[22] აღმოსავლეთ საქართველოს[23] და გურიის საისტორიო დოკუმენტებში გურიის მკვიდრს "გურული" ეწოდება.[24] საყურადღებოა, რომ XVIII- XIX სს. გამაჰმადიანებული ქვემო გურიის (მდ. ჩოლოქიდან ჭოროხამდე) მოსახლეობა თავს ისევ გურულებად // ან "გურიელებად" თვლიდა. 1840 წელს ერთი ოფიციალური დოკუმენტით,

ქობულეთის სანჯაყიდან ოზურგეთის მაზრაში გადმოხიზნული ბოლქვაძეები, მოხელიშვილები, ხომერიკები, სადრაძეები, ხახუტაიშვილები, ბერიძეები და ტაკიძეები ფიცით გამოკითხვის დროს აღნიშნავდნენ, რომ ისინი არიან გურულები.[25] ერთმა მათგანმა - მუთი ქარცივაძემ განაცხადა, რომ იგი არის "გურული, რომელსა მიუღეს თათრობა", ხოლო გურულ კაჩალა ტაკიძის სიტყვით, იგი თათარია ქობულეთიდან".[26] ის ფაქტი, რომ თავის ეროვნებად ეს პირები გურულობას მიუთითებდნენ, საქართველოს ხანგრძლივი ფეოდალური დაშლილობის სავალალო შედეგია.

გურიის საერისთავოს (resp. სამთავროს) გამგებელ და მფლობელ ხელისუფალს ("ხელმწიფეს") "**გურიელი**" ეწოდებოდა. ასეა შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე, დოკუმენტური მოწმობით XII საუკუნიდან.[27] ამავე დროს გვიანდელ წყაროებში ვხვდებით სხვა ფორმასაც - "გურული". ჟამთააღმწერელი რუსუდანის დროს (XIII ს. პირველი ნახევარი), პირველად "ქართლის ცხოვრებაში" ახსენებს გურიელს[28] და ასეა ვახუშტის თხზულებაში, "ახალ ქართლის ცხოვრებაში"; იოანე ბაგრატიონის იშვიათი ცნობით, 1117 წ. დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ აჯანყებულა "შოთა გურიული" (ცხადია გურიელი, გურიის გამგებელი).[29] ფორმა "გურიელი" იხმარება ე.წ. "პარიზის ქრონიკაშიც" (XVIII ს.).

ნ.ბერძენიშვილის სიტყვით, ტერმინი "გურიელი", იგულისხმება გურიელი ერისთავთ-ერისთავი, ისევეა ნაწარმოები, როგორც თმოგველი, ცხუმელი, ბედიელი, ხორნაბუჯელი...". იგი სარეზიდენციო პუნქტის სახელიდანაა ნაწარმოები.[30] XIX ს. დასაწყისიდან გურიელი თანდათან გურიის სამთავროს სახლის წევრთა ("ბატონიშვილთა") გვარის სახელად იქცა.

შენიშვნები

1 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გამოსცა ს.ყაუხჩიშვილმა. 1973. გვ. 89-92. ასეთივე ჩვენებას იძლევა ყველა სხვა ქართული თუ უცხოური წყარო.

2 ქართლის ცხოვრება, ტ.2, გამოსცა ს.ყაუხჩიშვილმა, 1955, გვ. 241.

3 იქვე.

4 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 789.

5 ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1960, გვ. 42.

6 დ.ჩუბინაშილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984, სვეტი 344.

7 აბულაძე, ძველი კართული ენის ლექსიკონი, 1973.

8 თ.სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 18.

9 იქვე.

10 იქვე, გვ. 19.

11 ი.მეგრელიძე. ლაზური და მეგრული ფენები გურიაში. 1938. გვ. 43 (რუსულ ენაზე)

12 იქვე, გვ. 66-67.

13 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ.I, 1964, გვ. 340.

14 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ.I, 1964, გვ. 340.

15 ჯ.გვეტაძე. "გურია"-ს ეტიმოლოგიისათვის // საისტორიო კრებული, VI, 1976, გვ. 166.

16 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ.V, გვ. 64; ამის შესახებ იხ. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი (ივ. ჯავახიშვილის, ნ.მარის, გ.დეეტერსისა და მეგრელიძის შეხედულებანი).

17 ს.ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, ტ.2, 1965, გვ. 25-26.

18 ქართლის ცხოვრება. ტ.I, გვ. 299.

19 ქართლის ცხოვრება, ტ.II, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., თბ. 1959, გვ. 342, 348.

20 ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, 1940, გვ. 140.

21 ი.ბატონიშვილი, კალმასობა, ტ.II, 1948, გვ. 181.

22 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 477.

23 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 681.

24 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 492.

25 საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. II, ანაწ. I, ს. 1001, ფურც. 35-42.

26 იქვე, ფურც. 40.

27 იხ. დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1978 (რუსულ ენაზე): გურიის ხატების წარწერები.

28 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 195.

29 საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-2134, ფურც. 613 .

30 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, გვ. 340.

К.А.ЧХАТАРАИШВИЛИ

Темины "Гурия", "гурули", "гуриели".

Резюме

"Гурия" - название исторической провинции Грузии, в исторических источниках упоминается в связи с событиями VIII в. н.э. Этимология этого слова не установлена. Наиболее вероятно его происхождение от лазско-мегрельского слова "гури" - "сердце", "серединное место". Название жителей Гурии - приморская территория Западной Грузии, между устьями рек Риони и Чорохи -"гурули" (досл. "гуриец", "житель Гурии"). Первоначальная форма этого термина "гуриели" или "гуриули". Правители Гурии, составлявшей в средние века отдельную политико-административную единицу (саэриставо, позже - владетельное княжество), назывались "Гуриели" (дословно "гуриец", "гурийский").

ე.გოგუაძე
მწიგნობრული სკოლის სათავეებთან ძველ გურიაში

ისტორიული ჟამთსაბრუნავის შორეულ თვალსაწიერს წვდება "გურულთა ტომის" კულტურული ყოფის საინტერესო წარსული. ქვეყანა, რომელსაც "ქართლის ცხოვრების ქრონიკები მერვე საუკუნიდან "გურიად" უხმობენ "სავსე ყოფილა ძველის ნაშთებით, რომელზედაც, როგორც გაშლილ წიგნში იკითხება მოთხრობა ერისა და მისი ძველი განათლებისა"... ხალხნი ჰქრებოდნენ აქ ერთი მეორის შემდეგ, თავისი მდიდარი აყვავებული ახალშენებით და თავის მემკვიდრე ხალხს უტოვებდნენ თავიანთი კულტურული ყოფის თვალსაჩინო ნაკვალევს.[1]

აქ მოსახლე "კაცნი და ქალნი" იყვნენ... შემოსილნი მშვენიერებითაცა რბილნი, ენატკბილმოუბრენი... ქართულსავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლას შინა შემმართებულნი... უავაზაკონი... სტუმრის მოყვარენი და კეთილად შემწყნარენი კეთილ მგალობელნი მწიგნობარნი.[2]

სამი საეპისკოპო კათედრალი განაგებდა იმ მშფოთვარე ფეოდალურ ყოფაში გაერთიანებული გურიის სულიერ და კულტურულ ცხოვრებას: ჯუმათის მთავარანგელოზი (სუფსის ქვეყანა), შემოქმედის მაცხოვარი (ნატანების ქვეყანა) და პატარა ხინოს საეპისკოპოსო (კინტრიშის ქვეყანა).[3]

გარდა "წმინდა სამებისა" ქვეყნის კულტურული წიაღსვლის საქმეში იღწვოდა ლიხაურის ღვთისმშობელი და უდაბნოს, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი.

ჯუმათის, ლიხაურის, შემოქმედისა და უდაბნოს ტაძრებში ქმნიდნენ, სწერდნენ ქართულ ხელნაწერებს - ქორონიკონის გაუხუნარ ფურცლებს.

სამი ასეული წლის წინათ, გურიაში მოღვაწე იტალიელი მისიონერი პატრი დონ ქრისტოფორო დე კასტელი იუწყებოდა: გურულებს "წიგნი ბევრი აქვთ, მაგრამ ყველა ხელნაწერის სახით, რომელთა შორის არის ჭალმრთო საეკლესიო წიგნები... უძველესი კანონები, სარაინდო ზღაპრებისა და პოეზიის წიგნები".[4]

გურიის ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ ამ ხელნაწერ წიგნთა საცავებს. ქვემო ხეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, დ.ბაქრაძის ცნობით, დაცული იყო "საინტერესო ძველი" ხელნაწერი ზოდიაქოთა მნიშვნელობის შემცველი წიგნი "საეტლო მართალი და ჭეშმარიტი".[5] ხევის წმ.გიორგის ეკლესიას ამშვენებდა მაკრიოზ მამალაძის მიერ შეწირული სახარება, რასაც ცხადყოფდა სახარებაზე მინაწერი: "ესე სახარება... დავდევ შენს საყდარში... ღმერთო და წმინდაო გიორგი შენ ეყავ მფარველი ჩვენს სულს".[6]

აცანის ოქონის მონასტერში დაცული სახარების მინაწერის თანახმად, "ქრისტიფორე კობალაძემან მოვჰბედე, დავდექ თქვენსა საყდარსა. მე ვცადე შენი წყალობა... დავდევ სახარება სამოციქულო".[7]

1689 წლის 17 ოქტომბერს სუფსის ახლად აგებულ ეკლესიას, ვახტანგ დავითის-ძე გურიელმა შესწირა "სახარება სადღესასწაულო, სამოციქულო, პარაკლიტონი, ჟამნი; ხოლო კონსტანტინე ანტონის-ძე ჩხატარაშვილმა ლოცვანი, პარაკლისის წიგნი ყოველთა წმინდანთა.[8]

1713 წელს მამია გურიელმა გამოჩინებულის წმ. გიორგის საყდარს "სახასრად და სოხად სულისა თავისისა" უძღვნა სახარება.[9]

ვანისქედის საყდარს "ეხსნეს რამდენიმე გუჯარი და რამდენიმე წიგნი".[10] 1873 წლის 20 სექტემბერს ისტორიკოსმა დ.ბაქრაძემ მოინახულა იოვანე ნათლიმცემლის უდაბნოს მონასტერი, რომლის წიგნთსაცავში ინახებოდა სახარების იოვანე ოქროპირისეული თარგმანები, მეტაფრასი ანუ იგივე წმინდათა ცხოვრება და სხვ.[11]

ეს უნიკალური ხელნაწერი, რომელიც "უდაბნოს მრავალთავის" სახელწოდებითაა ცნობილი, უღვთოდ იძარცვებოდა.

თ.ჟორდანიას ცნობით, მრავალთავის ერთი ფურცელი "ოზურგეთში შაგირდებს ქონდათ ყდისათვის. შემოქმედიდან მოეტანათ".[12]

1920 წელს "უდაბნოს მრავალთავი" გურიიდან ჩამოიტანა და მუზეუმს გადასცა პროფ. ა.შანიძემ. მანვე 1923 წელს პ.გრენის კოლექციაში მიაგნო ამ მრავალთავიდან ამოგლეჯილ რვა ფურცელს, ისინი შემდგომში შეუერთეს ხელნაწერს.[13]

XI ს.-ში ს.ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადაუწერიათ "ლიხაურის სახარება". "ლიხაურის ეკლესიაში - აღნიშნავდა 1898 წელს მწერალი და ეთნოგრაფი თ.სახოკია, - დაცულია ტყავზე დაწერილი ოთხთავი ასომთავრულ-ხუცურით. აქაურს მღვდელს მამა კონტრიძეს მზრუნველად დაუკაზმინებია ეს წიგნი ჩვენი საეკლესიო მწერლობისა და საკმაოდ სისუფთავითაც შეუნახავს".[14]

მეთოთხმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში ჯუმათის მონასტერში ინახებოდა სახარება, სულთკანონი, მამათა წიგნი, კითხვა მიგებაი და, რაც მთავარია, მეათე საუკუნის უნიკალური ქართული ხელნაწერი "შატბერდული კრებული".

ჯუმათის ყოფილი მამასახლისი, ნიკოლოზ ჯუმათელი კრებულზე მინაწერით გვამცნობს: "მე ნიკოლაოს ოდესმე ჯუმათის მამასახლისის ყოფილმან უღირსმა და ხელითა საწყალობელმან, ფრიად ხარკებითა (კლარჯეთს) შევიარენ და შევკრიბენ წმინდანი ესე წიგნნი, პირველად წმინდა ესე სახარება, ოთხთავი და მრავალთავი და ხელთკანონი და მამათა წიგნი და კითხვა მიგებაი. უმეტესად აღაშენენ ღმერთმან შატბერდი...".[15]

კრებული ჯუმათის მონასტრიდან, დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, თეთნულდის კალთებზე შეფენილ ს.ადიშში იქნა გადატანილი. ამჟამად ამ უნიკალურ ხელნაწერს ადიშის ოთხთავი ეწოდება.

ოთხი საუკუნის წინათ, მელექედურის მონასტერსა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას ვინმე "ჯაყელმა მოძღვარმა იგულა და იგულსმოდგინა" ნებითა თვისითა დაუტევა: "... წმინდაი ოთხთავი, სახარება, სამოციქულო პარაკლიტონი, - ესენი ყველა", - აღნიშნულია ანდერძში, - "ნათლისმცემო იოანე შენ და შენს საყდარზე შემიწირავს".[16]

გურიის ქვეყნის კულტურულ ცენტრში ოზურგეთში მაღალ დონეზე იდგა საგანმანათლებლო საქმიანობა. მეთექვსმეტე საუკუნეში ქაიხოსრო პირველისა და დედის, ათაბაგის ასულის თამარის დაკვეთით დამზადებულ იქნა თეთროსნის დავითნი, რომელიც თავისი შესრულების ტექნიკით, გემოვნებითა და ოსტატობით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მამია გურიელის ბრძანებით გამზადდა სახარების საკითხავები და კურთხევანი.

აღსანიშნავია, რომ გიორგი გურიელის დაკვეთით გაბრიელ საბლუამ

გულანის ერთი ნაწილი ტიბიკონი გადაწერა.[17]

მიქელ თამარაშვილის ცნობით, 1634 წელს გორიდან გურიაში ჩავიდნენ თეათინელი მისიონერები ანტონიო ჯარდინი და ქრისტიფორე კასტელი. იტალიელმა პატრებმა ახლო ურთიერთობა დაამყარეს გურიის პატრიარქთან, მალაქია გურიელთან.

პატრები დასახლდნენ ოზურგეთში მალაქია კათალიკოსის კარზე, სადაც გააჩაღეს კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

პატრებს იქ დაუარსებიათ კოლეჯი, სადაც, როგორც კასტელი აღნიშნავს, ასწავლიდნენ ყმაწვილებს. ... "ჩვენ გვაძლევდა მთავარი, იგივე პატრიარქი და გურიელი და მისი სხვა დიდბატონები... მათ ავიყვანდით ხოლმე, ვზრდიდით და ვასწავლიდით სარწმუნოებას, სხვადასხვა მეცნიერებას და ქრისტიანულ მოძღვრებას". კასტელის მიერ გურიაში შესრულებული ჩანახატების შესწავლისა და მათზე ჯეროვანი დაკვირვების შედეგად ცხადი ხდება, რომ კოლეჯი იტალიელ ღვთისმსახურებს დაუარსებიათ, მდებარეობდა გურიელის სასახლესთან, ამჟამინდელი პირველი საშუალო სკოლისა და სკოლა-ინტერნატის შემოგარენში. ამასვე უნდა ადასტურებდეს ამ მიდამოებში 1957 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ევროპული ვერცხლის მონეტების განძი.

ოზურგეთში კოლეჯის არსებობა ძალზე საინტერესო ფაქტია ქვეყნის (კუთხის) კულტურულ-საგანმანათლებლო დონის შესწავლის თვალსაზრისით.

თეათინელი ღვთისმსახურის კლემენტე გადიანოს ცნობით "... იმისთანა კეთილისმყოფელი მთავრის ხელში, როგორიც იყო მალაქია გურიელი, ადვილი წარმოსადგენია თუ რაოდენ სიკეთე უნდა მოეტანათ თეათინელ მონაზნებს თავიანთი სწავლა-ქადაგებით. მათ იქვე დააარსეს სკოლა. ბავშვები ზოგი თვით მთავარმა აჩუქა პატრებს, ზოგი ბატონებმა მისცეს და ზოგიც თვითონ გამოართვეს იმ მშობლებს, რომლებსაც ბავშვების აღზრდა არ შეეძლოთ... ამათ დაუწყეს სწავლება საქრისტიანო და სამეცნიერო საგნებისა. ძნელად წარმოსადგენია, თუ რაოდენი [illegible] სიყვარული უჩვენა იმ მთავარმა. რაოდენი მოწყალება უყო პატარებს. ესრეთი მფარველობა მათ შვიდი წელიწადი თავისი სიცოცხლის

უკანასკნელ დღემდე გაუწია. მამების რიცხვი შვიდამდე მიიყვანა, მათ მუდამ პატივს სცემდა, ეწეოდა და მტრობის წინააღმდეგ ფარავდა...“.[18]

მიქელ თამარაშვილის მოწმობით, პატრმა ანტონ ჯარდინამ “...კარგად იცოდა ქართული ენა, მან შეადგინა ქართული გრამატიკა და დააწყებინა ყმაწვილებს მისი შესწავლა. ყმაწვილები ჩქარა დაწინაურდნენ სწავლაში და ყველასათვის ეს საოცარნი შეიქმნენ. მისიონერები ძლიერ აქებდნენ გურულების ნიჭიერებას და მათ ყველაფრის ადვილად შეთვისების უნარსა. გურულების საოცარი ნიჭის მიზეზით მისიონერებმა დააპირეს რამდენიმე ყმაწვილი იტალიაში გაეგზავნათ, რათა იქ მაღალი სწავლა მიეღოთ და შემდგომ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მამულში საშრომელად, მაგრამ მისიონერები მტრებსა მოერიდნენ, იქნება ხალხში ხმა გაავრცელონ და სთქვან, რომ პატრებმა ყმაწვილები თათრებს მიჰყიდესო. ამის გამო ყმაწვილები ევროპაში აღარ გააგზავნეს“.[19]

მ.თამარაშვილის გადმოცემით, ქართული გრამატიკა შეუდგენია ენაში საოცრად განსწავლულ ანტონ ჯარდინას. ეს კი, როგორც ცნობილია, პირველი წიგნი დღემდე არსებულ გრამატიკათა შორის; იგი ხომ ათი წლით უსწრებს “პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში 1643 წელს თეათინელი პატრის ფრანჩესკო მარია მაჯოს მიერ ქართული ნაბეჭდი გრამატიკის გამოცემას.

ფრანჩესკო მარია მაჯომ უფროსი კოლეგის მიერ დაწყებული საქმე გააგრძელა, კოლეგისა, რომელიც მის ჩამოსვლამდე გარდაიცვალა (1637 წ.).

აი რას წერდა ამის შესახებ პირველ “მიძღვნაში“ თვით მაჯო: “... შემდეგ მიბრძანეს, რომ ბატონ ანტონ ჯარდინას, ერთ-ერთი ჩვენი ბერის, საოცრად ამაღლებული ადამიანის ნაცვლად, რომელმაც დაუტევა ეს ქვეყანა, მე წავსულიყავი გურიაში. აქ ვიხილე ჩვენი სხვა ბერებიც, უკიდურესად გაჭირვებაში სახსარ მოკლებულნი ქრისტიანულ რწმენას რომ ავრცელებენ... აქ, ჩემი მისიის წყალობით, უკვე ვაპირებდი ახალ მონათლული ქრისტიანები დამემოძღვრა, მაგრამ ამ დროს კოლხეთში გამომიძახეს, რათა მესწავლებინა ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის (ქართული ენა), რომელიც მე უკვე ავითვისე“.

ჩვენთვის გაურკვეველი რჩება, გადაიღო თუ არა მაჯომ ა.ჯარდინას

ხელნაწერი, ქართული გრამატიკის ასლი, რომში გასაგზავნად და ისარგებლა თუ არა ამ ნაშრომით თავის გამოკვლევაში? ვინ იცის, თუ არა ჯარდინას ნაადრევის სიკვდილი, პირველ ნაბეჭდ ქართულ გრამატიკას, შესაძლოა, ერთის ნაცვლად ორი ავტორი ჰყოლოდა. ორივემ გარკვეული ღვაწლი დასდო ქართული კულტურისა და განათლების განვითარებას.[20]

ამავე ხანებში, როგორც კასტელი გადმოგვცემს, ოზურგეთში უცხოვრია ვინმე ფრიდონს, რომელსაც სცოდნია ... ჭრილობების სამკურნალო არაჩვეულებრივი ხერხები, მას როგორც გამოცდილ ექიმს მოუწოდებდა გურიის პატრიარქი მალაქია შეპყრობილი მრავალი ავადმყოფობითა და წყლულით... მთავარმა იგი კეთილად მიიღო და თავის სახლში ერთ-ერთ უფროსად დანიშნა. ფრიდონი იყო ჩვეულებრივი ტანის, მკაცრი სახის, გრძელი წვერით, გამჭრიახი გონებით, ენების მცოდნე. იგი შეჩვეული იყო სხავადასხვა ენებზე ლაპარაკს: შეეძლო ლათინურ, იტალიურ, თურქულ, ილირიულ, იბერიულ ენებზე ლაპარაკი. ამიტომ როდესაც მთავარმა შეიტყო მისი ხელოვნება, (ფრიდონი) მოიყვანა არა მარტო თავის ჯანმრთელობაზე საზრუნავად, არამედ თავისი ოჯახის ზოგი სხვა საქმის (აღებ-მიცემობა) შესასრულებლადაც, ვინაიდან მას კარგად ესმოდა ყველა ეს საკითხი.[21]

ზემოაღნიშნულ ცნობას ფრიდონის განსწავლულობაზე ადასტურებს თიათინელთა ორდენის წევრი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი სამედიცინო საქმის მცოდნე.

"ფრიდონი" - გვამცნობს ჯუდიჩე, - როდესაც გურიაში ჩამოვიდა "იგი მიიღო მალაქიამ, როგორც ერთი საოცრებათაგანი, თავისი ხანდაზმულობისა და ცხოვრების დასაყრდენი თავისი ჯანმრთელობის ბედი მას ჩააბარა. ფრიდონი ... უდიდეს ნიჭსა და მონდომებას იჩენდა, განსაკუთრებით ენაში, ფლობდა იტალიურს, ლათინურს, თურქულს, სლავიანურსა და ქართულ ენებს. როდესაც მთავარი დარწმუნდა, რომ იგი კარგად მკურნალობდა, თავის სამფლობელოს ქვეშევრდომად გახადა, ქონებით გაამდიდრა, მისცა სახლები, მონები".[22]

გურიაში (ოზურგეთში) გაიცნო კასტელიმ თავადი დავით ბერიძე, დაუახლოვდა მათ ოჯახს, გაეცნო თავადის მეუღლეს ფომინისია ბერიძეს,

სათნოებითა და სილამაზით აღსავსე ქალს, რომელიც ამავე დროს რომის მისიონის მდივან-მწიგნობარიც ყოფილა. საქართველოს მეფესთან, დედოფალთან, მთავრებთან, თუ თავადებთან ყველა მნიშვნელოვან მიმოწერას მისიონის სახელით ის აწარმოებდა.[23]

კასტელმა ამაგდარ მოღვაწე ქალს ფომინისია ბერიძეს ამაგი როდი დაუკარგა, მისი მშვენიერი სურათი დახატა, რომელსაც საკმაოდ ფართო და მნიშვნელოვანი წარწერა გაუკეთა, რომელიც ასე იუწყება: "კეთილშობილი გურიის თავადის მეუღლე პოეტი ფომინისია ბერიძე, დიდად ნიჭიერი და სხვადასხვა სათნოებით სახელგანთქმული... ბევრი მოწყალება მომცა, მრავალ შემთხვევაში ხელი შემიწყო. ჩვენი მწერალი იყო, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი წერილის მიწერა გვინდოდა მეფესთან, დედოფალთან, აგრეთვე სხვა და სხვაგანაც, სადაც წვალებით ვცხოვრობთ. ამ ქალბატონის სახლში მოვნათლე ათი ბავშვი".[24]

საინტერესოა ბერიძეთა ამ სახელგანთქმული ასულის პორტრეტის აღწერილობაც: "მას სადად აცვია. ყელზე აქვს მარგალიტის ორმაგი მძივი, ფართო მანტიას ირგვლივ ბეწვი გასდევს, ახურავს მარგალიტით მორთული თავსაბური. წინ ლეჩაქი ჩამოუდის, ქაღალდის გრაგნილზე ფრთიანი კალმით წერს, მის წინ იატაკზე აწყვია ფანქრის სათლელი დანა, დიდი მაკრატელი და ლარნაკი, სურნელით საკმეველისათვის".[25]

თავად გრიგოლ გურიელის სახლი ოზურგეთში ხელნაწერ წიგნთა მნიშვნელოვან საცავს წარმოადგენდა. 1890 წლის 4 სექტემბერს "ივერიის" ცნობის თანახმად, აქ დაცული იყო სამი ძველი საინტერესო წიგნი. ერთია "ითიკა-თეოლოგია", ანუ "სწავლანი სასულიერო საღმრთო მეცნიერებანი მაქსიმე აღმსარებლისა, თარგმნილი წმინდა მამის ჩვენის ექვთიმისა". ხელნაწერის თხუთმეტი ფურცელი დაწერილია ლამაზი ნუსხური ხელით, დიაკონის პორფირეს მიერ 1725 წელს. მეორეა წიგნი სიბრძნისაი იესო ზირაქისა. მესამე გადაწერილია 1791 წელს". თ.გურიელი დიდის გულმოდგინებით აგროვებდა გურიაში ხელნაწერებსა და საისტორიო ნივთებს, რათა შეეწირა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის.[26]

1896 წელს, ახალ სენაკში, კ.თავართქილაძის მიერ დაარსებულ

სტამბაში გ.ჭიჭინაძემ გამოსცა "თავდგირიძიან გვარის ღალატი და ალიფაშა თავდგირიძე". ავტორი აღნიშნავდა: "ეს მასალები მე მოვაგროვე ოზურგეთის სამაზრო სამმართველოს ძველი არქივის ქაღალდებში, რომელი არქივის ასოცი ფუთი ქაღალდები ოზურგეთის ვაჭრებზე იქნა გაყიდული, მე აქა იქ მეწვრილმანის დუქანში შევკრიბე. ესენი წერა-კითხვის საზოგადოებას გადავეცი, ამით გურიამ დიდძალი მასალები დაკარგა და ნამეტურ გლეხკაცობამ. განსაჯე მკითხველო, რამდენად სამწუხაროა ეს გარემოება, რომ ამგვარი ძვირფასი მასალები ჩვენი ისტორიის უკუღმართობისა და შეურიგებლობის გამო ასე იფანტება ჩვენდა სამარცხვინოდ".

1897 წ. ჩიბათის მკვიდრი მღვდელი მოსე ჯორბენაძე ჟურნალ "კვალის" რედაქციას ატყობინებდა: "სოფ. ჩიბათში მცხოვრები (ოზურგეთის მაზრა) ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი ბენიამინი (ერობაში აზნაური ბუჟუკი ჭყონია) ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა..., მისმა ნათესავებმა თათიკა ოფერიას ასულმა და სალომე ჭყონიამ შესწირეს ჩემს ეკლესიას ორი ცალი სამოციქულო და ზადიკი განსვენებულის. არხიმანდრიტის წიგნებს შორის ვნახე ოთხი ხელნაწერი წიგნი, სუფთად დაწერილი ეტრატზე ხუცურად... მე ვთხოვე არხიმანდრიტის ჭირისუფლებს, რომ ეს წიგნები გადმოეცა ჩვენთვის არხიმანდრიტის სულის საოხად და მეც აღვუთქვი ამ წიგნების გადმოცემა "კვალის" რედაქციაში...".[27]

მართალია, რედაქცია გამოთქვამს სურვილს ჭყონიასეული ხელნაწერების მათთვის გადაცემის შესახებ, მაგრამ რა ბედი ეწია ამ წიგნებს, ჩვენთვის უცნობია.

გურიის ეკლესია-მონასტრებში მრავლად იყო დაუნჯებული საეკლესიო საკითხავებისა და ლოცვების კრებული ჟამ-გულანების სახით.

XVII ს. მოღვაწის, ანტიოქიის პატრიარქის მაკარი ანტიოქელის ცნობის თანახმად, ეკლესიებში ქართველებს აქვთ გულანები. "ეს წიგნები კლიროსში საწიგნეზე დევს და გადაფარებული აქვს მაუდის ან ტილოს ქსოვილი".

"გულანი ყველა საეკლესიო წიგნს შეიცავს რაც კი მორწმუნეს

სჭირდება და რასაც წლის ყოველ დროს ჰკითხულობენ: სახარება, პრაქსი, სამოციქულოები და თქვენი სრულიად მარხვანი, პატიკი, წიგნი საწინასწარმეტყველოთა, ფსალმუნი, ჟამნი, ქსვინაქსარი, ტიბიკონი, ჰომილიები და ცხოვრებანი (წმინდათა), რომლებიც იკითხებიან დიდ დღესასწაულობისას, აგრეთვე წიგნი თედორე სტუდიელისა და სხვა შესანიშნავი წიგნები".[28]

XVII ს. "გულანი" დაცული იყო ერკეთის ეკლესიაში, "გადარჩენილი და სულქმნილი ივანე ჩხატარაშვილის, ნათელ კარგარეთელის, გაბრიელის, იესე სვიმონის ძისა და გრიგოლ მეიერუსალიმელის მიერ".

ხელნაწერ წიგნთა სიმდიდრით გამოირჩეოდა შემოქმედის სავანე. "ამბობენ, - იუწყებოდა თ.ჟორდანია, - შემოქმედის მონასტერს მდიდარი წიგნსაცავი ჰქონია. მართლაც ყოვლად შეუძლებელია ამ საპატრიარქო კათედრაში მწიგნობარნი არ ყოფილიყვნენ... ამათის გულმოდგინების ნაყოფია "გულანი" ანუ კრება გალობებისა და ლოცვებისა მთელი წლისათვის, შემოქმედში დარჩენილი "გულანი" წარმოადგენს უზარმაზარი ტანის წიგნს, დაწერილს მშვენიერის ხელით და ყოველის გულმოდგინებით სქელ ქაღალდზე... მისის გადაწერისათვის დამშვრალან არა ათი და ოცი კალიგრაფები. აწინდელ დროს, დაუჯერებელია და ყოვლად შეუძლებელია ის შრომა, ის ღვაწლი, რომელიც გაუწევიათ ქრისტეს სარწმუნოებით და საქმის სიყვარულით აღფრთოვანებულ მამათა ჩვენთა. უნებურად მუხლს იდრეკ მათ საარაკო შრომის წინაშე...".[29]

1820 წლის 11 ივლისს გენერალ კულიამინოვის ბრძანების აღმსრულებელმა მაიორ მინისის მეთაურობით მოქმედმა ეგერებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ "შემოქმედის ციხე მოტეხეს და შემოქმედი მოსწვეს".[30]

რუსი ოფიცრები განცვიფრებულნი დარჩნენ მონასტერში დაცული წიგნების სიმრავლით.[31]

ამ წიგნებში გამოირჩეოდა შემოქმედის "გულანი", რომელსაც თან ერთოდა კვინკლოსურ ქრონიკალური მინაწერები. ეს მინაწერები 1850 წელს გამოაქვეყნა მ.ბროსემ. მეორე "რაპორტში" მინაწერებს მკვლევარმა წაუმძღვარა შენიშვნა, საიდანაც ჩანს, რომ მას "გულანი" არ უნახავს. მინაწერები გადაუწერია და მისთვის გადაუცია სამსახურიდან გადამდგარ

მაიორ ტრჟანსკოვსკის.

შემოქმედის მონასტერში გაეცნო "გულანს" დ.ბაქრაძე და 1878 წელს გამოაქვეყნა ნუსხის მოკლე აღწერა და კინკლოსის ქრონიკული მინაწერები. პარალელურად შეასწორა ზოგიერთი უზუსტობა, შეპარული მ.ბროსეს პუბლიკაციაში.

ამჟამად შემოქმედის "გულანი" დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში (№. 103).

ანდერძიდან ჩანს, რომ მომგებელი, დამკვეთი იყო მამია გურიელი. ხოლო გულანების გადამწერები - ათანასე ქავჟარაძე, მთავარ დიაკონი იოვანე გეხრგიჩიძე, მღვდელი საბა და მღვდელ-მონაზონი იოსებ ტუსკია.[32]

გურიის ეკლესია-მონასტრებში დაცულ ხელნაწერ წიგნთა ზოგადი აღწერილობიდანაც ჩანს, თუ რა მდიდარი ყოფილა წერილობითი ძეგლებით საქართველოს ეს ძირძველი კუთხე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მასალა ინახებოდა საყდართა საცავებში.

ეჭვი არაა, რომ ძველად ქართული ხელნაწერი წიგნები, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნეობის განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად, მეტწილად ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა. მათ გადაწერასა და მოვლა-პატრონობაზე მონასტრის მესვეურები ზრუნავდნენ. მონსტრებშივე არსებობდა სკოლა, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ იმ ბავშვებს, ვისაც მომავალში სასულიერო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ.

ერთ-ერთი ასეთი სკოლა-საგანმანათლებლო ყმათათვის არსებობდა გურიაში, ციხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში, რასაც ადასტურებს "ციხის გულანის" მინაწერი.

შ.ამირანაშვილის აზრით, დასავლეთ საქართველოში XVII ს. პირველ ნახევარში ციხეში "გურით" დასურათებული იქნა გულანის ხელნაწერი. მინიატურებსა და დეკორს განსაკუთრებით დასავლეთ ევროპული ხელნაწერების ძლიერი გავლენა ეტყობა. ... როგორც ჩანს ამ ხელნაწერის ილუსტრაციებმა ორიგინალის როლი შეასრულეს 1794 წელს შემოქმედში გადაწერილი გულანისათვის.[33]

მინაწერების თანახმად "აღიწერა [ციხის გულანი - ე.გ.] ნაკაშიძის

ბეჟანის ბრძანებით, ღმერთო დაიცავ ბეჟან, მეუღლე მისი თეთრუა ნიჟარაძის ქალი, ძე მისი გიორგი და მამუკა. პატარა მისი ხვაზანაი, გაუზარდე ღმერთო და ამ გულანის მადლი მოიხსნე შენსა ზეცისა სასუფეველსა... ნაკაშიძე გიორგი ამ გულანის აღმასრულებელი და მეუღლე მისი ერისთავი ქალი ზილიხანა...“

... “მე ცოდვილმან ტუსკია იოსებ გარმოვსწერე ამ გულანიდგან აღდგომის, ამაღლების, სულის წმინდის მოსვლისა და ფერის ცვალობის მეტაფრაზი ბრძანებითა გურიელის მამიაისითა.“ [შემდეგ - ე.გ.] “...სახელითა ღვთისითა და ყოველთა წმინდათა ღვთისით მე ცოდვილმან საბაი ხელვყავ პატიოსნისა გულანისა ძისა მისისა გიორგისითა ესე წმინდა პატიოსანი სრული გულანის ჩემის ცოდვილის ხელით დამიწერია ამის წერიშად ღმერთების გულანი ჩავიგდე ხელთ, მარტომ გავაკეთე ისიც 18 წელიწადს განვასრულე“.[34]

გულანის მინაწერებიდან ყურადღებას იქცევს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, ესაა საბას განცხადება, რომ “ციხის გულანის წერაში ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმაო“.

ვინ არის ზემოხსენებული “თაბუნი“? ხომ არ არის იგი საბაის თანა მოკალმე? იქნებ “თაბუნის“ მიღმა რაღაც სხვა უფრო ყურადსაღები გარემოებაა საგულვებელი?

მინაწერზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ “თაბუნის“ სახელით აქ იგულისხმება გურანთის ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებული მწიგნობართა განსაკუთრებული ამხანაგობა - მწიგნობართა სკოლა, რომლის შესატყვისად სამწიგნობრო ქართულში “თაბუნი“ არის დადასტურებული.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ეხებოდა რა საქართველოში მწიგნობრული სკოლების არსებობის საკითხებს,[35] დასტურად ზემოხსენებული ციხის გულანის მინაწერში მოხსენიებული ტერმინი “თაბუნი“ მიაჩნდა.

საქართველოში, აღნიშნავდა ივ.ჯავახიშვილი, - წიგნის “სათითაო“ გადამწერალთა გარდა ჯგუფობრივი გადამწერლობაც იცოდნენ. ქართულ ძველ ხელნაწერებში მრავალი ცნობა მოიპოვება ერთი ხელნაწერის ორი ან

სამი პირისაგან გადაწერილობის შესახებ. ცხადია ასეთ შემთხვევაში ჩვენ ერთი წერითი განსწავლულობის და სკოლის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე, რომელთაც ამ ხელოვნების ყველა მოთხოვნილება ერთნაირად ესმით და ერთი და იმავე ხელით წერა შეუძლიათ...

ცხადია, რომ ერთი ამ რამდენიმე გადამწერთაგანი გადაწერის ხელმძღვანელი და უფროსი უნდა ყოფილიყო და გადამწერთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება გარკვეული წესით იქნებოდა მოგვარებული. ეს ყოველივე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ საქართველოში გადამწერთა ერთიანი ამხანაგობანი ადრიდანვე უნდა ყოფილიყო დადასტურებული. მე-10-12 სს-ში, როდესაც საქართველოში კულტურულმა განვითარებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, გადამწერლების ამხანაგობათა არსებობა და საზოგადოდ ამ ხელობის ფართოდ სავაჭრო მიზნით ერთობლივი წარმოება, ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ; მაგრამ ამ საკითხის შესასწავლად საჭირო ცნობები ამ ხანისათვის არაფერი მოგვეპოვება. არც ის ვიცით თუ რა სახელი ეწოდა ამგვარ გადამწერების ამხანაგობებს. ხოლო მე-18 ს-ის პირველი ნახევრის ერთ წიგნში გვხვდება ამ საგულისხმო საკითხის შესახებ საყურადღებო ცნობა. ციხის გულანში სახელდობრ ნათქვამია: [ციხის გულანის წერაში] ... ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმაო, "თაბუნი" და "ასწრაფი" ერთი და იგივე სიტყვაა და მე-17-18 საუკუნეებში ამ მხრის მნიშვნელობით იხსენიებოდა. აქედან ცხადი ხდება, რომ გადამწერთა ამხანაგობა ანუ იგივე "თაბუნი" სრულიად არ წარმოიდგინებოდა როგორც მარტო წიგნის მწერალთა გაერთიანება, არამედ აქ იგი წარმოდგენილია მისი ძირითადი დანიშნულებით: წარმართოს და კეთილ ქმნას მწიგნობრობაი ქართული.[36]

თუ რა დონეზე იდგა ციხის ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებული თაბუნთა სკოლა, ამას ცხადყოფს მინაწერი, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ ამ დროისათვის გურიაში მოღვაწე გადამწერთა შექმნილი და დასურათებული ყოფილა: 1. ციხის გულანი; 2. შემოქმედის გულანი; 3. ციხის გულანიდან იოსებ ტუსკიას მიერ გადაწერილი "აღდგომის, ამაღლების, სული წმინდის, მოფენისა და ფერიცვალების მეტაფრასი"; 4. ჯუმათის გულანი; 5. ღმერთების გულანი; 6. ადრე ჩვენ მიერ მოხსენიებული ერკეთის გულანი.

თუ როგორი მაღალმხატვრული გემოვნებითა და სრულყოფილებითაა კაზმული ზემოაღნიშნული "წიგნი საკვირველნი" ამას ცხადყოფს მარტოდენ შემოქმედის გულანზე დაკვირვება. დ.ბაქრაძის ცნობით, გულანი იწონიდა ორ ფუთს. იგი შედგენილია 1000 ფურცლისაგან ანუ 2008 გვერდისაგან; თითქმის ნახევარი მეტრის სიმაღლის ეს დიდი ტანის წიგნი შემკული იყო ათასზე მეტი მაღალმხატვრული ილუსტრაციით.[37]

აკად. ივ.ჯავახიშვილის ვარაუდით, შემოქმედის გულანის ანალოგიური უნდა ყოფილიყო ციხის გულანის მინაწერებით მოხსენიებული ღმერთების გულანი.

რაც შეეხება ჯუმათის გულანს, იგი 1873 წელს, გურიაში დ.ბაქრაძის მოგზაურობის დროს, უკვე ითვლებოდა დაკარგულად.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა დონეზე ყოფილა ციხის ღვთისმშობლის ეკლესიაში არსებული "თაბუნთა" სამწიგნობრო და საგანმანათლებლო ამხანაგობა [სკოლა - ე.გ.].

მკვლევართა ერთი ნაწილი (დ.ბაქრაძე, აკად. შ.ამირანაშვილი) ციხის გულანს მე-17 საუკუნით ათარიღებს. დათარიღების მთავარ საყრდენს წარმოადგენს მინაწერზე მოხსენიებული ბეჟან ნაკაშიძის "ზეობის" წლების განსაზღვრა. სწორედ მისი დაკვეთით გადაიწერა ციხის გულანი და რომლის წერაში დასრულდა ჯუმათის გულანიც.

წყაროთა შეჯერების საფუძველზე,[38] ცხადი ხდება, რომ ბეჟან ნაკაშიძე მამია გურიელისა (1689-1711) და გიორგი მეოთხე გურიელის (1711-1713) ზეობის წლებში მოღვაწეობდა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ საბა გადამწერი ღმერთების გულანს 18 წლის განმავლობაში წერდა, რომლის წერაშიც ის და მისი "თაბუნი" ჯუმათის გულანზედაც მუშაობდნენ.

ასე რომ, "თაბუნთა" სკოლის არსებობა გურიანთის ციხის ღვთისმშობლის ეკლესიაში გაცილებით უფრო ადრეული ხანიდან, მე-17 საუკუნის შუა პერიოდიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ, ხოლო მეორე ნახევრიდან რეალურად ფუნქციონირებს და ნაყოფიერ საგანმანათლებლო მწიგნობრულ მოღვაწეობასაც ეწევა.

ესაა გურიის სინამდვილეში სამწიგნობრო სკოლის არსებობის ისტორიის სამასწლოვანი მონაკვეთი, რომელიც უმნიშვნელოვანესი წყაროა ქართული სამწიგნობრო სკოლის სათავეების მოკვლევის თვალსაზრისით.

შენიშვნები

1 პ.ცხვილოელი, საეკლესიო აჯანყება იმერეთსა და გურიაში, გაზეთი "ივერია", №. 119, 9 ივლისი, 1893 წ.

2 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941, გვ. 175.

3 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VIII, 1975, გვ. 479.

4 დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო ბ.გიორგაძემ. თბ., 1976, გვ. 816.

5 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა აჭარასა და გურიაში. სანკტ- პეტერბურგი. 1878. გვ. 231.

6 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 225-226.

7 იქვე. გვ. 248-249.

8 გაზეთი "ივერია", №.246, 12 დეკემბერი, 1889.

9 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 233.

10 გაზეთი "ივერია", 5 თებერვალი, 1889.

11 ზ.ჭუმბურიძე. ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ. თბ., 1983, გვ. 155-156.

12 იქვე.

13 იქვე.

14 თ.სახოკია. მგზავრის წერილები. მოამბე, 1898.

15 ზ.ჭუმბურიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 116-117.

16 მარხვანი. XVI-XVII სს. მინაწერი 2. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1961, გვ. 121.

17 ზემოაღნიშნული გულანის ზოგიერთი ნაწილი გადაწერილია მამია გურიელის ბრძანებით. ლ.მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. I. თბ., 1965, გვ. 567.

18 მ.თამარაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 155-156.

19 იქვე.

20 ა.ჩიქობავა, ჯ.ვათეიშვილი. პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. თბ., 1983, გვ. 24-26.

21 კასტელი... გვ. 15.

22 ჯ.ჯუდიჩე. დასახ. ნაშრომი. გვ. 69.

23 ვ.სიდამონიძე. გამონათება მე-17 ს-დან. საქართველოს ქალი. 1974. გვ. 17.

24 კასტელი. დასახ. ნაშრომი. გვ. 108

25 იქვე; იხ. აგრეთვე ა.ბაქრაძე. დონ ქრისტოფორე დე კასტელის ნახატე ბის თვალიერებისას. ხელნაწერი, გვ. 11.

26 დონ ჯუზეპე ვედიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ., 1964, გვ. 64.

27 "კვალი", №. 1, 1897 წ.

28 მაკარ ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ. არმაღანი. 1982. გვ. 112.

29 "დროება", 17 აგვისტო, №. 17, 1875.

30 პ.ცხვილოელი. საეკლესიო აჯანყება იმერეთსა და გურიაში. "ივერია", 18 ივნისი, №. 118, 1893.

31 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 154-155.

32 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილია, ქრონოლოგიურად დაწყობილი თ.ჟორდანიას მიერ. თბ., 1967, გვ. 43.

33 შ.ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961, გვ. 408.

34 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი.

35 ივ.ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 54-56

36 ივ.ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 26-101.

37 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 58-59.

38 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 272.

Э.Гогуадзе

У ИСТОКОВ КНИЖНОГО ДЕЛА В ДРЕВНЕЙ ГУРИИ

Резюме

В статье Рассмотрен трехсотлетний отрезок истории развития книжного дела в Гурии, являющимся значительным источником для истории изучения этого вопроса в Грузии вообще.

გ.გამყრელიძე

ჰიდროარქეოლოგიური კვლევა პალიასტომის ტბასა და შავ ზღვაში

(ტაბ. XLI-XLIV)

ჰიდროარქეოლოგია ანუ წყალქვეშა არქეოლოგია სხვადასხვა მიზეზით წყლის ქვეშ - ზღვაში, ტბაში, მდინარეში - მოქცეულ მატერიალური კულტურის ძეგლებს, ნამოსახლარებს, ჩაძირულ გემებს და მათ ტვირთს შეისწავლის.

საქართველოს ზღვისპირეთში (კოლხეთი), წერილობითი წყაროების (სკილაქს კარიანდელი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, სტრაბონი, კლავდიოს პტოლემაიოსი, პროკოპი კესარიელი, აგათია, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მთელი რიგი დასახლებები არის აღნუსხული: სოფ. გონიო (აფსაროსი), სოფ.ციხისძირი, ქ.ქობულეთი, სოფ. ურეკი, ფოთი-გრიგოლეთი (ფასისი), სოფ.ანაკლია, ქ.ოჩამჩირე (გიენოსი), ქ.სოხუმი (დიოსკურია-სებასტოპოლისი), ქ. ბიჭვინტა (პიტიუნტი) და ა.შ. საქართველოს ისტორიის კვლევისათვის უაღრესად საყურადღებოა ხსენებული ნამოსახლარების, ზღვაში მოქცეული ნავსადგურების, თავდაცვითი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობების შესწავლა. ჯერ კიდევ ამ ოცდაოთხი საუკუნის წინ კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები თავის ნაწარმოებში მოიხსენია ფსევდო-სკილაქს კარიანდელმა (ქალაქები - დიოსკურისი, გიენოსი, ფასისი ("აზია", 81)).

ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, გეომორფოლოგების ვარაუდით, შავი ზღვის დონე დღევანდელთან შედარებით გაცილებით დაბლა იყო. დაახლოებით ძვ.წ. I საუკუნიდან დაიწყო ზღვის დონის აწევა. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული ძველი დასახლებები წყლის კვეშ მოექცა.

ზღვის შეტევა ხმელეთზე დღესაც გრძელდება. ბოლო 50 წლის განმავლობაში მარტო აჭარის ფარგლებში 300 ჰექტარამდე სანაპირო წაიღო ზღვამ. საქართველოს რესპუბლიკაში, სადაც სანაპირო 330

კილომეტრამდეა გადაჭიმული, დროდადრო არქეოლოგიისათვის საინტერესო მასალებს - კერამიკას, სამკაულებს, ლითონის ნივთებს, მონეტებს - ზღვა გამორიყავს ხოლმე. ამ რამდენიმე წლის წინათ ქობულეთ-ციხისძირის მონაკვეთზე მეთევზეების ბადეს დაუზიანებელი ამფორები ამოჰყვა. ისინი, ალბათ, რომელიმე ჩაძირული ხომალდის ტვირთს წარმოადგენდა. სოხუმის ყურეში მდ. ბესლეთის შესართავთან რელიეფური გამოსახულებით შემკული მარმარილოს ქვა აღმოჩნდა. ამავ ყურის ფსკერიდან ქალის სკულპტურული ბიუსტი და ამფორებია ამოღებული.

საქართველოს ისტორიის კვლევისას წყალქვეშა არქეოლოგია შეიძლება დაგვეხმაროს ზოგიერთი ისეთი პირველხარისხოვანი ისტორიული პრობლემის გადაჭრაში, როგორიცაა - ძველი ხალხების საზღვაო მიგრაციის საკითხები; ანტიკური ცივილიზაციის გავრცელების გზები კოლხეთში; ძველი საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები შავი და ხმელთაშუა ზღვის ხალხებთან და ა.შ.

სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობეს 1985 წელს საქართველოში პირველად არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბება. ექსპედიციას პირველ რიგში დაევალა საქართველოს ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური რუკის შედგენა. ამისათვის საჭირო შეიქნა ჰიდროარქეოლოგიის თვალთახედვით წერილობითი წყაროების, ზეპირი გადმოცემებისა და გეომორფოლოგიური მონაცემების ხელახლა გადასინჯვა-შეჯერება.

საქართველოს ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურად საინტერესო უბანია ქალაქი ფოთი - მდ. სუფსას მონაკვეთი, სადაც ძველთაგანვე ცნობილია, რომ ქალაქი ფასისი მდებარეობდა. ქ.ფასისი, წერილობითი წყაროების მიხედვით, კოლხეთის მიწა-წყალზე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქალაქო კერა იყო. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოების ქ. ფოთში დაწყება.

1985 წლიდან მოყოლებული შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია ზაფხულ-შემოდგომაზე ქ. ფოთთან მუშაობს.[1] ძირითადი წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ექსპედიციამ ზღვაში, ფოთის

ნავსაყუდელიდან მდ. სუფსამდე შელფში და პალიასტომის ტბაში ჩაატარა. სამუშაოების დროს გამოვიყენეთ აკვალანგები და მიწის საწოვი დანადგარი. სამწუხაროდ, არ მოხერხდა ბგერითი იმპულსური ჰიდროლოკატორის გამოყენება, რომელიც ჰიდროარქეოლოგიური ძიებისას კარგ შედეგებს იძლევა.

ექსპედიციის მიერ დაზვერილ მონაკვეთში ზღვის ფსკერზე გეომორფოლოგიური მდგომარეობა ფრიად რთულია. მდინარე რიონის სამხრეთი შტოს შესართავთან ზღვა მღვრიეა და ხილვადობა ცუდია. მდინარეს დიდი რაოდენობით შლამი გამოაქვს და ზღვის ღელვის დროს წყალქეშ წარმოიქმნება ქვიშის ბორცვები. აქ ჯერჯერობით ძველი კულტურის ნაკვალევს ვერ მივაგენით. შესაძლოა, რომ მას ქვიშის სქელი ფენა ადევს.

გაცილებით შედეგიანი და საყურადღებო აღმოჩნდა ექსპედიციის მუშაობა პალიასტომის ტბაში. პალიასტომში, ზღვის შესართავიდან ("მალთაყვა") დაახლოებით კილომეტრზე, ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, წყალში მივაკვლიეთ III-VIII სს. ნამოსახლარს (ადგილი - "ნატეხები"). ადგილზე ყურადღება მიგვაქცევინეს ფოთელმა მებადურებმა. მათი გადმოცემით, აქ მოსმულ ბადეს "ქოთნების ნატეხები" მოჰყვებოდა.

ტბაში ძველი ნამოსახლარი დაახლოებით ათას კვადრატულ მეტრზე, ხოლო ნაპირზე ცხრაას კვადრატულ მეტრზე ვრცელდება. ნაპირიდან ტბის შუაგულისაკენ ორას მეტრამდე სილა-ქვიშიანია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. ფსკერზე აკვალანგით ყვინთვისას მცირე მოძრაობისთანავე ლამი იმღვრევა და წყალი მუქი, მომწვანო-მოყავისფრო ფერის ხდება. სამოსახლოზე, ტბიდან დიდძალი კერამიკა ამოვიღეთ. მათ შორის არის სამშენებლო კერამიკა (კრამიტი, აგური), გვხვდება დამწვარი ბათქაშის ნატეხები, რაც აქ ნაგებობების არსებობაზე მიგვანიშნებს.[2]

ნამოსახლარზე დადასტურებული აგურები ძირითადად შემონახულია ნატეხების სახით. აგური ოთხკუთხაა და სისქე 3 სმ-დან 5 სმ-მდეა, ხოლო სიგრძე და სიგანე დაახლოებით 30 x 25 სმ.

აგურები ხის ყალიბშია ნაკეთები, რადგან მათზე ხის ანაბეჭდები შეიმჩნევა. თიხა უხეში, მოწითალო-ყავისფერია. აგურის თიხაში

ვიზუალურად შეიმჩნევა კირქვის, კვარცის და პიროქსენის მცირე მინარევები. თიხა ძირითადად არათანაბრადაა გამომწვარი.

"ნატეხების" ნამოსახლარზე აღმოჩენილი აგურები ზომების მიხედვით ზოგადად ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს აღრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე - ბიჭვინტა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა, ნოქალაქევი, მთისძირი, ვაშნარი, ქობულეთ—ფიჭვნარი, ციხისძირი, გონიო და სხვ.

"ნატეხების" ნამოსახლარზე წარმოდგენილია ბრტყელი გვერდაკეცილი (სოლენისებური) კრამიტის ფრაგმენტები. გადანაკეცი ჭრილში თავწაჭრილი სამკუთხედისნაირია. მისი სიმაღლე 3,5 სმ-დან 5 სმ-მდე მერყეობს, სისქე კი 1,5 სმ-დან 2,5 სმ-მდე. კრამიტის თიხა ძირითადად მოწითალო-მოყავისფროა და ეტყობა წვრილი მინარევები. ნამოსახლარზე ღარიანი (კალიპტერისნაირი) კრამიტი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. თიხა ხშირად საკმაოდ კარგად არის გამომწვარი. კრამიტებსაც ეტყობათ ხის ყალიბის კვალი. ასეთი სახის კრამიტი შედარებით დიდია და ფორმით ჩამოგავს უფრო აღრეული პერიოდისას. "ნატეხების" ნამოსახლარის ზემოთ განხილული აგურის და კრამიტის ნატეხები თიხის მიხედვით ადგილობრივი ნაწარმია. აქ, ადგილობრივის გარდა, აღმოჩნდა უცხოური. ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის თოთხმეტი ნატეხი. გადანაკეცი ჭრილში წაკვეთილი სამკუთხედის მაგვარია. კრამიტის თიხა გამოირჩევა ღია ნაცრისფერით და თან ოდნავ იისფერი დაჰკრავს. მათში დიდი რაოდენობით პიროქსენის ნამცეცებია შერეული.

ტბის ფსკერიდან ამოღებულ თიხის ჭურჭელში რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი ამფორებს უჭირავს, რომლებიც ზეთის, ღვინის, ხორბლეულის გადასატანად გამოიყენებოდა. ამფორების გარდა დადასტურდა ქვევრების, ქოთნების, ჯამების, ლუთერიების, წითელლაკიანი თეფშების ნატეხები. ერთ-ერთი ამფორის მხარზე გრაფიტოა ამოკაწრული - *ф ω* ("ფი" და "ომეგა"). ადგილობრივი წარმოების კერამიკასთან ერთად უცხოური (ძირითადათ მცირეაზიური და ჩრდილო შავიზღვისპირეთის) ნაწარმიც გვხვდება, რაც სავაჭრო ურთიერთობებზე მიგვითითებს. წყალქვეშვე ვიპოვეთ სამარხი. ადგილობრივი წარმოების წელშეზნექილი ამფორა ვერტიკალურად იყო ჩადგმული და მეორე ამფორის ძირი ჰქონდა

თავზე დამხობილი. ამფორასთან ადამიანის ნეშტის ძვლები, ბრინჯაოს სამი მშვილდსაკინძი, ერთი ქინძისთავი, მინის სასმისები და ბიზანტიური - იუსტინეს (565-578 წწ.) ოცნუმიანი მონეტა აღმოჩნდა. ამფორაში ფრინველის და ცხოველის ძვლები იყო.

როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში ტბას სამოსახლოს გარკვეული ნაწილი დაუფარია. პალიასტომის ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ისეთივეა, როგორიც დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ ძეგლებზე, კერძოდ პიტიუნტ-ბიჭვინტაში, არქეოპოლის-ნოქალაქევში, სოხუმ-სებასტოპოლისში, გუდავაში და სხვ. შესაძლოა, რომ პალიასტომის ძველი ნამოსახლარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ბიზანტიური ხანის, პროკოპი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილ ფასისის ნაშთებთან. არ არის გამორიცხული, რომ პალიასტომის თიხა-ტორფიან ქვედა ფენებში, რომლის ზემოთაც ხსენებული სამოსახლო აღმოჩნდა, ძველ ფასისსაც მივაკვლიოთ. აქ ძვ.წ. IV-II სს. არქეოლოგიური მასალა დადასტურდა (შავლაკიანი ატიკური ჭურჭლის ნატეხი,როდოსული ამფორის ქუსლი და სხვ.).[3] (ტაბ. XLIV).

სტრაბონი ფასისის შესახებ გადმოგვცემს: "მდ. ფასისზე არის მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით (რიონი - გ.გ.), ტბითა (პალიასტომი - გ.გ.) და ზღვით" (XI წ., II.17). აგათია მოგვითხრობს: "იქ ხომ ერთი ტბაა, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება". "დიდი სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად" (III, 21). XVIII ს-ში ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: "ზღვის კიდეზე არის ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქედამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის. იპყრობის თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხუნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან" (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1973 წ. გამოცემა. გვ. 790).

გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიქტია. ძველად აქ მდ. რიონის ლიმანი იყო. სრულიად ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავთსაყუდელი მდებარეობდა, გემები შემოსულიყვნენ. გემები შემდეგ

პალიასტომის გავლით მდ. რიონზე აღმა აგრძელებდნენ სვლას, რომელიც მაშინ ცნობილი სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო (სტრაბონი, XI წ., VII.3).

პალიასტომის ტბაში კერამიკა აგრეთვე ე.წ. ახალ ბათუმის ხიდთან, მდ. ფიჩორის, მდ. თხორინას და მდ. მალთაყვას სრუტის შესართავშიც აღმოჩნდა.

პალისატომის ტბის სამხრეთ მხარეს, ადგილ "ნაეკლესიარზე", წყალში, რიყის ქვებით ნაგები შუა საუკუნეების კედელს მივაკვლიეთ. ის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული.

შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია საგანგებოდ წყალქვეშა გამოკვლევებისათვის განკუთვნილი გემი "ჰიდრობიოლოგი" -თაც აწარმოებდა რესპუბლიკის ზღვის შელფის ჰიდროარქეოლოგიურ კვლევას. სამუშაოებისას ხდებოდა ახალი, ჰიდროარქეოლოგიისათვის გამოსადეგი მეთოდიკის დამუშავება.

ექსპედიციამ საძიებო-დაზვერვითი სამუშაოები ზღვის შელფში - ბიჭვინტასთან, სოხუმთან, ციხისძირ-ბობოყვათთან ჩაატარა.[4]

ბიჭვინტაში შესწავლილია ინკიტის ტბა და ბიჭვინტის ყურე. ინკიტის ტბა წინათ ლაგუნას წარმოადგენდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ გემები სათვის მყუდრო საყუდელი უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ 1957 ინკიტის ტბის ჩრდილოეთით ბიჭვინტის ნაქალაქარის თანადროული თავდაცვითი ნაგებობის ნაშთებია მიკვლეული.

ბიჭვინტის ყურე ნაპირიდან ზღვისკენ 15 მ სიღრმემდე თანაბრადაა დაქანებული, შემდეგ კი მკვეთრი დაფერდება იწყება. აქ ჩაცვენილ ქვებს ზღვა უკან ნაპირისაკენ ვეღარ აბრუნებს. თუ რაიმე არქეოლოგიური მასალა იყო ნაპირიდან ზღვაში მოხვედრილი, ის აუცილებლად დაცურდებოდა და უფრო ზღვისკენაა საძებნელი. ხსენებული მკვეთრი დაქანების შემდეგ დაახლოებით 60-70 მეტრზე იწყება ტერასა, რომელიც დაფარულია შლამით. ტერასა შეისწავლეთ სპეციალური სათვალთვალო კამერის საშუალებით. კარგ ამინდში ფსკერზე ხილვადობა დაახლოებით 10 მეტრია. ვფიქრობთ მომავალში ტერასის შესწავლა გავაგრძელოთ.

სოხუმის ციხის გასწვრივ წყალში, ნაპირიდან 120 მ-ზე, ვნახეთ კედლები. კედლები ნიჟარებით და ზღვის წყალმცენარეებითაა დაფარული.

მათი სქელი ფენის ჩამოფხეკის შემდეგ ბრტყელი კვადრატული, ადრეული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი აგურიანი კედელი გამოჩნდა. კედლის სისქე ორ მეტრამდეა. გამოყენებულია აგური და ქვა. კედლების ქვედა ნაწილები ღრმადაა ჩაფლული ქვიშა-ღორღში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სოხუმის ყურის ცენტრალური ნაწილი, სადაც ზოგიერთი მკვლევარი ადრეანტიკური ხანის დიოსკურიის ნაშთების არსებობას ვარაუდობს. ჩვენ ჩავყვინთეთ სათვალთვალო კამერით 18 მეტრზე. ფსკერი დაფარულია შლამის სქელი ფენით.

ექსპედიციამ ჰიდროარქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ციხისძირ-ბობოყვათის მონაკვეთზეც. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, აქ ნაპირზე მონეტებს და კერამიკის ნატეხებს პოულობენ. ნაქალაქარის ჩრდილოეთით ზღვაში, ნაპირიდან დაახლოებით სამას მეტრზე, 30 მ სიღრმეზე ვიპოვეთ შუასაუკუნეების წელშეზნექილი ამფორის ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა მოჭიქული კერამიკის მომწვანო ნატეხი.

ჰიდროარქეოლოგია შეიძლება დაგვეხმაროს ისეთი ისტორიული პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა: ძველი ხალხების საზღვაო მიგრაციის საკითხები; "დიდი ბერძნული კოლონიზაცია" საქართველოში; ანტიკური ცივილიზაციის გავრცელების გზები კოლხეთში; ძველი საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები შავი და ხმელთაშუა ზღვის ხალხებთან და სხვ. ჩრდილო შავიზღვისპირეთის წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევის ფუძემდებელმა, ცნობილმა ანტიკოლოგმა ვ.ბლავატსკიმ ყურადღება მიაქცია შავი ზღვის წყლის ქვედა შრეებში დიდი რაოდენობის გოგირდწყალბადის არსებობას. ამის საფუძველზე მან გამოთქვა მოსაზრება, რომ აქ ორგანული ნივთიერებების შემცველი ნივთები: ხე, ტყავი, ქსოვილები, პაპირუსები და სხვ. შედარებით უკეთ იქნება გადარჩენილი. ვ.ბლავატსკი ძველ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ჩაძირულ გემებზე მოსალოდნელია ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების დროინდელი ხელნაწერების პოვნა. ისტორიული მეცნიერებისათვის მართლაც უდიდესი შენაძენი იქნება ბერძნულ-ლათინური, ქართული ან სხვა ენაზე შესრულებული უცნობი ხელნაწერის აღმოჩენა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი საკმაოდ დიდ სიღრმეებზე იქნება საძებნი და მხოლოდ აკვალანგით აქ ვერაფერს

გავაწყობთ. ალბათ საჭირო შეიქმნება ბატისკაფის გამოყენება.

საქართველოში წყალქვეშა არქეოლოგიის უპირველეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის ზღვისპირეთის და ტბების წყალქვეშა არქეოლოგიური რუკის შედგენა. შესაძლებლობის ფარგლებში უნდა აღინუსხოს რესპუბლიკის ტბებისა და ზღვის სანაპიროზე შემთხვევით გამორიყული ყველა არქეოლოგიური ნივთი; აუცილებელია ბერძნულ-რომაული, ქართული, ბიზანტიური, არაბულ-ოსმალური საისტორიო წყაროების ერთხელ კიდევ გადასინჯვა და ჰიდროარქეოლოგიისათვის საყურადღებო ცნობების ამოკრეფა. მაგალითად: ცნობების შეკრება ზღვისპირა ქალაქების ან გემების ჩაძირვის ადგილის, ან კიდევ ხომალდების აღჭურვილობის, მათი ტვირთის შესახებ; ინფორმაცია ზღვის სანაპიროს გეოლოგიური პროცესების, ძველი კლიმატური პირობების ან ნაოსნობისათვის განსაკუთრებით საშიში ადგილების შესახებ.

პირველ რიგში საჭიროა დაიზვეროს ზღვის სანაპიროს მყუდრო ყურეები და კონცხები, რადგან წყნარ ყურეებში, რომლებიც მოხერხებული იყო ხომალდების შესაყვანად და დასატვირთ-გადმოსატვირთად ნავსადგურებს მართავდნენ. ხოლო ზღვაში გამოშვერილი კონცხები კი ხშირად მრავალი გემის დაღუპვის მიზეზი ხდებოდა.

წყალქვეშა არქეოლოგიური დაზვერვების დროს სასურველია საჰაერო ფოტოგადაღებები, რომელთა მეშვეობითაც საყურადღებო არქეოლოგიური ცნობების მიღება შეიძლება. ამგვარი საჰაერო ფოტოგადაღებები წარმატებით გამოიყენეს ჯერ კიდევ 1934 წელს ფინიკიის სანაპიროს ქალაქ ტირის წყალქვეშ მოქცეული ნაწილის შესწავლისას.

ჰიდროარქეოლოგიური კვლევა უშუალოდ არის დამოკიდებული საერთოდ წყალქვეშეთის კვლევის ტექნიკის განვითარებაზე, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ. დღესდღეისობით წყალქვეშეთის არქეოლოგიური შესწავლისას წარმატებით იყენებენ: აკვალანგს, ბატისკაფს (წყალქვეშ გადაადგილებისათვის), სხვადასხვა სახის დრაგას, მიწახაპიას, მიწასაწოვს (წყალქვეშა გათხრების საწარმოებლად), ფოტო, კინო და ტელე მოწყობილობას (ფიქსაცია და მეთვალყურეობისათვის), კომპრესორს

(აკვალანგის აირით გასავსებად), რეკომპრესიის კამერას (სამედიცინო დახმარებისათვის) და სხვ. ასეთი ტექნიკით აღჭურვილი არქეოლოგიური კვლევა "საველე არქეოლოგიაზე" ძვირი ჯდება.

შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია, სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, მომავალში კვლავაც გააგრძელებს საქართველოს შელფის და პალიასტომის ტბის კვლევა-ძიებას.

შენიშვნები

1 დაწვრილებით იხ. Г.А.Гамкрелидзе. К археологии далины Фасиса. Тб., 1992, С. 30-48, 136-167.

2 G.Gamkrelidze. Hydroarchaeology in the Georgian Republic. The International journal of Nautical Archaeology. London. 1992. vol. 21, N.2. p. 101-129.

3 G.Gamkrelidze. Travaux hydroarcheologiques de localisation de l'ancienne Phasis. Le Pont-Euxin vu par les Grecs. Besancon, Paris. 1990. p. 223-227.

4 И.П.Балабанов. Изменения волнового режима Черного моря в позднем голоцене. Известия АН СССР (серия географическая). М. 1984. N. 5. С. 70-80.

Г.Гамкрелидзе

ГИДРОАРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ В ПАЛИАСТОМСКОМ ОЗЕРЕ И ЧЕРНОМ МОРЕ

Резюме

В 1985 г. в Центре археологических исследований была создана Причерноморская гидроархеологическая экспедиция (рук. Г.Гамкрелидзе), которая приступила к составлению гидроархеологической карты приморья Грузии. С этой точки зрения особый интерес пред-

ставляет отрезок Поти-Супса - ведь издревле известно, что здесь располагался г.Фазис. При гидроархеологических работах в Палиастомском озере были обнаружены остатки поселения III-VIII вв. Здесь засвидетельствован - кирпич, плоская черепица, остатки бревен и штукатурки. Из посуды найдены вогнутые амфоры, горшки, миски, лютерии, квеври (большие кувшины) и др. Из иноземных изделий найдены обломки гофрированных амфор Северного и Южного Причерноморья, острова Самос и др.; найдены также фрагменты стеклянного сосуда. В озере были исследовны остатки погребения. В нем засвидетельствована бронзовая булавка, ножка стеклянного бокала и бронзовая византийская монета достоинством в 20 нумий (Юстин II). Возможно, эти археологические останки относятся к Фазису, описанному византийскими историками Прокопием Кесарийским и Агафием.

В статье также расказано о гидроархеологических работах в Цихисдзири - Кобулети, Сухуми - Эшера и Бичвинта.

გ.ინანიშვილი

კოლხეთის რკინის მეტალურგიის შესწავლის ისტორიისათვის

საქართველო-ამიერკავკასიის უძველესი მეტალურგიისა და ლითონდამუშავების ისტორიის ამსახველი მასალები დაცულია წერილობით წყაროებში, შემონახულია ეთნოგრაფიულ ყოფაში და თავმოყრილია პალეომეტალურგიასთან დაკავშირებულ მატერიალური კულტურის ძეგლებში.

ძველაღმოსავლური[1] და ანტიკური[2] წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართველი მეტალურგი ტომებით დასახლებული სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთი, ძველ მსოფლიოში მაღალხარისხოვანი სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინა-ფოლადის მიღების ხელოვნების შემქმნელ ისტორიულ რეგიონს წარმოადგენს.

საქართველო-კავკასია-მცირე აზიის ტერიტორიაზე უძველესი მეტალურგიული კერების არსებობის გამოვლენის პრობლემა იდგა გასული საუკუნის მკვლევართა წინაშე (ფ.ზიპე, გ.აბიხი, ფ.ლენორმანი, ო.ლაროში, ე.შანტრი, რ.ვირხოვი, ჟ. დე-მორგანი და სხვები); ყურადღება მიექცა აქ მოსახლე ეთნიკურ გაერთიანებათა ღვაწლის წარმოჩენას ძველად გამოყენებული ლითონების ათვისების საქმეში. საინტერესო, მრავალფეროვანი სპექტრის მომცველი ინფორმაციაა წარმოდგენილი ჩვენი საუკუნის ცნობილი ევროპელი მეცნიერების, მეტალურგიის ისტორიის სპეციალისტთა ნაშრომებში, რომლებშიც განხილულია უძველესი სამთამადნო, მეტალურგიული და ლითონდამუშავების წარმოების კარდინალური საკითხები; წარმოდგენილია მსოფლიო მეტალურგიის ისტორია მისი ჩასახვიდან დღემდე, სადაც დამსახურებული ადგილი აქვს მიჩენილი ქართველური მოდგმის მეტალურგი ტომების შემოქმედების ნაყოფს.[3] ამდენად დამკვიდრებულია კონცეფცია საქართველო-კავკასიის რეგიონის, როგორც წარსულში შავი და ფერადი ლითონების პირველმწარმოებელი ცენტრის შესახებ.

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული, ძველი მეტალურგიისა და ლითონდამუშავების ძეგლები ერთ-ერთი არსებითია ამ უძველესი დარგის საწარმოო-ეკონომიკური ხასიათის საკითხთა გადაწყვეტისათვის. ისტორიულად ჩამოყალიბებული ემპირიული ცოდნა-გამოცდილება შემორჩენილია ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. გასული საუკუნის მიწურულამდე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ლითონდამუშავების კერები (სარკინეები) ქართველი ხალხის ყოფასა და ჩვეულებებში შემონახული მეტალურგიის ტერმინოლოგია თუ თქმულება-გადმოცემები, მელითონეობის დიდი ტრადიციების მაჩვენებელია.[4] ქართული ხალხური მეტალურგია საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური მონაცემების პარამეტრია, აღდგენა-დახასიათების უწყვეტი წყაროა, მასში საყურადღებო ხალხური სიბრძნე და მატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტებია გაერთიანებული.

არქეოლოგიური ძეგლები დიდი რაოდენობის უნიკალურ მასალებს მოიცავენ პალეომეტალურგიის ნარჩენებისა და ლითონის პროდუქციის სახით. თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული არქეოლოგიური ლითონის ნაკეთობათა თანამედროვე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდებით ერთობლივი კვლევის გზით. მიღწეული შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ მეტალურგია იყო ქართველი ხალხის საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი დარგი. ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე დაფუძნებული ლითონის წარმოების საწყისები საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. V ათასწლეულიდან იღებს სათავეს და ტექნიკური აზრის სრულყოფის შესაბამისად აღწევს განვითარების მაღალ დონეს. ერთიან, უწყვეტ ციკლად წარმოგვიდგება საუკუნეთა სიღრმეში განვლილი გზა, თვითნაბადი სპილენძის შეცნობიდან და სპილენძის ფუძეზე შემუშავებული რთული შემადგენლობის შენადნობთა მიღებიდან, ვიდრე რკინა-ფოლადის ათვისებამდე, რამაც სათავე დაუდო ქართული ბულატის წარმოებას.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მეტალურგიის განვითარების უტყუარი არგუმენტია ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები და მათი წარსულში გამოყენების შესაბამისი ნივთიერი ძეგლები - მაღარო

გამონამუშევრები, ქურა-სახელოსნოები და წარმოების სხვა ნაშთები. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული უძველესი რკინის მეტალურგიის საწარმოო კერების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური შესწავლა, მისი კვლევა-ძიების თანამედროვე ეტაპი, რკინის მადნის შემცველი მეტალურგიული რეგიონების ძირითად ნაწილს მოიცავს.

ისტორიული კოლხეთის მთისწინა ზოლში შესწავლილია რკინის საწარმო-სახელოსნოთა მნიშვნელოვანი კერები, განლაგებული ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ჩხოროწყუს რაიონების ტერიტორიაზე.[5] მათ შორის ყველაზე უფრო დატვირთული და ძლიერ საწარმოთა შემცველია სუფსა-გუბაზოულის სახელოსნოთა გაერთიანება, რომელიც გამოირჩევა სახელოსნო ობიექტების რაოდენობით. მის ერთ-ერთ საწარმოო უბანზე (ნაგომარი 1) არქეოლოგიურად მიკვლეულია მეტალურგიული ქურის მიწისზედა ნაწილი და გადახურვის ფრაგმენტები, რაც რკინის ძველ საწარმოთა ნარჩენებში იშვიათობას წარმოადგენს. სუფსა-გუბაზოულის საწარმოო კერა ფუნქციონირებდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან წინარე ანტიკური პერიოდის ჩათვლით.[6]

კოლხეთის რკინის მეტალურგიის საწარმოთა მუშაობის ისტორიულ-მეტალურგიული დახასიათებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წარმოების ნარჩენების ქიმიურ-ტექნოლოგიური კვლევის შედეგები - მადნის გეოქიმია, ქურის ფრაგენტების და საწარმოო წიდის სპექტრულ-პეტროგრაფიულ-მეტალოგრაფიული ანალიზი. მიღებული ინფორმაციით შესაძლებელია გამოყენებული მადნისა და ნედლეული ბაზის იდენტიფიკაცია, ციკლური პროცესის ტექნოლოგიური დახასიათება, აგრეთვე ცალკეული საწარმოო უბნის ლოკალიზაცია. მაგნეტიტური ქვიშის და წარმოების წიდის შედარებითი ქიმიური მონაცემები, მაგნეტიტური ქვიშის მინერალოგიური ანალიზი, მის მაგნიტური სეპარაციით და ფლოტაციით გამდიდრების კარგ შედეგებს იძლევა. ურეკის მაგნეტიტური ქვიშების სველი მაგნიტური სეპარაციის მეთოდით გამდიდრებისას, აგლომერაციის მიზნით დასაშვებია მიღებული კონცენტრატის გამოყენება თანამედროვე ბრძმედის პროცესში. ძველი წარმოების წიდებისა და ურეკის მაგნეტიტური ქვიშების იდენტურობას ადასტურებს მათში იშვიათი

კომპონენტების - ტიტანისა და ვანადიუ მის არსებობის ფაქტიც.[7]

საწარმოო წიდის ნარჩენების საანალიზო მონაცემებით, მათი წარმოქმნისა და დნობის ტემპერატურის რეჟიმი (1100-1300^0) ძირითადათ შეესაბამება Feo-SiO_2-Al_2O_3 სამკომპონენტიანი სისტემის ევტექნიკურ ტემპერატურას, რაც განაპირობებდა წიდის ნორმალურ მოცილებას ლუგვი რკინის მასისაგან. შესაბამისი ოპტიმალური კონსტრუქციის ღუმელის მოქმედებისას, გარანტირებულია ერთ ობიექტზე მრავალჯერადი დნობის ჩატარება. ერთტიპიური წიდების არსებობის ფაქტი ქურათა კონსტრუქციების და მათი სამუშაო რეჟიმის ერთგვაროვნებას განსაზრვრავს და შემოიფარგლება წარმოების განვითარების ცალკეული ეტაპებით.[8]

კოლხეთის რკინის წარმოებასთან კავშირში განიხილება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე აღმოჩენილი დიუნური სამოსახლოები, რომლებიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ ამ ისტორიული რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში. ურეკის სამოსახლოების ურთიერთობა მაგნეტიტური ქვიშების საწარმოო გამოყენებასთან ივარაუდება ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულიდან, რომელთა დამადასტურებელი არაერთი ფაქტი არსებობს. აქ მიკვლეული კერამიკის ერთი ნაწილი განკუთვნილი იყო მაგნეტიტური ქვიშებიდან რკინის მადნის მოპოვება-გამდიდრების (ფლოტაციის) პროცესისათვის.[9] კიდევ უფრო თვალსაჩინოა შავიზღვისპირა დიუნური დასახლებების როლი წინარეანტიკური ხანის კოლხეთის რკინის წარმოებასთან კავშირში, რაც ამ პერიოდის რკინის დამუშავების აღმავლობითა და წარმოების მასშტაბების შესამჩნევი ზრდით დასტურდება.[10]

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამოსახლოთა კავშირი კოლხეთის რკინის წარმოების ძეგლებთან და კერძოდ სუფსა-გუბაზოულის სახელოსნოთა ცენტრთან, კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით. გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ურეკის ზღვისპირა დიუნურ სამოსახლოთა ზოლში მიკვლეულია რკინის მიღების ციებერვითი პროცესისათვის დამახასიათებელი წარმოების დამადასტურებელი მასალები. მათ შორის უაღრესად საინტერესოა დაუმუშავებელი ლუგვი

რკინის ფრაგმენტები, რომლებიც მიღებულია მაგნეტიტური ქვიშის კონცენტრატის გამოწვა-გამოდნობის შედეგად. ლუგვი რკინის მასა ამორფულია და შედგება ფენოვანი სახის აღდგენილი რკინის ნაწილებისაგან. სტრუქტურულად წარმოდგენილია არათანაბარი განაწილების 0,2-0,3% ნახშირბადის შემცველი შენადნობი რკინა, ტიპიური გლობულარული წიდის ჩანართებით. მასალის სრული ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზით განისაზღვრება მისი მიღების ტექნოლოგიური სქემა - რკინის მასის აღდგენითი პროცესი ცივბერვით ქურაში, მაგნეტიტური მადნის გამოყენებით.

ახლად აღმოჩენილი რკინის წარმოების მასალები, კოლხეთის რკინის მეტალურგიის ამსახველ სხვა ინფორმაციასთან ერთად წარმოგვიდგენს ზღვისპირა მოსახლეობის მეურნეობრივ კავშირებს საწარმოთა უშუალო კერებთან. წინარე ანტიკური ხანის კოლხეთის რკინის წარმოების ზრდა, მზა პროდუქციის არეალის გაფართოება ამის ნათელი დადასტურებაა. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, როდესაც ძველი კოლხეთის სამეფოს არსებობა ივარაუდება,[11] იქმნება პირობები სახელმწიფოს წარმონაქმთან დაქვემდებარებული ერთიანი ეკონომიკური კავშირების არსებობისათვის. გაზრდილია მოთხოვნილება რკინა-ფოლადის ნაწარმზე. ანტიკური ხანის კოლხეთის რკინის მეტალურგიის ცენტრი ამარაგებს შავი ლითონით როგორც ადგილობრივ, ისე საგარეო ბაზარს. საფუძველი ეყრება რკინის ნივთების სერიულ წარმოებას.

შენიშვნები

1 Г.А.Меликишвили. Наири-Урарту. Тб., 1954, С. 334; მისივე К истории древней Грузии. Тб., 1959, С. 191-193, 199; შესაქმე. IV,22.

2 ВДИ, 1947, N.2, С. 288, 292, 327. Apol. Rodos., Argonaut., II; Strabo, XII,3,19 (თ.ყაუხჩიშვილის მიხედვით).

3 R.Forbes. Mettalurgy in Antiquity. Heiden. 1950; მისივე. Studies in Ancient Technology. Heiden. 1964. L.Aitchison. A History of Metalls. I-II. London. 1960; T.Ricord. Man and Metalls. I-II. New -York. 1932. H.Coghlan. Notes on Prehistorie and early iron in the old world. Oxford.

1956.

4 ნ.რეხვიაშვილი. მჭედლობა რაჭაში. თბ., 1953; მისივე. ქართული ხალხური მეტალურგია. თბ., 1964.

5 И.А.Гзелишвили. Железоплавильное дело в древней Грузии. Тб., 1964, С. 38-51; დ.ხახუტაიშვილი, კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან. სდსძ. თბ., 1964. გვ. 51-53.

6 Д.А.Хахутайшвили. Производство железа в древней Колхиде& Тб., 1987. С. 109, 132, 143, 162; А.А.Бурчуладзе, Г.И.Тогонидзе. Радиоуглеродные датировки. IV. Тб., 1985. ТБ- 234, 235; ТБ- 401-408; ТБ- 432-440; З.А.Челидзе. Результаты археомагнитного исследования некоторых археологических объектов. - Вопросы древней истории. "Кавказско-ближневосточный сборник". V. Тб., 1977. С. 142.

7 М.А.Кекелидзе, Т.Н.Сигуа, Результаты промышленных опытов по использованию магнетитовых песков Черноморского побережья в производстве передельного чугуна. Труды ИМЕТ. XIV. Тб., 1964. С. 54; Т.И.Сигуа, А.В.Литов, М.А.Кекелидзе. Исследования обогатимости магнетитовых песков Черноморского побережья. Переработка железных и марганцевых руд Закавказья. Тб., 1975. С. 24 (табл. 2, 3); ლ.თავაძე, თ.საყვარელიძე, ც.აბესაძე, თ.დვალი. რკინის მიღების ცივ ბერვითი პროცესი ძველ საქართველოში. სმამიშ. 11. 1961. გვ. 95-108.

8 Ф.Н.Тавадзе, Г.В.Инанишвили, Т.Н.Сакварелидзе, Т.Н.Загю. Исследование древних шлаков железного производства на территории Грузии. История науки. Тб., 1984. С. 20-25.

9 Н.В.Хоштария. Археологические исследования в Уреки. МАГК. I. Тб., 1955. С. 71-73. ა.რამიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი. 1974. გვ. 109. მისივე. О назначении стоянок с "текстильной керамикой" Восточного Причерноморья. СА.4.1975. С. 36-44.

10 თ.მიქელაძე. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.

მისივე. რკინის ხანის დასაწყისისათვის, კოლხეთში ბოლოდროინდელი აღმოჩენების მიხედვით. სამეცნიერო სესია "მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო" (თეზისები). თბ., 1994. გვ. 13.

11 ო.ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966. გვ. 20-21; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბ., 1970. გვ. 371-372

Г.Инанишвили

К ИСТОРИИ ИЗУЧЕНИЯ МЕТАЛЛУРГИИ ЖЕЛЕЗА В КОЛХИДЕ

Резюме

В процессе развития древней металлургии железа особое место отводится искусству получения железа-стали, выработанному карт вельскими племенами металлургов, расселенными в Юго-Восточном Причерноморье. Одним из основных участков центра колхидско-халибской железной металлургии являются производства-мастерские Супса-Губазоули, функционировавшие начиная с эпохи поздней бронзы - раннего железа до предантичного периода включительно.

Для истории колхидской металлургии железа весьма интересную информацию содержат остатки древнего металлургического производства в полосе Причерноморских дюнных поселений, открытые археологической экспедицией Гурии.

ნაწილი III (არქივი)
განმარტებისათვის:

ვაშნარის ნაქალაქარზე (ოზურგეთის რ-ნი. ს. გურიანთა), 1949 წელს არქეოლოგიური კვლევა-ძიება განაპირობა ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკისა და დამხმარე ნაგებობების მშენებლობის დაწყებამ.

ფართომასშტაბიანმა სამშენებლო სამუშაოებმა შიდაციხის (ციტადელის) ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ერთი ნაწილი შეიწირა კიდეც. მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა დაემართებოდა ნაქალაქარს, არქეოლოგიური სამსახურის ყურადღების არეალში რომ არ მოქცეულიყო.

არქეოლოგების მიერ წარმოებულ სამუშაოებს ასახავს წინამდებარე საველე დღიური, რომელიც ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ არქეოლოგს გერმანე გობეჯიშვილს. დღიური მეტ-ნაკლები სისრულით გადმოგვცემს 1949 წელს გ.გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული გათხრების თანამიმდევრობას. ავტორი დაწვრილებით აღწერს გამოვლენილ ძეგლებს: ციტადელის ერთ მონაკვეთს, კედლებს, კოშკებს, მავზოლეუმის ტიპის ნაგებობასა და, რაც მთავარია, სამნავიან ბაზილიკას.

სამწუხაროდ, დღიური ნაკლულია. აკლია შესავალი და დასასრული.

დღიური ქვეყნდება შემოკლებითა და მცირე განმარტებებით.

ვაჟა სადრაძე

გ.გობეჯიშვილი

არქეოლოგიური გათხრები ვაშნარში. 1949 წელი.

(საველე დღიური)

(ტაბ. XXI, XXII)

6/IV -49 წ.

ქ. მახარაძეში ჩამოვედი 30/III.49 წ. წვიმიანი ამინდი იყო. (მივაკითხე ნ.ს.ნადირაძეს). აქედან დავუკავშირდი მუზეუმის დირექტორს კ.ანთელიძეს. შეხვედრა საკმაოდ გულთბილი იყო. ჯერჯერობით ეს იყო და ეს. იმის შემდეგ კაცი ვერა ვნახე. 1 აპრილს მივაგენი ვაშნარის ჩაის ფაბრიკის მშენებლობას, რომელიც გაშლილია ვაშნარის ციხის ნანგრევებზე.

სოფ. ვაშნარი მდებარეობს ქ.მახარაძის დასავლეთით, 5-6 კმ დაშორებით. სოფ. ციხისფერდის აღმოსავლეთით, ერთ მშვენიერ ბორცვზე (ტაბ. XXI), რომელიც ამ ორი მდინარის შეერთების ადგილზეა აღმართული. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ციხე-სიმაგრე კეტავდა ამ ორი მდინარის ხეობას. მდ.ნატანებით უმოკლესი გზაა ქართლისაკენ მესხეთის გავლით, ხოლო მდ. სკურდუმით შესაძლებელია ძალზე მოკლე დროში იმერეთში გადასვლა.

ჩრდილოეთით მოჩანს ციხის ნანგრევები; ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით აქ გურიანთას ციხეა. საინტერესოა მისი აღწერა (მე არ მინახავს, ალბათ ვნახავ). თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ აქ, ამ რაიონში, საქმე გვაქვს მძლავრ საფორტიფიკაციო სისტემასთან.

ჩაის ფაბრიკის უკიდურეს ჩრ. უბანზე, თხრილის ამოღების დროს, მუშებმა გაკვეთეს ქვევრი.

7/IV -49 წ.

ჩაის ფაბრიკის მთავარი კორპუსის შუაში (ბორცვის ჩრდ. ნაწილი) ძველი ციხე-სიმაგრის ნაშთებია. ეს კვალი გრძელდება ბორცვის ერთი თავიდან მეორემდე (ტაბ. XXI).

8/IV -49 წ.

მთელი ათი დღის განმავლობაში წვიმდა. დღეს გამოიდარა. ბორცვის სამხრეთ ნაწილში დავადასტურე ქვევრი. ამ ბორცვზე, ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, გამართული ყოფილა თავად ნაკაშიძის კარმიდამო.

საძიებელ ძეგლს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ჰკვეთს შოსე - გზა და რკინიგზა, რომელიც აკავშირებს ქ.ოზურგეთს ნატანებთან (ტაბ. XXI). ბორცვის ზედაპირული დათვალიერების დროს, შევნიშნე და შევაგროვე კერამიკული ნაწარმის ნაშთები (ქვევრის პირი, აგურები, მილისა და კრამიტის ნატეხები).

საერთოდ ძეგლი ძალზე სავალალო მდგომარეობაშია.

13/IV -49 წ.

მთელი დღე ურეკში ვიყავი. ძალიან ცუდი ამინდია.

14/IV -49 წ.

დილით საშინელი ამინდი იყო. წვიმდა. ვაშნარში დავბრუნდი. შუადღის შემდეგ გამოიდარა. თხრილის ამოღების დროს, ბორცვის ჩრდილო ნაწილში, აღმოჩნდა ქვევრი.

15/IV -49 წ.

იგი პირველი ქვევრიდან დაშორებულია 10-12 მეტრით. მიწის ზედაპირიდან 12 სმ. სიღრმეზე, ქვევრთან შემხვდა კრამიტისა და რაღაც ჭურჭლის ნატეხები.

16/IV -49 წ.

დროგამოშვებით წვიმს. მეტად საინტერესო ცნობა მივიღე დავით მჟავიასაგან.

გადმოცემით, 1929 წ. 13 იანვარს, შაბათობაზე მუშაობის დროს, სოფ.კახურში წააწყდნენ თიხის სამარხებს, რომლებიც გერმეტულად ყოფილა დახურული; სულ - 12 ცალი. უმრავლესობა დამტვრეულია, ორი სადღაც წაუღიათ. ერთში ადამიანის ძვლები და დოქი იდო. დაახლოებით ასეთივე სამარხი უპოვია სოფ.ციხისფერდის მოსახლეს მიშა ლომაძეს საკარმიდამო მიწის გადაბრუნების დროს.

ჩემი სახლის პატრონის ისიდორე კვირჩილაძის გადმოცემით, ეზოში

ბარვის დროს იგი წაწყდომია თიხის სამარხს, რომელშიაც აღმოჩენილა ადამიანთა ძვლები, თუნგი და სატევარი რკინისა (?).

ასეთი სამარხების არსებობას ადგილობრივი მცხოვრებნი სხადასხვა ადგილში მიუთითებენ.

17/IV -49 წ.

დროგამოშვებით წვიმს. ჩაის ფაბრიკის მშენებლობაზე მუშაობენ მხოლოდ მიწის მთხრელები.

27/IV -49 წ.

დღეს ავზომეთ და ჩავიხატეთ ის კედლები, რომლებიც შემორჩენილია ჩვენს დრომდე. ეს ყოველივე გრანდიოზულ ტერიტორიას მოიცავს. შიგნითა ზღუდის აღმოსავლეთი კედლის დანგრევისას გვხვდება ქვები, აგურები, კრამიტის ნატეხები და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა მრავალწლიანი ქვები, რომლებიც სტოვებენ სვეტის შთაბეჭდილებას.

მრავალკუთხა კოშკიდან[1] ჩრდ. მიმართულებით გაწმენდისას, აღმოჩნდა დერეფნის მსგავსი ნაგებობა. ამ დერეფნის გაწმენდისას შეგვხვდა განსაკუთრებით საინტერესო აგურები, რომელთაც ერთ სიბრტყეზე ხელოვნურად აქვს დატანილი ღარები (შესაძლებელია იყოს წარწერა).

29/IV -49 წ.

დღეს გავწმინდეთ "შიდა ციხის" აღმოსავლეთი კედლის ერთი ნაწილი, რომელიც მრავალკუთხა კოშკიდან დაშორებულია 20-25 მ-ით (ჩრდილოეთისაკენ). ამ ნაწილში გამოირჩევა მთელი სისტემა ნაგებობებისა, რომელთა სრული პრეპარაცია ჯერ არ დამთავრებულა. გაწმენდილ ნაწილს შეიძლება ვუწოდოთ ოთახი №.1,[2] რა თქმა უნდა, ეს პირობითი იქნება; მისი ზომებია: 5,55 x 5,5 მ (აქ აღებულია შიგნითა ზომები). დასავლეთი კედლის სიგრძე უდრის 8 მ. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოთახის ამ კედლის გაგრძელებას წარმოადგენს თვით "შიდა ციხის" კედელი. სწორედ ეს კედელია გაზომილი ოთახის დასავლეთ კედელთან ერთად (ტაბ. XXII, სურ. 1).

დასავლეთ კედელში დატანებული აქვს გასასვლელი კარი. ამ კარების სიფართე - 1, 27 მ-ია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთის მოპირდაპირე, აღმოსავლეთის კედელს არ აღმოაჩნდა კარები და ფანჯრები.

სამხრეთის კედელს ძირიდან - 90 სმ სიმაღლეზე გააჩნია პატარა ფანჯარა და ისეთივე ტიპის კარები, როგორიც დასავლეთ კედელშია დატანებული (ტაბ. XXII, სურ. 1).

როგორც ეტყობა, ნაგებობის სახურავად გამოყენებული ყოფილა მცხეთური ტიპის კრამიტი. მეორე ტიპის მცხეთური ღარისებური კრამიტი ცოტა გვხვდება.

ამ ოთახის სამხრეთით დაღრმავებისას მივადექით კედელს, რომელიც მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. პრეპარაციამ გამოარკვია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს დერეფნისმაგვარ ნაგებობასთან (ტაბ. XXII, სურ. 1).

4/V -49 წ.

გათხრილი "ოთახის" (№.1) სამხრეთით მდებარე ნაგებობის ზედა ნაწილში დავადასტურეთ აბაზანის მაგვარი ქვის ყუთი. ამ ნაგებობის სამხრეთ ნაწილში მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა სვეტის ნაწილი (2 ცალი). როგორც აღინიშნა, "ოთახის" სამხრეთით გამოვლინდა განსაკუთრებული ნაგებობა,[3] რომელსაც ორი წყება კედელი აქვს. ერთი დახედვით, ზედხედში იძლევა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს კვადრატი კვადრატშია ჩასმული (იხ. ტაბ. XXII, სურ. 1).

ამ ნაგებობის შიდა კედლების ზომებია: ჩრდილოეთისა და სამხრეთი კედლის სიგრძე - 9,1 მ. აღმოსავლეთისა და სამხრეთი კედლის სიგრძე - 9,1 მ. აღმოსავლეთისა და დასავლეთისა - 9,3 მ.

შიდა კედელზე მიშენებულია ნაგებობა, რომელიც აბაზანის (აუზის) შთაბეჭდილებას ტოვებს.[4] ნაგებობის კედლები ამოლესილია კირხსნარით. კედლის სისქეა 13-15 სმ. აბაზანის სამხრეთით - 80 სმ. მანძილზე მოთავსებულია აგურით ამოშენებული ოთხკუთხედი, რომელიც ჯერ არ არის ამოწმენდილი. მისი ზომებია: სიგანე - 30 სმ; სიგრძე - 46 სმ.

აქ აღმოჩნდა ბრტყელი და ღარისებური კრამიტი, ასევე კაპიტელები. ეს კაპიტელები ერთი მასალისაგან არის დამზადებული.

შიდა კედლების ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთის კუთხის გაყოლებით, მოთავსებულია სამარხი, რომელიც წარმოადგენს გამომწვარი თიხის სარკოფაგს.

6/V -49 წ.

სარკოფაგი თიხისაა, ვარდისფრად გამომწვარი. დაზიანებულია, ძვლები არეული; სარკოფაგის აღმოსავლეთით იდო ბარძაყის ძვალი, სამხრეთით - რკინის მავთულის ნატეხი, რომელსაც ერთი თავი მოღუნული აქვს. ბარძაყის ძვლიდან სამხრეთით - 10 სმ-ზე მოთავსებულია ლულოვანი ძვალი. ლულოვანი ძვლის დასავლეთით - 4 სმ მანძილზე იდო მინის ჭურჭლის ნატეხი, რომელსაც შერჩენილი აქვს ყური. მისგან დასავლეთით მოთავსებულია თხელი ბრინჯაოს ფირფიტა. ამ ფირფიტის ჩრდილოეთით რკინის ლურსმანია მიდგმული სარკოფაგის კედელზე. ბრინჯაოს ფირფიტის დასავლეთით ძევს მავთული, რომელსაც ერთი თავი მოკაუჭებული აქვს. სარკოფაგის ქვეშ მოჩანს ბრინჯაოს ფირფიტისაგან გაკეთებული კაუჭი, რომლის ერთ-ერთი ბოლო ბრტყელია და გახვრეტილი. სარკოფაგის სიგრძე - 190 სმ. ქვეშ უდევს ვარდისფერი კრამიტი.

აღმოსავლეთით სარკოფაგს შერჩენილი აქვს სახურავის ნაწილები, ქვემოთ თავმოყრილია ძვლები. მენჯის ძვლის ნაწილი, ქვედა ყბა კბილებით და მალა (ეს ყოველივე სარკოფაგიდან დაშორებულია 1 მ).

27-31 ივლისი, 1949 წ.

უკვე ორი თვე სრულდება, რაც ვაშნარის არქეოლოგიური ექსპედიცია უჩემოდ მუშაობს. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურ კომისიასთან (რომელიც ურეკისა და ვაშნარის გათხრების დასათვალიერებლად იყო ჩამოსული) ერთად 28 მაისს გავემგზავრე თბილისში და უკან დავბრუნდი მხოლოდ 26 ივლისს.

ვაშნარში ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ არქიტექტორი ირ.ციციშვილი და მოლარე ტ.ნებიერიძე.

ჩემს ჩამოსვლამდე გათხრებს ხელმძღვანელობდა ო.ღამბაშიძე, მასთან მუშაობდნენ მხატვარი კ.კვესი, ფოტოგრაფი ე.კვეერი და უფრო გვიან მივლინებული დ.ხახუტაიშვილი, ე.გოგაძე და ნ.კაკულია.

ვაშნარში ასეთი სურათი დამხვდა: ჩაის ფაბრიკის მშენებელთ უკვე მოუსწრიათ ქალაქის კედლის დანგრევა, ნატანები-მახარაძის სამანქანო გზიდან №.1 "სათავსომდე" (იხ. ტაბ. XXII, სურ. 1) და ამ კედელზე მიშენებული №.2 სათავსოც,[5] რასაკვირველია, ზედ მიუყოლებიათ. ამ ძველ ნაგებობათა საძირკვლები მოქცეულია ჩაის ფაბრიკის დამხმარე ნაგებობათა - სასადილოსა და კლუბის ქვეშ. კლუბის შენობის სამხრეთი კედელი მიუშენებიათ №.1 "სათავსოს" ჩრდილოეთ კედელზე.

არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა ორმაგკედლებიანი ნაგებობის (ტაბ. XXI, XXII, სურ. 1) სამხრეთით.

გათხრების დაწყებამდე ეს უბანი მოზრდილ შემაღლებას წარმოადგენდა, რომელზედაც მიწა იყო დაზვინული. დღეისათვის ეს უბანი სავსებითაა გაწმენდილი.

გათხრებით გამოვლენილია ნაგებობათა რთული კომპლექსის ნანგრევები და სამარხები. ამ უკანასკნელთაგან ბევრი უკვე აღწერილია და შემდეგ აშლილი, ზოგიც ჯერ კიდევ აღსაწერია.

ნაგებობათა ნანგრევების თხრის დროს მიწიდან ამოუღიათ უამრავი სამშენებლო ქვა, აგური, კირი და კრამიტის ნატეხები. ქვა და აგური მოუხმარიათ ფაბრიკის მშენებლებს ისევე, როგორც მათ გამოიყენეს ჩვენს მიერ ადრე ამოთხრილი მასალა.

ვერ დავიცავ რა თანმიმდევრობას, თხრის მიმდინარეობის მიხედვით, მე ავღწერ გაშიშვლებულ ძეგლებს; ამასთან, დავიწყებ ჩრდილო მხრიდან და მივყვები სამხრეთისაკენ.

მთავარი ძეგლია სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები (ტაბ. XXII, სურ.1). იგი მდებარეობს ორმაგკედლებიანი ნაგებობის სამხრეთით. ბაზილიკის აბსიდის მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეულია ქალაქის აღმოსავლეთით, შიდა კედლის გარეთ (იხ. ტაბ. XXII, სურ. 1).

ორმაგკედლიანი ნაგებობისა და ბაზილიკის ურთიერთობა რომ გავიგოთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ორმაგკედლებიანი ნაგებობის სამხრეთით (ტაბ. XXII, სურ. 1) მშენებლებმა დაანგრიეს აღმოსავლეთიდან - დასავლეთით დამხრობილი ორი (პარალელური) კედელი, რომლებიც, საბედნიეროდ, დანგრევამდე ავგაგმეთ და გადავიღეთ კიდეც. ერთი, უფრო

ჩრდილოეთით მდებარე კედელი, აღმოსავლეთით მომრგვალებულ მოხრილ მუხლს აკეთებდა და ორმაგკედლებიანი ნაგებობისაკენ მიემართებოდა (სამწუხაროდ, ის ადრევე იყო გაწყვეტილი ისე, რომ გაურკვეველი დარჩა - უერთდებოდა თუ არა ორმაგკედლებიან ნაგებობას (გაწმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ ის უერთდება ქალაქის კედელს).

მეორე, უფრო სამხრეთით მდებარე კედელი, როგორც ახლა გამოირკვა, წარმოადგენდა ბაზილიკის ჩრდილო კედელს (უფრო სწორად, ბაზილიკის ჩრდილოეთი ნავის ძირითად კედელს).

ბაზილიკის აბსიდა, როგორც ზემოთაც ვთქვით, დაშენებულია ქალაქის აღმოსავლეთ შიდა კედელზე (ტაბ. XXII, სურ. 1). ამ ადგილას ბაზილიკისათვის ჩაუჭრიათ უფრო ღრმა საძირკველი, ვიდრე ქალაქის კედელს აქვს. ბაზილიკის საძირკველის სიმაღლე უდრის 1.80 მ, მაშინ, როდესაც ქალაქის კედლის საძირკვლის სიმაღლე მხოლოდ 0,7 მ-ია. ეს სურათი ჩანს აბსიდის ჩრდილო მხარეზე, სადაც ჩვენ საგანგებოდ გავჭერით თხრილი (იხ. ტაბ. XXI, XXII, სურ. 1), ხოლო სამხრეთი მხარე არ შეგვიმოწმებია.

ბაზილიკის აღწერა

ბაზილიკა დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით (12 გრადუსითაა გადახრილი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ ამ გადახრას ყურადღების გარეშე ვტოვებ). საკურთხევლის აბსიდა გარედან ხუთწახნაგიანია, ხოლო შიგნით ნახევარწრიული. აბსიდის დიდი ნაწილი მიწის ზემოთ კარგად ჩანდა გათხრებამდეც; მისი შიდა ნაწილი ჩაღრმავებულ ფართო ორმოს წარმოადგენდა. ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ იქ ოდესღაც უთხრიათ. განათხარში და თვით აბსიდის კედელში ამოსული იყო დიდრონი ხეები, რასაც საკმაო ზიანი მოუტანია კედლებისათვის.

სავარაუდოა, რომ აქ თხრიდა, გასულ საუკუნეში, ვაშნარის მფლობელი თ-დი ნაკაშიძე ან თბილისიდან აქ მოვლენილი ბაიერნი (იხ. დ.ბაქრაძე, გვ. 278). ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ზემოხსენებული ნაგებობის იმ ნაწილს, რომელიც მიწის ზემოთ ჩანდა, დიუბუა დე მონპერე (1837 წ.) მიიჩნევდა სპარსულ საგზებლად, ხოლო

დ.ბაქრაძე 1873 წ. აბანოდ. ჩვენი გათხრების შემდეგ უკუსაგდებია ორთაგეს მოსაზრება, რამდენადაც ახლა არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ ეს "ხუთწახნაგა ნაგებობა" სხვა არ არის თუ არა ბაზილიკის აბსიდა.

ბაზილიკა (ტაბ. XXII, სურ. 1) ნაგებია ქვით, აგურითა და კირით; თხრის დროს მოპოვებული მასალის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი კრამიტით იყო დახურული და მარმარილოს ფილებით შემკობილი (კარნიზები, საკურთხევლის იატაკი, და სხვ.). სამშენებლოდ გამოყენებული იყო წესიერ კვადრატებად გათლილი ბაზალტი, აბსიდის გარე კუთხეები გაფორმებულია ძლიერ კარგად გათლილი ბაზალტის კვადრატებით. კედლის საძირკვლები ამოყვანილია ადგილობრივი რიყის ქვით. აგური მეტად კარგადაა გამომწვარი ისე, რომ სრულებით არ ემჩნევა აქაური ნოტიო ნიადაგის უარყოფითი გავლენა, გარდა ერთეული დიდრონი ფილებისა (40 x 40 x 5 სმ.), აქ გვხვდება მასიურად გავრცელებული კვადრატული და სწორკუთხედი აგურები (სწორკუთხოვანი 26 x 16 x 6 სმ; 25 x 15 x 45 სმ; 27 x 14,5 x 3,5 სმ; კვადრატული 28,5 x 28,5 x 4 სმ; 27 x 27 x 5 სმ).

ბაზილიკის სამშენებლო აგურთა შორის სჭარბობს კვადრატული ფორმები, მაშინ, როდესაც ორმაგკედლებიან ნაგებობაში უმთავრესად სწორკუთხედი ფილები გამოუყენებიათ, თუმცა არც კვადრატული ფილებია ცოტა. კირიც ისეთივე მაღალი თვისებებით ხასიათდება, როგორც აგური. იგი ძლიერ მტკიცეა და ბევრ შემთხვევაში მისი მონგრევა უფრო ძნელი ხდება, ვინემ ქვის დამტვრევა. მარმარილო თეთრი ფერისაა, ზოგჯერ მოლურჯო ზოლებით. ბაზილიკის გასაფორმებლად სხვა ჯიშის ქვაც გვხვდება (თეთრი რბილი ქვა - აბაკებად; მორუხო ქვიშაქვა - სვეტისთავებად და სხვ.).

საძირკვლის წყობის ხასიათის გამოსარკვევად, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენ ჩავჭერით ვიწრო თხრილი ქალაქის კედლისა და ბაზილიკის აბსიდის შეხვედრის ადგილას (ტაბ. XXII, სურ. 1) ჩრდილო ნაწილში; გამოირკვა, რომ აბსიდის საძირკველი დიდი მონდომებითაა გამაგრებული (მისი სიღრმე - 1,8 მ. უდრის). საძირკველი ნაგებია რიყის ქვით, მაგარ კირზე. აბსიდის სიმტკიცისათვის გარშემო მოუსხამთ ქვითკირი, ისე რომ კედლის ის ნაწილი, რომელიც მიწის ზემოთ ჩანდა, 0,4-0,5 მ სიმაღლეზე დაუფარავთ.

აბსიდისა და საკურთხევლის აღწერა

აბსიდა გარეთა მხრიდან ხუთწახნაგოვანია. თითოეული წახნაგის სიგრძე მერყეობს 3,25 - 3,30 მ შორის. სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 2 მეტრს სჭარბობს. ნაგებობას მიწის ზედაპირიდან - 0,55 მ სიმაღლეზე, გარედან შემოუყვება საკმაოდ კარგად გაჩორკნილი ბაზალტის კვადრების ორწყებიანი სარტყელი. წყებები ერთმანეთთან შეკავშირებულია - 2-3 სმ სისქის კირით. კვადრების ზომები მერყეობს 15 x 12 x 9 სმ-დან 33 x 18 x 6 სმ-მდე. მის ზემოთ გამართულია (სამი წყება) კვადრატული აგურის სარტყელი.

შემონახულია ბაზალტის კვადრების სამი და აგურის ორი წყება. ბაზალტის კვადრებისა და აგურის სარტყლები წყდება აბსიდის წახნაგთა შეერთების ადგილებში. იქ გამოყენებულია ბაზალტის დიდრონი კვადრები.

ბაზილიკის აბსიდა გარედან ჩაცმული იყო კარგად გათლილი ბაზალტის კვადრებისაგან შედგენილი პერანგით. ახლა ეს პერანგი დაზიანებულია, აკლია კუთხეების კვადრები. ისინი ძალადაა ამოგლეჯილი კედლებიდან.

საკურთხევლის იატაკის ზემოთ, აბსიდის კედელს შიგნიდან შემოუყვება საფეხურებად განლაგებული აგურის სამი ნახევარსარტყელი. ქვედა - კვადრატული აგურების წყობისაგან შედგება, შემტკიცებულია კირით. იგი დაფუძნებულია საკურთხევლისათვის მომზადებულ საფუძველზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს რიყის ქვის სქელ ფენას. პირველი საფეხურის სიფართე - 25 სმ-ია.

პირველ საფეხურს მოსდევს (კვადრატული აგურებისავე) მეორე საფეხური, რომელიც პირველთან შედარებით სამი აგურის წყობით უფრო მაღალია.

მას მოსდევს მესამე საფეხური, მაგრამ არა კვადრატული, არამედ სწორკუთხედი (სიფართე - 15 სმ). მესამე საფეხური მეორესთან შედარებით ორი აგურის წყობით მაღალია. ამგვარად, საკურთხევლიდან იწყება და აბსიდის კედლებამდე აღწევს სარტყლებად განლაგებული სამი საფეხური, რომელთაგან პირველი ორის სიფართე უდრის 25-25 სმ, ხოლო მესამისა - 15 სმ.

აბსიდის შუაში, საფეხურებს ჰფარავს აგურის ორსაფეხურებიანი "კიბე". კიბე ნაგებია კვადრატული აგურებისაგან, მაგარ კირზე. ყოველი მომდევნო საფეხური კიბისა, წინამავალ საფეხურზე უფრო მაღალია ორი აგურის წყობით. პირველი საფეხური დაფუძნებულია საკურთხევლის იატაკზე და რკალისებური ფორმის პირველ საფეხურთან შედარებით 50-60 სმ-ით წინაა წამოწეული. უკანასკნელი მეოთხე საფეხური აღწევს მესამე რკალისებრი საფეხურის დონემდე და იქ ქმნის ფართე მოედანს. კიბე და საფეხურები თავის დროზე შელესილი ყოფილა კირით.

საკურთხეველი გამოყოფილია სამყოფელისაგან (ამ ტერმინით აღვნიშნავ ეკლესიის იმ ნაწილს, რომელიც მლოცველთათვისაა განკუთვნილი, შეად. ივ.ჯავახიშვილი, მასალები მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I გვ.) კანკელით, რომლის მხოლოდ მცირე ნაშთებიღაა (ქვემო ნაწილი) შემონახული. იგი აერთებს აბსიდის ორივე ნაპირს, რომელთა შორის მანძილი ჩრდილოეთ ხაზზე უდრის 7,6 მ-ს. კანკელის წინ, სამყოფელში, შემონახულია აღსავალი კიბის ერთი საფეხური, ქვიტკირის სქელი ფენა.

საკურთხეველის იატაკი, სამყოფელის იატაკთან შედარებით - 0,9 მეტრით უფრო მაღლა მდებარეობს. საკურთხეველის იატაკი შემზადებულია რიყის ქვის სქელი ფენით (0,8 მ.), რომელიც კირითაა შემტკიცებული (ზემოდან 10-12 სმ სისქის ჰიდრავლიკური ხსნარია მოსხმული). საკურთხევლის გაწმენდისას იატაკზე აღმოჩნდა მარმარილოს თხელი ფილების ნატეხები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკურთხევლის იატაკი მოგებული იყო მარმარილოს ფილებით; თუმცა აღმოჩენილი ფილები შეიძლება სხვა დანიშნულებისაც ყოფილიყო. მაგალითად, შეიძლებოდა აბსიდის კედლის, ნახევრად რკალისებური საფეხურებისა და შუა კიბის მოპირკეთება. ფილებთან ერთად აღმოჩნდა პროფილირებული მარმარილოს ნატეხები (ალბათ კარნიზთა ნატეხები). მათ არსებობაზე მიუთითებს დ.ბაქრაძეც (იხ. მისი შრომა, გვ.178). ამის გარდა, მარმარილოს ნატეხები, მათ შორის სვეტის ნატეხიც, აღმოჩენილია ტაძრის სამყოფელში. თუ გავიხსენებთ, რომ ამ ბაზილიკიდან (ბაქრაძისეულ "აბანოდან") ამოთხრილი მარმარილოს სვეტისთავები თ-დ ნაკაშიძესთან ყოფილა "დაცული" გასული საუკუნის 70-იან წლებში, ეს ტაძარი შეიძლება

მივიჩნიოთ კარგად გაფორმებულად და მდიდრულად. აქვე დასტურდება იონიური ვოლუტებითა და კორინთული აკანთის ფოთლებით შემკული სვეტისთავი.

საკურთხევლის სიგრძე კანკელამდე უდრის 4,6 მ-ს. საკურთხევლის ცენტრალურ ნაწილში აგურით ამოშენებული მცირე ორმოა, გეგმაში არაწესიერი ოთხკუთხედის მოყვანილობისა, სიღრმე 0,6 მ.

იგი ფორმით იმ ორმოს იმეორებს, რომელიც ჩვენ ვნახეთ ორმაგკედლებიან ნაგებობაში. ორმო, როგორც ჩანს, განკუთვნილია ტრაპეზისათვის: შიგ ჩაიდგმებოდა ქვის სვეტი სათანადო მოწყობილობით. თუ ეს ასეა, მაშინ ორმაგკედლიანი ნაგებობაც ეკლესიად უნდა მივიჩნიოთ.

შუა ნავი

ბაზილიკის აბსიდის ორთავე ნაპირი მთავრდება ზედ მიშენებული აგურის მცირე კედლით თუ თაღის ფეხთა საყრდენით, რომლებსაც ებჯინება კანკელის ორივე ბოლო (ტაბ. XXII, სურ. 1).

ბაზილიკის შუა ნაწილი შესაძლოა თაღებიანი იყო. დასაშვებია, რომ თაღების გვერდით, ჩვენ გვქონდეს აგურის ოთხკუთხედ საყრდენზე აღმართული ქვის სვეტები (აკი აღმოჩენილია ისინი აქ), რომლებიც ჭერსა და სახურავს შეამაგრებდნენ.

კანკელის წინ, იატაკის დონეზე, შემონახულია კირმოსხმული ოთხკუთხედი (თითქოს კვადრატი) რომლის ზომებია: 3,30 ჩ 3,33 სმ.

სამყოფელი, ისევე როგორც ჩრდილო და სამხრეთი ნავების იატაკი, შემზადებულია რიყის ქვის სქელი ფენით (სისქე ჯერჯერობით არ გამოგვიკვლევია), რომელზედაც მოსხმულია ძლიერ მაგარი ჰიდრავლიკური ხსნარი (დაფხვნილი აგური და კირი). შუა ნავში გამართულია აკლდამა №.3 (აკლდამის ზომებია: სიგრძე - 2,5 მ, სიგანე თავთან - 0,82 მ, სიგანე ბოლოში - 0,8 მ, სიმაღლე იატაკის ზემოთ - 0,4 მ). აკლდამის ძირი 0,25 მ-ით უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე სამყოფელის იატაკი. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი და სახურავი მონგრეული იყო. სახურავი (ხუფი) წარმოადგენს კირით შედუღაბებულ კვადრატულ აგურებს, რომლებიც ზემოდან და გვერდებიდან შელესილია აგურისფერი ჰიდრავლიკური ხსნარით. ხუფი ისე იყო მილესილი აკლდამის

კედლებზე, რომ ჩანგრევამდე სამარხში წყალი ვერ ჩაჟონავდა. ხუფის დასავლეთ ნაწილში, ზემოდან, ჩასმულია მარმარილოს ხუთი მცირე ნატეხისაგან შედგენილი ჯვარი (ტაბ. XXII, სურ. 2). ოთხ ნატეხს, რომლებიც ჯვრის ტოტებს ქმნის, სამკუთხედის მოყვანილობა აქვს, ხოლო მეხუთე ნატეხი კვადრატული ფორმისაა და იმრიგად დევს, რომ კუთხეები მოქცეული აქვს ზემოთ ხსენებულ ნატეხთა წვეროებისაკენ.

აკლდამაში მიცვალებულის ჩონჩხიდან აღმოჩნდა თავის ქალას სარქველი და ქვემო კიდურის ძვლის ნატეხები. მიცვალებული ზურგზე იყო გაშოტილი, თავი დასავლეთით ჰქონია მიქცეული. ნივთები არ ახლდა (არც იყო მოსალოდნელი).

ერთი წვრილმანიც ამ სამარხიდან:

მიცვალებული კუბოთი ჩაუსვენებიათ აკლდამაში და შემდეგ ზემოდან კირითა და აგურნარევი ხსნარით გადაულესიათ. ხსნარს ჩაუჟონავს დასავლეთი კედლის გასწვრივ და კუბოზე დასხმია.

ამაღამ, 31 ივლისს თბილისში მივემგზავრები ხუთი დღით. ბაზილიკის ორი ნავი, კარიბჭე და სხვა ნაგებობანი შემდეგ უნდა აიწეროს.

შუა ნავთან დაკავშირებით 1. შუა ნავის იატაკი, როგორც თავის დროზე იყო აღნიშნული, წარმოადგენს კირის, დაფხვნილი აგურისა და სილის მტკიცე ხსნარს. მის ქვეშ აღმოჩნდა შემზადება - 0,4 მ სიმძლავრისა, რომელიც აყალო მიწაზეა გამართული.

2. შუა ნავში აღმოჩენილი მრავალ ნაშთთაგან (ქვა, კირი, აგური, კრამიტი, მინის ნამსხვრევები, რკინის ლურსმნები და სხვ.) განსაკუთრებულ ყურადრებას იპყრობს:

ა) თეთრი მარმარილოს წვრილი სვეტის ღეროს ნატეხი.

ბ) მორუხო ქვიშაქვის სვეტისთავის ნატეხი, იონიური ვოლუტებით.

გ) მოთეთრო ქვიშაქვის სვეტისთავი, აკანთის ფოთლებით, ვოლუტებითა და თოკის რელიეფური მოტივით შემკული.

ჩრდილო ნავის აღწერა

აბსიდის ჩრდ.-აღმოსავლეთ ნაპირთან, გარედან მიშენებულია

სამხრეთიდან-ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი კედელი, სიგრძით (გარე პირია გაზომილი) - 3,30 მ, სისქით 0,8 მ. ამ კედლის წყობაში ვხედავთ ქვისა და აგურის სარტყლების ისეთსავე თანმიმდევრობას, როგორიც შემოინახა აბსიდის კედლებმა. ბაზილიკის ჩრდილო ნავის სიფართე - 2,4 მ. კედელში შიდა მხარეს შემორჩენილია ნიშის ნაშთი. ნიში მოთავსებულია იატაკიდან 0,95 მ სიმაღლეზე. ნიშის სიფართეა - 0,90 მ; სიღრმე - 0,3 მ, ხოლო სიმაღლისა ნამდვილად არაფერი ვიცით.

აღწერილი კედელი, ბაზილიკის ჩრდილო ნავის აღმოსავლეთი განივი კედელია. რაც შეეხება ამ ნავის ჩრდილოეთის გრძივ კედელს, იგი ადრევე დაგვინგრიეს "მშენებლებმა", თუმცა მოვასწარით მისი აგეგმვა. ახლა შემორჩენილია ამ კედლის მხოლოდ საძირკველი (ტაბ. XXII, სურ. 1).

ჩრდილო ნავში ჩრდილოეთიდან შესასვლელი კარია დატანილი, კედლების წყობა ჩვეულებრივია.

მეორე კარი მდებარეობს ჩრდილო ნავის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან 11,8 მ მანძილზე. ამ კარის პირები ისევე, როგორც ყველა სხვა, აგურითაა ნაგები. მეორე კარის სიფართე 1,5 მ-ია; სამხრეთი ნავის კედლის მხოლოდ საძირკველია შემონახული, მაგრამ აქა-იქ კედლის სიმაღლე 0,5 მ. სჭარბობს. რამდენიმე სვეტის ძირთან ერთად ქმნის ბაზილიკის სამხრეთ ნავს. მას დაწვრილებით აღარ აღვწერთ, რადგანაც იგი ისეთივე სახისაა, როგორც ჩრდილო ნავი.

სამხრეთ ნავში აღმოჩნდა აკლდამა, რომელიც მიშენებულია ნავის სამხრეთ კედელზე. კარგად შემონახული კედელი ქვითკირისაა და გალესილია კირით.

აკლდამა მხოლოდ 30 სმ-ითაა ჩაჭრილი ნავის იატაკში, ზედა ნაწილი იატაკს ზემოთაა მიმართული. მასში აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი (ძლიერ ჩალეწილი), გაშოტილი, თავით დასავლეთით დამხრობილი.

ამგვარად, მოიხაზა მთელი ბაზილიკის ძირითადი გეგმა. დაგვრჩა აღსაწერი მხოლოდ მთავარი შემოსასვლელი (პორტიკი) და ზოგიერთი რამ ჩრდილო და სამხრეთ ნავში. რაც შეეხება მთავარ შესასვლელს, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ საძირკველს და კედლის ძლიერ მცირე (დაბალ) ნაშთებს[6] (ტაბ. XXII, სურ. 1).

ამგვარად, ჩვენ დავასრულეთ ბაზილიკის ძირითადი ნაწილების წინასწარული აღწერა. ჩვენ წინაშეა სამნავიანი ბაზილიკა, დასავლეთი მხრიდან გამართული დერეფნით. დერეფანი (პორტიკი) წარმოადგენს ჩრდილო და სამხრეთ ნავთან ორგანულად დაკავშირებულ ბაზილიკის ნაწილს. ძეგლის გარეგანი ზომებია: სიგრძე - 21,5 მ, სიგანე - 16,9 მ.

დამხსარე სენაკის აღწერა

ბაზილიკის სამხრეთ ნავს ეკვრის მოზრდილი სენაკი, რომელიც ერთდროულად აგებული ჩანს; ამაზე მიგვითითებს ის, რომ სენაკის აღმოსავლეთი კედელი - წარმოადგენს ნავის აღმოსავლეთი კედლის ბუნებრივ გაგრძელებას, ხოლო დასავლეთი კედელი დაკავშირებულია ნავის სამხრეთი კედლის მონაკვეთთან (ტაბ. XXII, სურ. 1).

კედლების სისქე ყველგან ერთნაირია - 0,8 მ, სიგრძე - 6,55 მ, სიგანე - 5 მ.

სენაკს ორი შესასვლელი აქვს - ერთი ჩრდილოეთიდან, ე.ი. ბაზილიკის სამხრეთი ნავიდან, ხოლო მეორე - დასავლეთიდან (ტაბ. XXII, სურ. 1). ამ კარის მხოლოდ ჩრდილო ნაწილია ასე თუ ისე გადარჩენილი, ხოლო სამხრეთისა კი არაფერი შემონახულა.

სენაკის კედლების წყობაში სხვა რამ საყურადღებო და აღნიშვნის ღირსი არ ჩანს, გარდა იმისა, რომ ოთხივე კედელში აქა იქ სამშენებლო მასალად გამოყენებულია აგური ან ღარიანი კრამიტი.

გამთხრელთა აზრით (ე.გოგაძე, დ.ხახუტაიშვილი) სენაკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში 2 კვ მეტრის სიფართეზე შემორჩენილი იყო ჩვეულებრივი იატაკი - ჰიდრავლიკური ხსნარი.

სენაკში მიკვლეულია ორი ორმოსამარხი. პირველი სამარხი ბავშვისა იყო. იგი აღმოჩნდა სენაკის იატაკიდან 2 მ სიღრმეზე. მიცვალებული დაუსვენებიათ ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. თავის ქალასთან ორი ოქროს საყურე, ხოლო მარცხენა მხართან ოქროს პაწია ბეჭედი ვიპოვეთ.

მეორე სამარხი გაუმართავთ პირველიდან 0,7 მ-ის მოშორებით, სამხრეთით. მიცვალებული დაუსვენებიათ ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ნივთები არ აღმოჩენილა.

ამრიგად, ამ სენაკით დასრულდა ბაზილიკისა და მისი შემადგენელი ნაწილების აღწერა.

გადავდივართ ქალაქის კედლის, წყალსადენისა და სხვა დანარჩენი სენაკების[7] დახასიათებაზე.[8].....

შენიშვნა

1 საუბარია ტაძრის აბსიდაზე (იხ. ტაბ. XXI; XXII, სურ. 1) (ვ.ს.).

2 საუბარია კოშკზე (ტაბ. XXII, სურ. 1) (ვ.ს.)

3 მავზოლეუმი ? (ვ.ს.)

4 ავტორი აქვე მიუთითებს აგურების ფენაზე, რომელიც აბაზანის სამხრეთით დასტურდება (ვ.ს.).

5 იგულისხმება კოშკი (იხ. ტაბ. XXII, სურ. 1).

6 ზემოაღნიშნული, დასავლეთის მთავარი კარი "უფრო გვიანდელ დროში ამოაშენესო", აღნიშნავს ავტორი (ვ.ს.).

7 იგულისხმება ციტადელის (შიდა ციხის) კოშკები (ვ.ს.).

8 დღიურში ძეგლის აღწერა აქ წყდება (ვ.ს.).

Г.Ф.Гобеджишвили

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ ВАШНАРИ В 1949 Г.

Резюме

В дневнике отображены археологические исследования городища Вашнари в 1949 году (с. Гурианта, Озургетский р-н), Описана раскопанная часть цитадели (см. табл. XXI, XXII, рис. 1)., башня, строение мавзолейного типа, трехнефная базилика, вспомогательная келья и др.

В таком виде дневник публикуется впервые.

Ал.Н.Каландадзе

КЛАД ИЗ С.ХЕВИ

(К предварительному изучению памятника)

(Табл. XLV-XLVI)

В 1953 г. житель с.Хеви (Чохатаурского р-на), Е.В.Мамаладзе через старшего научного сотрудника Государственного музея Грузии С.Я.Бедукадзе сообщил Институту истории им. акад. И.А.Джавахишвили АН Грузии о находке в селе клада бронзовых предметов.

Вскоре, при изучении обстоятельств и места находки выяснилось, что предметы клада, помещенные в глиняном сосуде, были закопаны в древности в яме глубиной в 0,5 м., на крутом левобережье р.Губазоули (левый приток р.Супса, непосредственно впадающей в Черное море). Со временем место захоронения клада оказалось у крутой обочины проселечной дороги, размытой в декабре 1953 г. Размывом обнаженные предметы были извлечены из земли селянами Чола и Епифаном Мамаладзе, а глиняная посуда рассыпалась и превратилась в порошковую массу. Были повреждены и предметы клада: два топора переломаны в обушной части. Дополнительные поиски, осуществленные нами на месте находки - оказались тщетными.

Клад бронзовых предметов из с.Хеви (Гос. музей Грузии, колл. N 9-54/1-9) состоит из 6 топоров колхского типа, 2 цалди (топор с крючковатым носиком) и мотыги.

Вот эти предметы:

1. Мотыга бронзовая (табл. XLV, рис. 1), патинированная, с усеченнным обухом, который к плечикам резко расширен. Рабочий край сегментовидный, утрачен; проушина круглая, чуть ассиметричная. Высота - 9,5 см, ширина - 13,5 см, дм. проуха - 2,5-2,7 см, вес - 150 гр. (инв. N. 9-54/7).

2. Цалди бронзовый[1] (табл. XLV, рис. 2), обух заостренный,

проух овальный, край кованный, с лобовой стороны удлиненный, окончание - клювообразно. Обух с обеих сторон украшен тремя рельефными рубцами. Длина - 14,5 см, высота - 10 см, толщина - 1,5 см, отверстие - 4,4 х 2,3 см, вес - 314 гр. (инв. N. 9-54/9).

3. Цалди бронзовый (табл. XLV, рис. 3), подобен вышеописанному, лишь с чуть укороченным клювообразным окончанием; край украшен несколькими желобками. Длина - 14,5 см., высота 9,6 см, толщина 1,5 см, проух - 4,2 х 2,7 см, вес 295 гр. (инв. N. 9-54/8).

4. Топор бронзовый (табл. XLV, рис. 4), колхидского типа, шестигранный, проух - овальный, обух кованный, украшен рельефными линиями. Основная часть края - утрачена. Длина сохранившейся части - 14 см, размеры проушины - 4,5 х 2,7 см, вес 487 гр. (инв. N. 9-54/6).

5. Топор бронзовый (табл. XLV, рис. 5), колхидского типа, двенадцатигранный, с заостренным, чуть округленным обухом, тулово ровное, край кованный, симетричный. Длина - 16,5 см, ширина края - 5,7 см, проушина - 4,4 х 1,9 см, максимальная толщина - 2,3 см, вес 312 гр. (инв. N. 9-54/4).

6. Топор бронзовый (табл. XLV, рис. 6) колхидского типа, шестигранный, с заостренным обухом, проушина овальная, тулово ровное, край кованный, чуть ассиметричный. Верхняя часть тулова и обушная часть украшены рельефными, геометрическими линиями. Длина - 15,2 см, ширина края - 6.2 см, толщина 2,9 см, проух - 4,4 х 2.3 см.

7. Топор бронзовый (табл. XLVI, рис. 7), колхидского типа, шестигранный, с заостренным обухом, проушина - овальная, тулово - ровное, край - кованный, симетричный; обух и верхняя часть тулова украшены несколькими рельефными рубцами. Длина - 17 см, ширина края - 6,3 см, толщина - 2,8 см, ширина окончания обуха - 3,8 см, проушина - 3,8 х 2,3 см, вес - 438 гр. (инв. N. 9-54/1).

8. Топор бронзовый (табл. XLVI, рис. 8), колхидского типа,

шестигранный, с заостренным обухом, проушина - овальная, правильная, край - кованный, ассиметричный. обух и тулово украшают тисненные и рельефные геометрические изображения. Длина - 18 см, ширина рабочего края - 6,3 см, максимальная толщина - 2,9 см, размер проушины - 4,1 х 2,2 см, вес - 405 г/.

9. Топор бронзовый (табл. XLVI, рис. 9), шестигранный, с заостренным обухом, проушина - овальная, тулово - ровное, край кованный, ассиметричный. Обух и тулово украшают шнурообразные, рельефные пояски, край с обеих сторон покрыт изображениями фантастических животных и геометрическими рельефами (описывает профиль); длина - 16,5 см, ширина края - 6,1 см, максимальная толщина - 2,9 см, вес - 382 гр. Как видно из описания клада, в нем присутствуют три основных вида орудий производства. А именно, топор как хозяйственного, так и боевого назначения, цалди (топор с крючковатым носиком) и мотыга. Не хватает "сечки", т.е. заступообразного орудия, долота и редко встречающегося здесь плоского топора, впрочем более характерного для позднебронзового инвентаря Восточного Закавказья. Но последние являются менее характерными компонентами для позднебронзовой культуры колхов. Исходя из этого можно сказать, что рассматриваемый клад хорошо иллюстрирует главное занятие местного населения: земледелие (мотыга), садоводство-виноградорство (цалды), деревообработка и плотничное дело (рабочие топоры, частично цалди и др.).

Каждый составной элемент клада в отдельности не представляет ничего необычного для древностей Колхиды, хорошо знаком, как по кладам, так и отдельным случайным находкам.

